საქართველოს ევროპისა და ამერიკის
საძმეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

დავით ჯოჯუა

საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1919-1921 წლებში

თბილისი — 1997

63.3(25)
947.922
ჯ787

წინამდებარე ნაშრომში ქართული და იტალიური საარქივო დოკუმენტაციის, მემუარული ლიტერატურისა და პერიოდული პრესის მასალების საფუძველზე, სპეციალური საისტორიო ლიტერატურის გათვალისწინებით მოცემულია 1919–1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და იტალიის სამეფოს შორის ურთიერთობის შეძლებისდაგვარად სრულყოფილი სურათის წარმოდგენის ცდა.

წიგნი განკუთვნილია ისტორიკოსებისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი **ი. ტაბაღუა**, ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი.

რეცენზენტები: **ი. ჩიქავა**, ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი
მ. პაპაშვილი, ისტ. მეცნ. კანდიდატი

1995 წლის 30 სექტემბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის (ისტორიის განხრით) კურსდამთავრებულმა დაზმირ ჯოჯუამ განცხადებით ძიძართა საქართველოს ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს ღა თხოვა მიეღოთ იგი ინსტიტუტში თანამშრომლად, მიეცათ მისთვის საკვალიფიკაციო თემა და დაენიშნათ მეცნიერ ხელმძღვანელი.

დაზმირ ჯოჯუამ განცხადებასთან ერთად წარმოადგინა ყველა საჭირო საბუთი, კერძოდ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის დირექტორის პროფ. ო. ჟორდანიას ოფიციალური წერილი-მიმართვა, საქართველოს ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სახელზე. წერილში პროფ. ო. ჟორდანია რეკომენდაციას აძლევდა აღნიშნული უნივერსიტეტის ისტორიულ-იურიდიული ფაკულტეტის (ისტორიის განხრით) კურსდამთავრებულ დაზმირ ჯოჯუას, რათა ინსტიტუტს მიეღო ის თანამშრომლად, მიეცა მისთვის მსოფლიო ისტორიის უახლეს პერიოდში ევროპის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებული თემა და დაენიშნა მისთვის მეცნიერ ხელმძღვანელი.

პროფ. ო. ჟორდანიას შუამდგომლობა სიამოვნებით იქნა მიღებული: სათანადო გასაუბრების შემდეგ დაზმირ ჯოჯუა ჩაირიცხა ინსტიტუტში უფრო ასი ლაბორანტის თანამდებობაზე, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე დაუმტკიცდა საკვალიფიკაციოდ, საქართველოს ისტორიაში დღემდე შეუსწავლელი თემა: „იტალიის მცდელობა მიეღო მანდატი საქართველოზე (1919 წ.) და საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1919–1921 წლებში" და დაენიშნა მეცნიერ ხელმძღვანელად პროფ. ილია ტაბაღუა.

იმის გამო, რომ აღნიშნული თემის გარშემო გამოქვეყნებული ლიტერატურა ძალიან ცოტაა და ძირითადად საარქივო მასალებზე უნდა ემუშავა, მას ნება დართეს ესარგებლა იმ იტალიურ ენოვანი საარქივო მასალით, რომელიც ჩამოტანილია იტალიის არქივებიდან და გამოსაქვეყნებლად მზადდება ზემოხსენებულ ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში.

დაზმირ ჯოჯუამ გამოიჩინა დიდი გულმოდგინება და ინტერესი თავის საკვალიფიკაციო თემაზე მუშაობისას, გაეცნო იტალიურ ენოვან დოკუმენტებს (იგი საკმაოდ ფლობს იტალიურ ენას), გულმოდგინედ შეისწავლა ეს მასალები, გამოიყენა ისინი, გაეცნო საქართველოს ცენტრალურ არქივში არსებულ (ჰარვარდიდან ჩამოტანილ, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის) არქივს და წარმატებით დაამთავრა თავის საკვალიფიკაციო თემაზე მუშაობა, ჩამოაყალიბა ის წინამდებარე მონოგრაფიაში და წარმოადგინა საკვალიფიკაციოდ – ისტორიის მეცნიერებათა საკანდიდატო ხარისხის მოსაპოვებლად. ჩვენი აზრით, დაზმირ ჯოჯუას მიერ შესრულებული და წარმოდგენილი ნაშრომი ინტერესს გამოიწვევს ქართველ მკითხველში.

პროფ. ილია ტაბაღუა

შესავალი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1918–1921 წ.წ. ისტორიის ცალკეული საკითხების შესწავლა განსაკუთრებულ პოლიტიკურ და სამეცნიერო ინტერესს იწვევს. თანამედროვე პირობებში საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეროვნული უშიშროების გარანტირება ლოგიკურად უკავშირდება ჩვენი ქვეყნის წარსული პოლიტიკური და დიპლომატიური ისტორიის (მათ შორის 1918–1921 წ. წ. ისტორიის) განზოგადებული შესწავლის აუცილებლობას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიული გამოცდილებისა და დიპლომატიური მოღვაწეობის ტრადიციების წარმოჩენას უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აზროვნებაში. ამასთან, განსაკუთრებული დაინტერესების სფეროში შემოდის საგარეო პოლიტიკასთან, ევროპის სახელმწიფოებთან პოლიტიკურ, კულტურულ და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებულ პრობლემათა ფართო სპექტრი. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს 1919–1921 წლებში საქართველო-იტალიის პოლიტიკურ-დიპლომატიური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განზოგადებული ანალიზის ცდას. ჩვენი კვლევის მიზანდასახულობას შეადგენს სხვადასხვაგვარი წყაროების თვისობრივად ახლებური გააზრების საფუძველზე ორი ქვეყნის ურთიერთობათა საერთო პროცესის წარმოჩენა, საქართველოში „იტალიური პოლიტიკის“ მიზნების, ხასიათისა და მასშტაბების დადგენა. ჩვენთვის აღნიშნული პრობლემის აქტუალობას ისიც აპირობებს, რომ ქართული ისტორიოგრაფიის ცალკეულ გამოკვლევებში საკითხის პერიფერიული ფიქსირების გარდა, იგი მონოგრაფიულად არ არის შესწავლილი.

უკანასკნელ პერიოდში გაფართოვდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის კარდინალური საკითხების გაშუქებისათვის. უკვე გამოცემულია რამდენიმე ნაშრომი და მრავალრიცხოვანი სასტატიო პუბლიკაციები აღნიშნული პერიოდის ქართული დიპლომატიის პრობლემებზე. მაგრამ მთელი რიგი საკითხების სრულყოფილი და სიღრმისეული შესწავლისათვის განსაკუთებელი ჯერ კიდევ მრავლადაა. ჩვენ ძიზანშეწონილად ჩავთვალეთ, შესაძლებლობისამებრ, გარკვეულწილად შეგვევსო ეს ხარვეზი ერთი კონკრეტული მიმართულებით და სპეციალური კვლევის საგნად გავიხადეთ საქართველო-იტალიის ურთიერთობანი იმდროინდელი საერთაშორისო სისტემის ფონზე.

აღსანიშნავია, რომ იტალიის მიერ საქართველოსა და აზერბაიჯანზე მანდატის მიღების საკითხზე ინგლის-იტალიის მოლაპარაკება კონფიდენციალურ ვითარებაში მიმდინარეობდა. ასევე საიდუმლო ჩასიათს ატარებდა მოლაპარაკებანი საქართველოსა და იტალიას და საქართველოსა და ინგლისს შორის. ამდენად, ამ პროცესის ამსახველი მასალები იტალიის, ინგლისის, საქართველოს და, ნაწილობრივ, საფრანგეთის არქივებში დარჩა. ყველა ეს არქივი კი მიმდინარე საუკუნის 60-იან წლებამდე ფაქტიურად დახურული იყო.

1945 წელს რომში გამოქვეყნდა ცნობილი იტალიელი პოლიტიკური და დიპლომატიური მოღვაწის კარლო სფორცას (1873-1952) წიგნი "L'Italia dal 14 al 44 quale io la vidi" („იტალია 14-დან 44-მდე, როგორიც ის მე ვნახე"), სადაც ლაპარაკია ზემოხსენებულ საკითხებზე. მაგრამ ეს წიგნი სსრკ-ში არ შემოსულა.

1972 წელს ფლორენციის უნივერსიტეტის პროფესორმა მარტა პეტრიჩოლიმ გამოსცა ნაშრომი "L'occupazione italiana del Caucaso: "un ingrato" da rendere a Londra" („იტალიის მიერ კავკასიის ოკუპაცია: „უმადური სამსახური", აღმოჩენილი ლონდონის მსრი-

დან", გამოიცა მილანში). არც ეს ნაშრომი შემოსულა საბჭოთა კავშირში და, ბუნებრივია, არ გამხდარა საბჭოთა ისტორიკოსების მსჯელობის საგანი.

1980 წელს იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეგიდით გამოცემულ დიპლომატიურ კრებულში ("I documenti diplomatici italiani. Sesta serie: 1918–1922. Vol. II (18 gennaio - 23 marzo 1919)". Roma. 1980) გამოქვეყნდა ჩვენს საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული სამი საბუთი.

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ისტორიკოსმა ილია ტაბაღუამ თავი მოუყარა როგორც ზემოთაღნიშნულ ნაშრომებს, ასევე საარქივო მასალებს, ამ მასალების ფოტოპირები, მიკროფილმები და ქსეროასლები გადაიღო და საქართველოში ჩამოიტანა. მასალების ეს საკმაოდ სოლიდური ფონდი ამჟამად ინახება საქართველოს ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და მზადდება გამოსაქვეყნებლად. საკვალიფიკაციო თემაზე მუშაობისას ჩვენ საშუალება მოგვეცა ამ მასალების გაცნობა-გამოყენებისა (იტალიის ცენტრალური სახელმწიფო არქივის, იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ისტორიულ-დიპლომატიური არქივის და პრემიერ-მინისტრ ორლანდოს პერსონალური არქივის დოკუმენტები), რის გამოც ჩვენს სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია უღრმესი მადლობა მოვახსენოთ პროფ. ი. ტაბაღუას.

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას ჩვენ გამოვიყენეთ ასევე საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდებში დაცული ოფიციალური ხასიათის დოკუმენტები, რომელთა შორის განსაკუთრებული გამოყოფის ღირსია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს (ფ. 1864), დამფუძნებელი კრების (ფ. 1833), მთავრობის საქმეთა მმართველობის (ფ. 1861) და ვაჭრობა-მრეწველობისა და ფინანსთა სამინისტროს (ფ. 1891) ფონდებში მოპოვებული

მასალები.

ჩვენი ინტერესის გარკვეულ ობიექტს წარმოადგენს მემუარული ლიტერატურა. ნ. ჟორდანიას, ზ. ავალიშვილის, ფრ. ნიტის, ლ. ალდროვანდი მარესკოტის და სხვათა მემუარების გამოყენებამ საშუალება მოგვცა, დაგვედგინა ზოგიერთი მოვლენისა თუ ფაქტის უმთავრესი მხარეები, გარკვეულწილად აღგვედგინა მიმდინარე მოლაპარაკებათა შედარებით სრულყოფილი სურათი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ მემუარებს ახასიათებს ერთგვარი სუბიექტივიზმი ფაქტების აღწერის და, მით უმეტეს, ინტერპრეტაციის დროს, რაც ჩვენ შეძლებისდაგვარად სათანადოდ გავითვალისწინეთ.

ნაშრომში გამოყენებულია პერიოდული პრესაც. კერძოდ, როგორც XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დამდეგს გამომავალი ჟურნალ-გაზეთები, ასევე 1918–1921 წლებში არსებული გაზეთები (როგორც ოფიციოზი, ისე ცალკეული პარტიების ორგანოები).

წიგნზე მუშაობისას ჩვენს მიერ გამოყენებულია აგრეთვე საკვლევ საკითხთან დაკავშირებული შრომები საბჭოთა ავტორებისა.

გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროებრივი მასალების სრული სია მოცემულია ბიბლიოგრაფიაში.

თავი I

საქართველო-იტალიის კულტურული კონტაქტები XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში

საქართველოსა და იტალიის ურთიერთობანი საუკუნეთა სიღრმეში იღებენ სათავეს და ძვ. წ. I საუკუნიდან XVIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედამდე მეტნაკლები ინტენსიურობით გამოირჩევიან. ერთის მხრივ, სუპრეგიონალურ და რეგიონალურ დონეებზე წარმოქმნადი ფაქტორები, ხოლო, მეორეს მხრივ, ქართულ სახელმწიფოზე (XV ს-დან „სახელმწიფოებზე") ზემომქმედი მადესტაბილიზებელი ტენდენციები (რომლებიც არსებითად გამოწვეული იყო „ისლამური სამხრეთის" პერმანენტული აგრესიით), ასე ვთქვათ, ორმხრივ ასპექტში აპირობებდნენ საქართველოს კავშირურთიერთობათა დამყარებას იტალიის (და, საერთოდ ევროპის) პოლიტიკურ ერთეულებთან, განსაკუთრებით რომის პაპის თეოკრატულ სახელმწიფოსთან. გვიან შუასაუკუნეებში ამგვარმა ურთიერთობებმა არსებითად განსაზღვრეს კიდეც ქართული სამეფო-სამთავროების „ევროპული პოლიტიკა". ნიკიფორე ირბახის დიპლომატიური მისია ევროპაში, საქართველოში იტალიელ მისიონერთა მოღვაწეობის გააქტიურება XVII საუკუნეში ორი ქვეყნის ურთიერთობათა ისტორიაში თვალსაჩინო როლს ასრულებენ.

რაც შეეხება სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის პერიოდში (1713-1716 წ.წ.) მარსელსა და პარიზს (ვერსალს) გარდა რომში პაპ კლემენტ XI-თან ორჯერ შეხვედრას და მოლაპარაკებებს, მის ყოფნას ფლორენციასა და სიცილიაზე — ეს იყო ევროპასთან საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული კავშირურთიერთობების ლოგიკური გაგრძელება და ევროპული ცივილიზაციის წიაღში საქართველოს დაბრუნების სერიოზული მცდელობა.

სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიურ მისიაზე ჩვენ აქ არ

შევჩერდებით. ეს არც შეადგენს ჩვენი კვლევის საგანს. დაინტერესებულ მკითხველს მივუთითებთ მხოლოდ დოკუმენტების საკმაოდ სოლიდურ კრებულზე, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოქვეყნდა[1].

ორბელიანის დიპლომატიური მისიის წარუმატებლობამ სერიოზული გავლენა მოახდინა ქართულ პოლიტიკურ წრეებზე. თუმცა ევროპის ქვეყნებთან, მათ შორის იტალიასთან, ურთიერთობის განვითარების საკითხი არც შემდგომში მოხსნილა დღის წესრიგიდან. ცნობილია, რომ ერეკლე II-მ, როცა გადაწყვიტა ევროპიდან დახმარება მიეღო, გამოიყენა საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერები, ისინი ევროპაში სპეციალური დავალებით გაგზავნა და დაჰპირდა მათ მფარველობას, თუ დაეხმარებოდნენ ევროპიდან მხარდაჭერის მიღებაში.

1781 წლის გაზაფხულზე ერეკლემ ევროპაში გაგზავნა იტალიელი მისიონერი დომინიკე, რომელსაც თან მიჰქონდა მეფის სათანადო ეპისტოლეები. მაგრამ ამ მისიონერმა ვერ ჩააღწია დანიშნულებისამებრ, იგი კონსტანტინოპოლში გარდაიცვალა და, ცხადია, ქართლ-კახეთის მეფის წერილებიც იქ დაიკარგა.

1782 წლის ოქტომბერში ერეკლე II-მ სპეციალური წერილებით აღჭურვილი მეორე იტალიელი მისიონერი – მავროს ვერონელი გაგზავნა ევროპაში. მაგრამ, სამწუხაროდ ეს მისიონერიც გარდაიცვალა ევროპაში ჩასვლამდე, პოლონეთის ქ. ბერდიჩევში. მართალია, ბერდიჩევის მონასტრის მსახურებმა ჩაიტანეს ევროპაში ერეკლეს წერილები, მაგრამ ვრაიმე ვნიშვნელოვანი შედეგი ამ ფაქტს არ მოჰყოლია (აღსანიშნავია, რომ ეს წერილები დღეს უკვე გამოქვეყნებულია)[2].

---

[1] იხ. ი. ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში და საქართველო საფრანგეთის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. I, თბ., 1996, გვ. 28-319, დოკ. №№ 1-79.

[2] ი. ტაბაღუა, საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII ს. II ნახევარში. თბ., 1979, დოკ. №№ 5-42.

რაც შეეხება საქართველოში იტალიელი მისიონერების მოღვაწეობას XIX საუკუნესა და XX საუკუნის დამდეგს, ეს საკითხი ყოველმხრივ გაანალიზებული და შესწავლილია მკვლევარ მურმან პაპაშვილის ახლახან გამოქვეყნებულ ნაშრომში[3].

XIX საუკუნის დასაწყისიდან ქართულ-იტალიურ ურთიერთობებში თვისობრივად სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. 1801 წლიდან რუსეთმა ეტაპობრივად განახორციელა თითქმის მთელი საქართველოს ანექსია. ქართული სამეფო-სამთავროების სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციას, ბუნებრივია, შედეგად მოჰყვა ადრე არსებული საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების გაქრობა; რუსეთის იმპერიამ ჩაკეტა გარესამყაროსთან საქართველოს კონტაქტების ყოველი არხი და მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე, ევროპულ ორიენტაციაზე დამყარებულმა ქართულმა დიპლომატიამ საკმაო დროით შეწყვიტა არსებობა.

რაც შეეხება იტალიას, აღნიშნულ პერიოდში კვლავ გრძელდებოდა მისი პოლიტიკური დაქუცმაცებულობა, რასაც კიდევ უფრო აძლიერებდა ავსტრიის ბატონობა ჩრდილოეთში. ქვეყანაში არსებობდა რამდენიმე პოლიტიკური ერთეული – ავსტრიის ლომბარდია, ვენეციის რესპუბლიკა, სარდინიის სამეფო, პარმისა და მოდენის საჰერცოგოები და ნეაპოლიტანიის სამეფო[4]. ბუნებრივია, ცალკე სახელმწიფოს წარმოადგენდა პაპის ოლქი რომით და ლაციოს რეგიონის მნიშვნელოვანი ნაწილით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც ვეხებით საქართველო-იტალიის ურთიერთობებს XIX ს. და XX ს-ის დასაწყისში, შეიძლება უმთავრესად ვილაპარაკოთ ორ ერს შორის საზოგადოებრივ-

---

[3] იხ. მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა, თბ., 1995. კერძოდ თავი V: „კათოლიკობის გზა საქართველოში XIX-XX საუკუნეებში, გვ. 299-339.

[4] იხ. Дж. Канделоро. История современной Италии. Истоки Рисорджименто. 1770-1815. Перевод с итальянского Т. С. Злочевской, Ю. Л. Фридмана и И. Н. Бочарова. М., 1958.

კულტურულ ურთიერთობებზე.

საქართველო-იტალიის იდეურ-კულტურული კონტაქტების განხილვისას განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქართული თემატიკის გამოჩენა იტალიურ ლიტერატურაში. ეს გარემოება შეიმჩნევა XVIII ს-ის მეორე ნახევარში – იტალიის ისტორიის გარდამტეხ პერიოდში. ეს არის იტალიური რისორჯიმენტოს იდეურ-კულტურული მომზადების ეპოქა, ჯ. კანდელოროს სიტყვებით რომ ვთქვათ, მართალია იტალია დაქუცმაცებული იყო, მიუხედავად ამისა იტალიურმა კულტურამ მიაღწია საგრძნობ ერთიანობას და მოამზადა ნიადაგი სახელმწიფოებრივი ერთიანობისთვისაც. სწორედ ამ დროს გაჩნდა იტალიის ეთნიკურ-კულტურული და პოლიტიკური ერთობის ამსახველი ცნობილი ფრაზა, რომელიც ეკუთვნის ჯან რინალდო დი კოპოდისტრიას: „მე იტალიელი ვარ, ხოლო იტალიელი იტალიაში არასოდეს არ არის უცხოელი"[5].

ამ პერიოდში იტალიური კულტურის ცენტრი ხდება „არკადიის ლიტერატურული აკადემია"[6]. ამავე დროს მოღვაწეობს ცნობილი იტალიელი გამომცემელი და კულტურული მოღვაწე ლოდოვიკო ანტონიო მურატორი, ხოლო იტალიური განმანათლებლობის ფუძემდებლურ პრინციპებს აყალიბებს გენიალური ჩეზარე ბეკარია (1738-1794), რომლის წიგნმა „დანაშაულობათა და სასჯელთა შესახებ"[7] მსოფლიო აღიარება ჰპოვა.

სწორედ იტალიური კულტურის ამ საერთო აღორძინების ფონზე არის განსახილველი ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული თემატიკის გაჩენა იტალიურ ლიტერატურაში, რაც პირველად დიდი იტალიელი დრამატურგისა და თეატრის რეფორმატორის, ვენეციელი

---

[5] "Iosoho italiano, e l'italiano in Italia non e mai forestiero". იხ. Россия и Италия: Из русско-итальянских культурных и политических отношений, М., 1968, стр. 51.

[6] Accademia letterria dell'Arcadia დაარსდა 1690 წელს.

[7] Cesare Beccaria, Dei Delitti e delle pene, Milano, 1764.

კარლო გოლდონის შემოქმედებაში აისახა (1707 ვენეცია – 1793 პარიზი)[8]. მის პიესაში „მშვენიერი ქართველი ქალი ("La bella georgiana"), რომელიც 1761 წლის დეკემბერში ვენეციის თეატრის სცენაზე დაიდგა ტრაგიკომიკურ ფორმებში არის ასახული დასავლეთ საქართველოს უმძიმესი ვითარება, დაქუცმაცებულობა, მეფე-მთავრებს შორის გაუთავებელი შინაომები. აღსანიშნავია, რომ გოლდონის პიესის თემა და გარკვეული ცნობები ამოღებულია „ახალი ხალხების ისტორიის“ იტალიური გამოცემიდან (1738 წ.), რომელშიც შესული მასალები, თავის მხრივ მოტანილია ჟან შარდენისა და ჯუზეპე მარია ძამპის ნაშრომებიდან[9].

აქვე უნდა ითქვას, რომ გოლდონის პიესა არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან. პირველ რიგში, ეს ეხება საქართველოს გეოგრაფიულ მდგომარეობას, მაგალითად გოლდონი სრულებით არ იცნობს აღმოსავლეთ საქართველოს და „ქართველთა ქვეყნად“ მხოლოდ ლიხის ქედსა და შავ ზღვას შორის მდებარე ტერიტორია მიაჩნია[10].

ქართული თემატიკა ჩანს მეორე იტალიელი დრამატურგის კარლო გოცის (1720-1808) შემოქმედებაშიც. მის პიესაში „გველქალა“ მოქმედება მიმდინარეობს თბილისში და მის მიდამოებში; პიესის ცენტრშია ელდრადოს ფანტასტიკური სამეფოს დედოფალი კერესტანი, რომელიც თბილისის მეფის ფარუსკადის მეუღლეა და შვილებიც ჰყავს ამ რეალური, მომაკვდავი ადამიანისაგან. ჯადოსნური სამეფოს კანონები ამ გველქალასაგან მოითხოვენ დატოვოს ქმარი და შვილები და კვლავ მაგიურ სამყაროს დაუბრუნდეს. მაგრამ იგი უარს ამბობს ამაზე, რისთვისაც ეწამება კიდეც. მართალია, პიესის

---

[8] კარლო გოლდონის შემოქმედებაში ქართული თემატიკის შესახებ ვრცლად იხ. ნ. ორლოვსკაია, ქართული თემატიკა კარლო გოლდონის შემოქმედებაში, თსუ შრომები, ტ. 101, 1962.

[9] იხ. შ. რევიშვილი, საქართველოს თემა ევროპულ ლიტერატურაში, თბ., 1967, გვ. 9.

[10] იქვე

მოქმედება საქართველოშია გადმოტანილი, მაგრამ აქ, გოლდონისაგან განსხვავებით, არ არიან ისტორიული პირები და არ არის ისტორიულ-პოლიტიკური ვითარება, არც კონკრეტული გეოგრაფიული ლოკალიზაცია (ლაპარაკია მხოლოდ თბილისზე, თუმცა ჯადოსნურ ფერებში). საერთოდ უნდა ითქვას, რომ კარლო გოცის იტალიურ დრამატურგიაში ახალი მიმართულება შემოიტანა — გოლდონის რეალისტური კომედიებისაგან განსხვავებით, განავითარა ე. წ. თეატრალური ზღაპრების („ფიაბების") ჟანრი, რომელშიც ფანტასტიკური გარემოა წარმოდგენილი ჯადოქრებითა და მაგიური ძალებით". თუმცა, თავისი ზღაპრებისათვის, მათ შორის „გველქალასათვისაც", იგი „სიუჟეტებს იღებდა ხალხური თქმულებებიდან და ლიტერატურული წყაროებიდან"[12]. ეს საშუალებას გვაძლევს თუნდაც იგივე „გველქალაში" რეალური ისტორიული ამბებისა და ყოფის გამოძახილიც დავინახოთ. ასეთია, მაგალითად, „დიდებული თბილისის ცალავანთან" წარმოებული სისხლისმღვრელი ომების გოცისეული აღწერა, მდინარე მტკვრის კალაპოტიდან გადმოსვლა, არაბების მოხსენიება და სხვ.

როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოსა და იტალიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება, ბევრი ასპექტით ემსგავსებოდა ერთმანეთს: დამოუკიდებლობა დაკარგული, რუსეთის მიერ ანექსირებული საქართველო, რომელიც იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის და ასევე დაქუცმაცებული, უცხოელი დამპყრობლების მიერ დამცირებული და შევიწროებული იტალია.

საქართველოსა და იტალიის სინამდვილეში გარკვეული ობიექტური პირობების იდენტურობა, ბუნებრივია იწვევდა ამ პირობებით წარმოშობილი იდეური მისწრაფებებისა და ეროვნული მოძრაობის უმთავრესი მომენტების მსგავსებასაც. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია XIX საუკუნის 20-30-იან წლებში, თუ შეიძლება ასე ითქვას,

---

[11] შ. რევიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 11-12.

[12] იქვე.

„საერთო ევროპული ისტორიის ფარგლებში“ ჩამოყალიბებული მოძრაობანი იტალიელი კარბონარებისა და ქართველი შეთქმულებისა. ეს მოძრაობანი, იტალიასა და საქართველოში არსებული სპეციფიკური პირობების მიუხედავად, მაინც საერთო ინტერესებითა და ეპოქის განმათავისუფლებელი იდეებით იყო შეპირობებული. ორივე მათგანმა მიიღო იმ დროისათვის ტიპიური შეთქმულების ფორმა: ორივე ძირითად აქცენტს აკეთებდა აჯანყებაზე, ე. წ. „სამხედრო რევოლუციაზე“, ორივე მოძრაობა იკვებებოდა ანტიაბსოლუტისტური იდეებით და დღის წესრიგში აყენებდა კონსტიტუციური სისტემების შექმნას. მაშასადამე, ორივე მოძრაობამ ლიბერალიზმის დროშა აღმართა: კარბონარებმა — ბურჟუაზიული ლიბერალიზმის, ხოლო ქართველმა შეთქმულებმა — თავადაზნაურული ლიბერალიზმისა. მართალია, უშუალო კავშირურთიერთობანი ამ ორი მოძრაობის წარმომადგენლებს შორის არ ყოფილა (ყოველ შემთხვევაში, დღეს ჩვენს ხელთ არსებული მასალები ამისი მტკიცების საშუალებას არ იძლევა), მაგრამ, თავისთავად, ზემოთმოყვანილი იდენტური ხაზები ნათლად მეტყველებენ იტალიისა და საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის მსგავსებაზე, ამ ორი ხალხის წინაშე მდგარი უპირატესი პრობლემების ერთგვარ დამთხვევაზე. სწორედ ეს გარემოება აპირობებდა ქართული საზოგადოებრივი აზრის განსაკუთრებულ დაინტერესებას იტალიაში მიმდინარე რისორჯიმენტოს[13] პროცესით.

ეს მომენტი განსაკუთრებით გამოიკვეთა გასული საუკუნის 60–70-იანი წლებიდან, როცა ასპარეზზე გამოვიდა თერგდალეულთა დასი და ქართულმა განმანათლებლობამ, როგორც გარკვეულმა იდეურ-პოლიტიკურმა და საზოგადოებრივ-კულტურულმა მოძრაობამ,

[13] რისორჯიმენტო — იტალიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი და გამაერთიანებელი მოძრაობა, XVIII-XIX საუკ., რომელიც ერთიანი იტალიური სახელმწიფოებრიობის აღდგენით დასრულდა.

თავისი განვითარების ზენიტს მიაღწია.

ამ პერიოდში საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხებისადმი ინტერესის გაძლიერება ხელს უწყობდა დასავლეთ ევროპის ისტორიის პრობლემების ინტენსიურ განხილვას, ამასთან, საქართველოს კოლონიური მდგომარეობის ფონზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ქვეყნებისა და ხალხების ისტორიული განვითარების პროცესის გააზრებას, რომლებიც საქართველოს ანალოგიურ მდგომარეობაში იყვნენ და ენერგიულად იბრძოდნენ დამოუკიდებლობისა და ეროვნული აღორძინებისათვის. ამ თვალსაზრისით, სწორედ იტალია წარმოადგენდა ისეთ ქვეყანას, რომელიც მოწინავე ქართული საზოგადოების ყურადღებას იმსახურებდა. ქართული საზოგადოებრივი აზრის თვალსაჩინო წარმომადგენლები იკვლევდნენ რისორჯიმენტოს — იტალიის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ-კულტურული ისტორიის ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპს, მის ეროვნულ და საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ამასთან, რისორჯიმენტოს იდეურ-პოლიტიკური და კულტურული კრედო, მისი „შინაგანი თვისობრივი სტრუქტურა, რაც ნაციონალურ და ანტიაბსოლუტისტურ ელფერს ატარებდა"[14], სავსებით შეესაბამებოდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეალებს, სოციალურ მიზანსწრაფვას.

ბრძოლა ცარიზმის, ეროვნული და ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ ამ პერიოდის საქართველოში უპირატესი საკითხი იყო. ამიტომ ქართველი განმანათლებლები იყენებდნენ იტალიურ მოვლენებს, ერთი მხრივ, როგორც ეროვნულ-სოციალური ბრძოლის საკითხებში „მიბაძვისა" და გამოცდილების დაგროვების საშუალებას, და, მეორე მხრივ, როგორც შესაძლებლობას — საქართველოში ლეგალურად დაეყენებინათ პრაქტიკული ბრძოლის საკითხები. ევროპული ისტორიის სხვა მოვლენებთან ერთად, პროგრესული

[14] Дж. Канделоро, История современной Италии, т. VI, М., 1971, стр.78.

ქართველი მოღვაწეები იტალიური რისორჯიმენტოს მოვლენებსაც მიიჩნევდნენ ქართულ საზოგადოებაში ეროვნული თვითმყოფობისათვის დაუცხრომელი ბრძოლის სულისკვეთების აღორძინების საშუალებად. ამასადამე, „იტალიური პრობლემატიკა“ XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში წარმოშვა მოწინავე ეროვნული და სოციალურ-პოლიტიკური იდეალებისადმი სწრაფვამ, ქართველი ერის „ხსნისა და გადარჩენის“ გზების ძიებამ.

უნდა აღინიშნოს: იტალიური რისორჯიმენტოს რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი, განმათავისუფლებელი და გამაერთიანებელი მოძრაობის პერიპეტიები, ეროვნულ-პოლიტიკური და სოციალური მომენტების ურთიერთმიმართება, საგარეო-პოლიტიკური ასპექტები და სხვ. სრულყოფილი ფორმით იქნა ასახული ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში.

იტალიაში მიმდინარე საუკუნეობრივი მსჯელობის მოვლენებისადმი ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის მიმართება ყველაზე სისტემატიზებული და სრულყოფილი ფორმით გამოვლინდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. ჯერ კიდევ 1860 წლის ზაფხულში, პარიზში მყოფი ახალგაზრდა ილია თავისი ცნობილი ლექსით „მესმის, მესმის“, მგზნებარედ გამოეხმაურა ჯუზეპე გარიბალდის წინამძღოლობით იტალიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ავსტრიული ოკუპაციის წინააღმდეგ:

„მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ პირკილის ხმა მტკიცისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუსს
დასათრგუნველად მონებისა“[15].

1863 წელს, „საქართველოს მოამბის“ პირველსავე ნომერში

[15] ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრ. კრ., ტ. 1, თბ., 1987, გვ. 104.

ილიამ მოათავსა დობროლუბოვის სტატიის „მამა ალექსანდრე გაეაცცი და მისი ქადაგებანი“ თარგმანი. გარიბალდელი მღვდელი გაეაცცი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ხალხში, რამეთუ მისი ქადაგებანი გამსჭვალული იყო უსაზღვრო პატრიოტიზმით, აბსოლუტიზმისა და ფეოდალური ძალმომრეობისადმი სიძულვილით, იტალიის გაერთიანების მგზნებარე იდეით. სწორედ ეს გარემოება აპირობებდა ილიას დიდ სიმპათიებს ამ იტალიელი გარიბალდისტისადმი.

ი. ჭავჭავაძე იმდენად ყოფილა აღფრთოვანებული გარიბალდისტური მოძრაობით, რომ ერთხანს გადაწყვეტილიც კი ჰქონია იტალიაში მოხალისედ წასვლა. ამის შესახებ საყურადღებო ცნობას გვაწვდის ნ. ნათიძე (მელანია): „ილია ამბობდა ძრიელ მომწონდა მყუდრო, განდეგილი ცხოვრებაო. მაგრამ, როცა გარიბალდმა დაიწყო ბრძოლა, მეც მოქმედებაო, ბერობა გადავიფიქრე და დავაპირე ვოლონტიორად მასთან წასვლაო. შემდეგ, როცა სტუდენტურ ცხოვრებაში გავეხვიე, ველარ შევასრულე ეს განზრახვაო“[16].

ილიას დიდ სიმპათიებს გარიბალდისადმი ადასტურებს იონა მეუნარგიაც, რომელიც „ივერიის“ რედაქციაში მისი კაბინეტის აღწერილობისას ქართველი მეფეების სურათებთან და რუსთაველის ბიუსტთან ერთად ჯუბეპე გარიბალდის ბიუსტსაც ასახელებს[17].

XIX საუკუნის 60-80-იან წლებში იტალიაში მიმდინარე პროცესებს დიდ ადგილს უთმობდა ილიას რედაქტორობით გამოვალი გაზეთი „ივერია“. აღსანიშნავია, რომ „ივერიაში“ მის მიერ მომზადებული ე. წ. „საპოლიტიკო მიმოხილვები“ წარმოადგენდა იტალიური მოვლენების გაშუქების მნიშვნელოვან ლეგალურ საშუალებას. 1886 წლის 18 და 19 თებერვლის ნომრებში ილია ჭავჭავაძე შეეხო იტალიურ პრობლემატიკას. ახასიათებს რა რისორ-

[16] ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტ. I, ოპ. 1935, გვ. 373.
[17] ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, 1957, გვ. 37.

ჯიბერტოს შედეგებს, იგი განსაკურებულად გამოყოფს ერთიანი იტალიური სახელმწიფოს აღდგენის საკითხს, მიიჩნევს ამ მოვლენას იტალიელთა ეროვნული თვითშემეცნების აღორძინების ნაყოფად, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იტალია იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, სადაც „გვარტომობის დედააზრმა" გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა და ეროვნული თვითდამკვიდრების ბარომეტრად იქცა. ამასთან, რისორჯიმენტოს გადამწყვეტ ეტაპზე ილია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ მოვლენის საგარეო-პოლიტიკურ ასპექტებს და, რევოლუციურ-დემოკრატიული პუბლიცისტიკისაგან განსხვავებით ნაპოლეონ შშშ-ის მოკავშირეობის დადებით როლზე მიუთითებს: „მას აქეთ, რაც გვარტომობის დედააზრმა დიდი და თითქმის მხოლობითი ადგილი დაიჭირა, სახელმწიფოთა დალაგების საქმეში, იტალია პირველი იყო (ხაზგასმა ჩვენია — დ. ჯ.), რომელმაც ნაპოლეონ შშშ-ის შემწეობით განახორციელა ეგ აზრი და ... გაერთდა"[18].

ლიბერალიზმის პოზიციებიდან უდგება ილია იტალიის ეროვნულ განმათავისუფლებელ და გამაერთიანებელ მოძრაობაში მონაწილე მასების ადგილისა და როლის საკითხს. მისთვის არ არის დამახასიათებელი რისორჯიმენტოს პროცესში არსებული ორი ტენდენციის — ბურჟუაზიულ-ლიბერალურისა და რევოლუციურ-დემოკრატიულის — მკვეთრი დაპირისპირება, მათ შორის პერმანენტული შეჯახება. მართალია, ილია არ უარყოფს ამ მოძრაობის სახალხო ხასიათს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გარიბალდის ფაქტორს და მისი მოხალისეების თავგანწირულ ბრძოლას — „იმოდენა მაგალითი... მამულიშვილობისა და თავდადებისა, რამოდენაც იტალიის გმირთა გამოიჩინეს თავისი ქვეყნის გაერთიანებისათვის, ბევრ სხვა ერს არ გამოუჩენია. მრავალმა თავი შეაკლა... მრავალმა თავისი საკუთარი ბედნიერება მტკლად დაუდო ამ დიდ საქმეს

---

[18] „ივერია", 1986 წ. თებერვალი. № 40.

შეერთებისას"[19], – ამასთან იგი მაღალ შეფასებას აძლევს კავურისტებს, კონსერვატიულ და რეფორმისტულ წრეებს, პიემონტის მონარქიის ჰეგემონისტურ როლს თავისუფლებისა და გაერთიანებისათვის ბრძოლაში: „ამ შეერთების მახლობელი განმახორციელებელი ორი კაცი იყო: ერთი კავური და მეორე გარიბალდი. პირველი იყო ჭკუა და მეორე – ხმალი იტალიისა"[20]. ამ სიტყვებიდან ნათლად ვლინდება რისორჯიმენტოს ილიასეული კონცეფცია, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ლიბერალური, აღიარებს რა იტალიელთა ამ ბრძოლის სახალხო ხასიათს, ილია ლიბერალური პუბლიცისტიკის მსგავსად, უარყოფს სახალხო მასების დამოუკიდებელ, სოციალურ მისწრაფებებს, მიიჩნევს რა, რომ სახალხო მასების ფართო მონაწილეობა აღნიშნულ მოძრაობაში გამოწვეული იყო ერის პოლიტიკური თავისუფლებისაკენ სწრაფვით და არა სოციალური რევოლუციის იმედით. მაშასადამე, რისორჯიმენტოს ეპოქაში სახალხო მოძრაობას ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული ხასიათი. აქედან გამომდინარეობს იდეა გარიბალდისტური სახალხო მოძრაობის და პიემონტის ჰეგემონიზმის ერთიანობისა და ჰარმონიისა, რომლის სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენს „გარიბალდის ხმლისა" და „კავურის ჭკუის" ილიასეული სინთეზი.

ახასიათებდა რა რისორჯიმენტოს შედეგებს, ილიას ძახვილ გონებას არ გამოჰპარვია ის, ასე ვთქვათ, „გეოგრაფიული დანაკლისები", რაც განიცადა იტალიის გაერთიანებულმა მონარქიამ მაშინდელი საერთაშორისო კონიუნქტურიდან გამომდინარე – ნიცა და საფოა საფრანგეთს დარჩა ნაპოლეონ III-ის დახმარების სანაცვლოდ, ტიროლი, ტრიესტი და ტრენტინო ავსტრიამ შეინარჩუნა[21].

ილია ჭავჭავაძემ თავისი შეხედულებანი გამოთქვა რისორჯ

---

[19] „ივერია", 1886 წ. № 40.

[20] იქვე

[21] „ივერია", 1886 წ. № 40.

იმენტის ეპოქის ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა რომის პაპის როლი გაძაერთიანებელ მოძრაობაში, იტალიის ერთიან სახელმწიფოსთან ვატიკანის ურთიერთობის პრობლემა. ახასიათებს რა ვატიკანის დამოკიდებულებას იტალიის გაერთიანებული სახელმწიფოსადმი, იგი, სრულიად საძართლიანად ამ პრობლემას „იტალიის გვამში დიდ სატკივარს“ უწოდებს. ილია საგანგებოდ ანალიზებს ერთიანი იტალიური სახელმწიფოს შექმნის იდეისადმი ვატიკანის უარყოფით მიმართებას და ამ გარემოების უმთავრეს მიზეზად პაპის საერო ხელისუფლებას მიიჩნევს: „რასაკვირველია, პაპი იტალიის ერთობისათვის იმით კი არ იყო საშიშარი, რომ სასულიერო ხელმწიფება ხელთ ეპყრა, არამედ იმითი, რომ საერო ხელმწიფებაც ეჭირა იტალიაში, და ამრიგად, სასულიერო წოდების საერო ბატონობა ჰქმნიდა იტალიაში სახელმწიფოს სახელმწიფოში“[22].

ილიას რისორჯიმენტოს „აქილევსის ქუსლად“ მიაჩნია იტალიისათვის ვატიკანთან ურთიერთობის მოუგვარებლობა, პაპის მიერ საკუთარი თავისათვის ტყვის სტატუსის მიკუთვნება. ამასთან, „იტალიის ამ მძიმე და მეტად ბნელ შინაურ საქმეს“ იგი საერთაშორისო ურთიერთობათა კონტექსტში განიხილავს და ამტკიცებს, რომ „პაპის დაუძინებელი მტრობა გაერთიანებული იტალიისადმი“ საშუალებას აძლევს სხვა სახელმწიფოებს, განსაკუთრებით გერმანიას, მოახდინოს ზეწოლა იტალიაზე და ვატიკანთან ურთიერთობებზე მანიპულირებით შეზღუდოს მისი საგარეო-პოლიტიკური აქტიურობა: „კისაც იტალიის წყენა, ვნება, უნდა, მაშინვე რომის პაპის საქმის გაფუებას და გასიებას უქადის ხოლმე და ამ ხერხს ყველაზე კარგად ბისმარკი ჰხმარობს დღეს“[23]. 1882 წლის ცნობილ კრიზისზე ილია ამბობს: „იტალიის კოროლმა ჰუმბერტმა ამის შესახებ პირდაპირ და მტკიცედ წარმოსთქვა: „მე

---

[22] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრ., IX, თბ., 1957, გვ. 92.

[23] იქვე, გვ. 94.

ვხედავ, რომ ცდილობენ – ერთხელ მორჩომილი საქმე (პაპის საერო უფლების მოსპობა) ხელახლად ფეხზე დააყენონ. მაგრამ იტალია ამას არამცთუ ვისმე ათქმევინებს, ამაზედ ლაპარაკის ნებასაც არავის მისცემსო"[24].

ილია ჭავჭავაძე კარგად იცნობდა არა მარტო რისორჯიმენტოს ეპოქის იტალიის პოლიტიკურ და სამხედრო ვითარებას, არამედ კულტურულ ცხოვრებასაც, კერძოდ, რისორჯიმენტოს ლიტერატურას, მხედველობაში გვაქვს მისი სულიერი და იდეურ-მსოფლმხედველობითი მიმართება რისორჯიმენტოს კულტურული ნაკადის თვალსაჩინო წარმომადგენელთან, ცნობილ სატირიკოს პოეტთან ჯუზეპე ჯუსტისთან (1809–1850). ცნობილია, რომ იტალიელი ხალხის ისტორიული მისწრაფებანი გაერთიანებისა და თავისუფლებისაკენ ყველაზე სრულყოფილად აისახა ორი შემოქმედის – ჯაკომო ლეოპარდისა და ჯუზეპე ჯუსტის მოღვაწეობაში. სწორედ ამ უკანასკნელის სახელი აკავშირებს სათაურის ქვეშ – „იტალიანელი პოეტის ჯუსტის მიბაძვა" – ილიას თავის ლექსში „ბედნიერი ხალხი", რომელიც პირველად 1871 წელს დაიბეჭდა „კრებულში". სალიტერატურო კრიტიკაში მიჩნეულია, რომ ეს ლექსი „ტიპოლოგიურად ეხმაურება ჯუსტის საუკეთესო სატირულ ლექსს „ლოკოკინა", რომელიც იტალიელი ხალხის ალეგორიულ სახეს წარმოადგენს. ორივე ლექსი იდეურადაც და თემატურადაც ერთნაირ პრობლემას ეხება... ამ ორი შემოქმედის მსოფლმხედველობრივი ნათესაობა თავს იჩენს წერის მანერაშიც"...[25].

ილიას აღნიშნული მინაწერი მეტყველებს, რომ ის დიდი სიმპათიებით იყო განწყობილი იტალიურ ლიტერატურისადმი, რომელიც იტალიელი ერის იმ პროგრესული მიზანსწრაფვის ამსახველი იყო, რაც ასე გასაგებს და ახლობელს წარმოადგენდა

---

[24] გაზ. „ივერია", 1882 წ. № 2.

[25] ზ. სტურუა, ილია ჭავჭავაძის ერთი ლექსის ისტორიისათვის, „ლიტერატურული საქართველო", 1987 წ. 24 ივლისი, № 30, გვ. 13.

რუსეთის იმპერიის უღელქვეშ მგმინავი საქართველოსათვის, მისი პროგრესული მოღვაწეებისათვის.

თავის დამოკიდებულებას იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი და გამაერთიანებელი ბრძოლისადმი, ამ ბრძოლის წინამძღოლ გარიბალდისადმი გადმოგვცემს ქართული განმანათლებლობის მეორე ცნობილი წარმომადგენელი გიორგი წერეთელი პუბლიცისტურ მოთხრობაში „მგზავრის წერილები". საგულისხმოა, რომ იგი რისორჯიმენტოს მეტ-ნაკლებად მწყობრ, ჩამოყალიბებულ კონცეფციას გვთავაზობს. უპირველეს ყოვლისა, იტალიის ისტორიის ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას გ. წერეთელი მთელი ევროპის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფონზე განიხილავს და საერთო ევროპული პროცესის ორგანულ შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს: „გარიბალდის ვარსკვლავი ასეთი ძლიერებით აღმობრწყინდა დასავლეთის ცის კამარაზე... მე იმედი მაქვს ამ ვარსკვლავის... იმისი დანიშნულება დიდია... ვსასოებ, რომ ეს ვარსკვლავი მზედ გადაიქცევა და დასავლეთიდან მთელი აღმოსავლეთისაკენ მოჰფენს თავისუფლების სინათლეს"[26]. რისორჯიმენტოს გ. წერეთლისეული კონცეფციის ცენტრში გარიბალდი დგას, მოცემულია მისი სოციალ-პოლიტიკური და ფსიქოლოგიური დახასიათება, იმდროინდელი მოვლენების შუქზე ნაჩვენებია გარიბალდის, როგორც სახალხო ბელადისა და პოლიტიკოსის ნამდვილი სახე: „გარიბალდი ნეაპოლში შევიდა! ... დიდება ხალხის გონიერებას ... ხალხი შეჰხარის თავის განმათავისუფლებელს, თავის მხსნელს, თავის მაცხოვარს გარიბალდს... მართალი სული იტალიის ხალხისა გამოვიდა წვალებიდან. ხალხი პირუკუვარს იწერს თავის მხსნელ გარიბალდზე"[27].

გ. წერეთელი ამტკიცებს, რომ იტალიელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი ერთობის აღდგენისათვის ისტორიული აუცილებლობის გამოხატულებას

---

[26] გ. წერეთელი. მგზავრის წერილები, რჩეული ნაწერები, I, თბ., 1966. გვ. 114-115.

[27] იქვე

წარმოადგენს, რომ რისორჯიმენტოს წინამძღვრები იტალიის ისტორიული განვითარების პროცესში უნდა ვეძიოთ. ამ მტკიცების დასაბუთებისათვის მას მოჰყავს მაგალითები XIX საუკუნის დასაწყისის იტალიის ისტორიიდან, ასევე ახასიათებს იტალიელი ხალხის უძიმეს მდგომარეობას ავსტრიული ოკუპაციის პერიოდში. XVIII–XIX საუკუნეების მიჯნაზე ნაპოლეონის ე.წ. „იტალიურ კამპანიას“ გ. წერეთელი საკმაოდ სამართლიანად მიიჩნევს პროგრესულ აქციად, რომელმაც ჩრდილოეთ იტალიაში დაამხო აბსოლუტისტური რეჟიმები და რესპუბლიკური სისტემა დააყარა: „ნუ დაივიწყებთ, რომ ნაპოლეონ I–ლი საფრანგეთის რესპუბლიკის სახელით შეესია ევროპას. იმის დროშაზე იყო დაწერილი მტარვალობისგან განთავისუფლება. ის თავდაპირველად ხალხებს ათავისუფლებდა მთავრობის შეკვრებისაგან... იტალიის ხალხები ხელს უწყობდნენ საფრანგეთის ჯარს, თავგანს სცემდნენ თავისუფლებისათვის“[28].

გ. წერეთელი დიდ ადგილს უთმობს რისორჯიმენტოს სოციალურ ასპექტებსაც, ლაკონურად გადმოგვცემს იმ ძძიმე მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებოდნენ იტალიის საზოგადოების დაბალი ფენები. სწორედ სახალხო მასებში ხედავს იგი ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ბირთვს, უმთავრეს მაწარმოებელ ძალას. ამასთან, გ. წერეთელი კარგად აანალიზებს „ხალხის აქტიურობის“ სოციალურ მიზეზებსაც და რისორჯიმენტოს მოძრაობის სოციალურ მიზანსწრაფვასაც: „მოაწია დრომ, როცა ეშმაკების დასი მამათმთავრებად განიდევნებიან ამ ქვეყნითგან და ხალხი, შებორკილი იმათი გრძნეულებით, თავისუფლდება...“[29]. მაშასადამე, რისორჯიმენტოს გ. წერეთლისეული კონცეფცია რეკოლუციურ–დემოკრატიული ხასიათისაა; აქ იტალიის განთავისუფლებისა და გაერთიანების

---

[28] გ. წერეთელი, მგზავრის წერილები, რჩეული ნაწერები. I, თბ., 1966. გვ. 114–115.

[29] გ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

პროცესს სახალხო ხასიათი აქვს და თვით ამ მოძრაობის შედეგიც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება „წმინდა“ და ღირებული, თუ ჭეშმარიტი სახალხო თავისუფლება და ბედნიერება დამკვიდრდება. მისი აზრით, ეროვნული იდეა და სახალხო იდეა ავსებენ ერთმანეთს და იტალიის ერთიანი სახელმწიფოს აღდგენის პროცესიც, ძირითადში, „ქვემოდან“ მომდინარეობს.

იტალიის დაქუცმაცებული პოლიტიკური ერთეულების ერთ მთლიანობად შეერთებაში ხედავს გ. წერეთელი იტალიელი ერისა და სახელმწიფოს აღორძინების ქმედით საშუალებას. ამ თვალსაზრისით მას მოჰყავს პარალელი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიიდან: „იტალიელები ახლა ისე იბრძვიან, იმათ წინ უძღვის ისეთი ღენერალი, რომელიც ვაშინგტონს არ ჩამოუვარდება და, აი, რის გამო ვამტკიცებ, რომ იტალიელები ... სხვა მეფეებისაგან იხსნიან თავს და ამ ბრძოლაში გარიბალდი იქნება იმათი განმათავისუფლებელი, როგორც ვაშინგტონი შეიქმნა ამერიკის განმათავისუფლებელი“[30].

რისორჯიმენტოს რევოლუციურ-დემოკრატიული კონცეფციის მხარდამჭერად გვევლინება ნიკო ნიკოლაძეც. იგი სწორედ რომ გარიბალდში ხედავს რისორჯიმენტოს სამხედრო მოძრაობის მეთაურს, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა იტალიის პოლიტიკური გაერთიანების პროცესში: „გარიბალდი არის დიდი სტრატეგი, რომელმაც... დაოხრებული და დაცალკევებული ქვეყანა შეაერთა ერთ დიდ ხალხათ, მოუპოვა მას ევროპაში პატივი და ძალა“[31]. ამასთან, ნ. ნიკოლაძე არ ივიწყებს მაძინის პოლიტიკურ სიბრძნეს და მის როლს გამაერთიანებელ მოძრაობაში: „... გასახსენებელია ორი კაცი (ჯ. გარიბალდი და ჯ. მაძინი – დ. ჯ.), რომელთა სახელი, მაღალი მხნეობა და მოქალაქეობა საუკუნეებში გადავა... უამათოდ

---

[30] გ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 128.

[31] ვ. დონაძე, ნიკო ნიკოლაძის ისტორიული შეხედულებანი, თბ., 1962, გვ. 166.

ქვეყანა მართლა საზარელი ბული იქნებოდა"[32].

იტალიური რისორჯიმენტოსადმი თავისი მიმართება ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ სერგი მესხმაც გამოხატა. 70-იანი წლების დასაწყისში ს. მესხი პარიზში იმყოფებოდა, რაც ერთგვარად ხელს უწყობდა მას უშუალოდ ევროპის ცენტრიდან დაენახა და აღექვა იტალიაში მიმდინარე მოვლენები. „დროების" პროგრამის შედგენისას მას განზრახული ჰქონდა, შესანიშნავ ადამიანთა ცხოვრების აღწერებში ვოლტერის, ჰიუგოს, რუსოს გვერდით გარიბალდისა და მაძინის ცხოვრების აღწერაც მოეთავსებინა[33]. „დროების" 1875 წლის 19-21 ნომრებში დაიბეჭდა ს. მესხის ვრცელი წერილი „იოსებ გარიბალდი" – იტალიის მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, გარიბალდის ბიოგრაფიითა და პოლიტიკური მოღვაწეობის აღწერით. ქართველი პუბლიცისტი მაღალ შეფასებას აძლევს იტალიელი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და ერთიანობისათვის, – „ყველას გულში უღვივის განთავისუფლებისა და საერთო მამულის, საერთო იტალიის დაფუძნების სურვილი"[34]. ახასიათებს რისორჯიმენტოს მოძრაობის ხანგრძლივ პერიოდს კარბონარებითა და „ახალგაზრდა იტალიის" დაარსებით დაწყებული და იტალიის საბოლოო გაერთიანებით დამთავრებული. ს. მესხის აზრით, იტალიურ რისორჯიმენტოში ორი აშკარად გამოხატული მოძრაობა შეიმჩნევა, რომლებიც თვისობრივად ავსებენ ერთმანეთს: მაძინისტური, რომელიც ძირითადად სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, და პიემონტისტური, რომელსაც დიდი როლი შეუსრულებია იტალიის პოლიტიკურ გაერთიანებაში. ორივე ეს მოძრაობა (მაძინისტური „ინდეპენდიზმი" და სავოიური „ჰეგემონიზმი") ერთ ნაკადად შეერთდა და სწორედ ამით იყო გამოწვეული ის, რომ გარიბალდი იბრძოდა

---

[32] იქვე.

[33] ს. ხუციშვილი, ქართული გარიბალდიანა, „ლიტერატურული საქართველო", 1982, № 29, გვ. 16.

[34] „დროება" – 1875 წ. 12 თებერვალი, № 19.

როგორც მაძინის დროშის ქვეშ, ისევე მხარს უჭერდა მეფე ვიქტორ-ემანუელსაც. ს. მესხი წერს: „... გარიბალდს არასოდეს, არც ერთ შემთხვევაში თავისი ცხოვრების იდეალისათვის არ უღალატნია. მაძინის დროშის ქვეშ ის სამშობლოს თავისუფლების მოსაპოვებლად იბრძოდა — „გარიბალდი ხრმალით და მაძინი კალმით". ვიქტორ ემმანუელს კი მხარს აძლევდა მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი სამშობლოს პატარა და განცალკევებული სახელმწიფოები ერთს მთელ იტალიად შეექმნა..."[35]

ქართულმა პუბლიცისტიკამ თავისებურად გაიაზრა რისორჯიმენტოს მოძრაობასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც ამ პროცესის შინაარსსა და ხასიათს განსაზღვრავენ. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია რისორჯიმენტოში რესპუბლიკური და მონარქისტული ტენდენციების ურთიერთმიმართების, მაძინისტური მოძრაობის პოლიტიკური კრედოს პრობლემატიკა. ქართველმა მოღვაწეებმა იმთავითვე განჭვრიტეს ერთიანი იტალიური სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების განსაზღვრაში მაძინისა და გარიბალდის განსხვავებული მიდგომა, თუნდაც ტაქტიკურ სფეროში: „თავიდანვე მაძძინის სურვილი ის იყო, რომ ... წვრილ-წვრილი იტალიის ხელმწიფეები გადაეყენებია ტახტიდამ და ამნაირათ იტალიაში პირდაპირ რესპუბლიკა დაეწესებინა. გარიბალდი სულ სხვანაირად ფიქრობდა. იმას უნდოდა ან ხალხისა ან თვითონ სარდინიის კოროლის შემწეობით ჯერ შეეერთებინა ძველა იტალიის პატარა სამეფოები, დაეწესებინა იტალიაში ერთი სამეფო, და მერე, იმის აზრით, რესპუბლიკის დაარსებაც უფრო გაადვილებული იქნებოდა..."[36]. ამასთან, ქართული საზოგადოებრივი აზრი კარგად ხედავდა გარიბალდის ერთგვარ ნეგატიურ დამოკიდებულებას გაერთიანებული იტალიის პოლიტიკური სისტემისადმი, მონარქიის შეუთავსებლობას გარიბალდის რესპუბლიკურ იდეალებთან, რომ

[35] „დროება", 1875 წ. № 21.
[36] „დროება", 1872, № 2.

ის პიემონტის მონარქიას მიიჩნევდა გარკვეულ შუალედურ მომენტად გამაერთიანებელ მოძრაობაში, პოლიტიკურ და სამხედრო ძალთა კონსოლიდაციის თვალსაზრისით, და არა გაერთიანებული იტალიის პოლიტიკური წეს-წყობილების საფუძვლად: „... პირველი ნაწილი თავის სურვილისა გარიბალდიმ უკვე შეასრულა – მთელი იტალია ახლა შეერთებულია ... და იტალიაში მფლობელობს ერთი მეფე-კოროლი ვიქტორ ემანუელი. დარჩა აუსრულებლად მეორე ნაწილი გარიბალდის სურვილისა და თავიდათავი ნატერა მაძძინისა: .იტალიაში რესპუბლიკის დაარსება"[37].

ქართველ ხალხში იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოპულარიზაციაში დიდი როლი შეასრულა ამ მოძრაობის ბელადების – გარიბალდისა და მაძინის ბიოგრაფიის აღწერამ. ამ საქმეს ქართული პრესა და საზოგადოებრივი აზრი, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ. „რისორჯიმენტოს ტიტანების" ცხოვრებისა და ბრძოლის ასახვით ქართველი პუბლიცისტები გამოხატავდნენ არა მხოლოდ თავიანთ სიყვარულსა და სიმპათიებს იტალიის ეროვნული გმირებისადმი, არამედ საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებსაც აფიქსირებდნენ.

1862 წლის მეათე ნომერში ჟურნალ „ცისკარში" დაიბეჭდა რედაქციის განზრახვა – გამოექვეყნებინა ჯუზეპე გარიბალდის ვრცელი ბიოგრაფია. იმავე წლის დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა ანტონ ფურცელაძის სტატია „რამდენიმე ცნობა გარიბალდზე", რომელშიც ლაპარაკია ასპრომონტესთან ბრძოლაში[38] დაჭრილი გარიბალდის განკურნების შესახებ. 1863 წლის პირველ ოთხ ნომერში „ცისკარმა", დაპირებისამებრ, დაბეჭდა ანტონ ფურცელაძის

---

[37] „დროება", 1872, № 2.

[38] ასპრომონტეს ბრძოლა გაიმართა 1862 წ. 29 აგვისტოს გარიბალდის ვოლონტიორულ ლაშქარსა და სარდინიის სამეფოს რეგულარულ ჯარებს შორის, ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა და ვიქტორ -ემანუელს ტყვედ ჩაუვარდა გარიბალდი.

სტატიები გარიბალდზე საერთო სათაურით „გარიბალდის ცხოვრება“. საგულისხმოა, რომ ავტორმა გარიბალდის ლექსიც უძღვნა, რომელიც დაბეჭდილია 1863 წლის ჟურნალ „ცისკრის“ პირველ ნომერში.

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში გარიბალდს საკმაოდ დიდ ადგილს უთმობენ „დროება“ და „ივერია“, ეს ორგანოები ყურადღებას ამახვილებენ ამ გმირის „ცხოვრებისა და მოღვაწეობის“ მნიშვნელოვან მომენტებზე – პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებანი, მიმართვები ახალგაზრდობისადმი, „გარიბალდი და რომის საკითხი“, მისი წარდგენა პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად და უარი, გარიბალდის შეხედულებანი ერთიანი იტალიური სამეფოს პოლიტიკურ სისტემაზე და ა.შ.“[39] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარიბალდის ბიოგრაფია და პოლიტიკური მოღვაწეობის ძირითადი მომენტები ლაკონურად გადმოსცა სერგი მესხმაც „დროების“ 1875 წლის 19-21 ნომრებში. გარიბალდის შესახებ ბიოგრაფიული ხასიათის სტატიები დაიბეჭდა სხვა ქართულ პერიოდულ გამოცემებშიც – „კვალში“[40], „ნაკადულში“[41], „ჯეჯილში“[42]. საგულისხმოა, რომ ცოტა მოგვიანებით თედო სახოკიამ ქართულად თარგმნა და ამით ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახადა ჯ. გარიბალდის ბრწყინვალე რომანი „კლელია“.

პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში ჯუზეპე მაძინის სახელიც. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის წარმოჩენის საქმეში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ „დროება“ და ჟურნალი „კრებული“. აღსანიშნავია, რომ მაძინის შესახებ ინფორმაციებს სისტემატურად აქვეყნებდა „დროება“ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში. განსა-

---

[39] Н. Орловская, Эхо Италии в грузии, "Лит. Грузия" 1993, №№ 2-3, 218.

[40] „კვალი“, 1901 წ. № 12.

[41] „ნაკადული“, 1905 წ. № 11.

[42] „ჯეჯილი“, 1897, № 10.

კუთრებული გამოყოფის ღირსია ს. მესხის სტატია „მაძინი (ბიოგრაფია შემოკლებით)“, რომელიც გამოქვეყნდა „დროების“ 1872 წლის მე-12 ნომერში. სტატიაში მოცემულია ჯუზეპე მაძინის დახასიათება, როგორც მტკიცე ნებისყოფის მქონე უდრეკი რესპუბლიკელისა და დემოკრატისა, იტალიის ეროვნული ინტერესებისათვის თავდადებული მამულიშვილისა, გაანალიზებულია მაძინის როლი და ადგილი XIX საუკუნის იტალიის ისტორიაში[43]. მაძინზე მეტად საინტერესო სტატია გამოაქვეყნა ცნობილმა ქართველმა პედაგოგმა პეტრე უმიკაშვილმაც ჟურნალ „კრებულში“[44].

როგორც ვნახეთ, ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის თვალსაჩინო წარმომადგენლები ინტენსიურად ადევნებდნენ თვალს იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ და გამაერთიანებელ მოძრაობას, აანალიზებდნენ მის ძირითად მოვლენებს, მიესალმებოდნენ იტალიიდან უცხოელი ინტერვენტების განდევნას და იტალიის ერთიანი სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ამ უდიდესი მნიშვნელობის მქონე აქტს ქართული განმანათლებლობა მსოფლიო ისტორიული პროცესის შუქზე განიხილავდა და ისტორიული პროგრესის გამოვლინებად მიიჩნევდა. ამასთან, ქართველი მოღვაწეები გარკვეულწილად იყენებდნენ კიდეც რისორჯიმენტოს გამოცდილებას საკუთარი ეროვნული თეორიის და პროგრამის ფორმირებაში. ყოველივე ეს ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ რაოდენ მაღალ, ევროპული სააზროვნო სტანდარტების დონეზე იდგა მაშინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრი.

ქართულ-იტალიური ლიტერატურული ურთიერთობების სფეროში თვალსაჩინო ადგილი უკავია იტალიური მწერლობის კლასიკური ნიმუშების თარგმნას ქართულ ენაზე, რამაც ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახადა მშობლიურ ენაზე

---

[43] იხ. გაზ. „დროება“, 1872, № 12.

[44] იხ. ჟურნალი „კრებული“, 1872, №№ 8-9.

იტალიური მხატვრული სიტყვის არაერთი შედევრი. ამ თარგმანებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ საზოგადოებაში იტალიური კულტურის პოპულარიზაციის თვალსაზრისით. მათ ქართველი მკითხველი შეჰყავდათ იტალიელი ხალხის სულიერ სამყაროში, აცნობდნენ ამ ერის ყოფა-ცხოვრებას, მხატვრულ კულტურას. ამასთან, ეს თარგმანები ახალი სახეებით ამდიდრებდნენ ჩვენს ეროვნულ ლიტერატურას, ხელს უწყობდნენ მის წინსვლას.

XIX საუკუნიდან იღებს სათავეს (ყოველ შემთხვევაში, დღემდე არსებული მონაცემების გათვალისწინებით) ქართული კულტურული აზრის მიმართება უდიდეს იტალიელ პოეტთან, „გენიალურ ფლორენციელთან" დანტე ალიგიერთან (1265–1321). უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში „ღვთაებრივი კომედიის" სრული თარგმნა არ განხორციელებულა, არამედ ქართულ ლიტერატურასა და კრიტიკაში „ზოგადად იმოწმებდნენ დანტეს პოემის ცალკეულ ადგილებს, ზუსტი ციტატისა და უშუალო თარგმანების გარეშე"[45]. ერთ-ერთი პირველი ქართველი მოღვაწე, რომელიც დანტეს შეეხო, იყო პლატონ იოსელიანი, რომელმაც 1871 წელს დაწერილ რეცენზიაში გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს" შესახებ, მოიყვანა დანტეს ცნობილი ფრაზა – „Il palrar che nell'anima si sente" („ენითა მით, რომლითაც სული საუბრობს")[46]. იგივე სტრიქონი „ღვთაებრივი კომედიიდან" მოაქვს პლ. იოსელიანს თავის წიგნში „Путевые заметки от Тифлиса до Мцхета" (გამოიცა 1871 წელს). ამავე ნაშრომში ავტორს, ახასიათებს რა დანგრეული ქართული ქალაქის – ნაქულბაქევის გაპარტახებულ ეკლესიებსა და გამოქვაბულებს, პარალელები მოჰყავს „ღვთაებრივი კომედიიდან", კერძოდ „ჯოჯოხეთის" დანტესეული აღწერილობიდან.

XIX საუკუნეში ფართოდ ვრცელდება რუსთაველისა და დანტეს ეთიკურ-ესთეტიკური კონცეფციებისა და კოსმოგონიური სისტე-

---

[45] დ. ინწკირველი, დანტე ქართულ ლიტერატურაში. თბ., 1983, გვ. 6.

[46] იქვე, გვ. 4.

მების შედარების მეთოდი. „ამ პერიოდში თითქმის ტრაფარეტად იქცა შოთა რუსთაველისა და დანტე ალიგიერის ერთმანეთთან შედარება“[47]. ამ მხრივ აღსანიშნავია იმავე პლ. იოსელიანის, ნ. გულაკის, თ. სახოკიასა და სხვების ნაფიქრ-ნააზრევი. საგულისხმოა, რომ მ. ჯანაშვილი 1895 წელს გამოცემულ წიგნში „მოსე ხონელი და მისი „ამირანდარეჯანიანი“ რუსთაველს „ქართველების დანტეს“ უწოდებს. რუსთაველ-დანტეს შედარების მეთოდი ცხადად გვიჩვენებს ქართველ ინტელექტუალთა მიზანსწრაფვას – ქართული ლიტერატურა განიხილონ მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებთან მიმართებაში.

XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში თავისი ადგილი დაიმკვიდრა იტალიური ადრეული აღორძინების უდიდესმა პოეტმა ფრანჩესკო პეტრარკამ (1304-1374). 30-იან წლებში გიორგი ერისთავმა თარგმნა პეტრარკას ცნობილი ლექსი „კურთხევა“, რომელიც მოგვიანებით გამოქვეყნდა „ცისკარში“[48]. პეტრარკას გაელენა იგრძნობა ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში, კერძოდ, მის სატრფიალო-სამიჯნურო ლირიკაში: „ალექსანდრე ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკას პეტრარკას პოეზიიდან მომდინარე ეთიკურ-ესთეტიკური კონცეფცია აცისკროვნებს... სიყვარულის ასეთი (პეტრარკასეული – დ. ჯ.) გაგება, ქალის გარეგნული და სულიერი სილამაზის ერთმანეთისაგან დაუცილებლობა“[49].

აღნიშნულ პერიოდში ქართველი მკითხველი გაეცნო ადრეული აღორძინების მეორე დიდი წარმომადგენლის ჯოვანი ბოკაჩოს (1313-1375) „დეკამერონსაც“, რომელშიც, როგორც ცნობილია, აკტორმა ჰუმანიზმის პოზიციებიდან მაღალმხატვრულად განასახიერა თანადროული ეპოქის მისწრაფებანი და იდეალები. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ „დეკამერონის“ სრული ქართული თარგმანი განახორციელა თედო სახოკიამ 1934-1936 წლებში, ხოლო XIX

[47] დ. ინწკირველი, დასახ. ნაშრ. გვ. 39-40

[48] „ცისკარი“, 1852 წ., № 1.

[49] ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. III, თბ., 1969, გვ. 67.

საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ქართველი მკითხველი ეცნობოდა ამ ეპოქალური ძეგლის ფრაგმენტულ თარგმანებს. ასეთი ფრაგმენტული თარგმანები პირველად „დროებისა“ და „ივერიის“ ფურცლებზე 1881–1890 წწ. დაიბეჭდა. 1881 წ. ჟურნალ „დროებაში“ გამოქვეყნდა „დეკამერონის“ ნოველა „გრიზელდა“[50]. „ეს თარგმნი ეკუთვნოდა ნ. დეედარიანს. იგი შესრულებული იყო რუსულიდან, პოეტ კ. ბატიუშკოვის თარგმანის მიხედვით“[51]. 1887 წელს „ივერიაში“ დაიბეჭდა „დეკამერონის“ არტემ ახნაზაროვის მიერ თარგმნილი ნოველები – „ცალფეხა წერო“[52] და „მოჩვენება“[53]. ამის შემდეგ, 1920 წელს მ. გაჩეჩილაძის სტამბა „სორაპანში“ ორი პატარა წიგნაკის სახით დაიბეჭდა ნოველები „დეკამერონიდან“.

საქართველოში იტალიური ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში თვალსაჩინო როლი შეასრულა ქართული რომანტიკული პროზის კოლორიტულმა ფიგურამ გრიგოლ რჩეულიშვილმა (1820–1877), მან ლიბრეტოდან თარგმნა ცნობილი იტალიელი კომპოზიტორის ვინჩენცო ბელინის ოპერა „ნორმა“, გარდა ამისა, იტალიური პროზის ერთ–ერთი დიდოსტატის ი. ფიორენტინოს რომანი „იზაბელა ორსინი“, გრ. რჩეულიშვილმა თავისებურ ლიტერატურულ წყაროდ გამოიყენა საკუთარი რომანის „ანუკა ბატონიშვილის“ (მასში ასახულია კახეთის მეფის, ალექსანდრე ლევანის ძის (1574–1605) დის, ოთარ ჩოლოყაშვილის მეუღლის ანუკა ბატონიშვილის ცხოვრება, მისი ინტიმური კავშირები მოურავ მეუდაბნოესთან) დაწერისას. აღსანიშნავია, რომ რჩეულიშვილს არ ახასიათებს ფიორენტინოსადმი „შიშველი მიმბაძველობა“. „ჩვენს მწერალს ფიორენტინოს რომანიდან მხოლოდ გარეგნული შტრიხები გადმოაქვს და ხორცს

---

[50] „დროება“, 1881, № 157.

[51] ზ. სტურუა, ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონი“ და ქართველი მკითხველი, მნათობი, 1976, № 1, გვ. 160.

[52] „ივერია“, 1887, № 129.

[53] „ივერია“, 1887, № 178.

მას თვითონ ასხამს"[54].

1868 წელს გიორგი წერეთელმა თარგმნა ცნობილი იტალიელი გარიბალდელი პოეტის ლუიჯი მერკანტინის ლექსი „სპარსელი მამკალი ქალი"[55], რომელშიც იტალიელი გლეხის ქალი პყვება 1857 წელს ნეაპოლში აჯანყების მცდელობის შესახებ. თავისთავად, ქართველი საზოგადო მოღვაწის ესოდენი დაინტერესება გარიბალდელი პოეტის შემოქმედებით ნიშანდობლივი ფაქტია; ცნობილია, რომ ლუიჯი მერკანტინი (1821–1872) იყო ჯუზეპე გარიბალდის აქტიური თანამებრძოლი. სწორედ მან დაწერა 1860 წელს იტალიელი ხალხის ეროვნულ სიმღერად ქცეული ლექსი „გარიბალდის ჰიმნი". ნ. ორლოვსკაია აღნიშნავს, რომ გ. წერეთელს მერკანტინის „სპარსელი მამკალი ქალი" უთარგმნია არა ორიგინალიდან, არამედ მისი ნ. კუროჩკინისეული რუსული თარგმანიდან, რომელიც პირველად 1867 წელს დაიბეჭდა[56].

აღნიშნულ პერიოდში იზრდება ინტერესი იტალიური დრამატურგიისადმი – იწყება იტალიური დრამატურგიის პოპულარიზაცია მისი თარგმნისა და ქართული თეატრის რეპერტუარში შეტანის საშუალებით. 70-იანი წლების დასაწყისში ი. ბაქრაძემ თარგმნა (რუსულიდან, ა. პლეშჩეევიდან) XVIII ს. გამოჩენილი იტალიელი დრამატურგის ვიტორიო ალფიერის პიესის „ჰაცცის შეთქმულება" ფრაგმენტი, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობის" 1872 წლის პირველ ნომერში სათაურით „მამა და შვილი". ი. ბაქრაძე თავისი იდეური მისწრაფებებით ახლოს იდგა ხალხოსნებთან და სწორედ ამიტომ იზიდავდა მას ალფიერის პიესის თავისუფლებისმოყვარე პათოსი, ტირანიისადმი სიძულვილი. იმავე

---

[54] ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. III, თბ., 1969, გვ. 259.

[55] გაზ. „დროება", 1868 წ. № 46.

[56] ნ. ორლოვსკაია, გიორგი წერეთლისეული თარგმანი, „ლიტერატურული საქართველო", 1981 წ. 4 დეკემბერი, გვ. 7.

1872 წელს ი. ბაქრაძემ გააკეთა ალფიერის მეორე პიესის „ვირგინიის“ სრული თარგმანი, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობის“ 1872 წლის ჩ-ჩშშ ნომრებში.

XIX საუკუნის ქართული კულტურის გამოჩენილმა მოღვაწემ, საქართველოში ახალი მთარგმნელობითი სკოლის საფუძველ-ჩამყრელმა ივანე მაჩაბელმა (1854-1898) 1879 წელს თარგმნა კარლო გოლდონის პიესა „როგორც პქუხს, ისე არ წვიმს“[57]. ეს კომედია არაერთხელ დაიდგა (1879, 1880, 1886) ქართული თეატრის სცენაზე შესანიშნავი ქართველი მსახიობების — ვასო აბაშიძის, კოტე მესხის, კოტე ყიფიანის, ბ. კორინთელის, ნ. გაბუნიასა და სხვათა მონა-წილეობით. 1879 წლის 14 ნოემბერს წარმოდგენილი პირველი სპექტაკლის შესახებ რეცენზიაში ს. მესხი წერდა: „გოლდონი ერთი ნიჭიერი და უხვი მწერალთაგანია იტალიის დრამატიულ ლიტე-რატურაში და უფ. მაჩაბელი მადლობის ღირსია, რომ ის გააცნო ჩვენს საზოგადოებას“[58].

1884 წელს ქართული თეატრის სცენაზე დაიდგა ლუიჯი კამოლეტის პიესა „ტერეზა, ანუ მონასტრის კედლებს მიღმა“, რომელიც თარგმნა ა. ცაგარელმა. აღნიშნულ დადგმას რეცენზიები მიეძღვნა იმდროინდელი პრესის ფურცლებზე[59].

ქართული თეატრის რეპერტუარში მტკიცედ დამკვიდრდა და თვით XX საუკუნის 20-იან წლებამდე იდგმებოდა ცნობილი იტა-ლიელი დრამატურგის პაოლო ჯაკომეტის პიესა „სამოქალაქო სიკვ-დილი“ (პირველად დაიდგა 1882 წელს). არსებობს მისი ერთბაშად ორი ქართული თარგმანი — ნ. მესხისა და ი.ჯაჯანაშვილისა. დადგმას საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევენ „თეატრის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული რეცენზიები, რომელთა შორის განსაკუთრებული

---

[57] ნ. ორლოვსკაია, ივანე მაჩაბლის თარგმანები 70-80 წწ. მიჯნაზე, წიგნში: „ევროპული ლიტერატურის ქაროული თარგმანები XIX საუკუნის II ნახევარში“, გვ. 49.

[58] „დროება“, 1879 წ. № 238, გვ. 43.

[59] იხ. „თეატრი“, 1886 წ. № 23; „ივერია“ — 1902 წ. № 265 და 1903 წ. № 251.

გამოყოფის ღირსია ცნობილი მსახიობისა და თეატრალური მოღვაწის ვ. გუნიას რეცენზია, დაბეჭდილი „თეატრის" 1886 წლის 39-ე ნომერში. აღნიშნული პიესა იდგმებოდა აგრეთვე ქუთაისში, თელავში, გორსა და სხვა ქალაქებში"[60].

XX საუკუნის დამდეგს იტალიური დრამატურგიის ცალკეული ნიმუშების თარგმნაში გარკვეული როლი შეასრულა ი. მაჭავარიანმა. მან თარგმნა პ. ჯაკომეტის მეორე პიესა „იუდიფი", რომელიც თბილისის თეატრში პირველად დაიდგა 1904 წელს, ხოლო 1911-1915 წლებში ქუთაისის თეატრში იდგმებოდა. ი. მაჭავარიანს ეკუთვნის ვინჩენცო მონტის პიესის „გაიუს გრაკხუსი" თარგმანი, რომელიც 1904 წელს დაიდგა ქუთაისის თეატრის სცენაზე. ერთ-ერთ რეცენზიაში გაზ. „ივერია" მას მაღალ შეფასებას აძლევდა, მიიჩნევდა რა „საინტერესოდ" და „დროის შესაბამისად". „ივერიის" რეცენზენტს „განსაკუთრებით იზიდავდა პატრიციების ძალმომრეობის წინააღმდეგ გაიუს გრაკხუსის კეთილშობილი ბრძოლა ხალხის უფლებებისათვის"[61].

ჩვენ გვაქვს ფაქტები იმისა, რომ საქართველოში ჩამოდიოდნენ და აქ ეწეოდნენ მოღვაწეობას იტალიური კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები. XIX საუკუნის 40-იან წლებში თბილისში ჩამოვიდა და აქაურ გიმნაზიაში ხატვის მასწავლებლად მუშაობდა იტალიელი მხატვარი და მოქანდაკე ჟორჟ (გიორგი) კორადინი. სწორედ მას შეუქმნია გ. ერისთავის „გაყრის" ხელნაწერის ფერადი ილუსტრაციები, ამ პიესის პირველი წარმოდგენის მონაწილეთა სურათებით. ხელნაწერის გარეკანზე არის ჟ. კორადინის წარწერა: „გაყრა". ქართული ლიტერატურის პირველი დრამატული ნაწარმოები, წარმოდგენილი ქ. ტფილისში 1850 წელს. კოსტუმები და პორტრეტები პერსონაჟებისა და პიესის ტექსტის მიხედვით"[62].

---

[60] М. Орловская, Эхо италии в Грузии, "Литературная Грузия", 1993, №№ 2-3, стр. 213.

[61] Там же.

[62] ლ. ღონღაძე, სურათებში გაცოცხლებული, გაზ. „თბილისი", 1973 წ. 13 იანვარი, № 11, გვ. 3.

აღსანიშნავია, რომ კორადინის მიერ შესრულებული ნახატები იმდენად სახიერი და ნატიფია, რომ ეს „ქმნილებანი საშუალებას გვაძლევენ აღვადგინოთ პირველი ქართული წარმოდგენის ფრიად საგულისხმო სურათი“[63]. აღსანიშნავია ისიც, რომ იტალიელ მხატვარს აღნიშნული სურათები შეუქმნია უშუალოდ „გაყრის“ მიმდინარეობის პროცესში.

ქართულ კულტურას უდავოდ ბევრი ამაგი დასდო ცნობილმა იტალიელმა მხატვარმა ლუიჯი პრემაციმ, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა 1874–1876 წლებში. პრემაციმ, რომელიც უმთავრესად აკვარელით მუშაობდა, დახატა უამრავი ქართული კულტურის ძეგლი და ხედები, მათ შორის — გელათის მონასტერი, ვარძიის ძველი მონასტერი და სამრეკლო, ზარზმა, თბილისის ქუჩები და უბნები და სხვ. იტალიელი ხელოვანის საქართველოში მოღვაწეობას არაერთხელ გამოეხმაურა ქართული პრესა, განსაკუთრებით „დროება“. მის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა სტატია, რომელიც ჩვითხველს აუწყებდა ლ. პრემაცის მიერ ვარძიისა და საფარის ეკლესიების დახატვას და მიუთითებდა ამ იტალიელი მხატვრის მისწრაფებაზე — ევროპისათვის გაეცნო ქართველი ერის წარსული ისტორიული სიძლიერის მაუწყებელი ნაშთები, საქართველოს წარმტაცი ბუნება: იტალიელი მხატვარი აცნობს ევროპას ჩვენი ქვეყნის წარსულ საუკუნეების ხალხის სიძლიერესა და სიმრავლეს, ბუნების სიმდიდრესა და სიმშვენიერეს, — რას იტყვით ამაზედ?“[64]. პრემაცის შემოქმედებას იმავე „დროების“ ფურცლებზე მაღალი შეფასება მისცეს მოსე ჯანაშვილმა და ცნობილმა ქართველმა ფოლკლორისტმა პეტრე უმიკაშვილმა. ამჟამად, „საქართველოს ხელოვნების მუზე-

---

[63] იქვე.

[64] „დროება“, 1876 წ. № 82.

უმში დაცულია პრემაცის რამოდენიმე ნაწარმოები: „ყირიმის ხედი", „მაღალი ხეები", „ქოხი" და სხვ."[65].

1851 წელს თბილისში დაარსდა იტალიური ოპერა, რამაც გაზარდა ქართული საზოგადეობის ინტერესები იტალიური ხელოვნებისადმი. ამდენად, საქართველო, კერძოდ თბილისი იტალიური მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა. ცნობილია, რომ იტალიური ოპერის პირველი წარმოდგენა გაიმართა 1851 წლის 1 (13) ნოემბერს თამამშევის ახალ შენობაში – წარმოდგენილ იქნა გაეტანო დონიცეტის ოპერა „ლუჩია დილამემბური", რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მნახველებზე. იტალიურმა დასმა, „ისეთი წარმატებით დაასრულა 1851-52 წწ. სეზონი, რომ მ. ვორონცოვმა საკმაო თანხები გამოჰყო დამატებით, რათა იტალიიდან კიდევ ჩამოეყვანათ სოლისტები და შეეძინათ საჭირო კოსტუმები"[66]. აღსანიშნავია, რომ იტალიურ ოპერაში 1853 წელს დაიდგა ბალეტიც. ოპერაში შემდგომ იდგმებოდა ჯ. ვერდის, ჯ. როსსინის, ვ. ბელინისა და სხვათა ოპერები. საქართველოში საგასტროლოდ ჩამოდიოდნენ იტალიური ვოკალური ხელოვნების გამოჩენილი ოსტატები: რენა მაცეტი, ანჯელო მაზინი, ლუიზა ტიტრაცინი, რუბირატო, ჯუზეპე ფერარი და სხვები.

როგორც ცნობილია, 1896 წელს დასრულდა თბილისის ოპერის თეატრის აგება, რომელშიც 90-იან და 900-იან წლებში, სხვათაშორის, იტალიური ოპერებიც იდგმებოდა: ჯოაკინო როსსინის „სევილიელი დალაქი", და „ოტელო", ჯუზეპე ვერდის „ტრავიატა" და „აიდა" და სხვ. (აღსანიშნავია, რომ „სევილიელ დალაქში" პარტიებს ასრულებდა ქართველი მომღერალი მარიამ ძნელაძე).

საქართველოში მოღვაწეობდა ცნობილი იტალიელი ოპერის

---

[65] ე. ალექსანდრია, მომეტებული პატივი უნდა ვცეთ! .... გაზ. „სამშობლო", 1988 წ. აგვისტო, № 18, გვ. 6.

[66] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. III, გვ. 290.

მომღერალი (ბარიტონი) ეუჯენიო ჯირალდონი, რომელმაც ცოლად შეირთო ქართველი ქალიშვილი – თამარ ერისთავი. იგი ვანო სარაჯიშვილის ახლო მეგობარი იყო. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პერიოდის არაერთი გამოჩენილი ქართველი ვოკალისტი გამოდიოდა იტალიის საოპერო სცენაზე და ბევრმა მათგანმა სწორედ იტალიაში მიიღო ვოკალური განათლება. მაგალითად, ვანო სარაჯიშვილი, მღეროდა მილანში, ლა-სკალას ცნობილ თეატრში, პარმის საოპერო თეატრში, ტრიესტში, ნიცაში და სხვ. იტალიის საოპერო სცენებზე წარმატებით გამოდიოდნენ აგრეთვე ფილიმონ ქორიძე, ს. ევლახიშვილი, პ. კაკაბაძე, ე. თარხან-მოურავი, დავით აკოფაშვილი, მიშელ დარიალი (მიხეილ ნანობაშვილი). იტალიაში მოღვაწეობდა აკაკის ვაჟიშვილი, ალექსანდრე წერეთელი, რომლის ხელმძღვანელობითაც მუშაობდნენ ნაკარინი, ბატისტინი, ანსელმი, კავალიერი და სხვ.

საქართველოში ჩამოვიდა და 1890 წლის მაის-ივნისში გასტროლები გამართა გამოჩენილმა იტალიელმა მსახიობმა ერნესტო როსიმ. ამ გასტროლებს სისტემატურად აშუქებდა გაზეთი „ივერია“. წარმოდგენები იმართებოდა თბილისის სათავადაზნაურო ბანკის თეატრში. ქართული კულტურული საზოგადოებრიობა დიდ აღფრთოვანებას გამოხატავდა როსის საშემსრულებლო ხელოვნებისადმი: იტალიური დასის წარმოდგენებზე ყოველ საღამოს სრული ანშლაგი იყო. 1890 წლის 14 ივნისს ქართველებმა სტუმარს ბენეფისი გადაუხადეს, ხოლო 15 ივნისს თამამშევის ბაღში სადილი გაუმართეს. სადილზე ერნესტო როსიმ თქვა: „თქვენი ერი... მამაცი და განათლებული ერია – თქვენ ზეცასთან ახლოს იმყოფებით და უკეთესად გრძნობთ ძალას უმაღლესს, უდიდებულესს – მე ვსვამ, ბატონებო, თქვენს სადღეგრძელოს, სადღეგრძელოს თქვენი ძვირფასი სამშობლოსი, რომლის გულუხვი მასპინძლობა შორით-შორს არის განთქმული“[67].

[67] „ივერია“, 1890 წ. 1ს ივნისი.

საქართველოსადმი გამოჩენილი იტალიელი ტრაგიკოსის უსაზღვრო სიყვარულს გამოხატავს მის მიერ 17 ივნისს, „ჰამლეტის“ წარმოდგენის დასრულების შემდეგ პირდაპირ სცენიდან წარმოთქმული სიტყვები: „ჩემი ოცნება და ნატვრა იყო ის, რომ თქვენი ქვეყანა მენახა. დღეს შემისრულდა ეს ნატვრა... ამიერიდან, მართალია, შორს ვიქნები თქვენის ქვეყნიდან, რომელიც ასე საკვირველად ჰგავს ჩემს იტალიას, მაგრამ გულით და გონებით მაინც ახლოს ვიქნები თქვენთან“[68].

1890 წლის 18 ივნისს ქართულმა ინტელიგენციამ მტკვრის პირას გაშენებულ „გაზას“ ბაღში ერნესტო როსის გამოსათხოვარი ვახშამი გაუმართა.

ვახშამს ესწრებოდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი და სხვ. აკაკი წერეთელმა როსის სიტყვით მიმართა, რომელშიც პოეტმა სათითაოდ დაახასიათა და უაღრესად მაღალი შეფასება მისცა როსის მიერ შესრულებულ როლებს, ისაუბრა შექსპირის ადგილზე მსოფლიო ლიტერატურაში (ცნობილია, რომ ერნესტო როსიმ თავისი შემოქმედებითი კარიერის ძირითადი ნაწილი შექსპირის პიესებს მიუძღვნა. მის მიერ შესრულებული მეფე ლირის, ჰამლეტის, ოტელოს, მაკბეტის, რომეოს როლები მსოფლიოს თეატრალურმა სამყარომ შედევრებად აღიარა) და თავისი გამოსვლა როსისადმი მიძღვნილი ლექსი-ეპიგრამით დაასრულა:

„მაშინ ავიღე სასმო ქართულად
და უფროსის წინ წავდექ უმცროსი,
რომ ვადღეგრძელო მამაპაპურად
სახელგანთქმული ერნესტო როსი“[69].

---

[68] „ივერია“, 1890 წ. 19 ივნისი.
[69] „ივერია“, 1890 წ. 24 ივნისი.

იტალიაში გამგზავრების წინ ე. როსიმ ორი სპექტაკლი ბათუმ-შიც გამართა.

უნდა ითქვას, რომ ქართულმა კულტურულმა საზოგადოებამ კვლავ გამოთქვა როსის მოწვევის სურვილი, რაზეც მოლაპარაკებაც გაიმართა, მაგრამ ამას ხელი შეუშალა 1895 წლის გაზაფხულზე იტალიაში მომხდარმა მიწისძვრამ, რის გამოც მსახიობმა დროებით შეწყვიტა გასტროლები საზღვარგარეთ.

ქართულ-იტალიური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ერთი ნიშანდობლივი ფურცელია ილია ჭავჭავაძის მიმოწერა იტალიელ ინტელექტუალებთან. XX საუკუნის დამდეგს კავკასიაში იმოგზაურა ცნობილმა იტალიელმა მწერალმა გულიელმო პასილიმ. იგი საქართველოშიც ჩამოსულა და „პირადად გასცნობია ი. ჭავჭავაძეს, მასთან ოჯახში წვეულებაზეც ყოფილა“[70]. პასილიმ თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებანი ვრცელ ისტორიულ-ლიტერატურულ მიმოხილვაში აღწერა და გამოაქვეყნა ჟურნალ „ნუოვა ანტოლოჯიაში“, 1900 წლის აგვისტოს ნომერში. უნდა ითქვას,რომ ამ ნაშრომში მან, იტალიელ მოღვაწეთაგან პირველმა, მოიხსენია შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“. ნაშრომში იტალიელი მწერალი საგანგებოდ ეხება XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ფართოდ გაშლილ კულტურულ მოძრაობას, რომლის მედროშედ და წინამძღოლად ილიას წამროგვიდგენს: „... XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველთა შორის გარკვეული ინტელექტუალური მოძრაობა დაიწყო. ამ მოძრაობის სული და გულია ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, რომელთანაც მრავალჯერ და ვრცლად მისაუბრია... იგი არა მარტო პოეტი და რომანისტია, არამედ თავისი განათლებითა და ეკონომიური დისციპლინების ღრმა ცოდნით დიდ სამსახურს უწევს თანამედროვეებს...“[71]. ამ წერილში მოხსენებული იყო კარლო გოლდონი და მისი პიესა (თარგმნილი ივანე მაჩაბლის

---

[70]

[71] ზ. სტურუა, დასახ. წერილი.

მიერ), ამიტომ გოლდონის პიესის თარგმნითა და ქართული თეატრის სცენაზე დადგმით დაინტერესებულმა ცნობილმა იტალიელმა გოლდონისტმა ედვარდო მადალენამ წერილი მოსწერა ი. ჭავჭავაძეს. წერილში ე. მადალენა აღნიშნავს, რომ მისი ყურადღება მიუქცევია პასილის აღწერილობის იმ ნაწილს, რომელშიც ლაპარაკი იყო გოლდონის პიესის ქართულად თარგმნისა და ტფილისის თეატრში მისი დადგმის შესახებ. მადალენა სთხოვს ილიას, „აცნობოს რაიმე გოლდონის პიესების თარგმნისა და დადგმის შესახებ საქართველოში, სთხოვს აგრეთვე, თეატრალური აფიშა და პროგრამა გამომიგზავნეთო“[72]. ილიამ 1901 წლის 28 იანვრით დათარიღებულ წერილში (რომელიც გერმანულ ენაზეა დაწერილი) გასცა პასუხი იტალიელ გოლდონისტს – ამცნო მას, რომ საქართველოში თარგმნილია გოლდონის მხოლოდ ერთი პიესა და ამ ქართული თარგმანის სათაურია „ბუზღუნა კეთილისმყოფელი, ან როგორც ჰქუხს, ისე არ წვიმს“. ილია წერილს ამთავრებს სიტყვებით: „გულითადად მოგესალმებით ძველი კოლხეთიდან; პატივისცემით თქვენი ერთგული ილია ჭავჭავაძე“[73].

აღსანიშნავია, რომ, როგორც ქ-ნ ზაირა სტურუასა და „გოლდონის სახლის“ ბიბლიოთეკის დირექტორის პაოლა კიაპერინოს მიმოწერა ადასტურებს, „გოლდონის სახლის“ პირველ დირექტორს ჯუზეპე ორტოლანის შეუდგენია სპეციალური კატალოგი – „მადალენას მიმოწერა საქართველოსთან“, ამასთან, მადალენას მიმოწერის „ამ ფონდის მხოლოდ ნაწილის კატალოგიზება მოუსწრია“[74].

ასეთი იყო, მოკლედ, კულტურული კონტაქტები საქართველოსა და იტალიას შორის პირველ მსოფლიო ომამდე.

---

[72] იქვე
[73] იქვე
[74] იქვე

თავი II.

იტალიის მცდელობა მიეღო მანდატი საქართველოსა (1919 წ.) და მისი შედეგები.

იტალიის დიპლომატიის მცდელობა – მიეღო ერთა ლიგის მანდატი საქართველოსა და აზერბაიჯანზე, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა იტალიის პოლიტიკური და სამხედრო წრეების დიდი ინტერესი საქართველოს მიმართ, აქ სპეციალური სამხედრო და ეკონომიკური მისიების გამოგზავნა, საერთოდ იტალია–საქართველოს პოლიტიკური და ფინანსურ–ეკონომიკური ურთიერთობების აქტივიზაცია 1919 წელს, ორი ქვეყნის ურთიერთობათა ისტორიაში მეტად ნიშანდობლივი მომენტია.

იტალია, რისორჯიმენტოს პროცესის დასრულებისა და ერთიანი სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ (1870 წ.) მსოფლიოს ტერიტორიული გადანაწილების და სამხედრო–პოლიტიკური კოალიციების შექმნის გლობალურ პროცესებში ჩაერთო. 1882 წლის მაისში იგი შეუერთდა გერმანიასა და ავსტრია–უნგრეთს შორის 1879 წლის ოქტომბერში ხელმოწერილ სამხედრო–პოლიტიკურ კავშირს. ამ აქტით საბოლოოდ გაფორმდა ცნობილი „სამთა კავშირი“ გერმანიის მეთაურობით.

ამ სამხედრო–პოლიტიკური გაერთიანების საწინააღმდეგოდ (1891–1893 წ.წ., 1904 წ. და 1907 წ.) ჩამოყალიბდა „სამთა შეთანხმება“, ანუ ანტანტა – რუსეთის, საფრანგეთისა და ინგლისის მონაწილეობით. აღნიშნულ ორ სამხედრო–აგრესიულ ბლოკს შორის წინააღმდეგობებმა კულმინაციას მიაღწიეს 1914 წლის ზაფხულში და ევროპა მიიყვანეს პირველ მსოფლიო ომამდე, რომელიც 1914 წლის 1 აგვისტოს, რუსეთზე გერმანიის თავდასხმით გაჩაღდა.

2 აგვისტოს იტალიამ ოფიციალურად გამოაცხადა ნეიტრალიტეტი და გამოვიდა გერმანიისა და ავსტრია–უნგრეთის ბლოკიდან. იტალიის ეს ნეიტრალიტეტი სინამდვილეში პოლიტიკური ვაჭრობა

იყო და არა, საერთოდ ომში მონაწილეობაზე უარის თქმა. პირიქით, რომში გამალებით ემზადებოდნენ ომისათვის, ამასთან, ფიქრობდნენ იმაზე, თუ რომელი მეომარი კოალიციის მხარეზე ყოფნა უფრო ხელსაყრელი იქნებოდა იტალიისათვის მსოფლიო ომში — გერმანიის ბლოკის თუ ანტანტის სახელმწიფოთა მხარეზე?

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი მსოფლიო ომის დასაწყისიდანვე ანტანტის ქვეყნების დიპლომატია აქტიურად ცდილობდა შიგნიდან გაეთიშა „გერმანიის ცენტრისტული ბლოკი", ამ უკანასკნელისაგან ცალკეული სახელმწიფოების ჩამოცილებით. ამგვარმა მცდელობამ სწორედ იტალიასთან მიმართებაში გამოიღო დადებითი შედეგები და 1915 წლის 23 მაისის ლონდონის შეთანხმებით იტალიას აღუთქვეს ტერიტორიები ბალკანეთში, ეგეოსის ზღვის აუზსა და მცირე აზიაში. მას უნდა მიეღო ტრენტინო, ტრიესტი, სამხრეთი ტიროლი, ისტრიის ნახევარკუნძული, დალმაცია, ალბანეთი, დოდეკანეზის კუნძულები და სამხრეთ-დასავლეთი ანატოლია[75], ცხადია, მსოფლიო ომის ანტანტის გამარჯვებით დამთავრების შემთხვევაში. გარდა ამისა, ინგლისსა და საფრანგეთთან ერთად იტალიას უნდა მიეღო სამფლობელოები გერმანიის კოლონიების დანაწილებისას. კოლონიების საკითხში ე. წ. „იტალიურ კომპენსაციებს" აწესებდა ლონდონის შეთანხმების XIII მუხლი, რომელშიც აღნიშნული იყო: „იმ შემთხვევაში, თუ ინგლისი და საფრანგეთი გაზრდიან თავიანთ კოლონიურ სამფლობელოებს აფრიკაში გერმანიის ხარჯზე, იტალია მიიღებს „სამართლიან კომპენსაციებს"[76].

მაგრამ მსოფლიო ომისდროინდელი „საიდუმლო ხელშეკრულებათა" სერია ამით არ დამთავრებულა. 1916 წელს ხელმოწერილ

---

[75] Н. Качалова, Новейшая история Италии, М., 1970, гв. 11.

[76] Л. Алдрованди Маскотти, Дипломатическая война, М., 1944, гв. 56.

ე. წ. საიქს-პიკოს[77] შეთანხმებით ინგლისი და საფრანგეთი იყოფდნენ თურქეთის აზიურ ნაწილს. შეთანხმების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ იტალიამაც მოითხოვა ტერიტორიები აღნიშნულ რეგიონში. ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეები იძულებულნი გახდნენ პირობა მიეცათ იტალიისათვის, რომ მას გადასცემდნენ თურქეთის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე კონტროლის უფლებას. 1916 წლის 6 ნოემბერს იტალიის მთავრობა შეუერთდა „საიქს-პიკოს შეთანხმებას", ხოლო მას შემდეგ, რაც მან ომი გამოუცხადა გერმანიას (1916 წ. 27 აგვისტო) და ავსტრია-უნგრეთს (1915 წ. მაისში), ანტანტამ იტალიასთან ხელი მოაწერა „სენ-ჟან დე მორიენის შეთანხმებას", რომელიც ითვალისწინებდა გერმანია-ავსტრია-უნგრეთის კავშირის ომში დამარცხების შემდეგ იტალიისათვის სამხრეთ-დასავლეთი ანატოლიის გადაცემას უშუალო მმართველობაში (ე. წ. „მწვანე ზონა") და დასავლეთი და ცენტრალური ანატოლიის ნაწილზე იტალიის განსაკუთრებული უფლებების გარანტირებას ვაჭრობის, სარკინიგზო მშენებლობის, იარაღის შეტანისა და სხვ. სფეროებში. უნდა ითქვას, რომ იტალიის დიპლომატიის აღნიშნული აქტიურობა და ტერიტორიული ანექსირებისა და პროტექტორატების მოთხოვნები აშკარად არ შეესაბამებოდა მსოფლიო ომში მისი მონაწილეობის სამხედრო-სტრატეგიულ ხარისხს. ომის გამოცხადების შემდეგ, 1917 წლის ოქტომბერში, იტალიის არმია სასტიკად დამარცხდა ავსტრიის ჯარებთან კაპორეტოსთან ბრძოლაში.

ომის დამთავრების შემდეგ, პარიზის (ვერსალის) კონფე-

---

[77] სახელწოდება მომდინარეობს შეთანხმების პროექტის ავტორების — ინგლისელი დიპლომატის მ. საიქსისა და ფრანგი დიპლომატის ჟ. პიკოს გვარებიდან. ეს შეთანხმება, რომელიც 1916 წელს ანტანტის ბლოკის ქვეყნების საგარეო-პოლიტიკურ უწყებათა შორის ნოტების გაცვლით გაფორმდა, ითვალისწინებდა თურქეთის იმპერიის აზიური ნაწილის განაწილებას ე. წ. „კონტროლირებად ზონებად".

რენციაზე[78] იტალიის დელეგაცია ომისდროინდელი საიდუმლო შეთანხმებებით სანქცირებული ტერიტორიული პრეტენზიების მთელი სისტემით გამოცხადდა. პრემიერ-მინისტრი ორლანდო[79] და საგარეო საქმეთა მინისტრი სონინო[80] სრულიად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მიერ დაპირებულ ტერიტორიებს მიიღებდნენ. მაგრამ ეს იმედები პარიზის კონფერენციის მიმდინარეობის პროცესში არ გამართლდა; „იტალიური საკითხის" განხილვა კონფერენციის „ოთხთა საბჭომ" (ვ. ვილსონი, დ. ლოიდ-ჯორჯი, ჟ. კლემანსო და ვ. ორლანდო) 1919 წლის მარტში დაიწყო. აქ აშკარად გაირკვა, რომ მოკავშირეებს არ სურდათ დაეკმაყოფილებინათ იტალიის ტერიტორიული მოთხოვნები — მიეცათ მისთვის ის, რასაც ომის პერიოდში დაჰპირდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებული კოლიზიები ისეთ დონემდე გამწვავდა, რომ ერთხანს ორლანდომ და სონინომ პროტესტის ნიშნად დატოვეს კიდეც კონფერენცია და მხოლოდ მას შემდეგ დაბრუნდნენ პარიზში, როცა აშკარა გახდა, რომ კონფერენცია შეუდგა ავსტრიასთან ზავის პირობების განხილვას

---

[78] პარიზის საზავო კონფერენცია, რომლის უმთავრეს დანიშნულებას შეადგენდა პირველი მსოფლიო ომის შედეგების იურიდიული გაფორმება და ამით საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი სისტემის სამართლებრივი ბაზისის ჩამოყალიბება, მიმდინარეობდა ვერსალში 1919 წ. 18 იანვრიდან 1920 წლის 21 იანვრამდე. საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან დაიდო 1919 წ. 28 ივნისს, მას იურიდიული ძალა მიენიჭა 1920 წლის 10 იანვარს, ხოლო ერთა ლიგის სტატუტი კონფერენციის პლენარულმა სხდომამ მიიღო 1919 წლის 28 აპრილს.

[79] ვიტორიო ემანუელე ორლანდო — იტალიის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე. პრემიერ-მინისტრი 1917-1919 წ.წ. 1919 წლის ივნისში გადადგა პარლამენტის ძირ ძირობისათვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების გამო.

[80] სიდნეი სონინო — ცნობილი იტალიელი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი. 1893-96 წ.წ. — ფინანსთა მინისტრი, 1909-1911 წ.წ. — პრემიერ-მინისტრი, 1914-1919 წ.წ. — საგარეო საქმეთა მინისტრი. ცხადია, 1919 წლის ივნისში გადადგა ორლანდოსთან ერთად.

და ამ შემთხვევაში იტალიის მონაწილეობა აუცილებელი იყო თვით იტალიის ინტერესებისათვის. თუ ვილსონი და კლემანსო განსაკუთრებით აქტიურობდნენ იტალიის ტერიტორიული პრეტენზიებისადმი ნეგატიური მიმართების გამოვლენით, ლოიდ-ჯორჯმა ერთგვარად ცენტრისტული პოზიცია დაიკავა — იგი შეეცადა მიეცა იტალიისათვის ფართო კომპენსაციები მცირე აზიასა და ამიერკავკასიაში (საქართველო-აზერბაიჯანი) და ამ ბაზაზე დაედო მასთან შეთანხმება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს პრაგმატულ-დიპლომატიური იდეა ლოიდ-ჯორჯისაგან მოდიოდა. ამ დროისათვის დიდ ბრიტანეთს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ამიერკავკასიიდან ჯარების გაყვანა და ბრიტანელ პრემიერს სურდა იტალიელების გულის მოგება — ამ რეგიონის მათთვის დათმობით. თუმცა, საკითხავია: დარწმუნებული იყო კი ლოიდ-ჯორჯი იმაში, რომ მართლაც განხორციელდებოდა იტალიის ჯარებით ინგლისის ჯარების შეცვლა ამიერკავკასიაში და იქ იტალიის გაბატონება? ცხადია, არა. ეს იყო ლოიდ ჯორჯის, ასე ვთქვათ, განუხორციელებელი ფანტაზია.

აღნიშნული საკითხი, ისე როგორც მის გარშემო წარმოებული მოლაპარაკებანი, მათი უაღრესი კონფიდენციალურობის გამო, უცნობი იყო ფართო საზოგადოებრიობისათვის როგორც უცხოეთში, ისე, მით უფრო, საქართველოში. ამ ამბებზე პირველი ცნობები გაჩნდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ცნობილი იტალიელი პოლიტიკური და დიპლომატიური მოღვაწის კარლო სფორცას (1873–1952 წ.წ.) წიგნიდან: „იტალია 14-დან 44-მდე, როგორიც ის მე ვნახე“[81]. ამ წიგნის X თავში, რომლის სათაურია „ნიტი და მისი მთავრობა“, კ. სფორცა სპეციალურად ეხება აღნიშნულ საკითხს და პირველ რიგში მიუთითებს იმ დიდ დამსახურებაზე, რომელიც აღმოუჩინა იტალიას, ორლანდო-სონინოს მთავრობის გადადგომის შემდეგ, ახალმა პრე-

[81] Carlo Sforza, დასახ. ნაშრ., გვ. 85–91.

მიერ-მინისტრმა ფრანჩესკო ნიტიმ[82], რომელმაც იტალიის მთავრობის თავმჯდომარის პოსტი დაიკავა 1919 წლის 23 იენისს. ნიტიმ მაშინვე გააუქმა იტალიის ჯარების მიერ ამიერკავკასიის ოკუპაციის ყველა გეგმა, შემუშავებული ორლანდო-სონინის მთავრობის მიერ და გასცა განკარგულება, ამიერკავკასიაში გასაგზავნად იტალიის ნავსადგურებში მყოფი საჯარისო შენაერთები დაებრუნებინათ მუდმივი დისლოკაციის ადგილებში. ამ ერთგვარი აპოლოგეტიკური შესავლის შემდეგ კ. სფორცა მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ გაჩნდა აზრი, რომ იტალიას მიეღო მანდატი საქართველოზე. იგი წერს: „ერთ საღამოს პარიზში, როდესაც ორლანდო ლოიდ-ჯორჯთან საუბარში უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმაზე, რომ მოკავშირეებმა იტალიას არ მისცეს არცერთი კოლონიური მანდატი, ვალიელმა ფანტაზიორმა (იგულისხმება ბრიტანეთის პრემიერი – დ. ჯ.) ორლანდოს უთხრა: „თქვენ ათასჯერ მართალი ხართ. ამაში დამნაშავენი არიან ... (მან დაასახელა რამოდენიმე გვარი, მხოლოდ საკუთარის დასახელება „დაავიწყდა"). მაგრამ, დასძინა ლოიდ-ჯორჯმა, მე შემიძლია თქვენ დაგეხმაროთ და თქვენ ყველა ჩვენთაგანზე მდიდარი იქნებით. დაიკავეთ საქართველო. იგი მდიდარია ნავთობით... იგი თქვენ ძლიერ გულთბილად მიგიღებთ"[83].

იტალიის პრემიერ-მინისტრს მოეწონა ლოიდ-ჯორჯის რჩევა და მაშინვე შეუდგა საქმეს ამ მიმართულებით, უპირველეს ყოვლისა, იტალიის მეფისა და რომის პოლიტიკური იერარქიის ინფორმირებას. კერძოდ, ზემოთაღნიშნული „ჯენტლმენური გარიგების" შესახებ მან

---

[82] ფრანჩესკო საველიო ნიტი – იტალიის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე. 1917-1919 წლებში იყო ფინანსთა მინისტრი, 1919-1920 წ.წ. – პრემიერ-მინისტრი. 1923 წელს ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში, საიდანაც აქტიურად ებრძოდა მუსოლინის ფაშისტურ-კორპორაციულ რეჟიმს.

[83] C. Sforza, დასახ. ნაშრ., გვ. 85.

სასწრაფოდ აცნობა იტალიის მეფეს ვიქტორ-ემანუილ III-ს[84]. ამ უკანასკნელისადმი 1919 წლის 16 მარტს გაგზავნილ საიდუმლო დეპეშაში ორლანდო წერდა:

„მის უდიდებულესობას იტალიის მეფეს!

გუშინ ხანგრძლივი საუბარი მქონდა ლოიდ-ჯორჯთან, კიდევ ერთი საუბარი ვილსონთან, ხოლო მესამე საუბარი ისევ იმავე ვილსონთან, რომელმაც პატივი დამდო მოსულიყო ჩემთან სასტუმრო „ედუარდ VII-ში"...

ლოიდ-ჯორჯმა გუშინ ჩამაბარა სიტყვიერად თავისებური „მანდატი" საქართველოს რესპუბლიკაზე. ლაპარაკია ქვეყანაზე, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მდიდარს მსოფლიოში წიაღისეული სიმდიდრეებით, ნავთობით და ქვანახშირით, მანგანუმით და რკინით. ცხადია, იტალიისათვის იქნებოდა კოლოსალური ბედისწყალობა, თუ მას (საქართველოს – დ. ჯ.), რაც არ უნდა ხდებოდეს იქ, მიიღებდა ჩვენი ქვეყანა...

ორლანდო"[85].

21 მარტს ვიქტორ-ემანუილ III-მ შემდეგი შინაარსის საპასუხო დეპეშა გაუგზავნა თავის პრემიერ-მინისტრს:

„მის ალმატებულებას ორლანდოს, პარიზი.

მადლობელი ვარ თქვენი უკანასკნელი დეპეშისათვის... ჩემი აზრით, რაც შეეხება ქვეყანას, რამდენადაც მე მახსოვს კავკასიაში ჩემი მოგზაურობის დროიდან, საქართველო არის მთაგორიანი და ღარიბი ქვეყანა, რომელიც დასახლებულია ძნელად საურთიერთობო ხალხით... ჩემი აზრით, უფრო მდიდარნი არიან კავკასიის მეზობელი პროვინციები...

გულითადი სალამით, ვიქტორ-ემანუილი"[86].

---

[84] ვიქტორ-ემანუილ III – იტალიის მეფე 1900-1944 წ.წ.

[85] I Documenti diplomatici italiani. Sesta Serie: 1918-1922, vol. 11 (18 gennaio - 23 marzo 1919). Roma, 1980, p. 636, doc. N 834.

[86] Ibid., p. 687, doc. N 917.

22 მარტს ორლანდომ მეორე დეპეშა გაგზავნა რომში, რომელშიც გაცილებით უფრო შემოწმებულ და ზუსტ ცნობებს აწვდიდა იტალიის მონარქს საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებსა და ეკონომიკურ მაჩვენებლებზე და ამ კონტექსტში უფრო რადიკალურად ასაბუთებდა საქართველოზე მანდატის მიღების მიზანშეწონილობასაც და სარგებლიანობასაც. იგი წერდა:

„მის უდიდებულესობას. უმაღლესი შტაბი. იტალია.

მადლობელი ვარ გუშინდელი დეპეშისათვის. სრულიად ზუსტი და ურთიერთდამმთხვევი მონაცემები ადასტურებენ, რომ საქართველო ნამდვილად აღთქმული ქვეყანაა. რაც შეეხება მინერალურ რესურსებს, იქ არის ნავთობის უდიდესი მარაგი. იგი იძლევა მთელი მსოფლიოს მანგანუმის ნახევარს. იქ არის რკინა, ტყვია, ოქრო, ვერცხლი, დიდი რაოდენობის ქვანახშირი, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება კარდიფის (ინგლისის – დ. ჯ.) ქვანახშირს. იტალიისათვის საქართველო იქნებოდა ნედლეულის უდიდესი წყარო...“[87].

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ დეპეშაში ორლანდო გარკვეულ ეჭვს გამოთქვამს იტალიის მიერ საქართველოს შესაძლო სამხედრო ოკუპაციასთან დაკავშირებით; პირველ რიგში მიუთითებს იმ სიძნელეებზე, რომლებიც შეიძლება რუსეთიდან იყოს მოსალოდნელი. „ეს არის პოლიტიკური მიზეზი, – წერს ის, – კერძოდ: ჯერ ერთი, აღდგენილი რუსეთი მოახდენს ძლიერ დაწოლას, რათა კვლავ დაიბრუნოს ეს მხარეები და ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება წინააღმდეგობის გაწევა[88]; მეორეც, შეიძლება სიძნელეები

---

[87] Archivio Orlando. მარტა პეტრიჩიოლი, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

[88] აღსანიშნავია, რომ ამ დროს იტალიის შეიარაღებული შენაერთები მონაწილეობდნენ ანტანტის სამხედრო-საინტერვენტო კამპანიაში ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ მურმანსკსა და არხანგელსკში. სავსებით შესაძლებელი იყო, რომ საქართველოში იტალიის ჯარების შემოსვლა ლენინის მთავრობას განეხილა სამოქალაქო ომში იტალიის მონაწილეობის ახალ გამოკვლინებად, ამჯერად სამხრეთის მიმართულებით. ცხადია ისიც, რომ იტალიის მმართველი წრეები საქართველოზე მანდატის მიღების საკითხს რუსეთთან ურთიერთობის კონტექსტში განიხილავდნენ და ერთგვარ შიშსაც განიცდიდნენ – ხომ არ გაართულებდა ეს აქცია რუსეთ-იტალიის ურთიერთობებს.

წარმოიშვას იტალიის რადიკალური პარტიების მხრიდანაც. თუმცა ამაზე შეგვიძლია ვუპასუხოთ, რომ ჩვენ არა გვაქვს ამ ტერიტორიების განუსაზღვრელი დროის განმავლობაში შენარჩუნების ინტერესი. თუ ჩვენ იქ დავრჩებოდით რამოდენიმე წელი და მივიღებდით კონცესიებს, შეგვეძლო მოლაპარაკების დაწყება ჩვენს იქიდან წამოსვლაზე"[89].

23 მარტს ვიტქორ-ემანუილ III-მ ახალი საპასუხო დეპეშა გაუგზავნა პრემიერ-მინისტრს, რომელშიც იტალიის მეფე დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა ინგლის-იტალიის გარიგების მიმართ და მადლობას უხდიდა ორლანდოს საქართველოს შესახებ დამატებითი ცნობების მიწოდებისათვის. ამასთან, იქვე გამოთქვამს ეჭვს რუსეთისგან მოსალოდნელ აქციებზე. აი, ამ დეპეშის შინაარსიც:

„23 მარტი. მის აღმატებულებას ორლანდოს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს. მადლობელი ვარ თქვენი დეპეშისათვის. ბედნიერი ვარ მივიღო ინფორმაციები საქართველოს სიმდიდრეების შესახებ... არ უნდა დაგვავიწყდეს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, კერძოდ ის, რომ იგი მდებარეობს შავი ზღვის უკიდურეს აღმოსავლეთ მხარეში, რომ არაფერი ვთქვათ იმის შესაძლებლობაზე, რომ ამ რეგიონში ჩვენს აქციებს მოჰყვეს ჩვენი შეჯახება რუსეთთან... ვფიქრობ, რომ საქართველოზე ჩვენი მანდატი არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს ჩვენს განზრახვებს მცირე აზიაში (აქ მეფე გულისხმობს იტალიის პრეტენზიებს სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიაზე – დ. ჯ.)"[90].

იმავე 23 მარტით დათარიღებულ დეპეშაში ორლანდო იზიარებს მეფის პოზიციას და მიუთითებს, რომ კავკასიის საკითხმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამორიცხოს იტალიის ინტერესები მცირე აზიაში, რომ ის არ უნდა დაისვას ალტერნატივის ფორმით. ამავე დეპეშაში ორლანდო მიუთითებს იმაზეც, რომ ამჟამად ლაპარაკია

---

[89] Archivio Orlando..., იქვე.

[90] იქვე, გვ. 38.

არა იმდენად საქართველოზე მანდატის მიღებაზე, რამდენადაც კავკასიის რეგიონში ინგლისის ჯარების იტალიის ჯარებით შეცვლაზე, ე. ი. წმინდა სამხედრო ასპექტებზე. თუ ეს შესაძლებელი გახდებოდა პრემიერ-მინისტრის აზრით, მაშინ შეიქმნებოდა სხვაგვარი ვითარება: იტალიას ექნებოდა თავისუფალი მოქმედების განუსაზღვრელი საშუალებები. „პირველ რიგში – წერდა ის, – ლაპარაკია წიაღისეული სიმდიდრეების მიღებაზე, რასაც იტალიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს“[91].

საინტერესოა 24 მარტის ვიქტორ-ემანუილის საპასუხო დეპეშაში გამოთქმული აზრი ინგლისის აქციებთან დაკავშირებით. მეფე პირდაპირ სვამს საკითხს: „რატომ ტოვებენ ინგლისელები ამ ქვეყანას? როდესაც ცნობილია, რომ დიდი ბრიტანეთი ჩვეულებრივად არ ტოვებს რეგიონს, თუკი ის რაიმედ ღირს“[92].

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხს იტალია განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა, როცა ინგლისელებთან მოლაპარაკებებს ეწეოდა.

რომთან მიმოწერამ ორლანდო დაარწმუნა იმაში, რომ მეფე თანხმობას უცხადებდა და უფრო ენერგიულად და აქტიურად დაიწყო მოქმედება აღნიშნული ღონისძიებების რეალიზაციისათვის. მისი დავალებით, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტის უფროსი, პარიზის საზავო კონფერენციაზე იტალიის დელეგაციის გენერალური მდივანი ლ. ალდროვანდი მარესკოტი შეხვდა დიდი ბრიტანეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსს ჰენრი ვილსონს. ამ შეხვედრას ერთგვარი დიპლომატიური ზონდირების ხასიათი ჰქონდა და მიზნად ისახავდა ნიადაგის მოსინჯვას – თუ როგორი იქნებოდა ინგლისის დამოკიდებულება იმაზე, რომ იტალიას მიეღო მანდატი საქართველოზე და ინგლისის სამხედრო ოკუპაცია იტალიის

[91] იქვე
[92] იქვე.

ჯარების ოკუპაციით შეცვლილიყო. როგორც მარესკოტი აღნიშნავს, მისმა მისიამ წარმატებით ჩაიარა. ჰ. ვილსონმა, რომლის პოზიცია, ბუნებრივია, ოფიციალური ლონდონის პოზიციას გამოხატავდა, თანხმობა განაცხადა, თუმცა გამოთქვა გარკვეული ეჭვი ამ აქციის სარგებლიანობასთან დაკავშირებით[უ].

როგორც კარლო სფორცას მოგონებიდან ჩანს, იტალიის პოლიტიკურ და სამხედრო ელიტაში საქართველოში სამხედრო ექსპედიციის გაგზავნის საკითხი სწრაფად გადაწყდა. ამ დროს კარლო სფორცას კონსტანტინოპოლში იტალიის უმაღლესი კომისრის პოსტი ეკავა და, ცხადია, იტალიის დიპლომატიის „აღმოსავლური პოლიტიკის" ძირითად მიმართულებათა და ტაქტიკური ვარიანტების განსაზღვრაში მნიშვნელოვან წონად ფიგურას წარმოადგენდა. ჯერ ერთი, ასეთ პიროვნებას ყველაფერი უნდა სცოდნოდა იმის შესახებ, თუ რა გეგმები ჰქონდა მის მთავრობას აღნიშნულ რეგიონში და მეორეც, კონსტანტინოპოლში დიპლომატიურ სამსახურში მყოფი კ. სფორცა საკმაოდ იყო ინფორმირებული ამიერკავკასიაში არსებული სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის შესახებ. ამ ქვეყნებიდან ხშირი იყო ემიგრაცია ევროპაში და ქართველი, სომეხი თუ აზერბაიჯანელი დიპლომატები და მთავრობათა ნდობა-რწმუნებით აღჭურვილი პირებიც ევროპაში კონსტანტინოპოლზე გავლით ჩადიოდნენ. აქვე იყრიდნენ თავს რუსი თეთრგვარდიელებიც.

მაშასადამე, კონსტანტინოპოლში მოღვაწე კარლო სფორცა დეტალურად ერკვეოდა ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესებში, კარგად იცნობდა იქ შექმნილ ვითარებას. ამიტომაც ბუნებრივია, რომ იტალიის მთავრობაც დიდ იმედებს ამყარებდა იმ ინფორმაციაზე, რომელსაც მის გეგმებთან დაკავშირებით უმაღლესი კომისარი მიაწვდიდა რომსა და პარიზს. მაგრამ სწორედ კარლო სფორცა იყო პირველი იტალიელი დიპლომატი,

[უ] Л. Алдрованди Маресκотти, დასახ. ნაშრ., გვ. 234.

რომელმაც დასაწყისიდანვე საქართველოსა და აზერბაიჯანის იტალიური ოკუპაციის გეგმა განუხორციელებელ ფანტაზიად ჩათვალა და მხარი არ დაუჭირა.

გარდა იმისა, რომ იტალიის მთავრობამ კარლო სფორცას დეტალურად გააცნო საქართველოში თავისი სამხედრო ექსპედიციის გეგმა, მთელი რიგი კონკრეტული დავალებებიც მისცა მას ამ გეგმის უკეთ განხორციელების მიზნით. „ერთ-ერთი დავალება – წერს კ. სფორცა, – რომელიც მივიღე საგარეო საქმეთა მინისტრ სონინოსაგან, იყო დამემყარებინა კარგი ურთიერთობანი საქართველოსა და აზერბაიჯანის იმ მრავალრიცხოვან წარმომადგენლებთან, რომლებიც სტამბულში ცხოვრობდნენ“[94]. ამასთან, როგორც სფორცას მემუარიდან ირკვევა, მას ჰქონია არა მარტო კონტაქტები კონსტანტინოპოლში მყოფი საქართველოსა და აზერბაიჯანის დიპლომატიური მისიების წევრებთან, არამედ დიპლომატიური მიმოწერაც თბილისისა და ბაქოს ოფიციალურ პირებთან: „მე მართლაც მიგზავნიდნენ წერილებს საქართველოდან და მისი მეზობელი ოლქებიდან და ითხოვდნენ დახმარებას საბჭოთა რეჟიმისაგან დამოუკიდებლობის მიღების საქმეში... ასევე მართალია ისიც, რომ უნდობლობა ბოლშევიკებისადმი იქ ნამდვილად არსებობს და ძალიანაც გავრცელებულია. ამიტომ შესაძლებელია, რომ იტალიის სამხედრო ექსპედიცია და ეკონომიკური ჰეგემონიაც-კი, თუ ის გონივრულად განხორციელდება, თავიდანვე კარგად იქნეს მიღებული, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება, ვინაიდან, ადრე თუ გვიან, მოსკოვის რეჟიმი შეიცვლება და რუსული და ანტირუსული ელემენტებიც გაერთიანდებიან ჩვენს წინააღმდეგ“[95], – წერდა კ. სფორცა ორლანდოსა და სონინოს.

ცხადია, სფორცას პოზიცია ერთგვარ დისონანსს ქმნიდა იტალიის დიპლომატიურ წრეებში სამხედრო ექსპედიციის

---

[94] Carlo Sforza, დასახ. ნაშრ., გვ. 85-86.

[95] იქვე

მომზადება-განხორციელების საკითხის დამუშავებისას. ამიტომ ორლანდო-სონინოს მთავრობას არ მოსწონდა მისი მოსაზრებანი, სონინო მას საპასუხო წერილებსაც კი არ უგზავნიდა. შეიძლება ითქვას, რომ სფორცა სავსებით „გამოთიშეს" აღნიშნული გეგმის რეალიზაციასთან დაკავშირებული დიპლომატიური და პრაქტიკული პროცესიდან. სამხედრო ექსპედიციის მზადება კი კვლავაც სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა.

რომის პოლიტიკური იერარქიისა და პარიზში მყოფი იტალიის დელეგაციის მესვეურებს შორის ინტენსიური აზრთა გაზიარების შემდგომ, 1919 წლის 22 მარტს იტალიის მთავრობამ, ვიქტორ-ემანუილ III-ის სანქციით, მიიღო წინასწარი გადაწყვეტილება საქართველოსა და აზერბაიჯანში შეიარაღებული შენაერთების გაგზავნის შესახებ. ეს გადაწყვეტილება ითვალისწინებდა სამ უმთავრეს მომენტს: 1. სასწრაფოდ გაიგზავნოს თბილისში იტალიის სამხედრო მისია, რომელსაც ევალება ადგილზევე გაეცნოს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ვითარებას, რათა იტალიის მთავრობას მიეცეს საბოლოო (ხაზგასმა აქ და შემდეგ ჩვენია – დ. ჯ.) გადაწყვეტილების მიღების საშუალება; 2. ებრძანოს იტალიის არმიის უმაღლეს სარდლობას – მოამზადოს სამხედრო ნაწილები საქართველოში დისლოცირებისათვის; 3. იტალიისა და ინგლისის არმიების გენერალურ შტატებს შორის მოგვარდეს ამიერკავკასიიდან ინგლისის ჯარების გამოყვანისა და იქ იტალიის ჯარების შეყვანის საკითხები[96].

24 მარტს პარიზში ერთმანეთს შეხვდნენ იტალიის არმიის გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი არმანდო დიაცი[97] და მისი

---

[96] Archivio Storico del Ministero degli Esteri (ASME), Pos. 46, Caucaso, Allegato E., f. 41.

[97] არმანდო დიაცი – 1917-1922 წ.წ. იტალიის არმიის გენშტაბის უფროსი, 1922-1924 წ.წ – სამხედრო მინისტრი მუსოლინის მთავრობაში. 1924 წ. ბ. მუსოლინისაგან მიიღო მარშალის წოდება.

ბრიტანელი კოლეგა ჰენრი ვილსონი. ამ კონფიდენციალურ შეხვედრაზე განიხილეს ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარების იტალიური შენაერთებით შეცვლის პროცედურული საკითხები, განისაზღვრა იტალიური ჯარების დისლოკაციის ობიექტები, ასევე სამხედრო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემები. გადაწყდა, რომ პოლიტიკური შეთანხმების მიღწევის შემდეგ „იტალიისა და ინგლისის სამხედრო ხომალდები ბათუმსა და ფოთში ჩაიყვანდნენ იტალიის ჯარის ნაწილებს, ხოლო იგივე გემები უკან წამოიყვანდნენ კავკასიაში მყოფ ინგლისის ჯარებს"[98]. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრას სამხედრო-საკონსულტაციო ხასიათი ჰქონდა, გენერალი ვილსონი გაკვრით შეეხო სტრატეგიულ-პოლიტიკურ საკითხებსაც. კერძოდ, მან გენერალ დიაცის ყურადღება მიაპყრო საქართველოში „გაურკვეველ პოლიტიკურ ვითარებას", მიუთითა მას ბაქო-ბათუმის რკინიგზისა და ნავთობსადენის არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე, საქართველოს ტერიტორიის გავლით ბაქოს ნავთობის მიღების სიძნელეებზე და ა. შ.

საქართველოთი იტალიის დაინტერესების უმთავრეს სტიმულს ეკონომიკური ფაქტორი წარმოადგენდა. პირველ მსოფლიო ომში იტალიამ მნიშვნელოვანი ადამიანური და მატერიალური მსხვერპლი გაიღო. მისი ომისშემდგომი ეკონომიკის მთავარი დამახასიათებელი მომენტი იყო ტრადიციული ეკონომიკური სისტემის მოშლა, სამეურნეო ნგრევა, რასაც თან დაემატა 1919-1921 წლების ეკონომიკური კრიზისი; ეკონომიკის მშვიდობიან რელსებზე გადაყვანის პირობებში, მსხვილი მრეწველობის საწარმოებმა, რომლებიც უკვე აღარ ღებულობდნენ სამხედრო შეკვეთებს, შეწყვიტეს ფუნქციონირება. დაიწყო მასობრივი უმუშევრობა, ფულის გაუფასურება, გაიზარდა სახელმწიფო ვალი. დიდ

[98] იხ. ი. ტაბაღუა, საქართველოს მანდატი, გაზ. „კომუნისტი", 1989 წ. 6 ივნისი.

სიძნელეებს განიცდიდა სოფლის მეურნეობაც. ამასთან, იტალიის ეკონომიკური ცხოვრების მთავარი სიძნელე ნედლეულის კატასტროფული დეფიციტი იყო 1919–1920 წ.წ. ფოლადის წარმოება ომამდელთან შედარებით 3-ჯერ, ხოლო სპილენძისა 2-ჯერ შემცირდა. თითქმის არ წარმოებდა ქვანახშირი[99]. ამიტომაც იყო, რომ იტალიის მმართველი წრეები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ საქართველოზე მანდატის დაწესების იდეას. იტალიისათვის მანდატის მიღება ბუნებრივი რესურსებით მდიდარ საქართველოზე გამოიწვევდა რეგიონში იტალიის ეკონომიკურ ჰეგემონიას, ფაქტიურად უზრუნველყოფდა კრიზისულ ფაზაში მყოფ ქვეყნის ეკონომიკას ნედლეულის ფართო სპექტრით – მანგანუმით, ქვანახშირით, რკინის მადნით, ხე-ტყით და მას ერთგვარი „ამოსუნთქვის" საშუალებას მისცემდა. იტალიის იმდროინდელი პოლიტიკური მესვეურების მიმოწერის, მემუარებისა თუ ცალკეული დოკუმენტების თვალის ერთი გადავლებით გაცნობაც კი საკმარისია იმის მტკიცებისათვის, რომ იტალიის ეკონომიკური განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენებას, რომ საქართველოდან გატანილი ნედლეული მოიაზრებოდა იტალიაში ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ერთ-ერთ ძირითად წინაპირობად. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ასევე საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობით გამოწვეულ გეოეკონომიკურ ფაქტორებსაც. ამ შემთხვევაში უდავოდ გასათვალისწინებელია საქართველოს, როგორც სატრანზიტო დერეფნის მნიშვნელობა იტალიისათვის.

საქართველოზე მანდატის დაწესების გეგმას აღფრთოვანებული შეხვდნენ იტალიის სამხედრო წრეები და მათთან დაახლოებული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მაგნატები. სამხედრო იერარქიისათვის ეს იყო იტალიის არმიის დემობილიზაციის შედეგად, ასე ვთქვათ, „უსაქმოდ დარჩენილი" გენერლებისა და

---

[99] Н. Комолова, დასახ. ნაშრ., გვ 9-10.

ოფიცრობის „კვლავ დასაქმების", ხოლო სამხედრო-სამრეწველო საწარმოებისათვის – ომის დამთავრების შედეგად შეწყვეტილი შეკვეთების გარკვეული კომპენსაციის საშუალება. საქართველოზე გავლენის დამყარებით იტალიის გენერალიტეტისა და მსხვილი მრეწველების უაღრეს დაინტერესებას შესანიშნავად გადმოგვცემს ზემოთდასახელებული კ. სფორცა: „იტალიელი გენერლები, რომლებიც იტალიის არმიის დემობილიზაციის შემდეგ უსაქმოდ დარჩნენ და, მსხვილი მრეწველები, რომლებიც ომის დამთავრების შემდეგ სამხედრო შეკვეთებს აღარ ღებულობდნენ, მზად იყვნენ კალიებივით შესეოდნენ ამ აღთქმულ ქვეყანას – საქართველოს"[100].

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, იტალიის მიერ საქართველოზე სამანდატო გავლენის დამყარების მცდელობას აშკარად გამოხატული ანტისაბჭოთა ხასიათი ჰქონდა. მკვლევართა ერთი ნაწილი (გ. ღამბაშიძე, დ. ენუქიძე, ბ. შტეინი) მიიჩნევდა, რომ ეს აქცია იტალიის და ანტანტის ანტისაბჭოთა საინტერვენციო პოლიტიკის შემადგენელი ორგანული ნაწილი იყო. „იტალიის ჯარების შემოსვლა ამიერკავკასიაში იმის მომასწავებელი იქნებოდა, – წერდა გ. ღამბაშიძე, – რომ იტალიის იმპერიალიზმი მკვეთრად გააძლიერებდა თავის მონაწილეობას ანტისაბჭოთა ინტერვენციაში(?)... მტკიცე ზურგს შეუქმნიდა სამხრეთ რუსეთის თეთრგვარდიულ ძალებს"[101]. ვფიქრობთ, აღნიშნული პროცესის ამსახველი დოკუმენტური წყაროები ვერ იძლევიან ამგვარი რადიკალური მოსაზრებების მტკიცების საშუალებას და ეს შეხედულებაც, რბილად რომ ვთქვათ, გადასინჯვას საჭიროებს. გაუგებარია, რატომ და რა ფორმით მოასწავებდა იტალიის ჯარების შემოსვლა საქართველოში ანტისაბჭოთა ინტერვენციაში იტალიის მონაწილეობას? საქართველო ხომ დამოუკიდებელ სახელმწიფოს

---

[100] Carlo Sforza, დასახ. ნაშრ., გვ. 85.

[101] გ. ღამბაშიძე, ინგლისისა და აშშ-ის აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ, თბ., 1964, გვ. 132.

წარმოადგენდა, რომლის საზღვრები არ ემთხვეოდა საბჭოთა რუსეთის სამხრეთ საზღვრებს. აქ უთუოდ გასათვალისწინებელია იტალიის მთავრობის ანტიბოლშევიკური პოლიტიკის ხასიათიც. საქმე იმაშია, რომ იტალია არასოდეს გამოდიოდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ აშკარა, შეიარაღებული ინტერვენციის მოთხოვნით, იგი მხარს უჭერდა ე.წ. „სანიტარული კორდონის" თეზისს. რაც შეეხება იტალიის ჯარის მონაწილეობას მურმანსკ-არხანგელსკის ოპერაციებში, ჯერ ერთი, ეს მონაწილეობა შემოიფარგლებოდა სულ რამდენიმე ასეული ჯარისკაცით, რომლებიც ინგლისის სარდლობას ექვემდებარებოდნენ, მეორეც, ეს გარემოება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც „იტალიის აშკარა ინტერვენციონისტული" პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორი, რადგანაც მას ერთგვარი სპონტანური ხასიათი ჰქონდა და ანტანტის ბლოკისადმი იტალიის სამხედრო ვალდებულებებით იყო გამოწვეული (ხომ არ შეიძლება, მაგალითად, ქართული ლაშქრის მონაწილეობა ეგვიპტის წინააღმდეგ წარმოებულ მონღოლურ ოპერაციებში, რაც სამხედრო ბეგარის მოხდის ფორმა იყო, განხილულ იქნას როგორც საქართველოს სამხედრო ინტერვენცია ეგვიპტეში ან საქართველო-ეგვიპტის ომი). იტალია ყოველთვის წინააღმდეგი იყო რუსეთის საშინაო საქმეებში ოფიციალური ჩარევისა და ანტიბოლშევიკური ძალებისადმი ირიბი (იარაღით, სამხედრო მასალებით) დახმარების პოზიციას იცავდა, რა თქმა უნდა. ეს პოზიცია ანტიბოლშევიკური ხასიათისა იყო, მას ობიექტურად ანტისაბჭოთა ტენდენცია ჰქონდა, მაგრამ მიუღებელია ცალკეულ სახელმწიფოთა ანტიბოლშევიკური ინტერესების ობიექტური თანხვედრილობის აშკარა ინტერვენციასთან გაიგივება. არადა, ამ ინტერვენციასაც ჰქონდა გარკვეული მორალური და, შეიძლება ითქვას, სამართლებრივი საფუძველი — იგი ხომ მიმართული იყო გადატრიალებისა და დამფუძნებელი კრების გარეკვის შედეგად წარმოქმნილი უკანონო ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც რუსეთი სამოქალაქო ომის ასპარეზად აქცია

და პერმანენტული ქაოსისა და მასობრივი უწესრიგობის პროვოცირებით საფრთხეს უქმნიდა არა მარტო თვით რუსეთს, არამედ მთელს მსოფლიოსაც. საბჭოთა რუსეთი გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა პოსტიმპერიულ სივრცეში ჩამოყალიბებულ ეროვნულ სახელმწიფოებში ანტანტის ქვეყნების გავლენის დამყარება-განმტკიცებას. მაგრამ გულუბრყვილობაა იმის მტკიცება, რომ ამას ბოლშევიკური რეჟიმი „იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მტაცებლური ინსტიქტებისაგან" ამიერკავკასიის ხალხთა დაცვის მოტივით აკეთებდა. პირიქით, მას სურდა იმპერიული გაერთიანების რესტავრაცია და ამიერკავკასიის სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური თანამშრომლობა ანტანტის ქვეყნებთან (თუნდაც იგივე იტალიასთან) სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ამ მზაკვრულ, „კომუნისტური ინტერნაციონალიზმისა" და „მსოფლიო რევოლუციის" ავანტიურისტული ლოზუნგებით შელამაზებულ „სტრატეგიას". საბჭოთა ისტორიოგრაფიის ზემოხსენებული მოსაზრებაც ამ „სტრატეგიის", ასე ვთქვათ, თეორიულ-ისტორიული გამართლების ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს და არა ისტორიული პროცესების ობიექტური ანალიზის შედეგს.

რაკი შევეხეთ იტალიის მმართველი წრეების „ქართული პოლიტიკის" მასტიმულირებელ ფაქტორებს, აქ აუცილებლად უნდა იქნას განხილული საკითხი — თუ რამ განაპირობა ინგლისის თანხმობა „დაეთმო" იტალიისათვის საქართველო[102]. ინგლისის სანქციას რომ გადამწყვეტი, განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა ამ პრობლემის გადაწყვეტაში, ეს უდავო და აშკარა ფაქტია. თვით ფრ. ნიტიც კი,

---

[102] 1917 წლის 23 დეკემბრის ინგლის-საფრანგეთის კონვენციისა და 1918 წლის 30 ოქტომბრის მუდროსის ზავის ძალით კონტროლი ამიერკავკასიაში მიმდინარე პროცესებზე დიდი ბრიტანეთის ხელში გადავიდა. პარიზის კონფერენციის დამდეგისათვის ფაქტიურად უკვე დაწყებული იყო ინგლისის სამხედრო ყოფნა ბაქოსა და საქართველოში.

რომელიც სასტიკი წინააღმდეგი იყო იტალიის ჯარების საქართველოში გაგზავნისა, მიუთითებს, რომ ეს „აქცია მომზადებული იყო ანტანტის არათუ თანხმობით, არამედ სურვილითაც...“[103].

ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება – გადაესინჯა ამიერკავკასიის მიმართ თავისი პოლიტიკა და უარი ეთქვა რეგიონში სამხედრო ყოფნაზე – მოტივირებული იყო როგორც დიდ ბრიტანეთში მიმდინარე შინაპოლიტიკური პროცესებით, ასევე პარიზის საზავო კონფერენციაზე დიდ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობათა გამწვავებით, უპირატესწილად გლობალური სტრატეგიისა და ტერიტორიული გადანაწილების სფეროში. 1919 წლის მარტში ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მოხდა პოლიტიკურ ძალთა ახალი გადაჯგუფებანი, რამაც საგრძნობი გავლენა მოახდინა საგარეო-პოლიტიკურ კურსზე; საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ლორდი კერზონი, სამხედრო მინისტრი – უ. ჩერჩილი, არმიის გენერალური შტაბის უფროსი – ჰ. ვილსონი. ამ სამეულმა იმთავითვე დაიწყო აშკარა ზეწოლა ლოიდ ჯორჯზე, რასაც მოჰყვა ინგლისის საგრეო-პოლიტიკური პრიორიტეტების სისტემაში გარკვეული კორექტივების შეტანა. უპირველეს ყოვლისა, ეს „კორექცია“ ითვალისწინებდა ბრიტანული დომინაციის რეგიონებში სამხედრო ოკუპაციის მასშტაბების შემცირებას. ეს იყო არსებითად ახალი სამხედრო-პოლიტიკური გეგმა, რომელიც ჩერჩილ-ვილსონის დაჯგუფებამ შეიმუშავა და რომელიც ანგარიშს უწევდა როგორც თვისობრივად ახალ საერთაშორისო რეალიებს, ასევე თვით ბრიტანულ საზოგადოებაში მომძლავრებულ პაციფისტურ-დემოკრატიულ ტენდენციებს. მიუთითებს რა ამ ანტისაომარი ტენდენციების გაძლიერებაზე, უ. ჩერჩილი თავის მემუარებში წერს: „ბრიტანელი ხალხი არასოდეს არ აღფრთოვანებულა ჯარისკაცებითა და ფულით სამხედრო ღონისძიებებს ინგლისის ფარგლებს გარეთ,

---

[103] Ф. Нитти, Европа без мира, М., 1923, გვ. 123.

რაინის ზომის გამოკლებით... საეჭვო იყო ისიც, რომ ჯარისკაცებს ეომათ სხვა ტერიტორიებზე ან დიდი ხნით დარჩენილიყვნენ იქ..."[104]. საოკუპაციო ფრონტის დავიწროებისაკენ ინგლისის მთავრობას, სხვათაშორის, უბიძგა ბრიტანეთის იმპერიის სხვადასხვა ნაწილებში — ირლანდიიდან ინდოეთამდე — სიტუაციის უკიდურესმა გამწვავებამ. ამიერკავკასია კი ამ გლობალური გეოპოლიტიკური სივრცის ცენტრს და სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს რეგიონს წარმოადგენდა,. ცნობილია, რომ ამიერკავკასიაში ინგლისური ოკუპაცია შემოისაზღვრებოდა მნიშვნელოვანი სტრატეგიული და ეკონომიკური ზონებით — ბათუმ-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის გასწვრივი ზონით და კასპიის ზღვის კონტროლით, ე. ი. ოკუპაციას არ ჰქონდა ტოტალური ხასიათი[105]. თუმცა ასეთი შემცირებული მასშტაბებითაც კი ინგლისისათვის ამ ოკუპაციას მაინც სერიოზული შედეგები მოჰყვებოდა საკუთრივ კავკასიის რეგიონში შინაგანი კონფლიქტების პერმანენტული გამოვლენის გამო. საგულისხმოა, რომ ამგვარ ტენდენციას კარგად ხედავდნენ იტალიის დიპლომატიური წრეები. ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნულია:

---

[104] У. Черчиль, Мировой кризис, М., 1932, გვ. 107.

[105] მეტად საგულისხმოა, რომ კავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეში ინგლისის უშუალო კონტროლს დაექვემდებარა სტრატეგიულად განსაკუთრებული დანიშნულების ადგილები და ინფრასტრუქტურა. უპირველეს ყოვლისა, ბაქო-ბათუმის სარკინიგზო მაგისტრალი. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოში ბრიტანული ოკუპაციის მასშტაბები განსხვავდებოდა იმ საოკუპაციო რეჟიმისაგან, რომელიც აზერბაიჯანში დამყარდა. კერძოდ, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ საკუთრივ აზერბაიჯანის დედაქალაქზე ფაქტიურად არ ვრცელდებოდა ფ. ხანხოისკის მუსავატისტური ხელისუფლების იურისდიქცია: გენ. ტომსონი გახდა ბაქოს სამხედრო გუბერნატორი, მისი მოადგილე, პოლკოვნიკი კოკკერელი სათავეში ჩაუდგა ბაქოს პოლიციას(!), მაიორი ბრაუნი — კასპიის ფლოტილიას(!). ინგლისელებს უშუალოდ დაექვემდებარა ტელეგრაფი, ფოსტა და სახელმწიფო ბანკი.

ლოკალურ-კავკასიური სპეციფიკის გამო – ომი სომხებსა და ქართველებს შორის, სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის, ბოლშევიკური ამბოხებანი, შეჯახებანი ქართველებსა და რუს კონტრრევოლუციონერებს შორის შავი ზღვის ექს-იმპერიულ პროვინციებში – დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო წინააღმდეგი იყო ამ სექტორში ჰყოლოდა საოკუპაციო ჯარები, მითუმეტეს მაშინ, როდესაც სხვა ზონებში, სადაც ინგლისს ჰქონდა უფრო დიდი და რადიკალური ინტერესები (იგულისხმება – ცენტრალური აზია, ირანი, ინდოეთი, სირია-მესოპოტამია, პალესტინა და ლიბანი – დ.ჯ.), ვითარება ასევე გაურკვეველი იყო..."[106]. სწორედ ამიტომ ბრიტანეთის გენერალიტეტის მიერ ლ.ლოიდ ჯორჯისადმი წარდგენილი ახალი სამხედრო სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი ამიერკავკასიიდან ინგლისის ჯარების ევაკუაციას ითვალისწინებდა: „ჩვენ გავარკვიეთ, – წერს ჩერჩილი, – შემდეგი ღონისძიებების აუცილებლობა... დაუყოვნებლივ შეწყდეს კავკასიაში ბაქო-ბათუმის ავანტიურა და ჩვენი ჯარები გამოყვანილ იქნან ამ სახიფათო და საპასუხისმგებლო მდგომარეობიდან, რომელშიაც ისინი აღმოჩნდნენ"[107].

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ინგლისის, ისევე როგორც ყველა ომიდან ახლადგამოსული ქვეყნის, წინაშე მეტად მწვავედ იდგა დემობილიზაციის პრობლემა, რასაც, ბუნებრივია, თან სდევდა ბრიტანული საოკუპაციო ჯარების პირადი შემადგენლობის საგრძნობი შემცირება. დემობილიზაციას განსაკუთრებით აქტიურად მოითხოვდა საზოგადოებრივი აზრი და ლოიდ ჯორჯის მთავრობამაც 1918 წლის დეკემბრის საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას მტკიცე პირობა მისცა ამომრჩევლებს, რომ მოახდენდა დემობილიზაციას კავკასიიდან სინას მთამდე და შავი ზღვიდან მესოპოტამიამდე დისლოცირებულ საოკუპაციო შენაერთებში.

[106] La Transcaucasia e la Russia nelle prospettive della politica imperiale britannica, PRO/FO, 702 1/3, p. 396.

[107] У. Черчиль, დასახ. ნაშრ., გვ. 108.

იმ საგარეო-პოლიტიკური ფაქტორებიდან, რომლებმაც განაპირობეს ამიერკავკასიის დეოკუპაციისა და ჯარების ევაკუაციისაკენ ინგლისის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორიენტირება, უპირატეს ალნიშვნას იმსახურებს პარიზის კონფერენციაზე დიდ სახელმწიფოებს შორის უთანხმოებათა ინტენსიფიკაცია. ამ უთანხმოებათა ღერძი კი ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობები იყო, რომლებმაც კულმინაციას სწორედ 1919 წლის თებერვალ-მარტში ე. წ. „ფონტენბლოს დოკუმენტის“[108] გამოქვეყნების დროს მიაღწიეს.

ერთი სიტყვით, ინგლისმა უარი თქვა ამიერკავკასიაში თავისი ჯარების ყოლაზე. მაგრამ ეს აქცია არამც და არამც არ გულისხმობდა ინგლისის გლობალურ-პოლიტიკურ სტრატეგიაში „საქართველოს საკითხის“ აბსოლუტურ გაქრობას, არამედ კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში ინგლისის დიპლომატიის მანევრირების, გარკვეული ლოკალური და საერთაშორისო მომენტებისადმი მისი დროებითი შეგუების შედეგს წარმოადგენდა. ეს არ მიუთითებდა იმაზე, რომ დიდ ბრიტანეთს გადაწყვეტილი ჰქონდა სამუდამოდ დაეთმო საქართველოს და მთელს ამიერკავკასიაში საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესები. ამ ფონზე ინგლის-იტალიის ალიანსი საქართველოზე მანდატის დაწესების საკითხში სპეციფიკურ ფორმას იძენდა. ამ სპეციფიკურობის არსი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ინგლისი საქართველოზე იტალიის მანდატის დამყარებას არ განიხილავდა მუდმივად დეფინირებულ სამხედრო-პოლიტიკურ რეალობად. არამედ ეს იყო შესანიშნავად გათვლილი, გარკვეული ქრონოლოგიური საზღვრებით შემოფარგლული კომპრომისი, რომელსაც მიზანდასახული ჰქონდა დროებითი უკანდახევა. საგულისხმოა, რომ ინგლისმა ორიენტაცია აიღო მაინცდამაინც იტალიაზე, რომელიც არ გამოირჩეოდა არც პოლიტიკური

---

[108] იხ. История Дипломатии, Т. III, М., 1966, გვ. 150-153

მდგრადობითა და სიძლიერით, არც სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალით. მაშასადამე, ინგლისმა ერთობ სუსტი მოკავშირე აირჩია იმ რწმენითა და იმედით, რომ იტალიის სამხედრო-პოლიტიკურ გავლენას საქართველოზე არ ექნებოდა ყოვლისმომცველი და სიღრმისეული ხასიათი და, საჭიროების შემთხვევაში, ამ გავლენის ბლოკირება თუ იტალიის „განდევნა" საქართველოდან მას არ გაუჭირდებოდა. მართალია, საქართველოში ინგლისის ჯარების იტალიის ჯარებით შეცვლა და იტალიის სამანდატო უფლებამოსილებათა რეალიზაცია გააძლიერებდა რეგიონში იტალიის გავლენას ინგლისის პოლიტიკური პოზიციების [illegible] ხარჯზე, მაგრამ ინგლისს, საერთაშორისო ასპარეზზე დომინანტური სტატუსის ფონზე, არ გაუჭირდებოდა იტალიაზე პოლიტიკურ-დიპლომატიური ბერკეტების ზემოქმედებით საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების დაცვა. ინგლისს შეეძლო დაეცვა იტალიის ინტერესები ე. წ. „ადრიატიკის პრობლემის" გადაწყვეტისას, საბერძნეთთან და ხორვატიასთან იტალიისათვის ხელსაყრელი სასაზღვრო რეჟიმის დაწესებისას. ამასთან, იტალიის დიპლომატია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ინგლისის გამოყენებას ხმელთაშუა ზღვის რეგიონში საფრანგეთის მზარდი ექსპანსიონისტური პოლიტიკის ნეიტრალიზაციისათვის. გარდა ამისა, იტალია ანტანტის ბლოკთან დაკავშირებული იყო მთელი რიგი საერთაშოროსო ვალდებულებებით, რაც, აპრიორი, გულისხმობდა სწორედ ინგლისის მიმართ ვალდებულებებს. აღნიშნული ბერკეტების ამოქმედებით ინგლისს შეეძლო ნებისმიერ მომენტში გაეწია კონტროლი იტალიის მოქმედებებზე საქართველოში და აქ იტალიის ზეგავლენის მთელი პროცესისათვის ერთგვარად მართვადი და კონტროლირებადი ხასიათი მიეცა. ამაში მდგომარეობს, ძირითადად მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს ის, რომ ინგლისმა საქართველო-ამიერკავკასიიდან თავისი „დროებითი წასვლის" ვითარებაში შექმნილი ვაკუუმის კომპენსირება იტალიას მიანდო.

1919 წლის 2 აპრილს ლოიდ ჯორჯმა ოფიციალურად აცნობა ვ.

ვილსონსა და ჟ. კლემანსოს ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარების იტალიის ჯარებით შეცვლის შესახებ უკვე მიღწეული ინგლის-იტალიის შეთანხმების თაობაზე. საფრანგეთის პოზიცია ამ გარიგებასთან დაკავშირებით უცნობია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტურ მასალებსა თუ მემუარებში კლემანსოსა და პიშონის (საგარეო საქმეთა მინისტრი) მიმართება ინგლის-იტალიის გადაწყვეტილებისადმი არ ფიქსირდება. სამაგიეროდ, ცნობილია აღნიშნული გარიგებისადმი აშშ-ის დამოკიდებულება, რომელიც შეიძლება ცალსახად შეფასდეს, როგორც ნეგატიური. ლ. ალდროვანდი მარესკოტი პირდაპირ მიუთითებს, რომ ლოიდ ჯორჯისაგან გარიგებაზე ცნობის მიღების უმალ „ვილსონმა სახეზე უკმაყოფილო გამომეტყველება მიიღო“[109]. აშშ-ის პრეზიდენტი აპელირებდა იმაზე, რომ ეს გადაწყვეტილება მოხდა კონფიდენციალური არხებით, აშშ-ის, საფრანგეთისა და სხვა დაინტერესებული სახელმწიფოებისაგან ფარულად, მათი აზრის გაუთვალისწინებლად. თუმცა, აშკარაა, რომ ვილსონის დიპლომატიური დემარშის უკან უფრო კონკრეტული და, რაც მთავარია, სტრატეგიული მიზეზები იდგა – მან შესანიშნავად განჭვრიტა ის გარემოება, რომ იტალიის ჯარების შეყვანა ინგლისური ოკუპაციისაგან გამოთავისუფლებულ ამიერკავკასიაში საფრთხეს უქმნიდა აშშ-ის სტრატეგიულ ინტერესებს ამ რეგიონში. საქართველოსა და ამიერკავკასიაში აშშ-ის სტრატეგიული და გეოპოლიტიკური ინტერესების არსი, მათი რეალიზაციისათვის შემუშავებული კონკრეტულ-ტაქტიკური მეთოდების სისტემა საფუძვლიანადაა ჩამოყალიბებული აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საინფორმაციო განყოფილების[110] სპეციალურ დოკუმენტში – „წინასწარი ანგარიშისა და წინადადებების პროექტი,

---

[109] Л. Альдрованди Маескотти, დასახ. ნაშრ., გვ. 234.

[110] ამ განყოფილებას ამერიკული გეოპოლიტიკის ბებია ქალს“ უწოდებენ. მის მიერ იქნა შემუშავებული არა ერთი გეოპოლიტიკური დოქტრინა – „მსოფლიოს გეოგრაფიული დაყოფა ორ ნაწილად“, „პანამერიკანიზმი“, „ატლანტიზმი“, „რეგიონალიზმი“ და სხვ.

მომზადებული ინსტრუქციათა შესაბამისად საინფორმაციო განყოფილების მიერ, პრეზიდენტისა და სრულუფლებიანი წარმომადგენლებისათვის". დოკუმენტის მიხედვით, აშშ-ის კავკასიური პოლიტიკის ღერძად მიჩნეულია ორიენტაცია სომხეთზე, რომლისთვისაც, სხვათაშორის, შავ ზღვაზე გასასვლელის უფლების მოტივირებით, ნავარაუდევი იყო ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების გადაცემა(?). თუ „იტალიური მანდატი" საქართველოს მხოლოდ საგარეო-პოლიტიკური პრეროგატივების ნაწილობრივ შეკვეცას უქადდა, „ამერიკული მანდატი", ამასთან, ტერიტორიული განუყოფლობის ხელყოფის პერსპექტივასთანაც იყო დაკავშირებული. როგორც ვხედავთ, სომხეთის ხელოვნური „გაძლიერება" და მასზე საკუთარი მანდატის დაწესება აშშ-ის სტრატეგიულ მიზანდასახულობას წარმოადგენდა. რაც შეეხება საქართველოს, მას ენიჭებოდა „დროებითი დამოუკიდებლობის" სტატუსი და შემდეგ იგი უნდა შეერთებოდა სომხეთს („ძია სემი" ამ „შეერთებაში" არ გამორიცხავდა ფედერაციულ გაერთიანებასაც). ანალოგიური პერსპექტივა ელოდა აზერბაიჯანსაც. აშშ-ის კავკასიური პოლიტიკის დოქტრინულ ელემენტებს შეიცავდა პოლკოვნიკ ჰაუზის ე. წ. „კომენტარებიც", რომლებიც ამ უკანასკნელმა დაურთო ვილსონის „თოთხმეტ პუნქტს". „კომენტარების", VI პუნქტში ხაზგასმული იყო, რომ „რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიული სივრცის აღდგენა შეუძლებელია", რომ „ამ სივრცის გარეთ უნდა დარჩეს პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ფინეთი, უკრაინა და ციმბირი". რაც შეეხება კავკასიას და შუა აზიას, „კომენტარებში" ნათქვამია: „კავკასია ალბათ, უნდა განხილულ იქნას, როგორც თურქეთის იმპერიის პრობლემის ნაწილი... სავსებით შესაძლებელია, რომ რომელიმე დიდ სახელმწიფოს (ბუნებრივია, რომ ჰაუზი აშშ-ს გულისხმობს – დ. ჯ.) გადაეცეს მმართველობის შეზღუდული მანდატი პროტექტორატის საფუძველზე"[111].

[111] Архив полковника Хауза, т. IV, М., изд. ОГИЗ, 1944, გვ. 151-153.

მაშასადამე, აშშ-ის ამიერკავკასიური პოლიტიკის პრიზმაში საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობა არც კი მოიაზრებოდა და ეს „ტერიტორიული გაერთიანებანი" სომხური ინკორპორაციის ობიექტებად მიიჩნეოდნენ. ამ კონტექსტში საკმაოდ ბუნებრივად გვეჩვენება ვილსონის ნეგატიური რეაქცია ლოიდ ჯორჯსა და ორლანდოს შორის მომხდარი გარიგებისადმი.

ინგლის-იტალიის შეთანხმება საქართველოსა და აზერბაიჯანში სამხედრო ოკუპაციის პირობების შესახებ მოხდა 1919 წლის 8 აპრილს, ორლანდოსა და ლოიდ ჯორჯის კერძო შეხვედრისას. სამწუხაროდ, შეთანხმების ტექსტი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ წინასწარი კონსულტაციების პირობებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი სრულ შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო იტალიის მთავრობის 22 მარტის გადაწყვეტილებასთან და ინგლისისა და იტალიის არმიების გენერალური შტაბების უფროსთა 24 მარტის შეთანხმების პრინციპებთან.

8 აპრილის შეთანხმება ორმხრივ სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებას წარმოადგენდა, მაგრამ მისი ლეგიტიმაციისათვის აუცილებელი იყო პარიზის კონფერენციის „ოთხთა საბჭოს" თანხმობა (ე.ი. აშშ-ისა და საფრანგეთის თანხმობა) და მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩაითვლებოდა ის სანქცირებულად მაშინდელი საერთაშორისო სისტემის უმაღლესი ფორუმისაგან. 19 აპრილს სასტუმრო „ედუარდ VII"-ში გაიმართა პარიზის კონფერენციაზე იტალიის ოფიციალური დელეგაციის (ორლანდო, სონინო, სალანდრა, რაჯი, ბარძილაი, ბისოლატი და მარესკოტი) სპეციალური სხდომა, რომელმაც განიხილა ე. წ. „იტალიური საკითხის" გადაწყვეტის საბოლოო პროექტი"[112]. დელეგაციამ გადაწყვიტა, რომ საქართველოსთან დაკავშირებით 8 აპრილს მიღებული შეთანხმება საბოლოო პროექტში შეეტანათ და, ამდენად ეს გარიგება, როგორც სამართლიანი კომპენსაციის გამოვლინება, გამხდარიყო „იტალიური საკითხის" საბო-

[112] Л. Алдрованди Маресκотти, დასახ. ნაშრ., გვ. 180-181.

ლოი სქემის ინტეგრალური ნაწილი. 1919 წლის 26 აპრილს პარიზის კონფერენციის „ოთხთა საბჭომ" მიიღო „იტალიური კრიზისის" გადაწყვეტის ე. წ. „მინიმალური სქემა", რომლის VII პუნქტში გათვალისწინებული იყო იტალიისათვის საქართველოსა და აზერბაიჯანზე მანდატის გადაცემა. ამასთან, ლოიდ ჯორჯის განცხადებით, „იტალიისათვის მანდატის გადაცემის საკითხი უნდა დამდგარიყო ალტერნატივის ფორმით: თუ ინგლისელები უარს იტყვიან იქ დარჩენაზე"[113]. საგულისხმოა, რომ ამ სქემას მხარი დაუჭირეს საფრანგეთის დელეგაციის მეთაურებმა – ჟ.კლემანსომ და ს. პიშონმა.

ამდენად, ერთა ლიგაში საქართველოს სამანდატო ქვეყნად გამოცხადებას, ამ მანდატის იტალიისათვის გადაცემის და რეგიონში ბრიტანული სამხედრო ოკუპაციის იტალიურით შეცვლის საკითხებზე დიპლომატიური მოლაპარაკებებისა და შეთანხმებათა მიღების ქრონოლოგია შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1919 წლის 15 მარტი – ლოიდ ჯორჯი სიტყვიერ თანხმობას აძლევს ორლანდოს საქართველოზე მანდატის გადაცემის თაობაზე;

მარტის შუა რიცხვები – პარიზის კონფერენციაზე იტალიის დელეგაციის გენერალური მდივანი ლ. ა. მარესკოტი ხვდება ინგლისის არმიის გენერალური შტაბის უფროსს ჰ.ვილსონს და ანიშნებს მას იტალიის მზადყოფნაზე – „კომპენსაციის" ფორმით მიიღოს მანდატი საქართველოსა და აზერბაიჯანზე;

16–24 მარტი – მიმოწერა ორლანდოსა და იტალიი ს მეფეს შორის აღნიშნული საკითხის ირგვლივ;

22 მარტი – მეფის სანქციით იტალიის მინისტრთა კაბინეტი ღებულობს წინასწარ გადაწყვეტილებას საქართველოსა და აზერბაიჯანში შეიარაღებული ძალების გაგზავნის შესახებ;

24 მარტი – კონფიდენციალური შეხვედრა იტალიისა და ინგლისის არმიების გენშტაბის უფროსებს შორის (ა. დიაცი და ჰ. ვილსონი). იხილება ჯარების შეცვლის პროცედურა და საქართველოში იტალიური შენაერთების დისლოკაციასთან დაკავშირებული პრობლემები;

[113] Л. Алдрованди Марескотти, დასახ. ნაშრ., გვ. 244.

2 აპრილი – ლოიდ-ჯორჯი „ფაქტის წინაშე აყენებს“ კლემანსოსა და ვილსონს;

8 აპრილი – ლოიდ ჯორჯისა და ორლანდოს კერძო შეხვედრისას ხდება 15 მარტის „ჯენტლმენური გარიგების“ ხელმოწერა და გარიგებაც დიპლომატიური დოკუმენტის სტატუსს იძენს;

19 აპრილი – იტალიის დელეგაციის სპეციალური სხდომა ღებულობს გადაწყვეტილებას აღნიშნული შეთანხმების „საერთო იტალიურ შეთანხმებაში“ ჩართვის შესახებ.

26 აპრილი – „ოთხთა საბჭო“ ამტკიცებს „მინიმალურ სქემას“, რომელშიც შეტანილია მუხლი საქართველოსა და აზერბაიჯანზე იტალიური მანდატის დაწესების თაობაზე.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, როცა პარიზის კონფერენციაზე კონფიდენციალური არხებით განიხილებოდა საქართველოზე იტალიური მანდატის გავრცელების საკითხი, საკუთრივ საქართველოს დელეგაციას მასში მონაწილეობა არ მიუღია. არც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იყო ინფორმირებული. იგი, როგორც იტყვიან, ფაქტის წინაშე დააყენეს მოგვიანებით, პოლკოვნიკ გაბას მისიის ჩამოსვლისას.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ეს საკითხი ინგლისსა და იტალიას შორის უაღრესი საიდუმლოების ვითარებაში იხილებოდა, დასაწყის ეტაპზე მასზე თვით კლემანსო და ვილსონიც კი არ იყვნენ ინფორმირებულნი და, ბუნებრივია, რომ საქართველოს დელეგაციას[114]

[114] პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაცია – ნ. ჩხეიძე (თავმჯდომარე), ირ. წერეთელი, კ. გვარჯალაძე, დ. ღამბაშიძე, ზ. ავალიშვილი, – აკრედიტაციისა და უფლებამოსილების ცნობის შემდეგ, გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უმთავრესი დიპლომატიური წარმომადგენლობა უცხოეთში. მას ჰქონდა სპეციალური უფლებამოსილება, მინიჭებული 1918 წლის 21 ნოემბრის მთავრობის სხდომაზე, განეხილა და მიეღო ოფიციალური გადაწყვეტილებანი პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში, შეესრულებინა საელჩოსა და საკონსულოს ფუნქციები, ეწარმოებინა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან სავაჭრო-ეკონომიკური და ფინანსური ხასიათის მოლაპარაკებანი და ა. შ.

წარმოდგენაც არ ჰქონდა ინგლის-იტალიის გარიგებაზე. თუმცა, როგორც ჩანს, დელეგაციაში მაინც ფლობდნენ არაოფიციალურ ცნობებს აღნიშნული მოლაპარაკების თაობაზე. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ იტალიის მთავრობის მიერ 22 მარტს ზემოთ-აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მეორე დღეს, 23 მარტს, პარიზში შედგა საქართველოს დელეგაციის სპეციალური თათბირი, რომელზეც სწორედ მანდატის საკითხი და ამ საკითხთან საქართველოს დამოკიდებულების პერსპექტივა იქნა განხილული (საგულისხმოა, რომ პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის თვენახევრიანი მოღვაწეობის მანძილზე ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მანდატის პრობლემა იქნა გაანალიზებული). ვფიქრობთ, ეს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ საქართველოს დელეგაციას ჰქონდა არაოფიციალური ინფორმაცია ინგლის-იტალიის გარიგებისა და 22 მარტის სამთავრობო გადაწყვეტილების შესახებ. ამიტომაც ნ. ჩხეიძემ და სხვებმა აუცილებლად ჩათვალეს მანდატის საკითხის წინასწარი განხილვა, რათა საკითხის ოფიციალური დაყენების შემთხვევაში საკუთარი პოზიცია უკვე დაფიქსირებული ჰქონოდათ. ნიშანდობლივია, რომ ქართული დელეგაციის წევრთა უმრავლესობამ „მანდატის" არსის განსაზღვრისას, იგი საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ალტერნატივად მიიჩნია. მაგალითად ნ. ჩხეიძე აღნიშნავდა, რომ „დიპლომატია საერთოდ ძნელი საქმეა, ეხლა კი სრულიად თავსამტრევი გახდა, ავიღოთ თუნდაც ეს მანდატი — შეიძლება დამოუკიდებლობასთან მისი შეერთება?..."[115]. არსებითად იგივე თვალსაზრისზე იდგა ირ. წერეთელიც, რომელიც უმართებულოდ მიიჩნევდა მანდატზე ან პროტექტორატზე დათანხმებას და მოუწოდებდა დელეგაციას ბოლომდე თავისი სტრატეგიული კურსის — საქართველოს

[115] ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1929, გვ. 173.

დამოუკიდებლობის აღიარების მიმდევარი ყოფილიყო. „ჩვენ დამოუკიდებლობის თვალსაზრისზე ვდგევართ, – ამბობდა იგი, – ყოველ შემთხვევაში მანდატით ან პროტექტორატით საქმის დაწყება არ უნდა იყოს მართებული... მოვითხოვოთ ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობა...“[116]. სხვათაშორის, თათბირზე ირ. წერეთლის გამოსვლის ერთი ფრაგმენტი – „ვთხოვოთ ინგლისს არ გაიყვანოს ჯარები“ – თვალნათლივ მიუთითებს, რომ პლერიმინალური ცნობები საქართველოდან ინგლისის ჯარების შესაძლო ევაკუაციის შესახებ უკვე ჰქონდათ პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დიპლომატიურ მისიაში.

თათბირზე ერთგვარად განსხვავებული პოზიციის დაფიქსირებით გამოვიდა ზ. ავალიშვილი[117]. მისი აზრით, დამოუკიდებლობის ფორმალური ცნობა და საქართველოს „განათლებულ ერთა ოჯახში მიღება“ სტრატეგიული საგარეო-პოლიტიკური ამოცანაა, მაგრამ, პირველ ხანებში, საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის სრულყოფა-განმტკიცებამდე, „გვჭირდება გარეშე დახმარება და მას უნდა ველოდეთ „მანდატარისაგან“... საქართველოს თავისი ძალებით ახლო მომავალში არ შეუძლია უზრუნველჰყოს თავი ყოველგვარი გარეშე საშიშროებისაგან. და თუ მივიღებთ, რომ დახმარება რომელიმე დიდი სახელმწიფოსი საჭიროა, მაშინ არ გვაქვს საფუძველი ზურგი შევაქციოთ მანდატს, მით უმეტეს, რომ მანდატი სრულდება ერთა ლიგის, ე.ი. უმაღლესი ინსტიტუტის უფლებით და ზედამხედველობით“[118]. ზ. ავალიშვილი იმ გარემოებასაც უსვამდა ხაზს, რომ სამანდატო უფლებამოსილებათა ფორმირების მექანიზმი, ძირითადში

---

[116] იქვე.

[117] ზ. ავალიშვილი ამ დროს დელეგაციის მრჩეველი იყო. იგი მხოლოდ 1919 წლის მაისში იქნა არჩეული, ისიც კოოპტაციის წესით, დელეგაციის შემადგენლობაში სრულუფლებიან წევრად.

[118] იქვე

პირდაპირი მოლაპარაკებანი შესაძლებელ მანდატორთან, საშუალებას იძლეოდა მანდატორი სახელმწიფოს პრეროგატივების „შემოფარგლისა“, ე. ი. საქართველოს სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობასთან მანდატის „შესაბამისობის“ უზრუნველყოფისა. ასეთ შემთხვევაში საქართველოზე მანდატის დაწესება შეიძლებოდა წარმართულიყო 1918 წლის გერმანია–საქართველოს შეთანხმებათა სქემის ანალოგიით, როდესაც გერმანიას მიენიჭა მთელი რიგი უფლებები, მათ შორის პოლიტიკური პრივილეგიებიც, მაგრამ ამას არ დაურღვევია 26 მაისის სტატუს კვო — დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

სამწუხაროდ საქართველოს დიპლომატიური მისიის 1919 წლის 23 მარტის „პარიზის თათბირის“ ავალიშვილისეულ აღწერილობაში არ ჩანს — თუ რა პრაქტიკული გეგმა თუ საბოლოო გადაწყვეტილება იქნა მიღებული მანდატის საკითხთან დაკავშირებით. თუმცა განსვენებული მეცნიერი და დიპლომატი იქვე დასძენს, რომ „საერთოდ ჩვენი მთავარი დელეგატები (ბუნებრივია იგულისხმებიან ჩხეიძე და წერეთელი — დ. ჯ.), როგორც აღმოჩნდა, სრულიადაც არ იყვნენ მანდატის პრინციპიალური მოწინააღმდეგენი, მაგრამ მათ სურდათ დაეცადათ...“[119].

23 მარტის თათბირიდან არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ, აპრილის დასაწყისში, პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე შეხვდა იტალიის დელეგაციის წევრს ს. რაჯის[120] და მრჩეველს პ. ტორეტის[121]. შეხვედრისას განხილულ იქნა საქართველოსა და იტალიის სავაჭრო–ეკონომიკური ურთიერ–

---

[119] იქვე

[120] სალვაგო რაჯი — იტალიელი დიპლომატი. პარიზის კონფერენციაზე იტალიის დელეგაციის სრულუფლებიანი წევრი.

[121] პიეტრო ტორეტი — მარკიზი, იტალიელი დიპლომატი. 1911–1917 წ.წ. იტალიის საქმეთა რწმუნებული პეტროგრადში. პარიზის კონფერენციაზე იტალიის დელეგაციის მთავარი მრჩეველი.

თობების პერსპექტივები. იტალიის მხარემ განსაკუთრებული დაინტერესება გამოხატა საქართველოს ქვანახშირის წარმოებაში არსებული სიტუაციით: „როგორია ქვანახშირის საქმე თქვენში?“ – ეს იყო მთავარი კითხვა, რომელიც დაუყენეს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს (ნ. ჩხეიძეს – დ. ჯ.) იტალიის სრულუფლებიანმა დელეგატებმა...“[122]. მართალია, ამ შეხვედრაზე დასმული საკითხების განხილვას ზოგადი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სწორედ ამ პერიოდში დასასრულს უახლოვდებოდა ინგლის-იტალიის საიდუმლო მოლაპარაკებანი საქართველოსა და აზერბაიჯანზე იტალიის მანდატის შემოღების პრობლემებზე, სავარაუდებელია, რომ რაჯი-ტორეტის მისიას იტალიის მთავრობა გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმის გასარკვევად – თუ რა რეაქციას გამოიწვევდა საქართველოს მხრიდან პერსპექტივაში დაგეგმილი ოპერაცია. მით უმეტეს, რომ ცოტა მოგვიანებით ტორეტი კიდევ ერთხელ მიავლინეს საქართველოს დელეგაციაში გაბას მისიის მიზანდასახულობის განმარტებისათვის. ყოველ შემთხვევაში, იტალიის მთავრობა, დიპლომატიური პრაქტიკის ელემენტარული ნორმებიდან გამომდინარე, დაინტერესებული უნდა ყოფილიყო, ასე ვთქვათ, „ფტეუ აფსეგქ“ ჰქონოდა წარმოდგენა იტალიური ჯარების შესვლასთან მიმართებაშისაქართველოს ხელისუფლების მხრიდან შესაძლებელ რეაქციაზე.

ინგლის-იტალიის 1919 წლის 8 აპრილის შეთანხმების შემდეგ იტალიის მმართველი წრეები ენერგიულად შეუდგნენ პირობების მომზადებას საქართველოში შეიარაღებული ძალების გაგზავნისა და დისლოცირებისათვის. პრემიერ-მინისტრი ორლანდო, საგარეო საქმეთა მინისტრი სონინო, გენერალური შტაბის უფროსი დიაცი, გენერალი კადორნა[123] და იტალიის სამხედრო-პოლიტიკური ელიტის

---

[122] ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 175.

[123] ლუიჯი კადორნა – გენერალი, პირველი მსოფლიო ომის დროს იტალიის არმიის მთავარსარდალი. კაპორეტოს კატასტროფის შემდეგ (1917 წ. 24 ოქტომბერი) გადაყენებულ იქნა პოსტიდან. პარიზის კონფერენციის დროს იყო იტალიის წარმომადგენელი ანტანტის უმაღლეს სამხედრო საბჭოში. აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოში სამხედრო ექსპედიციის გაგზავნას.

სხვა წარმომადგენლები აქტიურად მუშაობდნენ საქართველოში სამხედრო ექსპედიციის პროექტზე. ამ პროცესში ჩართულნი იყვნენ ქვეყნის საფინანსო-სამრეწველო წრეებიც.

ფრ. ნიტი გაოცებას ვერ მალავს, რომ „არა მარტო მთავრობა, არამედ მთელი რიგი ჭკვიანი ფინანსისტებისა და საერთოდ, პროგრესულად მოაზროვნე პირებისა წარმოადგენდა ამ ექსპედიციის დარწმუნებულ მომხრეს"[124].

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა იტალიის მთავრობის 1919 წლის 22 მარტის გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოში უნდა გაგზავნილიყო სამხედრო მისია, რომელსაც, ყველა პარამეტრით (პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, და ეთნოგრაფიული ვითარება, მოსახლეობის პოლიტიკური განვითარების დონე და სახელმწიფოებრიობის ხარისხი, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული სტრუქტურა, სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკური გავლენის დონე და ეკონომიკური პოზიციები) საქართველოში არსებული სიტუაციის გარკვევის შემდეგ, უნდა შეექმნა გარკვეული საფუძველი მთავრობის საბოლოო გადაწყვეტილებისათვის. უფრო კონკრეტულად რომ აღვნიშნოთ, მისიის უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს ყოველმხრივი გამოკვლევა, ამ მონაცემთა წარდგენა მთავრობისათვის და მათი ანალიზი, ბუნებრივია, შესაძლებლობას მისცემდა ორლანდო-სონინოს მთავრობას – მიეღო საბოლოო, სახელმძღვანელო გადაწყვეტილება მანდატის საკითხზე.

ამდენად, საქართველოში მივლინებული სამხედრო მისია წარმოადგენდა სპეციალურ, ორლანდო-სონინოს მთავრობისა და მეფე ვიქტორ-ემანუილ III-ის საგანგებო რწმუნებებით აღჭურვილ მისიას. აქვე უნდა ითქვას, რომ 22 მარტის გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის ძალით, იტალიის არმიის მთავარსარდლობას ებრძანა – დაეწყო საქართველოში გასაგზავნი სამხედრო შენაერთების დაკომპლექტება და მზადება. მაშასადამე, სამხედრო ექსპედიციასთან დაკავშირებული

---

[124] Ф. Нитти, ღიახ. ნაშრ., გვ. 123.

საკითხების მოგვარება მიმდინარეობდა სამხედრო მისიის საქართველოში მოღვაწეობის პარალელურად.

ბუნებრივია, მისიას, ზემოთჩამოთვლილი ფუნქციების გარდა, ჰქონდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ზეპირი, დაუწერელი ინსტრუქცია“ იმასთან დაკავშირებით, რომ გაეწია რეგიონში იტალიური პროპაგანდა, სათანადო არგუმენტაციის მოხმობითა და დიპლომატიური მანევრირებით დაერწმუნებინა ჟორდანია–გეგეჭკორის მთავრობა იტალიური მანდატის მიზანშეწონილობაში, საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკურ–სახელმწიფოებრივი განვითარებისათვის მის დიდ მნიშვნელობაში.

იტალიის სამხედრო მისიის პერსონალური შემადგენლობის ჩამოყალიბებას, 8 აპრილის შეთანხმების დადების შემდეგ, თითქმის ოცი დღე დასჭირდა. მეთაურად დაინიშნა იტალიური არმიის პოლკოვნიკი მელკიადე გაბა. მისია, საბოლოო ჯამში, 90–მდე წევრს ითვლიდა. მათ შორის: 19 ოფიცერი (აქედან სახმელეთო ჯარების 15 ოფიცერი და სამხედრო–საზღვაო ნაწილების 4 ოფიცერი), 50 სახმელეთო და საზღვაო ჯარისკაცი, ასევე – სამრეწველო, სატყეო, სავაჭრო და საფინანსო დარგის სპეციალისტები, ტექნიკური მუშაკები, ორი სამხედრო ექიმი, რადისტი და ექვსი თარჯიმანი. თუ მისიის შემადგენლობაში მყოფ ცალკეულ პიროვნებათა სოციალურ–საზოგადოებრივ სტატუსს გავითვალისწინებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ სამხედრო მისია საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო; მისი ერთერთი წევრი გახლდათ იტალიის სამეფო დინასტიის გავლენიანი წარმომადგენელი, სავოის პრინცი ედმონდი. როგორც იტალიური საარქივო მასალებიდან ცხადი ხდება, საქართველოზე იტალიის მანდატის დაწესების შემთხვევაში პრინცი ედმონდი უნდა დანიშნულიყო „იტალიის მონარქიის უმაღლეს კომისრად“ საქართველოში. მისიაში შედიოდნენ ასევე – იტალიის გენერალური კონსული ლ. ვალერი, მაიორი დელ პროპოსტო, ქ. სპოლეტოს მერი, ცნობილი იტალიელი მეცნიერი, გეოლოგიის პროფესორი ჯ. ნავარეზე

და სხვ. მისიის სამხედრო ატაშედ დაინიშნა მაიორი კარპანეტი.

სამხედრო მისია ვენეციიდან გამოვიდა 1919 წლის 27 აპრილს. 3 მაისს გაბა და მისი თანმხლები პირები კონსტანტინოპოლში იყვნენ, 9 მაისს კი — ბათუმში[125]. კონსტანტინოპოლში პოლკოვნიკი გაბა შეხვდა და საქართველოში იტალიური მისიის ძირითად მიზნებსა და დანიშნულებაზე ესაუბრა იტალიის უმაღლეს კომისარს თურქეთში კარლო სფორცას, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადრიდანვე (პარიზში ინგლის-იტალიის შეთანხმების მიღწევისთანავე) იყო ჩართული საქართველო-იტალიის ურთიერთობათა აქტივიზაციის პროცესში. აღსანიშნავია, რომ გაბას, პრემიერ-მინისტრისაგან მიღებული ინსტრუქციის თანახმად, სწორედ კონსტანტინოპოლში სფორცასთან ერთად უნდა მოემზადებინა იტალიის სამხედრო ექსპედიციის საწყისი ეტაპი[126].

ბათუმში იტალიის მისიას ჰქონდა მოლაპარაკება ქალაქის სამხედრო გუბერნატორთან, ინგლისელ გენერალ კუკ-კოლისთან და ბათუმში ინგლისის კონსულთან, სტევენსთან.

საქართველოს მთავრობის მხრიდან მისიას მიესალმა ჟორდანიას სპეციალური წარმომადგენელი გ. ჟურული. ამასთან, გაბასა და მის თანმხლებ პირებს კონსტანტინოპოლიდან მოჰყვებოდა თურქეთში საქართველოს დიპლომატიური მისიის წევრი ან. დეკანოზიშვილი.

ბათუმში გამართული შეხვედრებისა და ვითარების წინასწარი გაცნობის შემდეგ, 12 მაისს იტალიის მისია საგანგებო მატარებლით თბილისში ჩამოვიდა. ამ მოვლენას საკმაოდ ფართო რეზონანსი მოჰყვა საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში. რკინიგზის სადგურზე სამხედრო-პოლიტიკურ მისიას დახვდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგ. გეგეჭკორი, მისი მოადგილე კ. საბახტარაშვილი, სამხედრო მინისტრის მოადგილე, გენერალი გედევანიშვილი და სხვა ოფიციალური პირები. „ურთიერთმისალმების

---

[125] ი. ტაბაღუა, საქართველოს მანდატი...

[126] C. Sforza, დასახ. ნაშრ., გვ. 85.

შემდეგ მისიის მეთაური პოლკ. გაბა, მისიაში მყოფი საეოიის პრინცი ედმონდი ეგვ. გეგეჭკორთან ერთად მიესალმნენ საპატიო ყარაულს და გაემართნენ მათთვის განმზადებულ ბინებზედ"[27]. ოფიციალური მიღების ცერემონიალში საქართველოს მთავრობის ზემოთდასახელებულ წარმოდგენლებსა და ქ. თბილისის მერ ბ.ჩხიკვიშვილთან ერთად, ინგლისის სამხედრო ნაწილებიც იღებდნენ მონაწილეობას. მისიის წარმომადგენლობით მხარესა და ძირითად მიზნებზე საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ორგანო „სახალხო საქმე" წერდა: „შემადგენლობა მისსიისა საკმაოდ მრავალრიცხოვანია და მრავალფეროვანი. გარდა სამხედრო პირებისა, იქ არიან ყველა დარგის სპეციალისტები: ინჟინრები, ფინანსისტები, მრეწველობის მცოდნენი...მისიამ უნდა შეისწავლოს პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური მდგომარეობა ამიერკავკასიისს რესპუბლიკებისა... სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენს მთავრობასა და იტალიის წარმომადგენელთა შორის დამყარდება გულითადი ურთიერთობა"[28].

იტალიური მისიის ჩამოსვლით საბოლოოდ ფარდა აეხადა პარიზის კონფერენციაზე მომხდარ იტალია-ინგლისის გარიგებას ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარის იტალიურით შეცვლის შესახებ. ცნობილი გახდა ისიც, რომ იტალიის დიპლომატია ავლენდა მიზანსწრაფულ მცდელობას – მიეღო ერთა ლიგის მანდატი საქართველოსა და აზერბაიჯანზე.

ჯერ კიდევ მისიის თბილისში ჩამოსვლამდე ორი დღით ადრე, 10 მაისს, ნ. ჟორდანიამ ბაქოდან მიიღო ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარების მთავარსარდლის, გენერალ ტომსონის დეპეშა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ბრიტანეთის ჯარი სტოვებს ამიერკავკასიას და მათ მაგიერ მოვლენ იტალიელთა ჯარები და თვით ტომსონი ინგლისში მიემგზავრება, მის ნაცვლად მთავარსარდლის პოსტზე გენერალი კორი დაინიშნება[29]. ტომსონი საქართველოს მთავრობის

[27]. გაზ. „საქართველო", 1991 წ. 13 მაისი.

[28] გაზ. „სახალხო საქმე", 1919 წ. 14 მაისი.

[29] „საქართველო", 1919 წ. 13 მაისი.

თავმჯდომარეს ატყობინებდა, რომ საოკუპაციო ჯარების ცვლილებას მხოლოდ სამხედრო ხასიათი აქვს და მანდატის საკითხთან დაკავშირებულ პოლიტიკურ დატვირთვას არ გულისხმობს, რაც საბოლოოდ პარიზის კონფერენციაზე გადაწყდება: „...გთხოვთ, აღმოუჩინოთ ამ მისიას (გაბას მისიას – დ. ჯ.) ყოველგვარი მხარდაჭერა. ეს ცვლილება წმინდად სამხედროა. არ არის საკითხი მანდატის შესახებ... პარიზის კონფერენციის გადაწყვეტილება შემდგომში იქნება“[130]. გენერალ ტომსონის დეპეშიდან (ანალოგიური ხასიათის დეპეშა გაეგზავნა აზერბაიჯანის მუსავატისტურ მთავრობასაც) ცხადი გახდა, რომ დადგენილი აქცია მხოლოდ ინგლის-იტალიის კერძო, სეპარატული შეთანხმების შედეგი იყო და არ არსებობდა მასზე ანტანტის უმაღლესი საბჭოს სანქცია. სხვათაშორის, ამის შესახებ არაორაზროვნად განუცხადეს პარიზში მყოფ საქართველოს დელეგაციასაც აშშ-ის წარმომადგენლებთან შეხვედრისას: „როგორც მაშინ ამერიკის დელეგაციაში გადმოგვცეს, ერთის (იტალიის – დ. ჯ.) მიერ მეორის (ინგლისის – დ. ჯ.) შეცვლა კონფერენციაზე მოხდა მხოლოდ იტალია-ინგლისის შეთანხმებით“[131].

უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელი საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით ჯარების შეცვლის აქცია არ წარმოადგენდა ნონსენსს, რადგანაც 1918 წლის მუდროსის ზავის პირობით ამიერკავკასია ბრიტანული სამხედრო ოკუპაციის რეგიონი იყო და ინგლისს შეეძლო საზავო ხელშეკრულებით ფიქსირებული ეს უფლება ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, მათ შორის იტალიისათვის, გადაეცა. მითუმეტეს, რომ მუდროსის ზავს იურიდიული ძალა ჰქონდა 1920 წლის სევრის ხელშეკრულების დადებამდე. მაგრამ სულ სხვა განზომილებაში ექცეოდა პოლიტიკური მომენტი-მანდატის საკითხი, რომლისთვისაც აუცილებელი იყო პარიზის კონფერენციის ოფიციალური გადაწყვეტილება. ამიტომაც

[130] Борьба за победу Советской власти в Грузии (документы и материалы) 1917-1921 г.г. ,Тб., 1964, გვ. 415

[131] იქვე, გვ. 452.

გასაგებია, თუ რატომ არის ხაზგასმული იტალიური მისიის საქარველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით ტომსონის დეპეშაში ამ აქციის სამხედრო ხასიათი, ხოლო მანდატის საკითხში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება – პარიზის კონფერენციის პლენარული სხდომისა და ანტანტის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციად გამოცხადებული.

ცოტა მოგვიანებით ნ. ჟორდანიასთან შეხვედრისას, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ ევ. გეგეჭკორი და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანი მაჭავარიანი, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის შეკითხვაზე იტალიური სამხედრო შენაერთების საქართველოში ყოფნის ვადებთან დაკავშირებით, გენერალმა კორმა ასეთი პასუხი გასცა: „მე ვფიქრობ, რომ ეს არის კონფერენციაზე წინასწარ გადაწყვეტილი ერთ-ერთი საკითხი“[132]. ბუნებრივია, აქ ინგლისელი გენერალი გულისხმობდა ინგლის-იტალიის ორმხრივ შეთანხმებას, რომელიც კონფერენციაზე ამ ორი ქვეყნის წარმომადგენლობებს შორის იქნა მიღწეული და არა კონფერენციის საერთო გადაწყვეტილებას. ამასთან, კორმა დააიმედა ნ. ჟორდანია იმაში, რომ იტალიელები საქართველოში დამოუკიდებლად კი არ იმოქმედებდნენ საკუთრივ იტალიური დირექტივების საფუძველზე, არამედ ანტანტის ბლოკის მიმართ იტალიის სამხედრო ვალდებულებათა ფარგლებში: „ისინი იმოქმედებდნენ ისევე, როგორც ინგლისელები – ანტანტის სახელით“[133] – აღუთქვა მან ნ. ჟორდანიას.

საწყის ეტაპზე ცნობამ ინგლისის ჯარების გაყვანისა და იტალიური ჯარებით მათი შეცვლის შესახებ გარკვეული შეშფოთება და, ნაწილობრივ გაურკვევლობაც, გამოიწვია საქართველოს პოლიტიკურ წრეებში. ჟორდანია-გეგეჭკორის მთავრობას, უწინარეს

---

[132] Борьба за победу Советской власти в Грузии (документы и материалы) 1917-1921 г.г. ,Тб., 1964, გვ. 415

[133] იქვე, გვ. 452.

ყოველისა, სურდა მიეღო სრული და უპირობო გარანტია იმისა, რომ აღნიშნული მეტამორფოზა არ გამოიწვევდა ანტანტის საერთო, გლობალური სტრატეგიის შეცვლას საქართველოს მიმართ. გარდა ამისა, მოქმედებდა „დროის ფაქტორიც“; ინგლისელები უკვე ნახევარი წლის განმავლობაში იყვნენ საქართველოში, არსებობდა მათთან თანამშრომლობის გარკვეული გამოცდილება, საზოგადოებრივი აზრიც, ასე თუ ისე, ადაპტირებული იყო ბრიტანული ოკუპაციისადმი. ამდენად ვითარების შემობრუნება, ბუნებრივია, გამოიწვევდა გარკვეულ გრადაციებს როგორც მოსახლეობაში, ისევე მთავრობაში. მითუმეტეს, რომ საქართველოს მესვეურთათვის ფაქტიურად უცნობი იყო იტალიელთა განზრახვანი, საქართველოთი მათი დაინტერესების მასტიმულირებელი ფაქტორები. გენერალ კორთან შეხვედრისას ნ. ჟორდანია არც მალავდა საქართველოს მთავრობის უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ჯარების შეცვლის შესახებ შეთანხმება საქართველოსათვის გვერდით ავლით, თუნდაც პარიზის კონფერენციაზე მყოფი ქართული დელეგაციის წინასწარი ინფორმირების გარეშე მოხდა: „ჩვენ უკვე გავეცანით ინგლისელებს, მათ დაგვარწმუნეს თავიანთ სიმპათიებში და ამ დროს უეცრად მოდიან იტალიელები. ჩვენ არ ვიცით მათი განზრახვანი“[134].

როგორც ზ. ავალიშვილი წერს, პარიზის კონფერენციაზე მყოფ საქართველოს დელეგაციას ინგლისური წყაროებიდან ჯერ კიდევ მარტის ბოლოსა და აპრილის დასაწყისში მიუღია არაოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ „აზრათ აქვთ ამიერკავკასიაში ინგლისური ჯარი შეცვალონ იტალიურით“[135]. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა 27 აპრილს ვენეციიდან საქართველოში (კონსტანტინოპოლის გავლით) იტალიის სამხედრო მისიის გამგზავრების შესახებ, პარიზში მყოფმა საქართველოს დელეგაციამ მოითხოვა აუდიენცია

---

[134] Борьба за победу Советской власти в Грузии (документы и материалы) 1917-1921 г.г. ,Тб., 1964, გვ. 415

[135] ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრ.,გვ. 175.

იტალიის პრემიერ-მინისტრთან. მაგრამ ორლანდო, სონინო და იტალიის დელეგაციის სხვა ძირითადი წევრები იმ დროს რომში იმყოფებოდნენ, ამიტომ ქართული დელეგაცია მიიღო პარიზის კონფერენციაზე იტალიის წარმომადგენლობის მთავარმა მრჩეველმა პიეტრო ტორეტიმ. ამ შეხვედრას, როგორც მისი ავალიშვილისეული აღწერილობიდან ჩანს, ძირითადად საინფორმაციო-საკონსულტაციო ხასიათი ჰქონდა და ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც ტორეტის, იტალიის დელეგაციაში თავისი სტატუსიდან გამომდინარე, არ ჰქონდა რაიმე ოფიციალური მოლაპარაკებების წარმოებისა თუ გადაწყვეტილებათა მიღების უფლებამოსილება. მაგრამ იტალია-ინგლისის შეთანხმებისა და პოლკოვნიკ გაბას მისიასთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს დელეგაციის ინფორმირების თვალსაზრისით ამ შეხვედრას მაინც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. ზ.ავალიშვილიც ხომ პირდაპირ მიუთითებს, რომ შეხვედრა განაპირობა საქართველოს დელეგაციის მოთხოვნამ-გაბას მისიის თაობაზე თვით იტალიელებისაგან მიეღო განმარტება. ტორეტიმ ჩხეიძეს და წერეთელს აუწყა, რომ „მისია გაიგზავნა ქვეყნის სახსრების გასაცნობად და საწარმოო და ფინანსური საკითხების მოსაგვარებლად". მისიის ეკონომიკური ასპექტების წარმოდგენის შემდეგ იტალიელმა დიპლომატმა მიანიშნა სამხედრო მომენტებზე და აღნიშნა, რომ „შესაძლებელია ინგლისის ჯარები გამოყვანილი იქნეს საქართველოდან, და ისინი შესცვალონ იტალიელების ჯარებმა"[136]. ამასთან, ტორეტიმ აღუთქვა ქართველ დელეგატებს, რომ საქართველოში იტალიის სამხედრო ყოფნა არ გამოიწვევს პოლიტიკურ ცვლილებებს და იტალია არ ხელყოფს საქართველოს სუვერენიტეტს, არ ჩაერევა მის საშინაო საქმეებში და იტალიური შენაერთების საქართველოში დისლოცირება „დაემორჩილება იმავე პირობებს, რა პირობითაც იქ იყვნენ ინგლისელები"[137]. დასასრულს, ტორეტიმ ოფიციალურად

[136] ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრ.,გვ. 176.

[137] იქვე

განაცხადა იტალიის მთავრობის მზადყოფნაზე – დაეცვა თავისი სტრატეგიული საგარეო-პოლიტიკური კურსი საქართველოსთან მიმართებაში და ყოველნაირად შეეწყო ხელი მისი დამოუკიდებლობის დე ფაქტო და დე იურე ცნობისათვის უშუალოდ პარიზის კონფერენციაზე.

საკუთრივ საქართველოში იტალიის სამხედრო-პოლიტიკური მისიის ჩამოსვლას, როგორც ავღნიშნეთ, საკმაო რეზონანსი მოჰყვა. ქართულმა გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალებმა ინგლისის ჯარების იტალიურით შეცვლის პერსპექტივა შეაფასეს, როგორც საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე „მოვლენათა კალეიდოსკოპური ცვალებადობა“ და მთავრობას ენერგიული, ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისი საგარეო-პოლიტიკური კურსის მტკიცედ გატარება მოსთხოვეს. გაზეთ „საქართველოს“ (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო) 1919 წლის 12 მაისის მეწინავე სტატია „მიდი-მოდიან“ აღნიშნავდა: „ჩვენთვის სახელდახელო აუცილებლობას წარმოადგენს საკუთარი პოზიციის სწრაფი გამორკვევა, რომ... დაახლოვებით სწორი გეზი ავიღოთ და მართვა-გამგეობის ყოველდღიური ენერგია მაქსიმალურად გამოვიყენოთ ქვეყნის მთლიანობის და სუვერენობის დასაცავად“.

1919 წლის 10 მაისს შედგა საქართველოს დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა, რომელმაც განიხილა საგარეო საქმეთა მინისტრის ევ. გეგეჭკორის მოხსენება შექმნილი ახალი საერთაშორისო ვითარების შესახებ. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს გრ. გიორგაძემ და რ. არსენიძემ (სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია), დამფუძნებელი კრების გარეშე საქმეთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ, სოციალ-ფედერალისტმა ს. მდივანმა, დამფუძნებელი კრების ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარემ სპ. კედიამ და სხვ. სხდომაზე აღინიშნა, რომ ქართული დიპლომატიის მიერ აღებული სტრატეგიული კურსი უცვლელია, „საქართველო უცვლელი რჩება ანტანტის წარმომადგენლობის მორიგ ცვლილებაში... რა რწმენითაც აქ შევეგებეთ

ინგლისს, ამავე გრძნობითა და რწმენით ვეგებებით იტალიასაც“[138].

ქართველ პოლიტიკოსებს შესანიშნავად ესმოდათ საქართველოთი და აზერბაიჯანით იტალიის დაინტერესების წინამძღვრები და მზად იყვნენ „იტალიის ქართული ორიენტაციისათვის“, ასე ვთქვათ, შემხვედრი მიმართულება – „საქართველოს იტალიური ორიენტაცია“ დაეპირისპირებინათ. მართლაც, ინგლის-იტალიას შორის უკვე ფაქტიურად მომხდარი გარიგების შემდეგ სწორედ იტალიას უნდა ეკისრა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ქმედითი გარანტიების შექმნა, როგორც საქართველოში მიმდინარე პროგრესული პროცესების ხელშეწყობით, ისევე საზავო კონფერენციაზე საქართველოს საკითხისადმი მხარდაჭერით. ამ თვალსაზრისით იტალიელთა დაპირებანი – რომ ისინი არ ჩაერევიან საქართველოს საშინაო საქმეებში და ყოველგვარი დიპლომატიური არხებით ეცდებიან საერთაშორისო არენაზე საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას – მეტად საიმედოდ გამოიყურებოდა და რეალურ პერსპექტივად ისახებოდა. 10 მაისის სხდომაზე მიღებული დამფუძნებელი კრების რეზოლუციის თანახმად, საქართველოს სუვერენული უფლებებისა და სასიცოცხლო ეროვნული ინტერესების დაცვის საკითხი სრულებითაც არ ეწინააღმდეგება „მსოფლიო ომის შემდეგ შემოსულ „შეთანხმების“ სახელმწიფოების (იგულისხმება ანტანტის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ქვეყნები – დ. ჯ.) არსებით ინტერესებს“[139]. რეზოლუცია ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ინტერესთა თანხვედრის ამ „ნიადაგზე შესაძლებელია განხორციელდეს ჩვენი ახალაღორძინებული დემოკრატიის თანამშრომლობა მსოფლიოს უძველეს დემოკრატიულ სახელმწიფოებთან... დამფუძნებელ კრებას სწამს, რომ ჩვენი

---

[138] გაზ. „საქართველო“, 1919 წლის 13 მაისი.

[139] იხ. „საქართველოს დამფუძნებელი კრება“, სტენოგრაფიული ანგარიში, 15-ე სხდომა, ტფ., 1919, გვ. 28

მთავრობის ზრუნვა, ამ მხრივ მიმართული, შეხვდება სრულს თანაგრძნობას აქ ჩამოსული უცხო ძალის (იტალიის – დ. ჯ.) მხრიდან"[140]. მაშასადამე, საქართველოს პოლიტიკურმა მესვეურებმა აშკარად აგრძნობინეს ახლადჩამოსულ იტალიურ მისიას, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი მიმართულება იყო ქვეყნის დამოუკიდებლობისა და საერთაშორისო ურთიერთობებში სუვერენული უფლებების დაცვა და საქართველოც აქტიურად ითანამშრომლებდა მხოლოდ იმ „უცხო ძალასთან", რომლის ქმედებებსაც საფუძვლად დაედებოდა ეს პრინციპები.

როგორც ჩანს, საქართველო–იტალიის სამხედრო–პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის იდეას საკმაოდ ბევრი მომხრე გამოუჩნდა როგორც იტალიის, ისევე საქართველოს გავლენიან წრეებში. საქართველოზე იტალიის მანდატის დაწესების მომხრენი, ითვალისწინებდნენ რა კავკასიასა და საერთაშორისო ასპარეზზე არსებულ სიტუაციას, „ფიქრობდნენ, რომ საკმაოა მოკავშირეთა ჯარების მარტოოდენ საქართველოში ყოფნა, რათა საქართველო და აზერბაიჯანი დაცულნი იყვნენ გარეშეთა ყოველივე შემოტევისაგან, და დიდს იმედებს ამყარებდნენ ამიერკავკასიაში იტალიელების გაგზავნაზე..."[141] ამასთანავე, იტალიის სამხედრო და პოლიტიკური წრეები საქართველოში იტალიურ ოკუპაციას დროებით მოვლენად („fenomeno temporaneo") სახავდნენ, „სანამ საერთო მშვიდობიანობა დამყარდებოდეს და ადგილობრივი ძალები მოეწყობოდეს"[142] ბუნებრივია, „ადგილობრივი ძალების მოწყობაში" გულისხმობდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის, მისი პოლიტიკური სისტემისა და ეკონომიკური საფუძვლების განმტკიცება–გამყარებას. საგულისხმოა იტალიის მთავრობის ხუთპუნქტიანი გადაწყვეტილების „ამიერკავკასიაში მოქმედების შესახებ" – მე–2 პუნქტი,

---

[140] იქვე.

[141] ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 177.

[142] იქვე.

რომელიც იღვალისწინებდა იტალიის აქტიურ მხარდაჭერას საქართველოსა და აზერბაიჯანში[143] სამოქალაქო ცხოვრებისა და წესრიგის აღდგენის საქმეში. ხოლო პარიზში იტალიის საელჩოს მრჩეველის, გრაფ რადინოს მიერ შემუშავებული დოკუმენტის- „იტალიის მიზნები და ინტერესები ამიერკავკასიაში“[144] - მე-3 მუხლი იძლეოდა საქართველოში იტალიის სამხედრო ყოფნის ქრონოლოგიურ შემოსაზღვრას 3-5 წლით, სანამ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები არ განმტკიცდებოდნენ და სტაბილური პოლიტიკური არსებობის გარანტიებს არ შეიქმნიდნენ.

საქართველო-იტალიის ურთიერთობათა ინტენსიფიკაცია ფართო მხარდაჭერით სარგებლობდა საქართველოშიც. „იტალიური ორიენტაციის“ მიმდევარი წრეების პოზიცია, ვფიქრობთ, ყველაზე რელიეფურად გამოვლინდა სამთავრობო წრეებთან დაახლოებული ჟურნალისტის ვ. ვოიტინსკის[145] მოხსენებაში, რომელიც მან 1919 წლის 24 მაისს წარედგინა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტს. იტალიურ მისიას და კონსტანტინოპოლში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას შორის გამართული შეხვედრების მოკლე აღწერილობის შემდეგ ვოიტინსკი გადმოსცემს, თუ რაოდენ დიდ ინტერესს იჩენს იტალია საქართველოსთან ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებისადმი, რადგანაც ამიერკავკასიის საკითხს სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება იტალიის დიპლომატიასა

---

[143] აზერბაიჯანში იტალიის მისიის საქმიანობის შესახებ იხ. Ф. Токаржевский. Из истории иностранной интервенции и гражданской войны в Азербайджане, Баку, 1957, გვ. 237-238.

[144] Д. Энукидзе, Крах империалистической интервенции в Закавказье, Тб., 1954, გვ. 179.

[145] ვლადიმერ ვოიტინსკი – ცნობილი ჟურნალისტი. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო აქციებში. მოგვიანებით, იყო კ. კანდელაკის საგანგებო ეკონომიკური მისიის მრჩეველი იტალიაში.

და საგარეო პოლიტიკაში. „იტალიის დელეგაციამ (გაბას მისიამ – დ. ჯ.), რომელიც ტფილისში მიემგზავრებოდა, – წერს ვოიტინსკი, – სტამბულში ინახულა საქართველოს დელეგატები... როგორც გამოირკვა, იტალია ფრიად მეგობრულად არის განწყობილი. მე, პირადად, დიდ მნიშვნელობას ვაძლევ საქართველოს იტალიასთან დაახლოებას"[146]. ვოიტინსკი საქართველო–იტალიის ურთიერთობათა სისტემაში მაინც ეკონომიკურ კავშირურთიერთობებს ანიჭებდა გადამწყვეტ როლს. ამასთან, ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ საქართველოს მთავრობის მიერ ნავარაუდევი ე. წ. „კონცესიური პოლიტიკის" გატარების პირობებში ეს ურთიერთობანი დამყარებული უნდა ყოფილიყო ურთიერთსარგებლიანობისა და სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორობის პრინციპებზე. კერძოდ, იგი წერდა: „იტალიის მეურნეობის სახე ძლიერ ენათესავება საქართველოს მეურნეობას... იტალიის ინდუსტრიას შეუძლია საქართველოს ყველა მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს. სამაგიეროდ, იტალიას სჭირია ნედლი მასალა, როგორიცაა: მადანი, აბრეშუმის პარკი, თუთუნი და განსაკუთრებით სხვადასხვაგვარი ხე-ტყე..."[147].

იტალიის სამხედრო-პოლიტიკური მისიის ჩამოსვლასთან დაკავშირებით საქართველო–იტალიის ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები განიხილა საქართველოს დამფუძნებელი კრების გარეშე საქმეთა კომისიამ, თავის სპეციალურ სხდომაზე 1919 წლის 12 მაისს. სხდომაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი ევ. გეგეჭკორი, რომელიც დაწვრილებით შეეხო გაბას მისიასთან შემდგომი ურთიერთობის უმთავრეს მიმართულებებს, იტალიასთან თანამშრომლობის პრიორიტეტულ სფეროებს. მოხსენების გამო გამართულ მსჯელობაში აქტიურად მონაწილეობდნენ კომისიის წევრები – გ. გვაზავა, ივ. გობეჩია, ნ. ელიავა,

---

[146] გაზ. „ერთობა", 1919 წლის 25 მაისი.
[147] გაზ. „ერთობა", 1919 წლის 25 მაისი.

კ. ჯაფარიძე, ი. სალაყაია. გადაწყდა „განეცხადოს იტალიურ მისიას, რომ საქართველოს სჭირია იტალიის დახმარება როგორც ფინანსურ, ისე ეკონომიკურ დარგებში. მაგრამ პოლიტიკური ფორმა უნდა იყოს ისეთი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს დამოუკიდებლობას"[148].

პოლკოვნიკ გაბას მისია საქართველოში ჩამოსვლისთანავე შეუდგა აქტიურ დიპლომატიურ საქმიანობას. 14 მაისს გაბა და მისი თანმხლები პირები საქართველოს მთავრობამ ოფიციალურ საუზმეზე მოიწვია. „საუზმეზე წარმოითქვა სიტყვები და გაიმართა აზრთა გაზიარება საქართველოს მთავრობასა და იტალიის დიპლომატიურ მისიას შორის"[149]. იმავე დღეს მელკიადე გაბა მიიღო მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ და საუბარი ჰქონდა მასთან. ამასთან, მისიის წარმომადგენლებს შეხვედრა ჰქონდათ საქართველოს დამფუძნებელ კრებაში. აქ მათ მიესალმა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე ალ. ლომთათიძე[150]. გამართული საუბრის დროს, რომელიც გულთბილ ხასიათს ატარებდა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, იტალიელმა სტუმრებმა „გამოთქვეს სურვილი დამფუძნებელი კრების სხდომაზე დასწრებისა"[151].

ამავე პერიოდში, 14 თუ 15 მაისს პოლკოვნიკმა გაბამ სპეციალური დეპეშა მიიღო პარიზიდან, საზავო კონფერენციაზე მყოფი იტალიის დელეგაციისაგან. იტალიის მთავრობას სურდა გაბასაგან მიეღო ამომწურავი ინფორმაცია საქართველოსა და აზერბაიჯანში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე, რეგიონში დიდი ბრიტანეთის გავლენის ხარისხზე, ადგილობრივი მთავრობებისა და მოსახლეობის დამოკიდებულებაზე ინგლისის საოკუპაციო ჯარებისადმი. ყურადღებას

---

[148] სცსსა, ფ. 1833, ს. 235, ფ. 2.

[149] გაზ. „სახალხო საქმე", 1919 წლის 16 მაისი.

[150] ნ. ჩხეიძის პარიზში ყოფნის გამო, ალ. ლომთათიძე ფაქტიურად დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებდა.

[151] „ერთობა", 1919 წლის 15 მაისი.

იქცევს ის გარემოება, რომ ორლანდოს კაბინეტის განსაკუთრებული ინტერესების სფეროში შედიოდა იმის გარკვევა, ნამდვილად აპირებდნენ თუ არა ინგლისელები საქართველოსა და აზერბაიჯანის სამხედრო ოკუპაციის შეწყვეტას. იტალიის მმართველმა წრეებმა შესანიშნავად იცოდნენ, თუ რატომ აირჩია ინგლისმა საქართველოში თავის შემცველად ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით საფრანგეთსა და აშშ-ზე სუსტი იტალია. ისინი რეალურად გრძნობდნენ, რომ ინგლისის გათვლით „იტალიური მანდატი საქართველოზე" უნდა ყოფილიყო არა, ასე ვთქვათ, სუვერენული მანდატი, არამედ მთელს რეგიონზე ინგლისის მანდატის განსაკუთრებული ფორმა, მისი ნაირსახეობა. ამიტომაც იყო, რომ იტალიის მთავრობას განსაკუთრებით აინტერესებდა – რეალურად ხორციელდება თუ არა ლოიდ ჯორჯის დაპირება ამიერკავკასიიდან ბრიტანული სამხედრო ნაწილების ევაკუაციის შესახებ. მხოლოდ ამ შემთხვევაში, საქართველოს სრული დეოკუპაციის შემდგომ, იქნებოდა რეალური რეგიონში იტალიის სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფის პერსპექტივა.

საგულისხმოა, რომ ამ ხანებში იტალია-ინგლისის ურთიერთობანი ერთგვარად „გაცივდა" პარიზის კონფერენციაზე ე. წ. „იტალიური საკითხისადმი" ინგლისის დამოკიდებულებასთან დაკავშირებით[152]. ვფიქრობთ, ამ გარემოებით უნდა აიხსნას იტალიის მთავრობის მიზანსწრაფული დაინტერესება ამიერკავკასიიდან ინგლისის ჯარების სრული გაყვანის დაჩქარებით. მართლაც, მაისის შუა რიცხვებში გაბა შეხვდა საქართველოში ინგლისის ჯარების სარდალს, გენერალ ფორესტიე-უოკერს და საოკუპაციო ნაწილების სხვა წარმომადგენლებს. შეხვედრათა ძირითადი თემები იყო –

[152] მხედველობაში გვაქვს ლოიდ ჯორჯის მხარდაჭერა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის ვენიზელოსის მოთხოვნისადმი – საიქს-პიკოს შეთანხმებით იტალიისათვის განკუთვნილი იზმირის (სამხრეთ-დასავლეთ ანატოლია) საბერძნეთის იურისდიქციაში გადასვლის შესახებ.

საქართველოდან დიდი ბრიტანეთის ჯარების გაყვანის ვადები და ტემპები, ბათუმში ინგლისური სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის დემონტაჟის პერსპექტივები, ინგლისის სარდლობის დამოკიდებულება დენიკინის მოხალისეთა არმიისა და მისი ანტიქართული აქციებისადმი და ა. შ.

იტალიის მთავრობის მიერ დასმული პრობლემატური საკითხების ირგვლივ მეტად ღირებული და საჭირო ცნობების თავმოყრის შემდეგ, 1919 წ. 19 მაისს გაბამ ვრცელი დეპეშა გაუგზავნა პარიზში იტალიის სამთავრობო დელეგაციას. საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების დახასიათებისას, გაბა ხაზგასმით მიუთითებდა პოლიტიკურ არასტაბილურობაზე, სიტუაციის მერყეობასა და პერმანენტული ცვალებადობის ტენდენციაზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი უშიშროების არამყარობაზე. „პოლიტიკური ვითარება მერყევია, – წერდა პოლკოვნიკი ორლანდოს, – არეულ-დარეულია, ნერვულია, საზოგადოებრივი უშიშროება არ დგას სათანადო დონეზე. ბანდიტიზმი თბილისსაც მოედო...“[153]. გაბა ლაკონურად წარმოადგენს ასევე საქართველოს ფინანსურ და ეკონომიკურ ვითარებასაც: „...ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა მეტად მძიმეა; მუშების უმრავლესობა ან სრულებით აღარ ღებულობს ხელფასს, ან ღებულობს ცოტას; პირველი მოხმარების საგნების ნაკლებობაა. არ არის პური, ვინაიდან ეოლგისა და კასპიის ზღვის რაიონებიდან უკვე არ შემოდის იგი; ეკონომიკური და სავაჭრო ცხოვრება მთლიანად მოშლილია...“[154].

თავის დეპეშაში გაბა საგანგებოდ შეეხო ინგლისის დამოკიდებულებას საქართველოსადმი და ინგლისის ჯარების გაყვანის საკითხებს. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისათვის მართლაც დაიწყო ინგლისის ჯარების ზოგიერთი შენაერთის ევაკუაცია. 1919 წლის 17

---

[153] ი. ტაბაღუა საქართველოს მანდატი....

[154] Maria Petricioli, Loccupazione italiana del Caucaso..., P 59.

მაისის „სახალხო საქმე“ წერდა: „საქართველოდან დაიწყო ინგლისური არმიის ევაკუაცია. ამასთან, 1914 წელს გაწვეულნი ინგლისში ბრუნდებიან, ხოლო 1915–1918 წ. წ. გაწვეულნი – ეგვიპტეში მიჰყავთ“. მაგრამ აღნიშნულ ევაკუაციას დაექვემდებარა ჯარების მხოლოდ მცირე ნაწილი, ამიტომ ამ აქციას არ გამოუწვევია საქართველოსა და ამიერკავკასიაში ბრიტანული საოკუპაციო ფრონტის საგრძნობი დავიწროება. ინგლისი ამიერკავკასიიდან აშკარად „ფეხებს ითრევდა“ და რეგიონის სრული დეოკუპაცია არც თუ ისე უახლოეს პერსპექტივად მოჩანდა. გაბას აზრით კი, იტალიის მიერ საქართველოში გაბატონებული მდგომარეობის მიღწევა მხოლოდ ინგლისის ჯარების სრული და უახლოეს ხანებში გაყვანის შედეგად იქნებოდა შესაძლებელი; იმდროინდელ კონკრეტულ-ისტორიულ სიტუაციაში კი საქართველოს ბრიტანული okupacia ოდნავადაც არ იყო შერყეული. „ყველა მნიშვნელოვანი რკინიგზის სადგური და ფოსტა-ტელეგრაფი ინგლისელების ხელშია. ბათუმსა და მის ოლქში მთლიანად ინგლისელები ბატონობენ... ინგლისის გარნიზონები დგანან თბილისში, ახალციხეში, ბათუმში, გორში,...“[155] – წერდა იტალიელი პოლკოვნიკი თავის მთავრობას. ამასთან, გაბა რეალურად ჩასწვდა ინგლისის „ორმაგი სტანდარტების“ პოლიტიკას საქართველოს მიმართ, გამოცდილი სამხედრო ოფიცრის შორსმჭვრეტელობითა და ალღოთი შეამჩნია ინგლისის საოკუპაციო სარდლობის არაკეთილგანწყობა, მისი პროდენიკინური ორიენტაცია: „ინგლისელები დაინტერესებულნი არ არიან ქვეყნის (საქართველოს – დ. ჯ.) კეთილდღეობით და ამყლავნებენ მეტისმეტ კეთილგანწყობას დენიკინისა და თურქების[156] მიმართ[157].

---

[155] ი. ტაბაღუა, საქართველოს მანდატი....

[156] აქ, ალბათ, იგულისხმება სამხრეთ საქართველოში ე. წ. „სერვერ-ბეგ ათაბაგის მთავრობა“ და მისი პროთურქული აქციების მხარდაჭერა ბათუმის გენერალ-გუბერნატორის, გენერალ კუკკოლისის მიერ.

[157] ი. ტაბაღუა, იქვე.

ლოკალური პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული ვითარების დახასიათების ფონზე იტალიის სამხედრო მისიის მეთაური საკუთარ მთავრობას სთავაზობს საქართველოში მოქმედების გეგმის სქემატურ მონახაზს. აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ ცოტა მოგვიანებით ორლანდოს კაბინეტის მიერ მიღებულ ხუთპუნქტიან გადაწყვეტილებას საქართველოსა და აზერბაიჯანში მოქმედების შესახებ, ასევე პარიზში იტალიის საელჩოს მრჩევლის, გრაფ რადინოს ზემოხსენებულ პროექტს საფუძვლად სწორედ გაბას მიერ საქართველოდან გაგზავნილი საინფორმაციო და გეგმური ხასიათის მონაცემები დაედო.

უპირატეს ყოვლისა, პოლკოვნიკი გაბა ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკურ მომენტზე და იტალიური მანდატის დაწესების აუცილებლობაზე. მისი აზრით, პარიზის კონფერენციის მიერ იტალიისათვის ამ მანდატის დამტკიცება ხელს შეუწყობდა როგორც საკუთრივ საქართველოში მისი მისიის საქმიანობის სასურველი მიმართულებით წარმართვას, ასევე, საერთოდ, რეგიონში იტალიური ჯარების დისლოცირებას და იტალიური გავლენის დამყარებასაც უზრუნველყოფდა. გაბას სქემის მიხედვით, რეგიონში იტალიური ოკუპაცია უნდა შემოისაზღვროს მნიშვნელოვანი სტრატეგიული და ეკონომიკური ზონების დაკავებით, უწინარესად კი ბაქო-ბათუმის რკინიგზის კონტროლით: „ბევრი რამაა დამოკიდებული ბაქოს მდიდარი ნავთობის საბადოს ექსპლუატაციაზე, რომლის წლიური პროდუქცია პირველ მსოფლიო ომამდე მილიარდ ლირას შეადგენდა; იტალია უნდა გახდეს ბაქოს ნავთობის პროდუქციის მსოფლიო გამყიდველი. ამისათვის მის ხელში უნდა იყოს ბაქო-ბათუმის რკინიგზა“[158]. საქართველოსთან პირდაპირი სატრანსპორტო კავშირის დამყარების მიზნით გაბა მოითხოვდა საზღვაო-სანაოსნო დერეფნის ორგანიზებას, საქართველოს და იტალიას შორის

[158] ი. ტაბაღუა. იქვე.

ნაოსნობის მოგვარებას და ამ საქმეში იტალიის ყველა დაინტერესებული პირის ჩაბმას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასაწყის ეტაპზე საქართველო-იტალიის საზღვაო-სატრანსპორტო კავშირის დამყარებას სასიკეთო პირი უჩანდა. კერძოდ, 1919 წლის 14 მაისს იტალიას და საქართველოს შორის დაიწყო „სამგზავრო გემების მიმოსვლა მარშრუტით – ტარანტო-სტამბული-ბათუმი და უკან იმავე მიმართულებით. ივლიან შემდეგი გემები: „ფერენც ფერდინანდი", „გრაცი" და „ფერენც-იოსებ ჯირალდი"[159]. ცოტა მოგვიანებით ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებში შემოვიდნენ იტალიის სამხედრო გემებიც – „რომი", „დუილიო", „არზა", „სარდინია", „ეტნა" და „ასიერვო". საგულისხმოა, რომ 1 ივლისს ფოთის ნავსადგურში იტალიური ნაღმოსანიც შემოვიდა[160].

მეტად სიმპტომატურია გაბას აზრი საქართველოში დისლოკაციისათვის გამიზნული იტალიური სამხედრო ნაწილების რაოდენობისა და შიდასაარმიო სტრუქტურის შესახებ. მისი ბქემის მიხედვით, საქართველოში გასაგზავნი იტალიის ჯარის რაოდენობა გაცილებით უნდა აღემატებოდეს ინგლისის საოკუპაციო ძალებს[161], და უნდა შეიცავდეს შემდეგი სახეობის ჯარების შენაერთებს: „ორი დივიზია, ალპური რაზმები, ორი ესკადრონი, ბატალიონები მძიმე და საველე არტილერიით, არტილერიის დივიზიონი ნახევრად საველე და ნახევრად სამთო არტილერიით... ჯარის ნაწილები უნდა იყვნენ შერჩეული, ძალიან ორგანიზებულნი, დისციპლინირებულნი და მომზადებულნი ეფექტიანი მოქმედებისათვის"[162]. ამასთანავე, აუცილებელი იყო საქართველოში პოლიციური ძალების (კარაბინიერთა) გაგზავნაც და პროპაგანდა-ინფორმაციის ფართო ქსელის ორგანიზაცია. საქართველოში დისლოცირებული იტალიის არმიის

---

[159] „სახალხო საქმე", 1919 წლის 3 ივლისი.

[160] „სახალხო საქმე", 1919 წლის 3 ივლისი.

[161] ცნობისათვის: რეგიონში ინგლისს ჰყავდა შეიარაღებული ძალების ოცი ბატალიონი.

[162] ი. ჯაბაღუა, იქვე.

უმაღლესი სარდლობა არ უნდა ჩარეულიყო ქვეყნის საშინაო საქმეში, არ უნდა შეელახა მისი სუვერენიტეტი, ყოველმხრივ მხარი დაეჭირა ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, მაგრამ, სამაგიეროდ, უნდა მიეღო შეღავათები და პრეფერენციები ქვანახშირის, მანგანუმის, ნავთობის და სხვა კონცესიების შექმნის საქმეში.

როგორც პოლკოვნიკ გაბას და იტალიის მთავრობას შორის მიმოწერის მასალებიდან ჩანს, იტალია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს სანავსადგურო ქალაქებში, უპირატესწილად კი ბათუმში საკუთარი ეკონომიკური და სტრატეგიული პოზიციების განმტკიცებას. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც ბათუმის ნავსადგურს უაღრესად დიდი ეკონომიკური, პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მთელს ამიერკავკასიაზე გავლენის დამყარების თვალსაზრისით. ამიტომ ბათუმის რეგიონი ანტანტის სახელმწიფოებს შორის სტრატეგიული ცილობის ერთ-ერთ რეალურ ფორპოსტს წარმოადგენდა. ამ ეტაპზე კი აქ ინგლისელთა სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი ბატონობდა და იტალიას ნამდვილად არ აწყობდა ბათუმში ბრიტანეთის დომინაცია, სურდა რაც შეიძლება მალე დაეტოვებინათ მათ ბათუმი. პოლკოვნიკი გაბა იტალიის მთავრობის უმთავრეს ამოცანად სწორედ ბათუმის რეგიონში ბრიტანული გავლენის აღმოფხვრას მიიჩნევდა, რათა იქ შემდგომში სრული „იტალიური კონტროლი" დამყარებულიყო. 1919 წლის 24 ივნისით დათარიღებულ დეპეშაში იგი ორლანდოს წერდა: „საქართველოში დიდი მასშტაბით ეკონომიკური ექსპანსიის განხორციელებისათვის აუცილებელია ჩვენს განკარგულებაში იყოს ბათუმის ნავსადგური, სადაც შეიძლება საზღვაო ბაზა აშენდეს, როგორც ფოთის ნავსადგურის დანამატი. აქედან შეიძლება რკინიგზასაც კონტროლი გაეწიოს"[163].

---

[163] ციტირებულია ი. ტაბაღუას სტატიიდან „ბათუმის საკითხი სან-რემოს კონფერენციაზე" (1920), მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1982, №3, გვ. 89.

როგორც ინგლის-იტალიის დიპლომატიური ურთიერთობების ამსახველი მასალებიდან ირკვევა, ინგლის-იტალიის 8 აპრილის ცნობილი შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა ბათუმშიც (ისევე როგორც მთლიანად საქართველოში) ინგლისის ჯარების იტალიური ჯარებით შეცვლას. ეს დაადასტურა ჯ. კერზონმაც სან-რემოს კონფერენციის 18 აპრილის სხდომაზე გამოსვლისას (1920 წ.)[164]. მაგრამ აქ ყურადღებას იქცევს ერთი, არც თუ ისე უმნიშვნელო ნიუანსი; როგორც ჩანს, ბათუმში ინგლისური ჯარები უნდა შეეცვალათ არა მხოლოდ იტალიის, არამედ საფრანგეთის ბატალიონებსაც, ე. ი. ინგლისის წარმომადგენელთა გეგმებში საკუთრივ ბათუმსა და მის ოლქში არ უნდა დაეშვათ „წმინდა იტალიური ოკუპაცია", საქართველოს სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით. ამ შემთხვევაში საფრანგეთს ენიჭებოდა ბათუმში იტალიის გავლენის ერთგვარი გამანეიტრალებლის და მისი პოზიციების შემზღუდავი ქვეყნის როლი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად მიღწეული შეთანხმებისა, ინგლისს 1920 ივლისამდე არ განუხორციელებია ბათუმის რეგიონის დეოკუპაცია. ამ დროის მანძილზე იტალიის სამხედრო მისია დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ბათუმსა და მის ირგვლივ მიმდინარე პროცესებს და საკუთარი მთავრობის ინტენსიურ ინფორმირებას ეწეოდა ამ საკითხზე.

იტალიის მისია განსაკუთრებით იყო დაინტერესებული საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაცნობით, ვაჭრობა-მრეწველობასა და ფინანსურ სისტემაში არსებული ვითარების შესწავლით. 1919 წლის 16 მაისს მისიის ზოგიერთი წევრი, უმთავრესად სავაჭრო, სამრეწველო და ფინანსური დარგის სპეციალისტები, ვიზიტით ეწვია ვაჭრობა-მრეწველობის და მიწათმოქმედების სამინისტროებს[165]. აღსანიშნავია, რომ მიწათმოქმედების სამინისტროში შეხვედრის დროს იტალიის სამხედრო-პოლიტიკური მისიის

[164] იქვე, გვ. 92.

[165] „სახალხო საქმე", 1919 წლის 19 მაისი.

წევრს, მაიორ დელ პროპოსტოს გადაეცა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაცია, ასევე ცნობები სამეურნეო და საწარმოო იარაღების შესახებ და სხვა მასალები იტალიის აგრარული და კომერციული წრეებისათვის წარსადგენად[166]. 21 მაისს მისიის წევრები–საგოიის პრინცი ედმონდი, გენერალური კონსული ლ. ვალერი, სამხედრო ატაშე მაიორი კარპანეტი და სხვები – თბილისიდან საქართველოს სხვა რეგიონებში გაემგზავრნენ, ადგილობრივი პირობების გაცნობის მიზნით[167]. განსაკუთრებულ დაინტერესებას მისია იჩენდა, ბუნებრივია, ქვანახშირისა და მანგანუმის საბადოების მიმართ. 27 მაისს მისიის წევრები ცნობილი იტალიელი მეცნიერის, გეოლოგიის პროფესორის ჯ. ნავარეზეს ხელმძღვანელობით ეწვივნენ ტყიბულსა და ჭიათურას, აქ არსებული მადნების დასათვალიერებლად და საექსპლუატაციო რეჟიმის გასაცნობად[168].

იტალიის სამხედრო-პოლიტიკური მისიის მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, იყო საქართველოში იტალიის ჯარის ნაწილების დისლოცირებისათვის პირობების შემზადება. მისიაში შემავალმა ოფიცრებმა წინასწარ შეარჩიეს იტალიის სამხედრო შენაერთების დისლოკაციის ადგილები, „შეადგინეს მათი ტრანსპორტირებისა და შენახვის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა“[169]. გაბასა და მისი თანმხლები მისიონერების წინასწარი გათვლებით, იტალიის შესაძლო გავლენის სფეროში მყოფი სივრცის, უმთავრესად კი ბაქო-ბათუმის სარკინიგზო მაგისტრალის დაცვა-კონტროლირებისათვის აუცილებელი იყო მინიმუმ 40-ათასიანი საექსპედიციო კორპუსი შესაბამისი სამხედრო ინფრასტრუქტურითა და ტრანსპორტირების საშუალებებით. პირველადი ხარჯი შეადგენდა 75 მილიონ ლირას, ხოლო ყოველწლიური ხარჯი – 1 მილიარდ ლირას გადააჭარბებდა[170].

---

[166] „სახალხო საქმე“, 1919 წლის 20 ივნისი.

[167] „სახალხო საქმე“, 1919 წლის 22 მაისი.

[168] „სახალხო საქმე“, 1919 წლის 28 მაისი.

[169] გ. ღამბაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 145.

[170] აკ. სურგულაძე, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში (1918–21 წ.წ.) ტ. II, თბ., 1961, გვ. 195.

1919 წლის ივნისის დამდეგს ორლანდომ პოლკოვნიკი გაბა და იტალიური მისიის მნიშვნელოვანი ფიგურები, მათ შორის პრინცი ედმონდიც, პარიზში გაიწვია, რათა უშუალოდ მიეღო დაწვრილებითი ცნობები საქართველოში არსებულ ვითარებასა და ამ კონტექსტში საექსპედიციო კორპუსის გაგზავნის პერსპექტივებთან დაკავშირებით. გაბას ანგარიში მოისმინეს პარიზში მყოფი იტალიის სამთავრობო დელეგაციის სპეციალურ სხდომაზე, რომელსაც, ორლანდოსა და სონინოს გარდა, ესწრებოდნენ ლ. ალდროვანდი მარესკოტი, პ. ტორეტი, ს. რაჯი, ლ.ლ. ბონინი[171], გ. იმპერიალი[172] დასხვები. გაბას ანგარიშში ფიქსირებული სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური მომენტების ირგვლივ აზრთა გაზიარების შემდეგ დელეგაციამ დადებითად გადაწყვიტა როგორც საქართველოში საექსპედიციო კორპუსის გაგზავნის, ასევე საქართველოსა და აზერბაიჯანზე მანდატების აღების საკითხები.

ამიერკავკასიაში მოქმედების სტრატეგიული გეგმა ორლანდოს კაბინეტმა ხუთ პუნქტად ჩამოაყალიბა: 1. სამხედრო ოკუპაციის საშუალებით ამიერკავკასიაში გაბატონებული მდგომარეობის დაკავება;

2. აღადგინოს სამოქალაქო ცხოვრება და დაამყაროს წესრიგი ადმინისტრაციისა და მთავრობის ფუნქციებში ჩარევის გარეშე;

3. სახელმწიფოს დახმარებითა და კერძო ინიციატივის საშუალებით დაუყოვნებლივ დაიწყოს ბუნებრივი რესურსების – ნავთობის, ქვანახშირის, მანგანუმის, სპილენძისა და სხვ. ექსპლუატაცია;

---

[171] ლონგრე ლელიო ბონინი – გრაფი, იტალიის ელჩი საფრანგეთში 1917–1921 წ. წ.

[172] გულიელმო იმპერიალი – მარკიზი, იტალიელი დიპლომატი. 1910–1921 წლებში იტალიის სამეფოს ელჩი ინგლისში. იყო პარიზის კონფერენციაზე იტალიის დელეგაციის წევრი, რომელმაც ხელი მოაწერა ვერსალის ზავს იტალიის მხრიდან. მოგვიანებით დაინიშნა იტალიის წარმომადგენლად ერთა ლიგაში. ცნობილია, როგორც იტალიის საექსპედიციო კორპუსის საქართველოში გაგზავნის აქტიური მოშხრე.

4. დაუყოვნებლივ დაიწყოს აქტიური მუშაობა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში;

5. საქართველოში ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, ხელი შეუწყოს იტალიელთა მიგრაციას მშობლიური მხრიდან, ამიერკავკასიის სიშორის მიუხედავად[173].

იტალიის მთავრობის ეს გადაწყვეტილება საფუძვლად დაედო გამალებულ მზადებას საქართველოში საოკუპაციო ჯარების განლაგებისათვის. თუ ფრანჩესკო ნიტის მონაცემებს დავეყრდნობით, საქართველოში გასაგზავნად გამიზნული იტალიის საექსპედიციო კორპუსი მოიცავდა სამ სამხედრო შენაერთს – ორი ქვეითთა დივიზიას და ალპურ მსროლელთა პოლკს, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ ერთიანი სარდლობის ქვეშ – 12-ე საარმიო კორპუსის ფარგლებში. „... იქ (საქართველოში – დ. ჯ.) მყოფი არამრავალრიცხოვანი ინგლისური ჯარები უნდა გაეწვიათ, – წერს ნიტი, – 12-ე საარმიო კორპუსი, რომელიც ორი ქვეითი დივიზიისა და ალპურ მსროლელთა რაზმისაგან შედგებოდა, მზად იყო სალაშქროდ...“[174].

1919 წლის პირველ ნახევარში პოლკოვნიკი გაბა პარიზიდან რომში გაემგზავრა და იტალიის უმაღლეს წრეებში ახალი ინსტრუქციების მიღების შემდგომ საქართველოსაკენ წამოვიდა. იგი 25 ივნისს უკვე თბილისში იყო. იმავე დღეს ბათუმიდან თბილისში საგანგებო მატარებლით დაბრუნდა საჯაიის პრინცი ედმონდი, საკუთარი შტაბითურთ[175]. ზემოთ უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ საქართველოზე იტალიის მანდატის შემოღების შემთხვევაში პრინცი ედმონდი, როგორც იტალიის მონარქიული იერარქიის წარმომადგენელი, უნდა დანიშნულიყო ამ ქვეყნის „უმაღლეს კომისრად“ საქართველოს რესპუბლიკაში. ამავე პერიოდში საქართველოში

---

[173] Archivio Storico del Ministero degli Esteri. Pos. 46, Caucaso, Allegado E. f. 41.

[174] Ф. Титти, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

[175] „სახალხო საქმე“, 1919 წლის 25 ივნისი.

გასაგზავნი საექსპედიციო კორპუსის ბირითადი ბირთვი უკვე გადასხმული იყო სამხედრო-სატრანსპორტო ხომალდებში და საპორტო ქალაქ ტორონტოდან გასელის ბრძანებას ელოდებოდა. 1919 წლის 21 ივნისის „სახალხო საქმის“ მეწინავე წერდა: „ტორონტოში უკვე გამზადებულია იტალიის რაზმი საქართველოში ინგლისის ჯარის გამოსაცვლელად“.

პროცესის ასეთი ინტენსიური ტემპებით განვითარების ვითარებაში საქართველოს მმართველმა წრეებმაც გადადგეს საპასუხო, ასე ვთქვათ, შემხვედრი დიპლომატიური ნაბიჯები, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური შეტყობინება მიიღო – რეგიონში დისლოკაციისათვის იტალიის საექსპედიციო კორპუსის საბოლოო მზადყოფნის შესახებ. ეს მოხდა 18 ივნისს, როდესაც სათანადო დიპლომატიური არხებით გეგეჭკორს აცნობეს, „რომ იტალიის ჯარის პირველი ეშელონი საქართველოში იელისის სამს მოვაო, რომელთა შემდეგაც ნაწილობრივ გავლენ კავკასიიდან ინგლისელები[176]. აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიიდან ჯარების ევაკუაციის გადაწყვეტილება ინგლისის მთავრობამ ამავე 18 ივნისს მიიღო.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საგულდახელოდ ჩამოყალიბდა იტალიაში გასაგზავნი დიპლომატიური მისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მინისტრის მოადგილე კ. საბახტარაშვილი[177]. გადაწყდა უახლოეს ხანებში მისიის იტალიაში გაგზავნება.

19 ივნისს, დამფუძნებელი კრების გარეშე საქმეთა კომისიის სხდომაზე განიხილეს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნ. ქარცივაძის ინფორმაცია იტალიის სამხედრო-პოლიტიკური მისიის თავმჯდომარის მოადგილესთან მისი შეხვედრის შესახებ.

---

[176] „სახალხო საქმე“, 1919 წლის 28 ივნისი.

[177] კონსტანტინე ბეჟანის ძე საბახტარაშვილი – ქართველი დიპლომატი. იყო დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი. 1919 წლის 22 მარტს დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. 1920 წლის შემოდგომიდან იყო საქართველოს ელჩი იტალიის სამეფოში.

აღინიშნა, რომ ორლანდოს მთავრობის გადაწყვეტილება საქართველოში საექსპედიციო კორპუსის გაგზავნის შესახებ საბოლოო აქტია და ცვლილებებს არ ექვემდებარება[178].

იტალიის „გულის მოსაგებად" გამიზნულ დიპლომატიურ მანევრს წარმოადგენდა ევ. გეგეჭკორის მიერ 18 ივნისს საქართველოს მთავრობის სახელით გაკეთებული ოფიციალური განცხადება, რომელშიც სწორედ იტალიას მოსთხოვა შუამავლობა დენიკინის მოხალისეთა არმიასთან კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში: „საქართველოს მთავრობა, – აღნიშნული იყო განცხადებაში, – დენიკინის საზღვრებს დასთანხმდება, თუ ნეიტრალურ ზონაში იტალიელები ჩადგებიან"[179].

როგორც ვხედავთ, საქართველოს „იტალიური ოკუპაციის" იდეა პრაქტიკული ხორცშესხმის სტადიაზე იდგა. 1919 წლის ივნისში იტალიაში მომხდარი პოლიტიკური მოვლენების გამო მას განხორციელება არ ეწერა. 23 ივნისს იტალიის პარლამენტმა უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადა ვიტორიო ორლანდოს მთავრობას და 24 ივნისს ორლანდო და მისი კაბინეტის უმთავრესი წევრები, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. სონინო, გადადგნენ. 27 ივნისს, ვიქტორ-ემანუელ III-ის სანქციით, ახალი მთავრობა ჩამოაყალიბა ნიტიმ. „ახალმა პრემიერმა კურსი აიღო სოციალ-რეფორმისტებთან და სახალხო პარტიასთან თანამშრომლობაზე და დაიწყო სახალხო მასებისადმი ნაწილობრივი დათმობების პოლიტიკის გატარება"[180]. შინაპოლიტიკური კონიუნქტურის შეცვლამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსის ერთგვარ ტრანსფორმირებაზე. თუ ორლანდოს კაბინეტი

---

[178] სცსსა, ფ. 1833, ს. 235, ფ. 9.

[179] „სახალხო საქმე", 1919 წლის 19 ივნისი. საგულისხმოა, რომ მოგვიანებით, როცა ამკარა გახდა იტალიის „ჩამოუსველელობა", საქართველოს მთავრობამ მდ. ბზიფსა და მდ. მეხადირს შორის არსებული ტერიტორიის ნეიტრალიზაცია ისევ ინგლისს სთხოვა.

[180] Н. Комолова, დასახ. ნაშრ., გვ. 16.

საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების არჩევისას უპირატესწილად მსხვილი ბურჟუაზიის და ელიტარული გენერალიტეტის პოზიციებს გამოხატავდა, ნიტის მთავრობა ამ სფეროში ანგარიშს უწევდა უფრო მეტად საშუალო და წვრილ ბურჟუაზიას, ასევე დემოკრატიული ფენებიდან მომდინარე დემობილიზაციის მოთხოვნას და უარყოფდა აქტიურ, სამხედრო-ექსპანსიურ საგარეო პოლიტიკას[181]. ცხადია, ნიტის მთავრობის ამგვარი ორიენტაციის ფონზე სულაც არ იწვევს გაკვირვებას საქართველოში სამხედრო ექსპედიციის გაგზავნაზე უარის თქმა.

ერთ-ერთი მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც უბიძგა ნიტის კაბინეტს უარი ეთქვა საქართველოში ჯარის გაგზავნაზე, იყო ე. წ. „რუსეთის ფაქტორი". იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ „რუსეთის ფაქტორის" ზემოქმედება იტალიის (და არა მარტო იტალიის) კავკასიური პოლიტიკის მაწარმოებელ იმპულსებზე, რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის მიუხედავად, არ შეიძლება დიფერენცირებული განხილვის საგანი გახდეს. კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცეში დასავლეთის სახელმწიფოთა შეღწევა-დამკვიდრების ბლოკირება ზოგად-რუსული სტრატეგია იყო და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რუსეთი „თეთრი" იქნებოდა, თუ „წითელი".

საქართველო ტერიტორიულად უფრო ახლოს მდებარეობდა იმ რეგიონებთან, რომლებშიც 1919 წელს იყო „თეთრგვარდიელთა" პოლიტიკური ხელისუფლება და სამხედრო კონტროლი. ამიტომ, ჩვენის აზრით, იტალიის მცდელობის ჩაშლის ე. წ. „რუსეთის ფაქტორებზე"მინიშნებისას ცენტრალური ადგილი მაინც რუსული რესტავრაციული ძალების (დენიკინი, კოლჩაკი) პოზიციას უნდა მივაკუთვნოთ. დენიკინის უარყოფითი დამოკიდებულება საქარ-

---

[181] აღნიშნული პერიოდის იტალიაში მიმდინარე პროცესებზე ვრცლად იხ. Y. Carocci, Storia d'Italia dall'Unita ag oggi, Milano, 1975, p. p. 231-240; ასევე Н. Комолова, იქვე, გვ. 4-37.

თელოში იტალიური ჯარების შესაძლო გაგზავნის მიმართ იმთავითვე ნათელი გახდა; პარიზის საზავო კონფერენციაზე დენიკინის დიპლომატიური წარმომადგენელი, რუსეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ს. საზონოვი ომსკის ანტიბოლშევიკური მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტროს მმართველს წერდა: „...დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გადაწყვიტა გაიყვანოს თავისი ჯარები ამიერკავკასიიდან და იტალიის მთავრობას მიმართა წინადადებით – ამიერკავკასიაში ბრიტანული ჯარები შეიცვალოს იტალიურით. ამაზე რომის კაბინეტმა პრინციპული თანხმობა განაცხადა, რამაც არ შეიძლება ჩვენი შეშფოთება არ გამოიწვიოს“[182].

აღნიშნული პოზიცია უფრო სრულყოფილად და კატეგორიული ფორმით გამოხატა ადმირალმა კოლჩაკმა, რომელიც 1919 წლის ზაფხულისათვის შექმნილ კონკრეტულ-ისტორიულ სიტუაციაში ყველაზე ანგარიშგასაწევი ძალა იყო ანტიბოლშევიკურ ბლოკში. პარიზის საზავო კონფერენციის დოკუმენტური მასალები ნათელყოფენ, რომ ინგლის-იტალიის ცნობილი შეთანხმების შემდეგ, იტალიას კოლჩაკთან გაუმართავს მოლაპარაკება საქართველოს საკითხზე. მხედველობაში გვაქვს ცოტა მოგვიანებით, 11 აგვისტოს, პარიზის კონფერენციის „ათის საბჭოს“ სხდომაზე იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ტ. ტიტონის[183] გამოსვლა. ეს სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა სომხეთში აშშ-ის უმაღლესი კომისრის, პოლკოვნიკ ჰასკელის დეპეშა, სპეციალურად მიეძღვნა ამიერკავკასიის საკითხს. ტიტონიმ აღნიშნა, რომ „იტალია აპირებდა ჯარების გაგზავნას საქართველოსა და აზერბაიჯანში... იტალიელები საქართველოში მიდიოდნენ ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის საგარანტიოდ, ამაზე კი კოლჩაკი არ დათანხმდა“[184]. ტიტონისაგან მომდინარე ეს ცნობა

---

[182] ციტირებულია დ. ენუქიძის ნაშრომიდან „Крах империалистической интервенции в закавказье, Тб., 1954, გვ. 142.

[183] ტომაზო ტიტონი – იტალიელი დიპლომატი და პოლიტიკური მოღვაწე, 1903–1909 და 1919წ.წ.–საგარეო საქმეთა მინისტრი

[184] გ. ღამბაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 171.

გვიჩვენებს, რომ იტალიელთათვის საკმარისი არ იყო მხოლოდ ინგლის-ანტანტისსანქცია საქართველოში ჯარების გაგზავნის და მანდატის მიღების საკითხზე. ამ პრობლემის გადაწყვეტის საერთაშორისო გარანტირების პროცესში ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რუსეთის თანხმობასაც. რუსეთში კი ანტიბოლშევიკურ ფრონტს ფაქტიურად კოლჩაკი მეთაურობდა, როგორც „თეთრგვარდიული რუსეთის დიქტატორი", რომლის პოლიტიკური ხელისუფლება და სამხედრო კონტროლი ფართო ტერიტორიაზე იყო გავრცელებული. ამ ფონზე გასაგებია, თუ რატომ მაინცდამაინც კოლჩაკთან მიმართა იტალიამ დიპლომატიურ ზონდირებას საქართველოს ოკუპაციის საკითხზე. ნათელია ის გარემოებაც, რომ სწორედ კოლჩაკის კატეგორიულ უარს უნდა შეესრულებინა მნიშვნელოვანი როლი საქართველოში იტალიის სამხედრო ექსპედიციის ჩაშლაში[185]. „კონფერენციის პროგრამა რუსეთის კითხვაში, – წერს

---

[185] „კოლჩაკის ფაქტორმა" მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა არა მარტო იტალიის, არამედ საერთო ანტანტის ერთგვარი ინდიფერენტიზმი საქართველოს საკითხთან მიმართებაში. 1919 წ. 26 მაისს ანტანტის უმაღლესმა საბჭომ სპეციალური ნოტა გაუგზავნა ადმირალს, რომელსაც ხელს აწერდნენ ვილსონი, ლოიდ ჯორჯი, კლემანსო, ორლანდო და საიონძი (იაპონია). ნოტის V პარაგრაფში ეწერა: „იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობანი რუსეთსა და ესტონეთს, ლატვიას, ლიტვას, კავკასიისა და კასპიისპირეთის ტერიტორიებს(?) შორის ურთიერთშეთანხმებით არ იქნება მოწესრიგებული, ეს საკითხი გადაწყვეტილი იქნება ერთა ლიგის დახმარებით. მანამდე კი რუსეთის (კოლჩაკის – დ. ჯ.) მთავრობამ უნდა აღიაროს ყველა ამ ტერიტორიის ავტონომია და უნდა დაადასტუროს ის ურთიერთობანი, რაც არსებობს ამ ტერიტორიების „დე ფაქტო" არსებულ მთავრობებსა და საკავშირო კოალიციის (ანტანტის – დ. ჯ.) სახელმწიფოთა მთავრობებს შორის". (И. Черчиль, Мировой кризис, М., 1932, გვ. 117). როგორც ვხედავთ, ნოტაში არაფერია ნათქვამი რუსეთის ყოფილი იმპერიის სივრცეში ჩამოყალიბებული ეროვნული სახელმწიფოების დამოუკიდებლობის შესახებ. უფრო მეტიც საქართველოს ეწოდება არა „სახელმწიფო", არამედ „კავკასიის ტერიტორია". ანტანტა კოლჩაკისგან მოითხოვს საქართველოს ავტონომიის აღიარებას.

ზ. ავალიშვილი, – არსებითად არ უარყოფდა არც იტალიის ჯარების გაგზავნას (ინგლისელების მაგივრად) საქართველოსა და აზერბაიჯანში და არც იტალიის „მანდატსა“. მაგრამ ამ ნიადაგზე მოხალისეთა ლაშქართან შეტაკების „ტაქტიკური“შესაძლებლობა მაინც რჩებოდა...“[186].

ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ფაქტორი, რამაც ფრ. ნიტის მთავრობა საქართველოში ჯარების გაგზავნაზე უარის თქმის კონდიციამდე მიიყვანა, იყო პარიზის საზავო კონფერენციაზე დიდ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობის გამწვავება „ამიერკავკასიის საკითხის“ ირგვლივ. ამიერკავკასიაზე პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის დამყარების საკითხში სულ უფრო და უფრო აშკარად გამოიკვეთა იტალიასა და აშშ-ს შორის წინააღმდეგობათა ახალი სფერო. ამ სფეროში ვილსონის ანტიიტალიური დემარშები საკუთრივ ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ-ეკონო-

---

კოლჩაკის საპასუხო ნოტამ, რომელიც 4 ივნისით თარიღდება, კიდევ ერთხელ დაადასტურა რუსეთის თეთრგვარდიული ხელისუფლების რეაქციული პოზიცია არარუსული ერების თვითგამორკვევის მიმართ. (Б. Штейн, "Русский вопрос" на Парижской мирной конференции (1919-1920), М.,1949, გვ. 243). კოლჩაკი არსებითად დათანხმდა შეესრულებინა 26 მაისის ნოტის V პუნქტში ფიქსირებული მოთხოვნები (ეროვნულ-პოლიტიკურ ერთეულთა მთავრობებსა და ანტანტის სახელმწიფოთა მთავრობებს შორის ურთიერთობათა ცნობა, ამ მთავრობებთან სადავო საკითხების განხილვის პრეროგატივის ერთა ლიგისათვის გადაცემა), მაგრამ გადაჭრით მოითხოვდა, რომ ეს ფაქტიური ვითარება, ასე ვთქვათ, იურიდიულ სიბრტყეზე არ გასულიყო და „ეროვნული ჯგუფების“ ავტონომიური არსებობის ფარგლებს არ გასცილებოდა.

აქვე დავძენთ, რომ იტალია-კოლჩაკის მოლაპარაკება და კოლჩაკის 4 ივნისის ნოტა სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რათა იტალიის მმართველ წრეებს რეალური წარმოდგენა შექმნოდათ საქართველოში სამხედრო ექსპედიციის გაგზავნისა და, მითუმეტეს, მანდატის მიღების იდეისადმი რუსეთის რესტავრატორული ელემენტების უაღრესად ნეგატიურ დამოკიდებულებაზე.

[186] ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 176.

მიკური და გეოპოლიტიკური ინტერესებით იყო ნაწარმოები. ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა იმ ნეგატიური რეაქციის შესახებ, რაც ვილსონმა და პოლკოვნიკმა ჰაუზმა გამოავლინეს ინგლის-იტალიის 8 აპრილის შეთანხმების მიმართ. 1919 წლის 14 მაისს „ოთხთა საბჭომ" აშშ-ს ოფიციალურად გადასცა მანდატი სომხეთსა და კონსტანტინოპოლზე. ამასთან, მანდატის გეოგრაფიული არეალი და საზღვრები შემდგომში უნდა დადგენილიყო აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის საერთო შეთანხმების საფუძველზე. მაგრამ აშშ-ის „კავკასიური პოლიტიკა" ამგვარ დონეზე არ „გაყინულა". ამ მხრივ, ნიშანდობლივია, გავიხსენოთ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საიდუმლო სადირექტივო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც აშშ-ის „კავკასიური პოლიტიკის" ღერძად მიჩნეული იყო რეგიონში ამერიკული პროტექტორატის ქვეშ ფედერაციული გაერთიანების შექმნა. ამიტომ სომხეთსა და კილიკიაზე მანდატის მიღების შემდეგ ვილსონმა ახალი მოთხოვნა წამოაყენა – „სომხეთის მანდატის" განვრცობა მთელს ამიერკავკასიაზე. მაშასადამე, აშშ-მა აშკარად გამოკვეთეს თავისი გეოპოლიტიკური ინტერესი-პოლიტიკური კონტროლი მთელს კავკასიაზე. 21 მაისს, „ოთხთა საბჭოს" სხდომაზე, ანტანტის სახელმწიფოთა მესვეურებმა თანხმობა მისცეს ამერიკელი პრეზიდენტის წინადადებაზე და მიიღეს დადგენილება: „...თუ ამერიკის სენატი დაამტკიცებს აშშ-ის მანდატს კილიკიასა და სომხეთზე, მაშინ შესაძლებელია მანდატის მოქმედების გავრცელება საქართველოზე, აზერბაიჯანზე და ჩრდილოეთ კავკასიაზე"[187]. ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხვედრა, რომ 21 მაისის აქტი ანტიიტალიურ ხასიათს ატარებდა და „ამერიკული მანდატის"სახით საქართველოსა და აზერბაიჯანზე „იტალიური მანდატის" მეტად ნიშანდობლივი ალტერნატივის წინაპირობას ქმნიდა.

---

[187] გ. ღამბაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 149.

ვფიქრობთ, ანტანტის „ოთხთა საბჭოს“ 14 და 21 მაისის გადაწყვეტილებებს, ასევე აშშ-ის დელეგაციის დიპლომატიურ გააქტიურებას (27 მაისს-შეხვედრა ჩრდილოეთ კავკასიის დელეგაციის მეთაურთან ჩერმოევთან, 28 მაისს - აზერბაიჯანის დელეგაციის მეთაურთან თოფჩიბაშევთან, 11 ივნისს - საქართველოს დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელთან ჩხეიძესთან) რეალურად უნდა დაერწმუნებინა იტალიის მთავრობა საქართველოსა და აზერბაიჯანზე მანდატის მიღების უპერსპექტივობაში. იტალიის მმართველმა წრეებმა კარგად დაინახეს, რომ კავკასიის რეგიონში ქვეყნის სტრატეგიული და ეკონომიური ინტერესების რეალიზაციას ზეძლიერი, სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალითა და საერთაშორისო-პოლიტიკური გავლენით იტალიაზე საგრძნობლად მაღლა მდგომი კონკურენტი გამოუჩნდა, რომელთანაც დიპლომატიურ თუ სხვა სახის კონფრონტაციას ფაქტიურად აზრიც არ ჰქონდა.

ორლანდოს კიბინეტის წამოწყებაზე ფრ. ნიტტის მთავრობამ უარყოფითი გადაწყვეტილება თავისი მოღვაწეობის პირველსავე დღეებში, ე. ი. 1919 წლის ივნისის მეორე ნახევარში მიიღო. „როდესაც 1919 წლის ივნისში ჩავიბარე მმართველობის სადავეები. — წერს პრემიერ-მინისტრი, — სამხედრო ექსპედიცია საქართველოში... გასაგზავნად მზად იყო... მე კი, მიუხედავად მძლავრი წინააღმდეგობისა, მაშინვე გადავწყვიტე ერთხელ და სამუდამოდ უარი მეთქვა ამ ღონისძიებებზე...“[188] თუმცა, საკუთრივ საქართველოში ამის შესახებ ოფიციალური განცხადება იტალიის მისიამ გააკეთა 1919 წლის 5 აგვისტოს[189]. როგორც დიპლომატიური და დოკუმენტური მასალებიდან ირკვევა, აღნიშნულ ცნობას ფართო რეზონანსი მოჰყვა როგორც საქართველოს პოლიტიკურ წრეებში, ისე, განსაკუთრებით, საქართველოში მყოფ დასავლეთის სახელმწიფოთა მისიებში. ამ გარემოების შესანიშნავ ილუსტრაციას წარმოადგენს

---

[188] Ф. Нитти, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

[189] ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 281.

სომხეთში მოკავშირეთა უმაღლესი კომისრის, პოლკოვნიკ ჰასკელის სპეციალური დეპეშა პარიზის კონფერენციის უმაღლესი საბჭოსადმი. საგულისხმოა, რომ ჰასკელის დეპეშა თარიღდება სწორედ 5 აგვისტოთი, ანუ იმ დღით, როდესაც თბილისში გამოქვეყნდა გაბას მისიის ზემოხსენებული განცხადება. ლოგიკური კავშირი ამ ორ მოვლენას შორის, ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ჰასკელი წერდა, რომ „საოკუპაციო შენაერთების (ბრიტანეთის – დ. ჯ.) გაყვანას ანარქია მოჰყვებოდა და საშიშროების წინაშე აღმოჩნდებოდა ამერიკული დახმარების კომიტეტის მილიონებად ღირებული ქონება თბილისის, ბათუმის, ერევნისა და ამიერკავკასიის სხვა პუნქტებში მოწყობილ საწყობებში"[190].

ინგლისის საოკუპაციო ჯარების გაყვანის გადაწყვეტილება ბრიტანეთის მთავრობამ მიიღო გაცილებით ადრე, ივნისში, რაც, ბუნებრივია, ჰასკელისთვისაც შესანიშნავად იყო ცნობილი. ამიტომ ისმის კითხვა: სად იყო ჰასკელი 5 აგვისტომდე? რატომ მაინცდამაინც ამ დღეს გამოთქვა მან შეშფოთება ინგლისის სამხედრო ნაწილების გაყვანასთან დაკავშირებით? ვფიქრობთ, ეს გამოიწვია იმან, რომ სწორედ 5 აგვისტოს გახდა ოფიციალურად ცნობილი იტალიის მთავრობის გადაწყვეტილება საქართველოში ჯარების არგაგზავნის შესახებ. ჰასკელმა ადრეც იცოდა, რომ ინგლისს გაჰყავდა ჯარები ამიერკავკასიიდან, მაგრამ, თავისთავად ეს აქცია მისთვისაც (და, საერთოდ მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოსთვისაც) სერიოზული დაფიქსირების საფუძველს არ იძლეოდა, რამეთუ სრულიად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ინგლისის ჯარებს იტალიური საექსპედიციო კორპუსი შეცვლიდა და, ამდენად რეგიონში დეოკუპაციური ვაკუუმი არ შეიქმნებოდა. ამჯერად კი, როცა ცნობილი გახდა ნიტის კაბინეტის გადაწყვეტილება, ამ ვაკუუმის შესაძლო შექმნის პერსპექტივამ საგრძნობლად შეაშფოთა ჰასკელიც და მისი დასავლეთელი

---

[190] გ. ლაბაძიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 170.

პროტექტორებიც. ნიშანდობლივია, რომ თავის დეპეშაში ჰასკელი ინგლისური ჯარების გაყვანით გამოწვეულ ლოკალურ-რეგიონულ გართულებებს პირდაპირ უკავშირებდა იტალიის მთავრობის გადაწყვეტილებებს. იგი წერდა: „ინგლისურ ჯარების ევაკუაციამ ნულამდე დაიყვანეს სასურსათო დახმარების გაწევის შესაძლებლობა... იტალიური ჯარები, რომლებსაც პირველდაწყებითი გეგმით უნდა შეეცვალათ ბრიტანული ჯარები, არ მოვლენ, რადგანაც იტალიამ განაცხადა'[191], რომ მას არ სურს გაგზავნოს თავისი შენაერთები კავკასიაში (საქართველოსა და აზერბაიჯანში – დ. ჯ.)...“[192]. ჰასკელის აზრით, იტალიის მთავრობის განცხადება რეგიონში ექსტრემალურ ვითარებას ქმნიდა. ამიტომ იგი მოითხოვდა პარიზის კონფერენციის უმაღლეს დონეზე ამიერკავკასიის საკითხის უსწრაფეს განხილვას, ხოლო ამ სფეროში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე – რეგიონში „ოკუპაციური სტატუს-კვო“-ს შენარჩუნებას, აქ ინგლისის ჯარების დატოვებით.

1919 წლის 11 აგვისტოს პარიზის კონფერენციის „ათის საბჭომ“ სპეციალურად იმსჯელა საქართველოსა და მთელს კავკასიაში შექმნილ ვითარებაზე. ჩვენ უკვე მოვიტანეთ (იხ. ზემოთ) ამ სხდომაზე ტ. ტიტონის გამოსვლის ერთი ფრაგმენტი, რომელიც საქართველოს საკითხში იტალიასა და კოლჩაკის მთავრობას შორის გამართულ მოლაპარაკებას შეეხებოდა. ამავე დროს, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნიუანსურად წარმოადგინა ნიტის მთავრობის ცნობილი გადაწყვეტილების ფინანსურ-ეკონომიკური ასპექტები. კერძოდ მან განაცხადა: „თავის დროზე იტალია დათანხმდა გაეგზავნა ჯარები საქართველოსა და აზერბაიჯანში... მაგრამ მას არ შეუძლია ამის

---

[191] აქ, ცხადია, ჰასკელი გულისხმობს არა ნიტის მთავრობის 1919 წლის გადაწყვეტილებას, არამედ ამ გადაწყვეტილების საფუძველზე თბილისში გაბას მისიის მიერ გაკეთებულ 5 აგვისტოს ოფიციალურ განცხადებას.

[192] Б. Штейн, "Русский вопрос" на Парижской мирной конференции (1919-1920г.г.). М., 1949, გვ. 332.

გაკეთება. სივრცე, რომლის დაცვაც აუცილებელია, ძალიან დიდია; სარკინიგზო ხაზი ბაქოდან ბათუმამდე დიდ მანძილზეა გადაჭიმული. მისი დაცვისათვის აუცილებელია 40 ათასი ჯარისკაცი და, დამატებით, გასაყვანი საშუალებანი და სურსათი. პირველდაწყებითი ხარჯი გაანგარიშებულია 75 მლნ. ლირის ფარგლებში, ხოლო წლიური დანახარჯები კი 1 მლრდ. ლირას აღწევს. იტალიას არ შეუძლია იკისროს ასეთი ტვირთი და ეს აზრიც უკუგდებულია"[193]. ტიტონის გამოსვლის შემდეგ „ათის საბჭოს" თავმჯდომარემ ჟ. კლემანსომ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილეს პოლკს მიმართა შეკითხვით – რა გზას დაადგება ამერიკის მთავრობაო, რაზეც ამ უკანასკნელმა უპასუხა, რომ აშშ არ აპირებს ამიერკავკასიაში ჯარების გაგზავნას, ხოლო სომხეთზე მანდატის საკითხს პრეზიდენტი ვილსონი კონგრესის წინაშე დააყენებსო[194].დისკუსიის შედეგების შეჯამებისას კლემანსომ აღნიშნა: „საფრანგეთს არ შეუძლია არაფრის გაკეთება და თანამედროვე მომენტში არც ამერიკას შეუძლია რაიმეს გაკეთება"[195]. ამდენად „ათის საბჭომ" საკითხი „ღიად დატოვა" და არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია. პარიზის კონფერენციის უმაღლესი ორგანოს 11 აგვისტოს სხდომა ჩვენთვის იმით არის საყურადღებო, რომ მან იმ დროინდელი საერთაშორისო სისტემის უმაღლესი ინსტანციის მხრიდან ოფიციალურად დაადასტურა სხვადასხვა გარემოებებით მოტივირებული იტალიის მთავრობის უარი – საქართველო-აზერბაიჯანში საექსპედიციო კორპუსის გაგზავნასა და საქართველოზე მანდატის მიღებასთან დაკავშირებით.

იტალიის სამხედრო ექსპედიციისა და საქართველოზე მანდატის მიღების მცდელობის ჩაშლის შემდეგ საქართველოს ურთიერთობანი იტალიასთან, ასე ვთქვათ, ახალ თვისობრიობაში გადავიდა. კერძოდ, 1919 წლის ივნის-აგვისტოს ცნობილი კოლიზიების შემდგომ, ამ ორი

[193] იქვე, გვ. 334.
[194] იქვე.
[195] იქვე.

ქვეყნის ურთიერთობათა განვითარების მთელი პროცესი დიპლომატიურ და სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში ჩამოყალიბდა. ურთიერთობათა განვითარების ასეთმა ტენდენციამ თავისებური ზეგავლენა მოახდინა საქართველოში იტალიის მისიის საქმიანობის ხასიათსა და მიმართულებაზე. კერძოდ, ნიტის მთავრობის ცნობილი გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, პოლკოვნიკ გაბას მისიას, ბუნებრივია, „ჩამოერთვა" სამხედრო და სტრატეგიული საკითხების გადაჭრის პრეროგატივები და მთელი მისი მოღვაწეობა დიპლომატიური კონტაქტების შემდგომი განვითარებისა და საქართველო-იტალიის სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების აქტივიზაციის მიზანდასახულობას დაექვემდებარა. „მისია აგროვებდა ეკონომიკური ხასიათის ინფორმაციას, რეკომენდაციას უწევდა მენშევიკური (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის – დ. ჯ.) ხელისუფლების ორგანოების წინაშე იტალიელ ვაჭარ-მრეწველებს და იტალიური ფირმების წარმომადგენლებს, ეხმარებოდა ამ უკანასკნელთ სხვადასხვა ნედლეულის შესყიდვასა და გადატანაში"[196].

1919 წლის მეორე ნახევარში საქართველო-იტალიის ურთიერთობანი სწორედ ეკონომიკური ასპექტების განსაკუთრებული პრევალირების ნიშნით ვითარდებოდა. ამაზე არაორაზროვნად მიუთითებს იტალიის პრემიერი ფრ. ნიტიც, რომელმაც მიიღო რა საქართველოში სამხედრო ექსპედიციის ჩაშლის გადაწყვეტილება, ხელი არ აუღია კომერციულ-ეკონომიკური კავშირების შემდგომ გაღრმავებაზე. იგი წერს: „მე... გადავწყვიტე... უარი მეთქვა ამ ღონისძიებაზე (იგულისხმება საქართველოში იტალიური სამხედრო შენაერთების გაგზავნა – დ. ჯ.), ვავლენდი რა იმავდროულად მხარდაჭერას წმინდა კომერციული ინიციატივისადმი[197]. როგორც ნიტის მემუარიდან ჩანს, იტალიის განსაკუთრებული დაინტერესების

---

[196] კ. ჩარკვიანი, ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, თბ., 1962, გვ. 108.

[197] Ф. Нитти, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

სფეროში შედიოდნენ არა მარტო საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები, არამედ შავიზღვისპირა ნავსადგურებიც, რადგანაც „თითქმის მთელი იტალიური ვაჭრობა და, აქედან გამომდინარე, ტარიფები და საქონლის ფასები მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე (რისორჯიმენტოს დასრულებიდან და ერთიანი იტალიური სახელმწიფოს შექმნის დროიდან – დ. ჯ.) მჭიდროდ იყო დაკავშირებული შავი ზღვის ვაჭრობასთან...“[198].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციოზი „ბორბა“ წერდა: „იტალიური მთავრობისაგან მიღებულია სატელეგრაფო ცნობა იმის შესახებ, რომ იტალიის ჯარები არ იქნებიან გაგზავნილნი საქართველოში. ამასთან, დადასტურებულია იტალიის განზრახვანი საქართველოსთან მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების დამყარებაზე. ამგვარ ურთიერთობათა დამყარებაში ხელშეწყობა უნდა გასწიოს პოლკ. გაბას მისიამ...“[199].

1919 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში საქართველოში იმყოფებოდა იტალიის დროებითი პოლიტიკური და ეკონომიკური მისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჰერცოგი სპოლეტი. მისიასსაგანგებო შეხვედრები ჰქონდა თბილისსა და ბათუმში, ასევე აწარმოა მოლაპარაკებანი ბაქოში აზერბაიჯანის მუსავატისტური ხელისუფლებების ორგანოებთან[200].

საქართველო-იტალიის დიპლომატიური ურთიერთობების განსაკუთრებული გააქტიურება გამოიწვია 1919 წლის ოქტომბერ-ნოემბერში საქართველოს დიპლომატიური მისიის ვიზიტმა რომში. მისიას, რომელიც შესაბამისი რწმუნებებით იყო აღჭურვილი, ხელმძღვანელობდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კ. საბახტარაშვილი. მისია 15 ოქტომბერს ჩავიდა რომში.

---

[198] იქვე, გვ. 127.

[199] „Борьба“, 1919 წლის 5 აგვისტო.

[200] „სახალხო საქმე“ 1919 წლის 11 ოქტომბერი.

იმის გამო, რომ ტიტონი იმ პერიოდში პარიზში იყო, საბახტარაშვილი მიიღო იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანმა, გრაფმა სფორცამ[201]. შეხვედრამ კონსტრუქციულ და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა. ამაზე მეტყველებს 20 ოქტომბრის თბილისში პოლკ. გაბბას მიერ საქართველოში მთავრობისათვის გადაცემული რომიდან მიღებული დეპეშა, რომელშიც აღნიშნულია:

„საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარეს, მის აღმატებულებას ნოე ჟორდანიას.

თქვენო აღმატებულებავ!

მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ იტალიის სამეფო მთავრობა მადლობას გიხდით დელეგაციის გამოგზავნისათვის, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ეძლევა“[202].

1919 წლის 2 ნოემბერს კ. საბახტარაშვილს აუდიენცია ჰქონდა იტალიის პრემიერთან, ცოტა მოგვიანებით კი – საგარეო საქმეთა მინისტრთან. მოლაპარაკებანი ფრანჩესკო ნიტისთან და ვიტორიო შიალოიასთან[203], ძირითადში შეეხო ორ უმთავრეს საკითხს – საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო ცნობა იტალიის მიერ და ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები. როგორც ჩანს, მოლაპარაკებებმა წარმატებით ჩაიარა და იტალიამ გამოთქვა მზადყოფნა საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო აღიარების თვალსაზრისით. თუმცა, საბახტარაშვილს აგრძნობინეს, რომ ეს მზადყოფნა შეპირობებული უნდა ყოფილიყო ანტანტის ბლოკის სხვა სახელმწიფოთა ანალოგიური დიპლომატიური აქციებით. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა,

---

[201] „სახალხო საქმე“, 1919 წლის 22 ოქტომბერი.

[202] „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წლის 21 ოქტომბერი.

[203] ვიქტორიო შიალოია – ცნობილი იტალიელი იურისტი, დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე. პირველი მსოფლიო ომის წლებში იყო „უპორტფელო მინისტრი“ პ. ბოზელლისა და ვ. ორლანდოს კაბინეტში. 1919-1920 წ.წ. იყო იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი (ტიტონის გადადგომის შემდეგ).

რომ „იტალიის მთავრობას უკვე მეორე დღეს (ე. ი. 3 ნოემბერს – დ. ჯ.) უცნობებია ინგლისისათვის, რომ თუ დიდი ბრიტანეთის მთავრობა საქართველოს ცნობის მომხრე აღმოჩნდება, მაშინ იტალია ამ საკითხს აღძრავდა პარიზის კონფერენციაზე"[204]. ამდენად იტალიის მიერ პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მხარდაჭერის ოფიციალურ დადასტურებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და საბახტარაშვილის მისიის ეს მონაპოვარი უდავოდ ქართული დიპლომატიის დიდ წარმატებად შეიძლება შეფასდეს.

მოგვიანებით, 1920 წლის 14 იანვარს, საბახტარაშვილმა ნოე ჟორდანიას გამოუგზავნა „პოლიტიკური მოხსენება", რომელშიც ერთგვარად სუმირებულია იტალიის სამთავრობო და პოლიტიკურ წრეებთან გამართულ მოლაპარაკებათა შედეგები. ახასიათებს რა 1919 წლის ბოლოსათვის საქართველო–იტალიის ურთიერთობათა განვითარების საერთო ტენდენციას, საბახტარაშვილი აღნიშნავს: „თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ საგრძნობლად დაახლოვებული ვართ იმ მომენტთან, როდესაც ჩვენი საკითხი (იგულისხმება საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება – დ. ჯ.) ასე თუ ისე უნდა დაისვას იტალიის მთავრობის წინაშე..."[205]. ცხადია, დიპლომატს მხედველობაში აქვს როგორც იტალიის მმართველი წრეების პოზიტიური განწყობა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისადმი, ასევე, საერთოდ იტალიის სტრატეგია საქართველოსთან მიმართებაში. „მისაღებია მხედველობაში ის გარემოება, – წერს იგი, – რომ იტალიის მთავრობისათვის ნათელი ხდება დენიკინის და მისი ლოზუნგების საბოლოოდ დამარცხება, მეორეს მხრივ, ბოლშევიკების გამარჯვებას და მათს დაახლოებას ჩვენს ქვეყანასთან დიდის შიშით უყურებენ"[206]. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის იტალიის „რუსულ

---

[204] გ. ლაბაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 210

[205] სცსსა, ჰარვარდის უნივერსიტეტის მოკროფირების ასლი, ს. 701.

[206] იქვე.

პოლიტიკაში“ ცვლილებების იმგვარი ტენდენცია გამოვლინდა, რასაც ადგილი ჰქონდა მთელს ანტანტის ბლოკში. კერძოდ თეთრგვარდიული ელემენტების გარკვეული კრახის მოახლოების გამო მათ ორიენტაცია აიღეს ეროვნული სახელმწიფოების მხარდაჭერაზე, ამასთან თვით რუსეთის ბოლშევიკურ რეჟიმთან ურთიერთობათა „აღდგენაზეც“ დაიწყეს ფიქრი. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა იტალიის პარლამენტის 1919 წლის 16 დეკემბრის დადგენილება, რომელიც ნიტის მთავრობას ავალდებულებდა „მიეღწია მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოში საკითხის იმგვარი გადაწყვეტისათვის, რომელიც გაითვალისწინებდა რუსეთისათვის ბლოკადის მოხსნას, სამხედრო ინტერვენციის გარეშე ურთიერთობათა აღდგენას“[207].

მაშასადამე, 1919 წლის დასასრულისათვის საქართველო-იტალიის ურთიერთობანი ისეთ ზღვარს მიუახლოვდა, რომლის იქითაც უკვე დღის წესრიგში უნდა დამდგარიყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება და მასთან დიპლომატიური ურთიერთობის ოფიციალური დამყარების საკითხი. ამ მომენტის გამოკვეთა იტალიის დიპლომატიაში თვისობრივად ახალი მოვლენა იყო და საბახტრაშვილის მისიის როლიც ამ „თვისობრივ ცვლილებაში“ ეჭვს არ იწვევს. აღსანიშნავია საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების საერთაშორისო პროცედურასთან დაკავშირებული ის ნიშანდობლივი გარემოებაც, რომ აქამდე იტალიისათვის შეუძლებელი იყო სეპარატისტულად ანტანტის ბლოკისაგან დამოუკიდებლად გადაედგა ეს ნაბიჯი[208], 1919 წლის ბოლოსათვის „იტალია შეიძლება იძულებული გახდეს ასეთი ნაბიჯი გადადგას, თუ, რასაკვირველია, ჩვენც ჩვენის მხრივ ცდა არ დავაკლით და ეკონომიკური საკითხები

---

[207] Б. Штейн, დასახ. ნაშრ., გვ. 384.

[208] ასეთი ნაბიჯი პირველად არგენტინამ გადაგდა 1919 წლის სექტემბერში საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე აღიარებით. მაგრამ ეს არ წარმოადგენდა სეპარატისტულ აქციას, რადგანაც არგენტინა ნეიტრალური სახელმწიფო იყო და იურიდიული ვალდებულებებით არ იყო ანტანტასთან დაკავშირებული

მოხდენილად დაეუკავშირეთ პოლიტიკურ საქმეს"[209]. თუმცა, როგორც შემდგომმა მოვლენებმა ცხადყვეს, იტალიას საქართველოს დამოუკიდებლობა სეპარატისტული ფორმით მაინც არ უცვნია.

1919 წლის ნოემბერ-დეკემბერში „საბახტარაშვილის მისიის" წევრებს არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდათ იტალიის გავლენიან პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ძალებთან, რათა რეალური წარმოდგენა შეექმნათ მათთვის საქართველოში და მის ირგვლივ არსებულ ვითარებაზე და დაერწმუნებინათ იტალიელი პოლიტიკოსები „საქართველოს საკითხის" დადებითი გადაწყვეტის აუცილებლობაში. „თანდათან შევიჭერით სხვადასხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში, – წერს კ. საბახტარაშვილი ჟორდანიას, – და შევეცადეთ მათთვის ნათელგვეყო ჩვენი საკითხი. ამის შედეგად ჩაითვლება ის, რომ ამჟამად არ არსებობს არც ერთი სერიოზული პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელიც ჩვენს საკითხს არ იცნობდეს და მისი სამართლიანი გადაჭრის წინააღმდეგი იყოს..."[210].

იტალიის მთავრობასთან საქართველოს დელეგაციის მოლაპარაკებაში ყურადღებას იქცევს ორი ქვეყნის თანამშრომლობის ისეთი სფერო, როგორიცაა იტალიური იარაღის მიწოდების საკითხი. საქმე იმაშია, რომ რომში მიმდინარე მოლაპარაკებების დროს კ. საბახტარაშვილი სპეციალურად მიიწვიეს ინგლისის საელჩოში. ელჩი დაინტერესდა სპეციალურ მისიასა და იტალიის მთავრობას შორის გამართული მოლაპარაკებების შინაარსით და საბახტაშვილს სთხოვა პასუხი გაეცა კითხვაზე – ხომ არ განხილულა საქართველოსა და იტალიას შორის სამხედრო თანამშრომლობის, კერძოდ საქართველოსათვის იტალიური იარაღის მიწოდების საკითხი? ინგლისის დაინტერესების ეს სფერო მეტად სიმპტომატურია, რადგანაც აქ ჩანს ინგლის-იტალიის შეფარული წინააღმდეგობა საქართველოზე

---

[209] სცხსა, ა.არჩვაძის მიკროფორების ასლი, 701

[210] სცხსა, ა.არჩვაძის მიკროფორების ასლი, 701

გავლენის დამყარებაში. საქართველოსა და აზერბაიჯანის ბაზარზე იტალიური იარაღის გაჩენა უშუალოდ დაკავშირებული იყო რეგიონში იტალიის გავლენის გაძლიერებასთან. მითუმეტეს, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკები განიცდიდნენ იარაღისა და სამხედრო აღჭურვილობის დიდ დეფიციტს და მათთვის იტალიის მხრიდან ამის მიწოდება საგრძნობლად გაზრდიდა იტალიის პოლიტიკურ წონადობას ამ სახელმწიფოთა მმართველი წრეების თვალში. კ. საბახტარაშვილმა გადაჭრით განუცხადა ინგლისის ელჩს რომში, რომ მოლაპარაკებათა დღის წესრიგში საქართველოსათვის იტალიური იარაღის მიყიდვის საკითხი არ იდგა[211]. ქართველი დიპლომატის პასუხი, როგორც ჩანს, სასწრაფოდ აცნობეს ლონდონს. მაგრამ ინგლისის ელჩის ცნობა კერზონმა საეჭვოდ მიიჩნია და საკითხის ყოველმხრივი გარკვევის მიზნით სპეციალური დავალება მისცა უშუალოდ ამიერკავკასიაში მყოფ უორდროპს[212]. აღნიშნულ საკითხზე შეხვდა თუ არა უორდროპი საქართველოს პოლიტიკურ მესვეურებს, სამწუხაროდ ჩვენთვის უცნობია, მაგრამ სავსებით დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ „უორდროპი შეხვედრია აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრს და მასთან საუბარში დაუდგენია, რომ აზერბაიჯანისათვის იარაღი მართლაც შეუთავაზებია იტალიელი პოლკოვნიკის გაბას მისიას"[213].

კ. საბახტარაშვილის მეთაურობით იტალიაში საქართველოს დიპლომატიური მისიის საქმიანობა (ჩვენ ამჯერად შევეხეთ მისიის პირველ ეტაპს, რომელიც ქრონოლოგიურად 1919 წლის ოქტომბერ-დეკემბერს მოიცავს), მისი მოლაპარაკებანი ფ. ნიტისთან, ვ. შია-

---

[211] გ. ლაბაშიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 211.

[212] ოლივერ უორდროპი – ინგლისის პოლიტიკური წარმომადგენელი და უმაღლესი კომისარი საქართველოში. მოღვაწეობდა თბილისში 1919 წლის 29 აგვისტოდან საქართველოს რესპუბლიკის დამხობამდე. იყო ცნობილი ქართველოლოგი და ქართული ენისა და კულტურის დიდი თაყვანისმცემელი.

[213] გ. ლაბაშიძე. იქვე.

ლიასთან, სამთავრობო, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებთან გამართული შეხვედრები – აღნიშნული პერიოდის საქართველო-იტალიის ურთიერთობის მეტად თვალსაჩინო მომენტია. სწორედ ამ მისიის შედეგია ანტანტის უმაღლესი საბჭოში „საქართველოს საკითხის“ დადებითი გადაწყვეტისადმი იტალიის დიპლომატიის კეთილგანწყობის უზრუნველყოფა, 1920 წლის ზამთარში საქართველოში იტალიის ეკონომიკური მისიის ჩამოსვლა და სხვ. ალბათ გადაჭარბებაში არ ჩაგვეთვლება, თუ ვიტყვით, რომ პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის მოღვაწეობის შემდეგ, კ. საბახტარაშვილის მისია წარმოადგენდა ქართული დიპლომატიის მეორე სერიოზულ გარღვევას საერთაშორისო ასპარეზზე.

თავი III

საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1920 წელს და 1921 წლის დასაწყისში

1920-1921 წლების მიჯნაზე დასავლეთის სახელმწიფოთა დამოკიდებულება საქართველოსადმი, შეიძლება ითქვას, რადიკალურად შეიცვალა. ამ დროისათვის ბოლშევიკურმა რეჟიმმა საგრძნობი მარცხი მიაყენა რუსეთის კონტრევოლუციურ ძალებს, 1920 წლის 8 იანვარს დაეცა კოლჩაკის უკანასკნელი დასაყრდენი-კრასნოიარსკი, რასაც მოჰყვა ე.წ. „აღმოსავლეთის ფრონტის" ლიკვიდაცია. წითელმა არმიამ გადამწყვეტი წარმატებები მოიპოვა თურქესტანსა და კასპიისპირეთში. ამავე პერიოდში განადგურებულ იქნა იუდენიჩის კორპუსიც. მნიშვნელოვანწილად შეირყა დენიკინის პოზიციებიც: 1920 წ. 2 იანვარს წითელმა არმიამ აიღო ქ. ცარიცინი, ხოლო 8 იანვარს – როსტოვი.[214] მაშასადამე, ცხადი გახდა, რომ რუსეთში დე ფაქტო არსებული ბოლშევიკურ,საბჭოთა წყობილების დამხობა ფაქტიურად შეუძლებელი იყო, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში. რუსეთის სამოქალაქო ომში წარმოშობილმა ახალმა რეალიებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინეს ანტანტის სახელმწიფოთა „რუსულ პოლიტიკაზე". ამიერიდან ამ „რუსული პოლიტიკის" ქვაკუთხედი გახდა ბოლშევიკური ჯარების შემდგომი წინსვლის შეჩერება და სამხრეთის მიმართულებით საბჭოთა წყობილების ძალდატანებითი გავრცელების ბლოკირებისათვის ქმედითი ბარიერების შექმნა. ამ „ბარიერებში" განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენდნენ ამიერკავკასიის სახელმწიფოები. მაშასადამე, 1920 წლის დასაწყისისათვის საქართველომ განსაკუთრებით მიიქცია ანტანტის ბლოკის სახელმწიფოთა ყურადღება, უპირატესად სამხედრო-

[214] უფრო დაწვრილებით იხ, А. Б. Кадишев, интервенциа и гражданская война в закавказъе, М., 1960, გვ. 224-225.

სტრატეგიული თვალსაზრისით, რათა უკვე აღმოსავლეთიდან შეეჩერებინათ „ქაოსის აჩრდილი, რომელიც სულ უფრო და უფრო დიდდებოდა საშინელი ღრუბლის მსგავსად და მთელს მსოფლიოს განადგურებით ემუქრებოდა“[215]. ეს „ახალი პოლიტიკა“ გულისხმობდა, უპირველეს ყოვლისა, ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულების კონსოლიდაციისათვის, მათი სამხედრო და ფინანსური განმტკიცებისათვის ხელშეწყობას, რათა რუსეთის ირგვლივ ნავარაუდევ ე.წ. „სანიტარულ კორდონში“ საქართველოსა და ამიერკავკასიას ქმედითი ფუნქცია შეესრულებინა. 1920 წლის დასაწყისისათვის მსოფლიო პოლიტიკის ორბიტაში საქართველოს შედარებით აქტიური ჩართვის, მისი ეროვნულ-პოლიტიკური დამოუკიდებლობის საკითხის პირდაპირი დაყენების მიზეზებში უმთავრესი მნიშვნელობა სწორედ რუსეთში მიმდინარე პროცესებს, კერძოდ, რესტავრატორული მოძრაობის რეალურ კრახში უნდა ვეძებოთ. თავის ინტერვიუში „საქართველოს რესპუბლიკისადმი“, პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ა.კ. ჩხენკელი აღნიშნავდა: „... რუსეთში მომხდარი ცვლილებების გამო ძირიანად გამოცვლილ იქნა პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი აზრები და მიდრეკილებანი... რომ საქართველო თავისთვის არის, რუსეთი კიდევ თავისთვის“ [216]

ამგვარი ცვლილების არსი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ამჟამად პარიზის ფორუმზე საქართველოს საკითხი დამოუკიდებლად, „რუსული საკითხისაგან“ განცალკევებით იხილებოდა, რამაც დააჩქარა კიდეც საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტიური ცნობა. „დაინტერესებული სფეროებისათვის (იგულისხმება ანტანტის უმაღლესი საბჭო – დ.ჯ.) ობიექტური გამოკვლევის შემდეგ ნათელი ხდება ის, რომ საუკეთესო გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან

---

[215] Р. Стеннард Геккер, Вудро Вильсон. Мировая война. Версалъский Мир., М. 1923, გვ.130.

[216] „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წლის 11 იანვარი

იქნება ამიერკავკასიის სრული ნეიტრალიზაცია (რუსეთისაგან — დ.ჯ.) და ამიერკავკასიის ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევა..."[217] აკ. ჩხენკელი, რომლისთვისაც შესანიშნავად იყო ცნობილი „რუსული პრობლემის" განსაკუთრებული მნიშვნელობა პარიზის კონფერენციაზე განხილვადი საკითხების კონტექსტში, არაორაზროვნად მიუთითებს, რომ საქართველოს საკითხის „რუსული საკითხისაგან" განცალკევებით დაყენებაში უმთავრესი როლი საქართველოს „საერთაშორისო და გეოგრაფიულმა მდგომარეობამ" შეასრულა. მაშასადამე, 1920 წლის დასაწყისის კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში საქართველო ევროპის სახელმწიფოთა გეოსტრატეგიულ პრიზმაში უმთავრესი რეგიონის სტატუსს იღებს, როგორც თაკისებური „ბუფერული ზონა" სამხრეთით, კერძოდ აზიისა და ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით, ბოლშევიკური ექსპანსიონიზმის აღკვეთისათვის. ანტანტის „ახალი სტრატეგია" კარგად გამოვლინდა ანტანტის უმაღლესი სამხედრო საბჭოს მიმართვაში (1920 წლის 19 იანვარი) პრემიერთა საბჭოსადმი, რომელშიც აღნიშნულია: „თუ შეუძლებელია ბოლშევიზმის დამარცხება მისსავე საკუთარ ტერიტორიაზე (იგულისხმება საკუთრივ რუსეთი — დ.ჯ.), მაშინ აუცილებელია მისი შეჩერება ზოგიერთი სახელმწიფოს მიმართულებით, მაგალითად კავკასიაში. ამ მიზნით განხილულ უნდა იქნას საკითხი კავკასიაში სამხედრო ბარიერის ორგანიზაციის შესახებ". [218]

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე გასაგებია, თუ რატომ მიიღო პარიზის კონფერენციის 1920 წლის იანვრის სესიაზე[219] საქართველოსა და აზერბაიჯანის პრობლემამ (ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღიარება, მათთვის სამხედრო და ფინანსური დახ-

---

[217] იქვე

[218] Б. Штейн. დასახ. ნაშრ., გვ. 350

[219] გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის (1919 წ. 28 ივნისი) შემდეგ პარიზის კონფერენციის უმაღლესი ორგანო გახდა „დელეგაციების მეთაურთა საბჭოს სესია".

მარების გაწევა) ძირითადი საკითხების ხასიათი. იმდენად, რამდენადაც აღნიშნული საკითხების განხილვასა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებაში იტალიის სამეფოს დელეგაციაც ღებულობდა მონაწილეობას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შედარებით ვრცლად შევეხოთ პარიზის საზავო კონფერენციის დელეგაციების მეთაურთა საბჭოს სესიაზე, ასევე საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოსა და სამხედრო ექსპერტთა საბჭოს სხდომებზე საქართველო-აზერბაიჯანის სუვერენიტეტის ფაქტიურ ცნობასა და სამხედრო-ფინანსურ დახმარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას.

1920 წლის 6 იანვარს ევ. გეგეჭკორმა სპეციალური ნოტა გაუგზავნა ამიერკავკასიაში ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს ოლივერ უორდროპს, ნოტაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მდგომარეობა უმძიმესია და აუცილებელია დახმარება. „დახმარებაში" საგარეო საქმეთა მინისტრი გულისხმობდა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას და სამხედრო, სასურსათო და ფინანსური ოპერაციების განხორციელებას.[220]

1920 წლის 10 იანვარს გაიმართა პარიზის საზავო კონფერენციის უმაღლესი საბჭოს სხდომა, რომელიც, ლოიდ-ჯორჯის ინიციატივით, სპეციალურად მიეძღვნა ამიერკავკასიაში მიმდინარე პროცესების ანალიზს და საქართველოს და აზერბაიჯანის მიმართ მოკავშირეთა შემდგომი სტრატეგიული კურსის განსაზღვრაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ამიერკავკასიიდან უორდროპის მისიისგან, ასევე პარიზის კონფერენციაზე საქართველოსა და აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენლებისაგან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე ინგლისის პრემიერ-მინისტრმა შედარებით ფართოდ მიმოიხილა რეგიონში არსებული პოლიტიკური და სამხედრო ვითარება და ხაზი გაუსვა აქ არსებული სახელმწიფოებისათვის რეალური დახმარების გაწევის აუცილებლობას, მან განაცხადა, რომ „კასპიის ზღვართულებით წითელი არმიის

[220] სცსსა, ფ. 1864, ს. 80, ფ. 13.

შეტევისა და დენიკინის ჯარების დამარცხების გამო, შესაძლოა კავკასიის სახელმწიფოები უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამიტომ საჭიროა მათთვის დახმარების გაწევა. იარაღისა და ამუნიციის მიწოდების გზით.[221] ამ სამხედრო ხასიათის საკითხების გადაწყვეტისათვის ლოიდ-ჯორჯმა წინადადება წამოაყენა, რომ ისინი განეხილა ანტანტის სამხედრო ექსპერტთა საბჭოს. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს კლემანსომ და ნიტტიმ. კლემანსომ, ამასთან, მოითხოვა, რომ ბრიტანეთის დელეგაციას სამხედრო ექსპერტთა საბჭოსათვის წინასწარ წარედგინა მემორანდუმი, რომელშიც დაწვრილებით იქნებოდა მოცემული ამიერკავკასიისათვის სამხედრო-მატერიალური დახმარების გაწევასთან დაკავშირებული საკითხები.[222]

იმავე 10 იანვარს შეიკრიბა პარიზის კონფერენციის მეორე ორგანო — საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, რომელშიც მონაწილეობდნენ კერზონი, პიშონი, პოლკი[223] და შიალოია. განხილულ იქნა ამიერკავკასიის საკითხის პოლიტიკური ასპექტები. კერზონმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებებს, რომ, კავკასიაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, აუცილებელია საკითხის არა მარტო და არა მხოლოდ სამხედრო, არამედ პოლიტიკურ ჭრილში განხილვაც. ბუნებრივია, ამიერკავკასიის პრობლემის პოლიტიკური მომენტი აუცილებლად გულისხმობდა აქ არსებული სახელმწიფოებრიეი ერთეულების დამოუკიდებლობის აღიარებას. ნიშნადობლივია ისიც, რომ ამგვარი დიპლომატიური ნაბიჯი ანტანტის მხრიდან წარმოადგენდა, როგორც ამიერკავკასიის სახელმწიფოთა პოლიტიკური ნების დადასტურებას საერთაშორისო ასპარეზზე, ასევე ბოლშე-

[221] В. Адамиа, из истории английской интервенции в грузии, Сухуми, 1961, გვ.132

[222] Б. Штейн, დასახ. ნაშრ. გვ. 347.

[223] ამ პერიოდში რ. ლანსინგი აშშ-ში იმყოფებოდა, ამიტომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომებში მონაწილეობდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჯ. პოლკი.

ვიკური რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი დიპლომატიური კოლიზიების წინასწარი განეიტრალების საშუალებასაც (რამეთუ საქართველოსა და აზერბაიჯანის საერთაშორისო აღიარების შემდეგ, ამ რესპუბლიკებისათვის გაწეულ სამხედრო დახმარებას რუსეთი ვერ მისცემდა ინტერვენციისა და თავის საშინაო საქმეებში ანტანტის ქვეყნების ჩარევის კვალიფიკაციას). კერზონმა წინადადებით მიმართა საბჭოს — საქართველოსა და აზერბაიჯანის ფაქტიური დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ და აღნიშნა, რომ „ამ მთავრობის დე-ფაქტო აღიარება იქნება მათთვის უდიდესი დახმარების გაწევის ტოლფასი, როგორც ეს ადრე იქნა გაკეთებული ბალტიისპირეთის სახელმწიფოებთან მიმართებაში".[224] ამ წინადადებას მხარი დაუჭირა საბჭოს წევრთა უმრავლესობამ (აშშ,ის პოზიციის თავისებურებებზე ქვემოთ ვიტყვით). 1920 წლის 11 იანვარს პარიზის კონფერენციის დელეგაციების მეთაურთა საბჭომ ცნო საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დე ფაქტო. ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია: „მოკავშირე და ასოცირებული მთავრობები დე ფაქტო ცნობენ საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებს"[225] მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კერზონმა უორდროპს აცნობა, ამ უკანასკნელმა კი — საქართველოს მთავრობას. 13 იანვრის „საქართველოს რესპუბლიკა" მეწინავე სტატიაში წერდა: „გუშინ, 12 იანვარს, ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა უორდროპმა ინახულა გარეშე საქმეთა მინისტრი ევგ. გეგეჭკორი და ოფიციალურად განუცხადა შემდეგი: საზავო კონფერენციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე ლორდ კერზონის წინადადებიით ერთხმად აღიარებულ იქმნა საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა"[226]

---

[224] В. Адамия, დასახ. ნაშრ., გვ. 133

[225] იქვე.

[226] „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წ. 13 იანვარი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დე ფაქტო ცნობა დიდი მნიშვნელობის მქონე აქტს წარმოადგენდა. 1920 წლის დასაწყისის საერთაშორისო კონიუნქტურის პირობებში ეს იყო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს, მისი დიპლომატიის სერიოზული გარღვევა საერთაშორისო ასპარეზზე. II იანვრის აქტი, ამასთან, საკმაოდ სოლიდურ და მნიშვნელოვან წინამძღვრებს ქმნიდა დამოუკიდებელი ქართული დიპლომატიის სრულმასშტაბოვანი მოქმედებისა და საქართველოს მიერ საერთაშორისო სისტემაში სრულყოფილი ჩართვისათვის. მართალია, შინაგანი თვისობრივი პარამეტრებით დე ფაქტო აღიარება არ წარმოადგენდა საერთაშორისო ცნობის, ასე ვთქვათ, უმაღლეს ფაზას, რამეთუ გულისხმობდა უცხო სახელმწიფოებთან შეზღუდული ხასიათის ურთიერთობების დამყარებას და პოლიტიკურ - ეკონომიკური ურთიერთობების შედარების ნაკლებ მოცულობასაც, მაგრამ საერთაშორისო ვითარების იმდროინდელი ხასიათის გათვალისწინებით, იგი უცილობლად წარმოადგენდა უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას და საქართველოს პოლიტიკური მესვეურებიც სწორედ ამგვარი განზომილებით უდგებოდნენ მის შეფასებას. საქართველოს დამფუძნებელი კრების 14 იანვრის საზეიმო სხდომაზე ნ. ჯორდანია აღნიშნავდა: „ნება მიბოძეთ მოგილოცოთ თქვენ, მოციქულო საქართველოს ხალხს საერთაშორისო ოჯახში გაშლილ დროშით შესვლა და იქ ევროპის ხალხთა გვერდით საკუთარი ადგილის დაჭერა. ამიერიდან ქართული ერი მიღებულია დიდი ერების მიერ, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის".[227]

ანტანტის უმაღლესი საბჭოს II იანვრის აქტში, ვფიქრობთ, [illegible] გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ასპექტები გამოსცდა. ამ თვალსაზრისით კი ეს მოვლენა აშკარად [illegible] ხასიათს იძენდა. ამასთან, ამ „ანტირუ-

---

[227] „საქართველოს რესპუბლიკა". 1920 წ. 16 იანვარი.

სულ'ში" მხოლოდ „ანტიბოლ'შევიკური" არ უნდა ვიგულისხმოთ. საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დე ფაქტო ცნობაში კარგად გამოვლინდა მოკავშირეთა მიერ ადრე არაერთხელ დეკლარირებული „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის" დოქტრინის ფაქტობრივი უარყოფა, რაც რუსეთის რესტავრატორული მოძრაობის კრახის შედეგი იყო. საგულისხმოა ისიც რომ 1920 წლის გაზაფხულზე, ვრანგელის ანტიბოლშევიკური მოძრაობის მხარდაჭერისას, ანტანტას არ მოუხდენია „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის" იდეის რეანიმაცია, რაშიც 11 იანვრის აქტს, ბალტიისპირეთის, ფინეთისა და პოლონეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესაბამის აქტებთან ერთად, ფუნდამენტალური მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, მაშასადამე, 11 იანვრის გადაწყვეტილება ამიერკავკასიის გეოპოლიტიკური სივრციდან რუსეთის ფაქტიური განდევნის იურიდიულ, საერთაშორისო-სამართლებრივ დადასტურებას წარმოადგენდა საქართველოსათვის, ქართული დიპლომატიისათვის კი ეს იყო ევროპული ორიენტაციის მასტიმულირებელი ფაქტორი. სწორედ ანტანტის ანტირუსული გეოპოლიტიკის ობიექტური თანხვდენილობა ევროპასთან ინტეგრირებისაკენ საქართველოს ბუნებრივ და კანონზომიერ მიწრაფებასთან უნდა გამხდარიყო რეალური საფუძველი, რომელსაც დაემყარებოდა საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები დასავლეთის სახელმწიფოებთან ყოველმხრივი ურთიერთობების დამყარება-განვითარებაში. დამფუძნებელი კრების 14 იანვრის სხდომაზე გამოსვლისას ნ. ჟორდანია ამბობდა: „რას ნიშნავს კავშირი რუსეთთან ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ კავშირი გავწყვიტოთ ევროპასთან... და პირი ვიბრუნოთ აღმოსავლეთისაკენ. ჩვენ მუდამ ვირჩევდით და ვირჩევთ დასავლეთს... მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს"[228] ბუნებრივია, ქართული დიპლომატიის პრიდასავლური ორიენტაციის მდგრადობა

---

[228] „საქართველოს რესპუბლიკა". 1920წ. 16 იანვარი.

და უკუგებითი ფუნქცია მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული თვით საქართველოს სახელმწიფოებრიობის შინაგან სიმტკიცეზე, მისი პოლიტიკური ინსტიტუტების ეფექტურობასა და სიცოცხლისუნარიანობაზე, ქართველი ერის შინაგანი კონსოლიდაციისა და მობილიზაციის ხარისხზე, აღიარებული დამოუკიდებლობის დაცვის უნარზე. ამასთან, არსებობდა 11 იანვრის აქტის კიდევ ერთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფორმალურ იურიდიული ასპექტი – საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. დამფუძნებელი კრების 14 იანვრის სხდომის რეზოლუციაში გამოთქმულია საქართველოს სრული მზადყოფნა „საერთაშორისო მოვალეობის“ ყველა არსებითი მხარის შესრულებისადმი: „დამფუძნებელი კრება აცხადებს, რომ საქართველო შედის რა ფაქტიურად, როგორც სრულუფლებიანი წევრი სახელმწიფოთა საერთაშორისო ოჯახში, პირნათლად შეასრულებს ყოველივე საერთაშორისო მოვალეობას და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს თავის დამოუკიდებლობას...“[229]

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მეტად სპეციფიკური გარემოების შესახებ; საქართველოში, როგორც ცარიზმის კოლონიური რეჟიმისაგან ახლადგანვითარებულ სახელმწიფოში, ფაქტიურად არ არსებობდა საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების განმხორციელებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტები (რაც რუსეთის კოლონიური ადმინისტრაციის ბატონობის შედეგი იყო და არა ჩვენი ქვეყნის დაბალი სამართლებრივი კულტურის გამოხატულება). ამის გამო შესაბამისი საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების (მაგ: დიპლომატიური იმუნიტეტის ნორმები, საკონსულო წარმომადგენლობების უფლებათა გარანტირება და ა.შ.) რეალიზაცია ხდებოდა სახელმწიფო ხელისუფლების ინდივიდუალური აქტებით:

---

[229] სცსსა, ფ. 1833, ს. 61, ფ. 169.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული ღონისძიებანი, სენატის (უმაღლესი სასამართლო ინსტანციის) და დამფუძნებელი კრების საგარეო ურთიერთობათა კომისიის გადაწყვეტილებანი და ა.შ. მაშასადამე, ქართული სახელმწიფოებრიობის გავლენა დიპლომატიური და საკონსულო სამართლის ნორმებზე მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფდა საქართველოში საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ცივილიზებულ ურთიერთმიმართებას.

დასასრულ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო ცნობა საერთაშორისო სისტემაში ჩვენი ქვეყნის დაკარგული უფლების აღდგენას გულისხმობდა, ე.ი. ეს გახლდათ საერთაშორისო დონეზე საქართველოს მიერ აღდგენილი თავისუფლების დეკლარირება, რაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურული კაცობრიობის ოჯახში შესაბამისი სტატუსით დამკვიდრების საფუძვლიან წინაპირობას ქმნიდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტიური საერთაშორისო აღიარებისადმი ბოლშევიკური რუსეთი, ბუნებრივია, ნეგატიურად იყო განწყობილი. ლენინ-ჩიჩერინის მთავრობამ კარგად განჭვრიტა ამ აქტის საერთაშორისო შედეგები და მიხვდა, რომ ამიერიდან ამიერკავკასია პარიზის კონფერენციაზე განიხილებოდა როგორც სტრატეგიული პლაცდარმი ბოლშევიკური იმპერიალიზმის ექსპანსიონისტური მისწრაფებების შესაკავებლად. მაგრამ მაშინდელ კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში, როდესაც მოსალოდნელი იყო ანტანტის მიერ წაქეზებული პოლონეთის მხრიდან საბჭოთა სახელმწიფოზე თავდასხმა, რუსეთი მოერიდა გართულებების პროვოცირებას და შესაბამისი დიპლომატიური არხებით 11 იანვრის აქტისადმი მოჩვენებითი კეთილგანწყობა გამოავლინა. 1920 წ. 16 იანვარს აშშ-ში რუსეთის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ლ. მარტენსმა სპეციალურ განცხადებაში დააფიქსირა რუსული დიპლომატიის პოზიცია. იგი წერდა: „სრულებით არ სურს რა თავს დაესხას თავის მეზობლებს, მათ შორის ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე

წარმოქმნილ ახალ სახელმწიფოებს, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა ყოველგვარი წინაპირობის გარეშე ცნობს ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობას და სურს მათთან მშვიდობიანი და მეგობრული ცხოვრება..." [230]

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ანტანტის უმაღლესი საბჭოს 1920 წ. იანვრის სესიაზე საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობასა და მისთვის სამხედრო-ფინანსური დახმარების გაწევასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ იტალიის პოლიტიკური და დიპლომატიური წრეები. მართალია, ფრ. ნიტტის მთავრობა, რომელიც საგარეო-პოლიტიკური დაძაბულობის შენელების კურსს ახორციელებდა და თავს იკავებდა რუსეთის მიმართ რადიკალური აქციების გატარებისაგან, ზომიერი, კომპრომისული პოლიტიკის წარმართვას უჭერდა მხარს, მაგრამ იმდენად ცხადი და, რაც მთავარია, ანტანტის საერთო სტრატეგიის შემადგენელი ორგანული ნაწილი გახდა საქართველოს სუვერენიტეტის დე ფაქტო ცნობა, რომ იტალიამაც მასში შედარებით აქტიური როლი შეასრულა. საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს 10 იანვრის ზემოხსენებულ სხდომაზე ვ. შიალოიამ ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი პრობლემის დადებითად გადაწყვეტას და განაცხადა: „იტალიის მთავრობა მზადაა, ცნოს საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობები დე ფაქტო ისევე, როგორც იტალიამ უკვე ცნო ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა". [231] საქართველოს მთავრობამ იტალიის დიპლომატიის ამგვარ კონსტრუქციულ და საქართველოს დამოუკიდებლობისადმი კეთილგანწყობილ პოზიციას სათანადო შეფასება მისცა. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 14 იანვრის საზეიმო სხდომაზე ნ. ჟორდანიამ

---

[230] Документы внешней политики СССР, ТII. М, 1958, გვ. 325

[231] ი. ტაბაღუა საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1994 წ., გვ 71.

ოფიციალურად განაცხადა: „ჩვენს შესახებ ერთი ენით ალაპარაკდნენ ერები... აქ არის (ე.ი. საქართველოს მხარდამჭერთა შორის – დ.ჯ.) მშვენიერი იტალია – ეს ცოცხალი ხიდი ძველი და ახალი ცივილიზაციისა, ისეთი ცხელი მზით და მკვირცხლი ხალხით, როგორც ჩვენი მზე და ჩვენი ხალხია... ამით ჩვენი გაწვდილი ხელი მეგობრულად ჩაძოგცართვეს და ახლად შობილი სახელმწიფოს მიქრმელის როლი იტვირთეს"[232]

1920 წლის 19 იანვარს საქართველოში იტალიის სამხედრო მისიის უფროსმა, პოლკოვნიკმა მ. გაბამ სპეციალური ნოტა გაუგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს. ნოტა შეიცავდა ოფიციალურ ცნობას იტალიის მთავრობის მიერ 11 იანვრის რეზოლუციის დადასტურების შესახებ (ანალოგიური შეტყობინებანი ევ. გეგეჭკორმა მიიღო ინგლისის (უორდროპი) და საფრანგეთის (დე ნონანკური) წარმომადგენლობებისაგან, შესაბამისად 12 და 18 იანვარს). პოლ.გაბა წერდა: „თქვენო აღმატებულებავ! მივიღე იტალიის სამეფო მთავრობისაგან რადიოტელეგრამა, რომელშიც მატყობინებდნენ, რომ უმაღლესი საბჭოს სხდომამ მიმდინარე თვის 11-ში გადაწყვიტა, რომ მოკავშირეთა მთავარი სახელმწიფოები და მათთან ასოცირებულნი, კოლექტიურად სცნობენ საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებს დე ფაქტო" [233]

გაბამ გულთბილად მიულოცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს საერთაშორისო აღიარების მიღწევა და საქართველოსადმი თავისი ულრმესი და უგულითადესი სურვილები გამოხატა: „მე დიდად ბედნიერი ვარ, გადმოგცემთ რა უმაღლესი საბჭოს ამ გადაწყვეტილებას მისი მიღებისთანავე, რომ მაქვს საშუალება განვიხილო

---

[232] „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წ. 16 იანვარი

[233] ი. ტაბაღუა, საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა დე ფაქტო და დე იურე, კრ. „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან", ტ. II, თბ. 1995, გვ. 106

თქვენს მიმართ ჩემი გულითადი მოლოცვის გამოხატვა და ჩემი საუკეთესო სურვილები საქართველოს რესპუბლიკის მომავლისადმი“ [234]

პარიზის კონფერენციის უმაღლესი საბჭოს იანვრის სესიაზე საქართველოსა და ამიერკავკასიის პრობლემის განხილვა საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის ფაქტიური ცნობის საკითხებით არ ამოწურულა. 1920 წლის 15 იანვარს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალურმა მდივანმა ჟიულ კამბონმა სპეციალურ აუდიენციაზე მიიწვია პარიზის კონფერენციაზე საქართველოს და აზერბაიჯანის დელეგაციათა წევრები. შეხვედრის დროს კამბონმა ოფიციალური შეტყობინება გადასცა ჩხეიძესა და თოფჩიბაშევს ანტანტის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დე ფაქტო აღიარების შესახებ. ნ. ჩხეიძემ ირ. წერეთელმა და თოფჩიბაშევმა მადლობა გადაუხადეს ფრანგ დიპლომატს და, ამასთან, წამოაყენეს ახალი მოთხოვნები – ამიერკავკასიის სახელმწიფოებისათვის სამხედრო-ფინანსური დახმარების გაწევისა და მათი დამოუკიდებლობის დე იურე აღიარების შესახებ“.[235]

1920 წლის 17 იანვარს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა ანტანტის სამხედრო ექსპერტთა საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა ამიერკავკასიისათვის სამხედრო დახმარების გაწევასთან დაკავშირებული საკითხები.[236] სამხედრო ექსპერტებმა

---

[234] იქვე

[235] სამწუხაროდ აღნიშნული შეხვედრის სტენოგრაფიული ანგარიში არ არსებობს, ვსარგებლობთ მისი ზ ავალიშვილისეული აღწერილობით, იხ. З. Авалов, Независимостъ Грузии в международной политике (1918-1921 гг), Париж, 1924, გვ. 241. იხ. ასევე ი. ტაბაღუა, საქართველოს საგარეო ურთიერთობების ისტორიიდან, გვ. 70-85 (საქართველოს საკითხი ანტანტის წარმომადგენელთა თათბირზე).

[236] В. Адамия, დასახ. ნაშრ., გვ. 135

დაწერილებით განიხილეს სპეციალური მემორანდუმი, რომელიც ინგლისის დელეგაციამ წარადგინა დელეგაციების მეთაურთა საბჭოს 10 იანვრის გადაწყვეტილების შესაბამისად. მემორანდუმის შესავალში ნიუანსურად იყო აღწერილი ვითარება ამიერკავკასიაში რუსეთის რესტავრატორული მოძრაობის (კოლჩაკი, დენიკინი) დამარცხების შემდეგ. ხაზგასმული იყო, რომ დენიკინის დამარცხების შემდეგ გარდაუვალია ბოლშევიკური არმიის შეტევა ამიერკავკასიაზე, ამასთან, თურქეთის აგრესიული პოლიტიკის გააქტიურება სამხრეთიდან. ამიტომ თუ არ განხორციელდა საქართველოსათვის ეფექტური დახმარების გაწევა, იგი შეიძლება დაეცეს. საქართველოს დაცემა კი გამოიწვევს სერიოზულ შედეგებს მოკავშირეებისათვის. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საქართველოსათვის სამხედრო და მატერიალური ხელშეწყობა იმ ფორმით და მოცულობით, რომ მან შეძლოს საკუთარი საზღვრების დაცვა და ტერიტორიის კონტროლი. მემორანდუმის მიხედვით, ანტანტის სტრატეგია საქართველოსა და ამიერკავკასიისათვის დახმარების გაწევის სფეროში ფოკუსირდება ხუთ უმთავრეს პუნქტში:

„ 1. მოკავშირეების მიერ საქართველოსა და აზერბაიჯანის აღიარება (ეს პუნქტი რეალიზებულ იქნა 1920 წლის 11 იანვარს).

2. დენიკინისათვის გაგზავნილი შეიარაღებისა და აღჭურვილობის შემობრუნება ამიერკავკასიის მიმართულებით.

3. მოკავშირეთა დამატებითი დახმარება საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს:

ა) ფინანსური

ბ) სამხედრო (შეიარაღება და ამუნიცია)

გ) სურსათი, განსაკუთრებით პური.

4. დამატებითი სამხედრო დახმარება ბათუმისა და ბაქოს თავდაცვის გასაძლიერებლად.

5) კასპიის ზღვისა და ფლოტის გარანტირება ბოლშევიკებისაგან. დენიკინის ფლოტი მოკავშირეთა ხელში უნდა გადავიდეს, უკიდურეს

შემთხვევაში კი – ჩაიძიროს, რათა იგი ბოლშევიკებს არ ჩაუვარდეს ხელში".[237]

სამხედრო ექსპერტთა საბჭომ დაწვრილებით განიხილა ინგლისური მემორანდუმი, რომელიც არსებითად ამიერკავკასიის სახელმწიფოებისათვის უშუალო დახმარების გაწევის პროექტს წარმოადგენდა და ანტანტის უმაღლეს საბჭოში წარსადგენად შემდეგი დასკვნა შეიმუშავა: „თუ შეუძლებელია ბოლშევიზმის დამარცხება მისსავე ტერიტორიაზე (იგულისხმება საკუთრივ რუსეთის ტერიტორია – დ.ჯ.), სამაგიეროდ შესაძლებელი უნდა გახდეს მისი ბლოკირება ზოგიერთი სახიფათო მიმართულებით, მაგალითად კავკასიაში. ამ მიზნით აუცილებლად განხილულ უნდა იქნას კავკასიაში სამხედრო ბარიერის ორგანიზების საკითხი. ადგილობრივი მთავრობების არამყარი მდგომარეობისა და მათი სამხედრო ძალების მოუმწიფებლობის გამო, ეს ბარიერი უნდა შეიქმნას უპირატესწილად ევროპული ჯარების დახმარებით".[238]

სამხედრო ექსპერტთა გეგმა მრავალი ასპექტით არის საინტერესო. უპირველეს ყოვლისა, იგი სავსებით და მთლიანად შეესაბამება ანტანტის ბლოკის სახელმწიფოთა ახალ პოლიტიკას საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ, რაც ამ რეგიონის პოლიტიკური ერთეულების სახელმწიფებრივი განმტკიცებისათვის, სამხედრო გაძლიერებისათვის ქმედით ხელშეწყობას ითვალისწინებდა, თვით რეგულარული ჯარის ნაწილების გაგზავნის გზითაც კი. ამასთან, ეს კურსი არამცდაარამც არ გულისხმობდა მოკავშირეთა ახალ ინტერვენციას რუსეთის წინააღმდეგ, რამეთუ კავკასია ფაქტიურადაც და იურიდიული თვალსაზრისითაც უკვე არ განიხილებოდა რუსეთის შემადგენელ ნაწილად. მართალია დაგეგმილი სამხედრო ექსპედიცია თავისი ხასიათით და მიზანდასახულობით ანტისაბჭოთა აქცია იყო,

---

[237] მემორანდუმის ტექსტი ციტირებულია Б. Штеин-ის დასახ. ნაშრომში, გვ. 348-349.

[238] Б. Штеин, იქვე, გვ. 350

მაგრამ ეს „ანტისაბჭოური ბლოკი“ ამჟამად მოიაზრებოდა არა როგორც უშუალოდ რუსეთის ტერიტორიული სივრცეში ინტერვენცია, არამედ როგორც კავკასიის დაცვა საკუთრივ რუსულ-ბოლშევიკური ინტერვენციისაგან. ე.ი. სამხედრო ექსპერტთა საბჭოს გეგმით კავკასიაში მოკავშირეთა ჯარების შეყვანა უნდა გამხდარიყო რეგიონში საბჭოთა ექსპანსიონიზმის ძლიერი ფაქტორი.

1920 წლის 19 იანვარს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში გაიმართა ანტანტის უმაღლესი საბჭოს – დელეგაციების მეთაურთა საბჭოს – სპეციალური სხდომა. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ 19 იანვრის თაობირზე მიღებულ გადაწყვეტილებებში ყველაზე რელიეფურად გამოვლინდა 1920 წლის დასაწყისის საერთაშორისო ვითარებაში დასავლეთის სახელმწიფოთა ახალი სტრატეგიული კურსი ამიერკავკასიის საკითხთან მიმართებაში. ეს იყო პირველი წარმომადგენლობითი სხდომა ანტანტის უმაღლესი საბჭოსი, პარიზის კონფერენციის მიმდინარეობისას, რომლის დროსაც პირველად კავკასიის საკითხის განხილვის ისტორიაში იგი წარმოდგენილი იყო განცალკევებულად რუსეთის საკითხისაგან. სხდომას ესწრებოდნენ – საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟ. კლემანსო (თავმჯდომარე), მარშალი ფოში, უ. ჩერჩილი (სამხედრო მინისტრი), გენ. ჰ. ჯილსონი (გენერალური შტაბის უფროსი); იტალიის დელეგაციიდან – ფრ. ნიტტი და ვ. შიალოია. [239]

სხდომაზე მარშალმა ფოშმა წარადგინა მოკავშირეთა სამხედრო ექსპერტების საბჭოს დასკვნა (იხ. ზემოთ) და აქტიური და სწრაფი მოქმედების დაწყება მოითხოვა. ბუნებრივია, ამ „აქტიურ და სწრაფ მოქმედებაში“ იგულისხმებოდა მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების გაგზავნა რეგიონში და საჭირო მოქმედებათა ესკალაცია. ექსპერტების დასკვნისა და ფოშის წინადადებათა განხილვისას

---

[239] ი. ტაბაღუა, საქართველოს საგარეო ურთიერთობების ისტორიიდან..., გვ. 71. აქვე მოცემულია აღნიშნული სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში (გვ. 75–85), რომლითაც ვსარგებლობთ.

აშკარად გაბოიკვეთა ორი ტაქტიკური ხაზი: კლემანსო, ფოში, ბარტელო, ჩერჩილი და ვილსონი მთლიანად უჭერდნენ მხარს საბჭოთა ექსპერტების დასკვნას და მოითხოვდნენ ამიერკავკასიაში შეიარაღებული ძალების გაგზავნას, ლოიდ ჯორჯი, ნიტტი და შიალოია კი, უარყოფდნენ რა პირდაპირი სამხედრო ინტერვენციის თეზისს, უფრო მიზანშეწონილად ძიიჩნევდნენ კავკასიის რესპუბლიკებისათვის დახმარების გაწევას ფინანსური და სამხედრო რესურსების გაგზავნის გზით.[240] იტალიის დელეგაციის პოზიცია მეტად სიმპტომატურია და, ამდენად, ცალკე განხილვას მოითხოვს. საქმე იმაშია, რომ გარკვეული ობიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე იტალიის პოზიცია ბოლშევიკურ რუსეთთან მიმართებაში შედარებით ლოიალური იყო და ანტანტის ბლოკის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით სპეციფიკურ მომენტებზე იყო ორიენტირებული. ამ პოზიციას არ ახასიათებდა რადიკალიზმი და აშკარა ინტერვენციონიზმი. იტალიის მონაწილეობა ანტისაბჭოთა ინტერვენციაში, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ასე ვთქვათ, მინიმალური იყო. ამას აპირობებდა როგორც იტალიის სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიკური სისუსტე, ისევე საშინაო პოლიტიკური სიტუაციის გამწვავება 1919-1920 წ.წ. სწორედ ამ პერიოდში მიაღწია აქ კულმინაციურ მომენტს რევოლუციურმა მოძრაობამ: მუშები ეწეოდნენ ე.წ. „საოკუპაციო გაფიცვებს“ (იკავებდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებს), გლეხები ეუფლებოდნენ მემამულეთა ლატიფუნდიებს. ამას ემატებოდა ლიბერალ-პარლამენტური რეჟიმის კრიზისით გამოწვეული მძაფრი შინაპოლიტიკური კონფრონტაცია, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა კონსტიტუციურ მონარქიას და იტალიის სახელმწიფოებრიობას „ბოლშევიზაციის“ ტრაგიკული პერსპექტივით ემუქრებოდა.[241] ასეთ ვითარებაში აგრესიული, ინტერვენ

[240] В. Адамия, დასახ. ნაშრ. გვ. 136.

[241] დაწვრილებით იხ. История Италии. Т.III. М, 1971, გვ.11-29

ციონისტური პოლიტიკის წარმოება რუსეთის მიმართ სტიმულს აძლევდა სოციალურ და რეკოლუციურ მოძრაობას თვით იტალიის შიგნით, რადგანაც არსებობდა უნებლიე კავშირი ე.წ. „რუსულ საკითხსა“ და კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მუშათა და სოციალისტურ მოძრაობას შორის (ამ სახელმწიფოთა ნებისმიერი ანტიბოლშევიკური აქცია „რუსულ საკითხში“ ავტომატურად იწვევდა სოციალისტური მოძრაობის აქტივიზაციას). ამიტომაც იყო რომ ფრ. ნიტტის მთავრობა ზომიერ-ლიბერალურ კურსს იცავდა რუსეთთან ურთიერთობაში. მართალია, იტალიის დიპლომატიამ აქტიური როლი შეასრულა საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო (უფრო მოგვიანებით კი დე იურე) ცნობაში, მაგრამ ნიტტის მთავრობის „კავკასიურ პოლიტიკას“ გარკვეულწილად ბოჭავდა იტალიის პარლამენტის მიერ სოციალისტური ფრაქციისა და შრომის საყოველთაო კონფედერაციის დაწოლით მიღებული კანონი, რომელიც კრძალავდა რუსეთის წინაამდეგ ინტერვენციაში ნებისმიერი (აქტიური თუ პასიური) ფორმით იტალიის მოანწილეობას.

საკითხის ამიერკავკასიის სახელმწიფოებისათვის სამხედრო-ფინანსური დახმარების გაწევის კონტექსტში დასმის შემდეგ სხდომის მონაწილეებმა გადაწყვიტეს მიელოთ სრულყოფილი ინფორმაცია საკუთრივ საქართველოსა და აზერბაიჯანში არსებული სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შესახებ. ამ მიზნით სხდომაზე გამოძახებულ იქნენ კ. ჩხეიძე, ირ.წერეთელი, ზ.ავალიშვილი, მ.თოფჩიბაშევი და კ.მაგარამოვი. აქვე შევნიშნავთ, რომ ირ.წერეთელს ჰქონდა რწმუნებანი – გამოსულიყო აზერბაიჯანის დელეგაციის სახელითაც. დასაწყისში გაიმართა დიალოგი ირ. წერეთელსა და ჟ.კლემანსოს შორის. კლემანსოს აინტერესებდა, თუ რამდენად ეფექტურად იქნებოდა გამოყენებული საქართველოსა და აზერბაიჯანში გაგზავნილი იარაღი და სამხედრო მასალები და როგორი იყო ამ ქვეყნების თავდაცვითი შესაძლებლობანი ბოლშევიკების მხრიდან აგრესიის შემთხვევაში: „ჩვენ გვინდოდა წინასწარ გვცოდნოდა, – აუწყა მან

წერეთელს, – შეგიძლიათ თუ არა ასეთ ვითარებაში (იგულისხმება რუსეთის მხრიდან თავდასხმა – დ.ჯ.) გამოიყენოთ ის დახმარება, რომელიც ჩვენ შეგვიძლია მოგაწოდოთ... გვინდოდა გვცოდნოდა ახლანდელი მდგომარეობა თქვენს ქვეყანაში და გამოსადეგი იქნებოდა თუ არა ასეთი დახმარება ბოლშევიკების წინააღმდეგ..."[242] წერეთელმა კლემანსოს შეკითხვაზე პასუხის გაცემისას აღნიშნა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანისათვის სამხედრო დახმარების გაწევა ფაქტიურად მოხსნიდა ბოლშევიკების მხრიდან შესაძლო აგრესიის საკითხს: „თუ ანტანტა დაგვეხმარებოდა, ბოლშევიკები თავს შეიკავებდნენ (თავდასხმისაგან – დ.ჯ.) ყველა შემთხვევაში ჩვენ გვჭირდება დიდი სახელმწიფოების დახმარება თავდაცვისათვის".[243]

ამის შემდეგ გაიმართა ლოიდ-ჯორჯის საუბარი წერეთელთან და მაგარამოვთან, რომელიც შეეხებოდა საქართველოსა და აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების მდგომარეობას და მათს სამხედრო შესაძლებლობებს. [244]

საგულისხმოა, რომ სხდომაზე საქართველოს დელეგაციამ მოითხოვა სომხეთის მთავრობის დე ფაქტო ცნობა, იგივე მოთხოვნა წამოაყენა აზერბაიჯანის დელეგაციამ მთიელთა რესპუბლიკასთან დაკავშირებით. თოფჩიბაშევის აზრით, „... მთელი ამიერკავკასიის დაცვისათვის მიზანშეწონილი იქნებოდა ანტანტის სახელმწიფოების მიერ მთიელთა (დაღესტნის) რესპუბლიკის ცნობა (დე ფაქტო-დ – დ.ჯ.), რომელიც ბუფერული სახელმწიფო გახდებოდა ბოლშევიკებსა და ჩვენს შორის".[245] წერეთლისა და თოფჩიბაშევის განცხადებანი

---

[242] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 74

[243] იქვე გვ. 75

[244] წერეთელმა აღნიშნა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები მოითვლიან რეგულარული ჯარის 16 ბატალიონს 600-600 ჯარისკაცით და 15-ათასიან ეროვნულ გვარდიას. ამასთან, ომის შემთხვევაში საქართველოს შეუძლია მოახდინოს 50 ათასი კაცის მობილიზაცია.

[245] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 77

სომხეთისა და მთიელთა რესპუბლიკის ცნობის აუცილებლობის შესახებ მეტად ნიშანდობლივია ქართულ-აზერბაიჯანული დიპლომატიის იმ ერთი მნიშვნელოვანი მომენტის წარმოსაჩენად, რომელსაც პირობითად შეიძლება „შიდაკავკასიური ინტეგრაციისათვის ხელშეწყობა“ ვუწოდოთ. ბოლშევიკური აგრესიის რეალური საკითხის წინაშე მდგარი კავკასიისათვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა შიდაკავკასიური ერთობის უზრუნველყოფა, რაც უწინარესად კავკასიის სახელმწიფობრივ ერთეულთა ინტერესების ერთობას უნდა დამყარებოდა. მაგრამ, საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარების პირობებში, სომხეთისა და მთიელთა სახელმწიფოს არცნობა სერიოზულ დისბალანს ქმნიდა საკუთრივ კავკასიაში ძალთა განლაგების თვალსაზრისით, რაც შესანიშნავად ესმოდათ თბილისსა და ბაქოში. საქართველოს პოლიტიკური წრეები უაღრესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას სომხეთის დამოუკიდებლობის დე ფაქტო აღიარების შესახებ“.[246] ამ აქტთან დაკავშირებით სომხეთის პარლამენტისათვის გაგზავნილ მისალოც დეპეშაში საქართველოს დამფუძნებელი კრების სესია აღნიშნავდა: „საერთო სიხარული და ზეიმი ამიერ-კავკასიის ხალხთა... ნათლად უთითებს მათს ერთსულოვანი მოქმედების საჭიროების შესახებ მათი თავისუფალი ცხოვრების განმტკიცებისათვის“.[247] სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარებიდან ორიოდე დღის შემდეგ კი, 1920 წლის 21 იანვარს, თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების კონფიდენციალური თათბირი (ევ. გეგეჭკორი, ფ. ხან-ხოისკი და ა. ხატისიანი), რომელმაც განიხილა მიმდინარე პოლიტიკურ მომენტში ამიერკავკასიის ქვეყნების ურთიერთობის,

---

[246] ანჯანტის უმაღლესმა საბჭომ სომხეთის დამოუკიდებლობა დე ფაქტო ცნო 19 იანვარს.

[247] „საქართველო“, 1920წ. 25 იანვარი.

სამხედრო თანამშრომლობისა და ერთიანი ანტიბოლშევიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების პრობლემები.[248]

ანტანტის უმაღლესი საბჭოს 19 იანვრის სხდომაზე საგულისხმო დიალოგი გაიმართა ირ. წერეთელსა და ფრ. ნიტტის შორის, რომლის ძირითადი თემა იყო ანტანტის მიერ საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა სახელმწიფოთა აღიარების ფონზე ურთიერთობანი რუსეთის რესტავრატორულ მოძრაობასთან, კერძოდ დენიკინთან. მას შემდეგ, რაც წერეთელი შეეხო ყუბანში მიმდინარე სეპარატისტულ მოძრაობას და მხარი დაუჭირა პარიზის კონფერენციაზე ყუბანის დელეგაციის მიერ წარმოდგენილ მემორანდუმს – ყუბანის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ, ფრ. ნიტტი მას შეეკითხა: „თუ სწორად გავიგე, დენიკინის არმიის მიზანია უფრო ძველი, ცენტრალიზებული რუსეთის აღდგენა, ვიდრე ბოლშევიკების დამარცხება. ბატონო წერეთელო, თქვენ ამაში დარწმუნებული ხართ თუ არა?[249] წერეთელმა უპასუხა, რომ დენიკინის სამხედრო მოძრაობის უმთავრესი მიზანი სწორედ რუსეთის იმპერიის ტერიტორიებზე წარმოქმნილ ეროვნულ სახელმწიფოებს დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხეს უქმნის. მან აღნიშნა: „როგორც კი დენიკინი გაიმარჯვებს ბოლშევიკებზე, იგი მაშინვე მიაბრუნებს თავის ძალებს იმ ხალხების დასაპყრობად, რომლებმაც გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და რომელთა დამოუკიდებლობაც ცნეს დასავლეთის სახელმწიფოებმა".[250]

ამის შემდეგ ნიტტი შეეხო 1920 წლის 11 იანვრის აქტის დიდ საერთაშორისო და ლოკალურ-რეგიონალურ მნიშვნელობას, გამოთქვა სავსებით საფუძვლიანი ვარაუდი იმასთან დაკავშირებით,

---

[248] „საქართველო", 1920 წ. 22 იანვარი.

[249] ი. ჭაბალური, დასახ. ნაშრ. გვ. 78

[250] იქვე

რომ კავკასიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის დე ფაქტო აღიარება ხელს შეუწყობს მათის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ განმტკიცებას, აამაღლებს ქართველი და ამიერკავკასიის სხვა ერების მორალურ სულისკვეთებას და საგრძნობლად გააძლიერებს საგარეო აგრესიის მიმართ მათს წინააღმდეგობას. საპასუხო სიტყვაში წერეთელმა, თავისი მხრიდან, დაადასტურა ნიტტის მოსაზრება და დასძინა, რომ ანტანტის უმაღლესი საბჭო დე იურეს-ს ფორმითაც იცნობდა საქართველოს და აზერბაიჯანს „ვიმედოვნებთ, – აღნიშნა მან, – რომ პირველი ნაბიჯების შემდეგ, რომელიც ეს-ეს არის გადადგა ანტანტის უმაღლესმა საბჭომ, იგი ბოლომდე მიიყვანს ჩვენი რესპუბლიკების ცნობის ფაქტს. ეს იმედი განამტკიცებს ჩვენი ხალხების რწმენას და სიმამაცეს. მოსახლეობა დარწმუნდება, რომ მათი ცნობა ბოლომდე მიეა".[251]

წერეთელ-ნიტტის საუბარი (ანტანტის უმაღლესი საბჭოს სხდომისას) საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და საერთაშორისო ასპარეზზე სუვერენულ უფლებათა აღდგენისადმი იტალიის მთავრობის კეთილგანწყობის რეალური მაჩვენებელია.

კავკასიაში არსებული სამხედრო-პოლიტიკური და სტრატეგიული ვითარების შესახებ ანტანტის მესვეურთა ინფორმირების შემდეგ საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა დატოვეს სხდომა და საკითხის განხილვა მათი მონაწილეობის გარეშე გაგრძელდა. მარშალმა ფოშმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ შექმნილ პირობებში კავკასიის დაცვის საკითხი განხილულ უნდა იქნეს არა სეპარატულად არამედ როგორც ბოლშევიკებისაგან დაცვის საერთო პრობლემის ნაწილი. მისი აზრით, იმდენად, რამდენადაც უპირატეს ამოცანას წარმოადგენს ბოლშევიზმის შემდგომი წინსვლის შეჩერება და საბჭოთა აგრესიის საფრთხის ქვეშ მყოფი ეროვნული სახელმწიფოების კონსოლიდაცია, აუცილებელია „შეიქმნას სამხედრო ძალების სისტემა, საკმაოდ ძლიერი, რათა

[251] იქვე, გვ.79

ვიყოლიოთ ბოლშევიკური მოძრაობა კონტროლის ქვეშ... პირველი, რაც საჭიროა, არის ის, რომ შეჩერდეს ბოლშევიკების წინსვლა და შეიქმნას ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოების დაცვის ზოლი ბოლშევიკების მხრიდან შეტევის შემთხვევაში".[252]

როგორც ვხედავთ, „ფოშის პროექტი" (რომელიც არსებითად სამხედრო ექსპერტთა საბჭოს დასკვნას წარმოადგენდა) ითვალისწინებდა რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოებისაგან (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ფინეთი, პოლონეთი, საქართველო და აზერბაიჯანი) სამხედრო კავშირის შექმნას. ამასთან, ამ თავისებური „მცირე ანტანტის" ფუნქციად მიჩნეული იყო არა ინტერვენცია საბჭოთა რუსეთში, არამედ ეროვნული სახელმწიფოების ქმედითი დაცვა ბოლშევიკების მხრიდან მოსალოდნელი აგრესიისაგან. ლოად-ჯორჯის კითხვაზე — თურა მიზანი ჰქონდა ამგვარი კავშირის შექმნას — საბჭოთა რუსეთზე თავდასხმა თუ, პირიქით, საერთო თავდაცვა ბოლშევიკების თავდასხმის შემთხვევაში — ფოშმა უპასუხა, რომ ეს იქნებოდა სწორედ რომ თავდაცვითი კავშირი. ამასთან, მარშალმა მოითხოვა, რა თქმა უნდა, ექსპერტთა საბჭოს სახელით, კავკასიაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების გაგზავნა სამი დივიზიის მოცულობით.

მარშალ ფოშის უკანასკნელი წინადადება უარყოფილ იქნა — კლემანსომ ნიტტიმ და ლოიდ-ჯორჯმა აღნიშნეს, რომ მათს მთავრობებს არ გააჩნიათ რეგიონში ჯარების გაგზავნის შესაძლებლობანი. ამის შემდეგ ლოიდ-ჯორჯმა დასვა საკითხი ამიერკავკასიის სახელმწიფოებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის, კერძოდ იარაღის, სამხედრო ტექნიკისა და აღჭურვილობის გაგზავნის შესახებ. ინგლისის პრემიერმა განაცხადა: „... მე ვთვლი, რომ ჩვენ უნდა აღმოვუჩინოთ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს ყოველგვარი მატერიალური დახმარება, ერთი პირობით, რომ ეს რეს-

[252] იქვე გვ. 81

პუბლიკები თვითონ გაუწევენ საკუთარი ძალებით წინააღმდეგობას ბოლშევიკებს".[253] მარშალ ფოშისა და ლოიდ-ჯორჯის მიერ ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის მოტივირება ამ უკანასკნელთა თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების აუცილებლობით აშკარად გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში დღის წესრიგში არ იდგა საკითხი რუსეთის წინააღმდეგ ინტერვენციის შესახებ. ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ბ. შტეინის მოსაზრება, თითქოს „ლოიდ-ჯორჯის „ლოგიკა" ჭეშმარიტად განსაცვიფრებელია. გამოდის, რომ მოკავშირეთა მიერ აღიარებული საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მენშევიკურ(?) „მთავრობათა" (?) შეიარაღება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად (?) არ ნიშნავს რუსეთის საქმეებში ჩარევას".[254] როგორც ვხედავთ, გასაოცარია თვით ბ. შტეინის „ლოგიკა" ჯერ ერთი, ამიერკავკასიის სახელმწიფოთა მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დეკლარირებისა და, მითუმეტეს, საერთაშორისო არენაზე ამ დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ ამიერკავკასია იურიდიულადაც და ფაქტიური თვალსაზრისითაც გამოვიდა ე.წ. „რუსული სივრციდან". 1918 წლის 26 მაისის თბილისის და 1920 წლის 11 იანვრის პარიზის აქტებმა უზრუნველყვეს ამიერკავკასიაზე რუსეთის სუვერენულ უფლებათა ლიკვიდაცია. (რაც ცოტა მოგვიანებით თვით რუსეთმაც აღიარა). ამდენად, გაუგებარია, თუ რატომ უნდა მიეცეს ამიერკავკასიის პოლიტიკური წარმონაქმნებისათვის სამხედრო დახმარების გაწევას რუსეთის წინააღმდეგ ინტერვენციის კვალიფიკაცია. სიმპტომატურია ამავე 19 იანვრის სხდომაზე გამართული დისკუსია ლოიდ-ჯორჯსა და ფრ. ნიტტის შორის. საქმე იმაშია, რომ ფრ. ნიტტიმ უარი განაცხადა ამიერკავკასიაში სამხედრო აღჭურვილობისა და იარაღის გაგზავნაზე და არგუმენტად დაასახელა

---

[253] იქვე, გვ. 83

[254] Б. Штейн დასახ. ნაშრ., გვ. 356

იტალიის პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რომლის თანახმადაც იტალიის მთავრობას ეკრძალებოდა რუსეთში დე ფაქტო არსებული მთავრობის (ე.ი. ლენინის მთავრობის) წინააღმდეგ ინტერვენციაში მონაწილეობა. „იტალიის მთავრობას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამ აქტში, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, – არც იარაღით და არც ადამიანებით, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება კანონს, რომელიც ამასწინათ მიიღო იტალიის პარლამენტმა...“[255]

ნიტტის უარმა და, განსაკუთრებით ამ უარის ყოველგვარ უსაფუძვლო არგუმენტაციამ, ბუნებრივია, გამოიწვია მწვავე რეპლიკები ანტანტის მესვეურთა მხრიდან. ლოიდ-ჯორჯმა მას უპასუხა: „ჩვენ გვინდა ეს დახმარება გავუწიოთ ფაქტიურად ცნობილ მთავრობებს. ეს კი არ შეიძლება ჩაითვალოს რუსეთის შინაგან საქმეებში ჩარევად...“[256] მეორეც, უდავოდ გასათვალისწინებელია ანტანტის მიერ დაგეგმილი სამხედრო დახმარების მიზანმიმართებაც. ამ დახმარების მიზანი იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამხედრო განმტკიცება, შეიარაღებული ძალების მშენებლობისათვის ქმედითი იმპულსების მიცემა, რათა ამაღლებულიყო მათი თავდაცვისუნარიანობა ბოლშევიკების მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის აღკვეთისათვის. მაშასადამე, ანტანტის ამ ღონისძიების დანიშნულება სწორედ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის თავდაცვითი პოლიტიკის სტიმულირება იყო და არა რუსეთის წინააღმდეგ ექსპანსიისკენ მათი წაქეზების გამოხატულება.

საგულისხმოა, რომ ნიტტი იძულებული გახდა ელიარებინა თავისი არგუმენტების შეუსაბამობა რეალურად არსებულ ვითარებასთან და გამოეთქვა მზადყოფნა იმისათვის, რომ იტალიაც მიიღებდა მონაწილეობას აღნიშნულ აქციაში, თუმცა არაოფიციალურად. იგი ამბობდა: „ ... იტალიელებს აქვთ თავიანთი ინტერესი

---

[255] ი. ტაბალუა. დასახ. ნაშრ. გვ. 83

[256] იქვე, გვ. 84.

საქართველოში. მე მგონია, იქ გაემგზავრონ ჩვენი მოხალისეები. შესაძლებელია, დავეხმარო ამ მოძრაობას საქართველოში... კონფიდენციალურად ვაცხადებ რომ შემიძლია მივცე იარაღი და სამხედრო აღჭურვილობა, თუ დიდი ბრიტანეთი ან საფრანგეთი აიღებენ თავიანთ თავზე მათ იქ გადატანას".[257]

დასასრულ, ანტანტის უმაღლესმა საბჭომ მიიღო შემდეგი ოთხპუნქტიანი გადაწყვეტილება:

1. სომხეთისა და მთიელთა რესპუბლიკების მთავრობები უნდა იქნეს ცნობილი დე ფაქტო. ამასთან, გადაწყვეტილება არ ეხება სომხეთის საზღვრების საკითხს, რომელიც განხილულ იქნება ცალკე, თურქეთის საკითხთან დაკავშირებით.

2. მოკავშირეთა მთავრობებს არა აქვთ შესაძლებლობანი– გააგზავნონ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში თავიანთი ჯარები.

3. მიღებულ იქნეს გადაწყვეტილად საკითხი ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის იარაღის, სამხედრო აღჭურვილობისა და, შესაძლებლობების მიხედვით, სურსათის მიწოდების შესახებ.

4. ეთხოვოს მარშალ ფოშსა და გენერალ ჰ. ვილსონს განიხილონ საკითხი ამ დახმარების მოცულობისა და ტრანსპორტირების საშუალებების შესახებ.[258]

1920 წლის იანვარში, ანტანტის უმაღლესი საბჭოს სესიაზე საქართველოს საკითხის მიმართ იტალიის დიპლომატიის ერთგვარად კეთილგანწყობითი დამოკიდებულების მიზეზთა ძიებაში, ვფიქრობთ, ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება იმ პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრას, რომლებიც იქცნენ იტალია–საქართველოს აღნიშნული პერიოდის ურთიერთობაში, ასე ვთქვათ, ორმხრივი ინტერესების წერტილად. იტალიის დიპლომატიას, როგორც ჩანს, კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული 1920 წლის დასაწყისის

---

[257] იქვე

[258] იქვე, გვ. 85.

კონკრეტულ-საერთაშორისო ვითარებაში საქართველოსა და მთელი კავკასიის გეოპოლიტიკური ღირებულება ანტანტისათვის. ფრ. ნიტტის მთავრობა (ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მსგავსად) ამ რეგიონს განიხილავდა ბოლშევიკური რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შეკავების ერთ-ერთ სტრატეგიულ პლაცდარმად. ანტანტის გლობალურ ანტიბოლშევიკურ პოლიტიკაში საქართველოს თავისებური ბუფერული სახელმწიფოს როლი ენიჭებოდა. ამიტომაც საქართველოს უშიშროების გარანტირება მისი ტერიტორიული სტატუს-კვოს („დე ფაქტოდ" ცნობის დროისათვის არსებული ფაქტიური საზღვრების) შენარჩუნებით, სამხედრო და მატერიალური მხარდაჭერით, შიდასახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის სტიმულირებით იტალიის საგარეო პოლიტიკის „კავკასიური მიმართულების" ღერძს წარმოადგენდა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ანტანტის ბლოკში სამხედრო და პოლიტიკური ლიდერის ფუნქციას ფაქტიურად ინგლისი ასრულებდა, რადგანაც ვილსონის მიერ 1918 წლის იანვარში გამოცხადებულმა „ახალი დიპლომატიის" დოქტრინამ ამ ეტაპზე სრულყოფილად ვერ უზრუნველყო აშშ-ის გლობალური გამარჯვება ევროპის წამყვან სახელმწიფოებზე. იტალია, ანტანტის ბლოკის შიგნით არსებული სამხედრო-პოლიტიკური ვალდებულებების ფარგლებში, აქტიურად შეუერთდა სწორედ ბრიტანული დიპლომატიიდან მომდინარე ტენდენციას-ახლადშექმნილი სახელმწიფოებისადმი სოლიდარობისა, მხარი არ დაუჭირა რა ამით აშშ-ის ერთგვარ ინდიფერენტიზმს აღნიშნული პრობლემის ირგვლივ.

ამასთან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა წმინდა გეოეკონომიკურმა მომენტებმაც. კერძოდ იტალიის განსაკუთრებულმა დაინტერესებამ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენების პერსპექტივებით, ბაქოს ნავთობმა და ბაქო-ბათუმის სარკინიგზო მაგისტრალის კონტროლირებისკენ მისწრაფებამაც.

აღსანიშნავია, რომ იტალიის პოლიტიკური დამოკიდებულება

რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიულ სივრცეში თვითგამორკვეული ეროვნული სახელმწიფოებისადმი 1920 წლის 12 იანვრის აქტთან იტალიის შეერთებამდე გაცილებით ადრე დადასტურდა. ჯერ კიდევ 1919 წლის დეკემბრის პირველ ნახევარში ამიერკავკასიის, ბალტიისპირეთისა და უკრაინის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის ცნობის მხარდამჭერმა იტალიის პარლამენტურმა ფრაქციებმა ოფიციალური შეკითხვით მიმართეს ნიტის მთავრობას — თუ როგორი იყო იტალიის საგარეო-პოლიტიკური კურსი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მთავრობამ შეკითხვაზე პასუხი გასცა განცხადებით, რომ ის აწარმოებს თავის საგარეო პოლიტიკას ანტანტის საერთო პოლიტიკის მიხედვით. მაგრამ, ამასთან, მზად არის, პირადად თავის მხრივ, მხარი დაუჭიროს რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან გამოსული სახელმწიფოების დამოუკიდებლობას. ნიტის კაბინეტის ეს განცხადება ოფიციალურად მოიწონა და დაადასტურა იტალიის პარლამენტმა 1919 წლის 13 დეკემბერს. იტალიის პარლამენტის ამ დადგენილების გამო, რომში აკრედიტებულმა საქართველოს, აზერბაიჯანის, ლატვიის, ლიტვისა და უკრაინის დიპლომატიურმა მისიებმა იტალიის პარლამენტის თავმჯდომარეს გაუგზავნეს განცხადება, რომელშიც აღნიშნულ სახელმწიფოთა მთავრობების სახელით უღრმესი მადლობა გადაუხადეს იტალიის დეპუტატთა პალატას და ამ ქვეყანასთან ყოველმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკურ-საკაჭრო თანამშრომლობისადმი მზადყოფნა გამოხატეს. განცხადებაში, რომელსაც საქართველოს სახელით ხელს აწერდა რომში ქართული დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი კ. საბახტარაშვილი, აღნიშნული იყო: „... ჩვენ... თქვენის (პარლამენტის თავმჯდომარის — დ.ჯ.) სახით ვესალმებით იტალიის პარლამენტს, პირველ პარლამენტს მოკავშირე სახელმწიფოთაგან, რომელმაც 12 ქრისტეშობისთვის დღიურ წესრიგში აღიარა რუსეთის ყოფილ იმპერიაზე ახალმოცენებულ სახელმწიფოების თავისუფალი არსებობა... ჩვენი ერები უღრმესი მადლობით მიიღებენ იტალიის პარლამენტის

დადგენილებას, როგორც უმაღლეს გამოსახვას იტალიის ერის ნებისყოფისას – ერთა თვითგამორკვევის პრინციპის უსწორო დამცველისას როგორც იტალიაში, ისე ჩვენს ქვეყნებში..." [259]

საქართველო არ წარმოადგენდა ძლიერი სამხედრო-მატერიალური შესაძლებლობების მქონე სახელმწიფოს, რის გამოც მას არ გააჩნდა 1920 წლის 12 იანვრის აქტით დადასტურებული საერთაშორისო სტატუსის ძალაზე დაყრდნობით დაცვის შესაძლებლობანი. ამიტომ ის უნდა დაყრდნობოდა საკუთარ ეროვნულ ინტერესებს და პარიზის საზაო კონფერენციის მიერ, თუნდაც მორალურ-პოლიტიკური აქსიომის დონეზე, აღიარებულ ფუძემდებლურ პრინციპებს; საქართველოს ახალი საერთაშორისო სტატუსის დამამკვიდრებელ ერთ-ერთ მთავარ ელემენტად უნდა გამხდარიყო ქვეყნის ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაცვაზე ორიენტირებული დიპლომატიის წარმოება. ამ თვალსაზრისით კი იტალიის სამეფოსთან პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობების გააქტიურება, ორმხრივსასარგებლო სავაჭრო-ეკონომიკური და ფინანსური კავშირების ფონზე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესების პროცესს.

1920 წლის 15 თებერვალს თბილისში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა იტალიის სამოქალაქო მისია, რომელსაც მეთაურობდა იტალიის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ომის შედეგების ლიკვიდაციის ყოფილი მინისტრი, სენატორი ეტორე კონტი. მართალია, მისიის შემადგენლობის ბირთვს ქმნიდნენ ფინანსური და სამრეწველო წრეების გავლენიანი პირები, ამასთან, მასში შედიოდნენ საგარეო საქმეთა ს ამინისტროს წარმომადგენლებიც, კერძოდ ჯოვანი მაიონი, რომელიც ადრე იტალიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იყო მოსკოვში. მისიის ეს, ასე ვთქვათ, „პოლიტიკური წარმომადგენლობა" აშკარად გვიჩვენებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას

---

[259] „საქართველო", 1920 წლის 18 აგვისტო

ანიჭებდა იტალიის მთავრობა აღნიშნულ დროებით დელეგაციას ორი ქვეყნის შორის ურთიერთობების განვითარებისა და შემდგომი გაღრმავების თვალსაზრისით. თვით ე. კონტის, როგორც იტალიის მთავრობის სრულუფლებიან წარმომადგენელს, მინიჭებული ჰქონდა საგანგებო რწმუნებანი, ხოლო ჯ. მაიონი კი, როგორც მისიის პოლიტიკური მრჩეველი, ასრულებდა იტალიის მთავრობის „უშუალო ლეგატორის" ფუნქციებს.[260]

ხაზს უსვამდა რა კონტის მისიის პოლიტიკურ მიზანდასახულობას, იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი კ. სფორცა საქართველოს მთავრობას სწერდა, რომ მისია „განამტკიცებს ურთიერთკავშირებს იტალიასა და საქართველოს შორის ყველა სასურველ სფეროში." [261] 17 თებერვალს კონტის მისიის ხელმძღვანელი პირები მიიღეს ნ. ჟორდანიამ და ევგ. გეგეჭკორმა.[262] გაიმართა აზრთა გაზიარება და თათბირი, რომელზეც განიხილეს იტალიისა და საქართველოს ურთიერთობების შემდგომ ინტენსიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები. იმავე დღეს იტალიური მისია დაესწრო საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომას, სადაც ოფიციალურ სტუმრებს გულთბილი და ოვაციური შეხვედრა მოუწყვეს. კრების თავმჯდომარის მოადგილე ალ. ლომთათიძე შემდეგი სიტყვებით მიესალმა იტალიის დელეგაციას: „მოქალაქენო! ნება მომეცით, თქვენი სახელით, მხურვალე სალამი მივუძღვნა სტუმრებს – იტალიელ სამოქალაქო-ეკონომიურ დელეგაციას, რომელიც აქ არის დღეს, ვუსურვოთ ნაყოფიერი მუშაობა და მოვესწროთ იმ დღეს, რომ იტალიისა და საქართველოს ხალხთა შორის რაც შეიძლება მჭიდრო კავშირი დამყარებულიყოს".[263]

---

[260] სცსსა, ფ. 1892, აღწ. 1, ს. 619, ფ. 1.

[261] სცსსა, ფ. 1891, აღწ.1, ს. 319, ფ. 102.

[262] „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წლის 18 თებერვალი.

[263] საქართველოს დამფუძნებელი კრება, სტენოგრაფიული ანგარიში, 1920 წლის პირველი სესია, ტფილისი, 1920, N 68, გვ. 4.

სენატორ კონტის მისია ერთი თვის განმავლობაში იმყოფებოდა საქართველოში და აწარმოებდა ეკონომიკური ხასიათის მოლაპარაკებებს ვაჭრობა-მრეწველობისა და ფინანსთა სამინისტროსთან. ამ მოლაპარაკებათა მიმდინარეობასა და შედეგებზე სპეციალურ თავში გვექნება საუბარი, რომელიც ორი ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური კავშირურთიერთობების საკითხებს ეძღვნება.

საქართველოს დამოუკიდებლობის „დე ფაქტო" ცნობამ და საქართველო-იტალიის ურთიერთობათა თვისობრივად ახლებურ სიბრტყეში გადასვლამ დღის წესრიგში დააყენა საქართველოში იტალიის ოფიციალური წარმომადგენლობის, მისი ორგანიზაციისა და სტრუქტურის შეცვლის აუცილებლობა, რათა მას ეწარმოებინა შესაბამისი ხასიათის პოლიტიკურ-დიპლომატიური აქციები. 1920 წლის 10 მარტს იტალიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში (საერთოდ მთელს ამიერკავკასიაში) თავისი წარმომადგენლობის სტატუსის შეცვლის შესახებ – გააუქმა „ამიერკავკასიაში იტალიის სამხედრო მისია" და ჩამოაყალიბა ახალი წარმომადგენლობითი ინსტიტუტი –„იტალიის სამეფოს პოლიტიკური სააგენტო".[264] მაშასადამე, რეგიონში იტალიის სამხედრო წარმომადგენლობა პოლიტიკურ წარმომადგენლობად გარდაიქმნა. ამასთან, დაიხვეწა და უფრო სრულყოფილი გახდა მისი სტრუქტურა: პოლიტიკური სააგენტო რეზიდენციით თბილისში, რომლის მეთაური, ე.ი. „იტალიის სამეფოს მთავარი პოლიტიკური აგენტი" გახდა ყოფილი სამხედრო მისიის უფროსი მელკიადე გაბა, შეიცავდა რეგიონალური დანიშნულების სტრუქტურულ ქვედანაყოფებს საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში შესაბამისი პოლიტიკური აგენტებით სათავეში. გაბა კი ახდენდა ამ ქვედანაყოფთა პოლიტიკურ-დიპლომატიური და ეკონომიკური საქმიანობის კოორდინაციას, ამასთან, იგი, როგორც სააგენტოს უფროსი,

---

[264] „საქართველო", 1920 წლის 11 მარტი.

აღჭურვილი იყო საგანგებო რწმუნებებითა და პოლიტიკურ-დიპლომატიური აქციების იტალიის მთავრობის სახელით წარმართვის უფლებამოსილებით.იტალიის მთავრობის ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე პოლკ. გაბა შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს და განუცხადა მას, რომ „იტალია-საქართველოს დამოკიდებულება ისეთივე შეხმატკბილებული იქნება, როგორც წარსულში".[265] ევგ. გეგეჭკორმა, თავის მხრივ, კმაყოფილება გამოთქვა იტალიის პოლიტიკური ლეგაციის დაფუძნებასთან დაკავშირებით და გულითადად მიესალმა გაბას ახალ დანიშვნას;

მაშასადამე, 1920 წლის 10 მარტიდან იტალიის წარმომადგენლობამ საქართველოში პოლიტიკური სტატუსი შეიძინა. ამიერიდან იტალიის სამეფოს პოლიტიკური სააგენტო აღჭურვილი იყო წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით, რაც იმას გულისხმობდა, რომ ის იყო უფლებაუნარიანი საქართველოში იტალიის სახელმწიფოს ნების გამოხატვის თვალსაზრისით. ამის შესაბამისად ამ სტრუქტურამ საქართველოს ხელისუფლებისაგან მიიღო იმუნიტეტი. 1920 წლის მარტში საქართველოს მთავრობამ მიიღო №4119 დადგენილება, რომლის თანახმად, „ბინები და შენობები, დაკავებული იტალიის პოლიტიკური სააგენტოს მიერ, აგრეთვე ის ბინები, რომლებშიც ცხოვრობდნენ ხსენებული სახელმწიფოს მოქალაქენი, განთავისუფლდა რეკვიზიციისაგან".[266] ამ დადგენილებას თან დაერთო ნ.ჟორდანიას სპეციალური ინსტრუქცია თბილისის მერის ბ. ჩხიკვიშვილის სახელზე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

პოლიტიკური სააგენტოს შექმნა, როგორც საქართველოსა და იტალიის ურთიერთობებში თვისობრივად ახალი მომენტი, საყუ-

---

[265] „საქართველო", 1920 წლის 11 მარტი.

[266] სცსსა, ფ 1861, აღწ. 2, ს. 169, ფ.1.

რადღებოა წმინდა სამართლებრივი რეჟიმის თვალსაზრისითაც. აღნიშნული პერიოდისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა არ იყო ცნობილი ფორმალურ-იურიდიულად („დე იურე") და საქართველო არ წარმოადგენდა ისეთ სახელმწიფოს, რომელსაც შეეძლო თავისი საერთაშორისო სამართალსუბიექტობის სრულფასოვანი განხორციელება, კერძოდ, სხვა სახელმწიფოებთან (თუნდაც იტალიასთან) პირდაპირი დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების დამყარება. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, იტალიის წარმომადგენლობა საქართველოში ვერ შეიძენდა მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობის, ე.ი. საელჩოს სტატუსს და 1920 წლის 10 მარტს შექმნილი პოლიტიკური სააგენტოც წარმოადგენდა საქართველოში იტალიის სპეციალურ პოლიტიკურ მისიას. ეს გარემოება იმით იყო განპირობებული, რომ სპეციალური მისიების მოღვაწეობა, როგორც დიპლომატიის გარკვეული სპეციფიკური ფორმა, არ მოითხოვდა ამ მისიის მიმღები სახელმწიფოს (ე.ი. საქართველოს) საერთაშორისო-იურიდიულ აღიარებას და საქართველოსა და იტალიას, როგორც ქვეყანა-კონტრაგენტებს, შორის დიპლომატიური ურთიერთობების არსებობას. ამასთან, იტალიის პოლიტიკური სააგენტოს ფუნქციონირება ორ ქვეყანას შორის კონტაქტების განვითარების თვალსაზრისით, ორმხრივ სასარგებლო იყო. საქართველოსთვის, როგორც ჯერ კიდევ „დე იურე" აუღიარებელი სახელმწიფოსათვის, ურთიერთობა იტალიის პოლიტიკურ სააგენტოსთან თავისთავად წარმოადგენდა მონაწილეობას საერთაშორისო ურთიერთობათა პროცესში და ამ მონაწილეობაში საკუთარი დიპლომატიური უფლების რეალიზაციის გამოვლენას. იტალიისათვის კი ეს მოვლენა იმდენად იყო სასარგებლო და ხელსაყრელი, რამდენადაც საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების არსებობის პირობებში სწორედ პოლიტიკური სააგენტო წარმოადგენდა იმ ერთადერთ სტრუქტურას, რომელიც რეგიონში მისი პოლიტიკური

(მართალია ნიტტის მთავრობამ უარი თქვა საქართველოსა და კავკასიაში „აქტიური პოლიტიკის" გატარებაზე, თუმცა ეს გარემოება სრულებით არ მიუთითებს რეგიონში იტალიის პოლიტიკური ინტერესების სავსებით გამორიცხვაზე) და კომერციულ-ეკონომიკური ინტერესების განხორციელების საქმეს ემსახურებოდა.

საქართველოში იტალიის პოლიტიკური სააგენტო, როგორც სპეციმისია, გვეულინება იტალიის მიერ საქართველოს ფორმალური ცნობისა და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა ნორმალიზაციის გზაზე მნიშვნელოვან და ეფექტურ საშუალებად. მისი მოღვაწეობა სხვადასხვა ხასიათისა და დანიშნულების ფუნქციებს აერთიანებდა – პოლიტიკური, საინფორმაციო, სავაჭრო-ეკონომიკური და ფინანსური მოლაპარაკებანი და ა.შ. მართალია, სააგენტოს არ ჰქონდა ყოვლისმომცველი უფლებამოსილებანი მისი არადიპლომატიური სტატუსიდან გამომდინარე, მაგრამ მისმა საქმიანობამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა საქართველო-იტალიის ურთიერთობათა შემდგომი გაუმჯობესება, ხოლო 1921 წლის დასაწყისში, იტალიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის „დე იურე" ცნობის შემდეგ, აქ იტალიის სრულფასოვანი დიპლომატიური წარმომადგენლობის ჩამოყალიბება.

რაც შეეხება იტალიის პოლიტიკური სააგენტოს პერსონალურ შემადგენლობას, უნდა აღნიშნოთ, რომ ზუსტი ცნობები ამის შესახებ არ მოგვეპოვება (თუმცა, ამას არცა აქვს პრინციპული მნიშვნელობა ამ შემთხვევაში), რადგანაც იტალიის მთავრობის მხრიდან 10 მარტს შექმნილი ამ სტრუქტურის პერსონალის შესახებ ნოტიფიკაციის დოკუმენტებს ვერ მივაკვლიეთ. მაგრამ ზოგიერთი საარქივო მასალიდან და იმდროინდელი საგაზეთო პუბლიკაციებიდან ამოკრებილი ცნობები საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ იმ იტალიელთა არასრული სია, რომლებიც იტალიის სამეფოს პოლიტიკური სააგენტოს პერსონალს შეადგენდნენ. 1919 წლის 1 დეკემბერს პოლ. გაბამ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაუგზავნა იტალიის

სამხედრო მისიის ნოტიფიკაციის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ამიერკავკასიაში იტალიის წარმომადგენლობა შემდეგ ორგანიზაციას იღებდა:

მელკიადე გაბა – იტალიის არმიის გენერალური შტაბის პოლკოვნიკი, მისიის მეთაური, რეზიდენცია თბილისში.

შარლ მიქელი – გენერალური შტაბის პოლკოვნიკი, მისიის შტაბის უფროსი, ტფილისი.

მარიო გრენე – კაპიტანი, რადიო-ტელეგრაფის ინსპექტორი, ტფილისი.

გი ლამანია – მაიორი, მისიის ადიუტანტი, ტფილისი.

ენრიკო იმეონი – სამხედრო-საზღვაო ძალების ლეიტენანტი, იტალიის მისიის წარმომადგენელი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ბაქო.

იულიუს კოლაიანი – იტალიის მისიის კომერციული აგენტი ბათუმში.

ედუარდო კუკი – კაპიტანი, ტფილისის იტალიური ამბულატორიის ქირურგი.

ოქტავიანე ლანჩია – კავალერიის ლეიტენანტი, მისიის ადიუტანტი, ტფილისი.

ნიკოლაო დელ ალბიცი – მარკიზი, კავალერიის ლეიტენანტი, იტალიის სამხედრო მისიის წარმომადგენელი სომხეთში, ერევანი."[267]

როგორც ჩანს, სამხედრო მისიის პოლიტიკურ სააგენტოდ გარდაქმნის შემდეგ იტალიის წარმომადგენლობის პერსონალური შემადგენლობა ძირითადში არ შეცვლილა. მეკლიადე გაბა გახდა სააგენტოს მეთაური, ე.ი. „იტალიის სამეფოს მთავარი პოლიტიკური აგენტი, ხოლო პოლკოვნიკი შარლ მიქელი კი – სააგენტოს საქართველოს განყოფილების ხელმძღვანელი. ამასთან, ყოფილის სამხედრო მისიის წევრთა უმრავლესობა ავტომატურად გახდა

[267] სცსსა, ფ. 1891, აღწ. 2, ს.1, ფ 99.

პოლიტიკური სააგენტოს წევრი. მაგალითად, მაიორი გი ლამანია, რომელიც ადრე სამხედრო მისიის ადიუტანტის ფუნქციებს ასრულებდა, 1920 წლის 16 მარტით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში უკვე პოლიტიკური სააგენტოს წევრის სტატუსს ფლობს და თხოვნით მიმართავს საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობისა და მომარაგების სამინისტროებს ფოთიდან აზერბაიჯანში სამანუფაქტურო მოწყობილობის ტრანზიტზე ნებართვასთან დაკავშირებით. [268]

იტალიის მთავრობის 1920 წლის 10 მარტის გადაწყვეტილების მიღების დროს საქართველოში იმყოფებოდა, როგორც უკვე ავღნიშნეთ, იტალიის სამოქალაქო მისია და ამ მისიის ზოგიერთი წევრი, უმთავრესად სამრეწველო და ფინანსური დარგის სპეციალისტები დატოვებულ იქნენ საქართველოში და პოლიტიკური სააგენტოს შემადგენლობაში გააგრძელეს მოღვაწეობა. გარდა ამისა, პოლიტიკურ სააგენტოში შედიოდა ასევე დიპლომატიური (მაგ. ლუიჯი მერკანტელი – იტალიის დროებითი ელჩი ამიერკავკასიაში), ადმინისტრაციულ-ტექნიკური და მომსახურე პერსონალი.

აღნიშნული პერიოდის საქართველო-იტალიის ურთიერთობანი ერთგვარად სპეციფიკურ ხასიათს ატარებდნენ, რაც „რუსეთის საკითხში" იტალიის პოლიტიკის არსიდან გამომდინარეობდა, როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, 1919 წლის ზაფხულში, საქართველოში სამხედრო ექსპედიციის ფაქტიური ჩაშლით იტალიამ უარი განაცხადა აქ აქტიური პოლიტიკის გატარებაზე და საქართველომ დაკარგა იტალიის საგარეო პოლიტიკაში განსაკუთრებული ადგილი. მაგრამ ეს გარემოება არ მიუთითებს საქართველოში იტალიის პოლიტიკური ინტერესების აბსოლუტურ გაქრობაზე, იტალიის მხრიდან ამ ქვეყნისათვის გარკვეული პოლიტიკურ-დიპლომატიური ხელშეწყობისა და დახმარების გაწევაში უარის თქმაზე. იმდროინდელი საერთაშორისო სისტემის განვითარების ობიექტური კანონზომი-

[268] სცსისა, ფ. 1891, აღწ. 2, ს.ი. ფ. 125-126

ერებებიდან გამომდინარე, იტალიის საგარეო-პოლიტიკურ გეგმებში საქართველოს მაინც ეჭირა გარკვეული ადგილი. ზოგადი მნიშვნელობის საერთაშორისო ინტერესები, განსაკუთრებით ანტანტის ბლოკის ფარგლებში, იტალიისაგან თავისთავად მოითხოვდნენ მისი დიპლომატიის დღის წესრიგში კვლავ დარჩენილიყო საქართველოს სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მომავლის საკითხი. ამ თვალსაზრისით, როგორც შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურეს, იტალია ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც ეს საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმალურ-იურიდიული ცნობისა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების საფუძველზე გადაწყვიტა. ამასთან, საქართველო-იტალიის პოლიტიკურ ურთიერთობათა საფუძველს ეკონომიკური ფაქტორები ქმნიდნენ. ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შედარებით ფართო სპექტრი, რომელსაც საქართველოს ბუნებრივი რესურსებით, სტრატეგიული სახმელეთო და საზღვაო სატრანსპორტო-სატრანზიტო კომუნიკაციებით იტალიის განსაკუთრებული დაინტერესება აპირობებდა, თავისთავად გამოდიოდა სახელმწიფოთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობებისა თუ კონტაქტების შემდგომი განვითარების მნიშვნელოვან მასტიმულირებელ ფაქტორად და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე იტალიის გარკვეული ზეგავლენის უზრუნველმყოფელ საშუალებადაც.

იტალია-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობათა აღნიშნული სპეციფიკიდან გამომდინარე თვით ამ ურთიერთობათა სფერო ნაკლებად მოიცავდა ორი სახელმწიფოს სტრატეგიულ სასიცოცხლო ინტერესებს და იგი უმთავრესად ანტანტის კოალიციის ფარგლებში საერთაშორისო დონეზე საქართველოს საკითხთან დაკავშირებული პრობლემებისადმი იტალიის დამოკიდებულებით შემოიფარგლებოდა. ერთ-ერთ ასეთ პრობლემას 1920 წლის პირველ ნახევარში წარმოადგენდა ბათუმსა და ბათუმის ოლქზე საქართველოს სუვერენიტეტისა

და იურისდიქციის აღდგენის საკითხი. ამჯერად ჩვენი საკვლევი ინტერესების სფეროს სცილდება ამ საკითხის ყოველმხრივი და სრულყოფილი წარმოჩენა, შევეხებით მხოლოდ მისდამი ნიტის მთავრობის მიმართებას. ამასთან, აღნიშნულ საკითხზე ჩვენს ხელთ არსებული მასალები დიფერენცირებული მიდგომის საშუალებას იძლევიან. კერძოდ „ბათუმის საკითხში" იტალიის საგარეო-პოლიტიკური აქციები ორ ურთიერთდაკავშირებულ ასპექტს ემყარება: პირველი, საქართველოს მთავრობის ურთიერთობა საქართველოში იტალიის წარმომადგენლობასთან „ბათუმის საკითხთან" დაკავშირებული პრობლემების ირგვლივ და, მეორე, იტალიის სამთავრობო დელეგაციის მონაწილეობა ამ საკითხის განხილვაში მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს ლონდონის სესიასა და სან-რემოს კონფერენციაზე.

როგორც ზემოთ ავღნიშნავდით, საქართველოში სამხედრო ექსპედიციის გაგზავნისათვის მიმდინარე მზადების პროცესში იტალიელი სამხედრო და დიპლომატიური წრეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბათუმში გაბატონებას და ბათუმის სტრატეგიული დანიშნულების ნავსადგურზე იტალიური კონტროლის დამყარებას. მართალია, სამხედრო ექსპედიციის ჩაშლის შემდგომ ამგვარი მისწრაფება ფაქტიურად მოიხსნა დღის წესრიგიდან, მაგრამ იტალიის წარმომადგენლობა მაინც არ ანელებდა ინტერესს ბათუმის რეგიონში მიმდინარე პროცესებისადმი, სადაც, როგორც ცნობილია, ინგლისის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი ბატონობდა გენერალ კუკ-კოლისის სამხედრო ხელისუფლების ქვეშ.

1919 წლის 14 სექტემბერს თბილისიდან, იტალიის სამხედრო მისიისაგან მიღებული ცნობების საფუძველზე, თურქეთში იტალიის უმაღლესი კომისარი კარლო სფორცა რომის პოლიტიკურ იერარქიას წერდა: „საქართველოში ინგლისური ოკუპაცია ამჟამად მხოლოდ ბათუმის ოლქით შემოიფარგლება. აქ საალყო მდგომარეობაა გამოცხადებული. თუ ინგლისელები შეძლებენ რკინიგზაზე და

ბათუმის ხელმძღვანელობაზე კონტროლის შენარჩუნებას, მაშინ საქმე კარგად წავა".[269] ამავე წერილში იტალიელი დიპლომატი თავის მთავრობას სთავაზობს ბათუმის ოლქზე პოლიტიკური ხელისუფლების, ასევე ბათუმის ნავსადგურზე და რკინიგზაზე სამართლებრივი რეჟიმის დაწესების საკუთარ სქემას. კერძოდ იგი წერს: „თუ პარიზის საზავო კონფერენცია გადაწყვეტს, რომ ბათუმის ოლქი საქართველოს გადაეცეს, სასურველი იქნება: ბათუმის ნავსადგურზე, საბაჟოსა და რკინიგზაზე დარჩეს მოკავშირეების კონტროლი... გარდა კონტროლისა, სასურველია შეიქმნას ბათუმის ოლქის სამხედრო მთავრობა, ჯარის სათანადო ნაწილებით და აშშ-სთან წინასწარი შეთანხმებით, ეს მისია ერთა ლიგას უნდა დაეკისროს".[270] როგორც ვხედავთ, გარკვეულ ეტაპზე, ბათუმში ინგლისის სამხედრო-საოკუპაციო სისტემის სტაბილური არსებობის პირობებში, იტალია გარკვეული პოლიტიკური და სტრატეგიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მხარს არ უჭერდა რეგიონზე საქართველოს სრული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული უზენაესობის დამკვიდრებას და მოითხოვდა ბათუმის ოლქზე საქართველოს სუვერენული უფლებების შეზღუდვას (ᲨᲡᲬᲢᲐᲨᲢᲤᲥᲣᲢᲔᲬᲣ), ამასთან, საერთაშორისო კონვენციის (რომელიც პარიზის კონფერენციას უნდა მიეღო) ძალით. გარდა ამისა, იტალიელები აყალიბებდნენ რეგიონზე სამმართველო პრეროგატივების დანაწილების პრინციპს: სამოქალაქო იურისდიქცია – საქართველოს მთავრობას სამხედრო იურისდიქცია – ერთა ლიგის კონტროლს დაქვემდებარებულ, ოლქის სამხედრო მთავრობას.

აღსანიშნავია, რომ იტალიის დიპლომატიური წრეების ამგვარი პოზიცია რადიკალურად შეიცვალა ცოტა მოგვიანებით, ბათუმის ოლქში ინგლისის საოკუპაციო სამხედრო ნაწილების რაოდენობრივი

---

[269] Archivio centrale dello stato. 206. "Russia", telegr. 17035. il 14 febbraio 1919.

[270] Ibid

შემცირების კვალობაზე. რა თქმა უნდა, რეგიონში ინგლისის საოკუპაციო ფრონტის შეკიწროება ადექვატურად აისახებოდა აქ არსებული სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის ხასიათზე, კერძოდ, ამცირებდა ინგლისის გენერალ-გუბერნატორის ხელისუფლების გავლენას, სტიმულს აძლევდა პოლიტიკური და სამოქალაქო წესრიგის დაცემას და, რაც მთავარია, აძლიერებდა საქართველოს ხელისუფლების მისწრაფებას – ბათუმზე საკუთარი ხელისუფლების აღდგენისაკენ.

1920 წლის თებერვლის მეორე ნახევარში, ბათუმის ოლქში შექმნილი საგანგებო სიტუაციიდან გამომდინარე, ნ.ჟორდანიას მთავრობამ დამოუკიდებლად, ინგლისის მთავრობასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, დაიწყო სამხედრო ნაწილების შეყვანა რეგიონში ქობულეთ-ნატანებისა და არტაანის მიმართულებით. ამასთან, არტაანის მიმართულებით ქართულმა ჯარმა მოასწრო მნიშვნელოვანი ადგილების დაკავება, ბრიტანული საოკუპაციო ადმინისტრაციის გაუქმება და საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურების შექმნა. ასეთ ვითარებაში, როცა ბათუმის ოლქის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში საქართველოს იურისდიქციია აღდგენილ იქნა და აქ ქართული ჯარი რეალური ძალა გახდა, როგორც ჩანს, თბილისის იტალიურ წარმომადგენლობაში დარწმუნდნენ, რომ მთელი ოლქის საქართველოს ხელში გადასვლა უახლოესი მომავლის საქმე იყო და ამ შემთხვევისათვის იტალიის ინტერესების უზრუნველმყოფელი ღონისძიებების გეგმა შესთავაზეს ნიტის მთავრობას. იტალიის მისია დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ბათუმის ოლქისაკენ საქართველოს სამთავრობო ჯარების წინსვლას. 1920 წლის 24 თებერვალს პოლკოვნიკი გაბა და სენატორი კონტი რომში გაგზავნილ დეპეშაში აღნიშნავდნენ: „ბათუმში ინგლისის სამხედრო ძალები უკანასკნელი 15 დღის განმავლობაში კიდევ უფრო შემცირდა. გვგონია, რომ ამჟამად ინგლისელთა მხოლოდ ორი ბატალიონი დარჩა... საქარ-

თველოს ხელისუფლებას თავისი კარის ნაწილები ბათუმის ოლქის საზღვრებისაკენ მიჰყავს, რათა დაიკავოს ბათუმი და იქ თურქები არ შეუშვას..." [271] მიიჩნევდნენ რა, რომ ჯარების წინსვლის პროცესი არ შეჩერდებოდა და ბათუმის ოლქზე საქართველოს სუვერენული უფლებების აღდგენა მხოლოდ დროის ამოცანას წარმოადგენდა, გაბა და კონტი ურჩევდნენ იტალიის მთავრობას – დაეწყო წინასწარი მოლაპარაკება საქართველოსთან ბათუმის საბაჟოში, ნავსადგურსა და სხვა სტრატეგიულ ობიექტებში იტალიური პერსონალის შეყვანის, ასევე იტალიის სამხედრო გემებისათვის ბათუმის ნავსადგურში შესვლის განსაკუთრებული უფლების დამტკიცების შესახებ: „როდესაც ბათუმი მთლიანად საქართველოს განკარგულებაში აღმოჩნდება, შეგვიძლია საბაჟოს, ნავსადგურისა და სანიტარული მომსახურებისათვის საქართველოს ხელისუფლებას ჩვენი პერსონალი შევთავაზოთ... ბათუმში ბევრია იტალიური საქონელი ... იტალიის სამხედრო გემების იქ ყოფნა აუცილებელია". [272]

როგორც შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურეს, იტალიის მისიის ღონისძიებები ნაჩქარევი აღმოჩნდა. ინგლისის ჯარების მთავარსარდლობასთან და თბილისში მყოფ ბრიტანეთის წარმომადგენლობასთან (ო. უორდროპის მისია) ინტენსიური, ძირითადში მწვავე და დაძაბული მოლაპარაკებების შემდეგ, ნ. ჟორდანიას მთავრობამ შეაჩერა ქართული შეიარაღებული ძალების წინსვლა და მთელი ყურადღება „ბათუმის საკითხის" მოწესრიგების ირგვლივ მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს ლონდონის სესიასა და სან-რემოს კონფერენციაზე გადაიტანა.

მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს ლონდონის სესიაზე (1920 წლის 12 თებერვალი – 10 აპრილი) „ბათუმის საკითხი" განხილულ იქნა არა ცალკე ფორმით, არამედ ფართო რეგიონალურ კონტექსტში – ე.წ. „ოსმალეთის ამიერკავკასიისა" და „დიდი სომხეთის სახელ-

[271] Archivio centrale..." tel 881. il 24 febbraio 1920.

[272] Ibid.

მწიფოს“ საკითხის ფონზე. საქართველოს მოსაზრობისა და პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციისათვის საკითხის ამგვარი ფორმით დასმა იმთავითვე მიუღებელი იყო, რადგანაც იგი ემყარებოდა ბათუმის სტატუსის გადაწყვეტისას სომხეთის (და არა მარტო სომხეთის) გარკვეული პრეტენზიების დაკმაყოფილებას ზღვაზე გასასვლელის, ბათუმის ოლქის ფარგლებში ექსტერიტორიულობის უფლებით აღჭურვილი სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანის, ასევე საქართველოს კანონიერი ტერიტორიის გარკვეული ნაწილის მითვისების გზით. აღნიშნული პრობლემების გადაჭრისათვის სესიაზე შეიქმნა სპეციალური კომისია ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და იაპონიის წარმომადგენლებისაგან პარიტეტულ საწყისებზე, თუმცა ამ კომისიის (და, საერთოდ,) სესიის მუშაობის პროცესში იტალიის დიპლომატიას აქტიური მონაწილეობა არ მიუღია „ბათუმის საკითხის“ განხილვაში და, ასე ვთქვათ, პოლიტიკურ ამინდს ინგლისი (ნაწილობრივ, საფრანგეთი) ქმნიდა.[273]

საბოლოოდ სესიაზე შემუშავებულ იქნა „ბათუმის საკითხის“ (ბათუმის ოლქზე ხელისუფლებისა და მმართველობის საკითხი, ბათუმის ნავსადგურის სამართლებრივი რეჟიმი სამხედრო ოკუპაციის სახით) დარეგულირების ასეთი სქემა: ბათუმის ნავსადგურში წესდებოდა თავისუფალი სავაჭრო სტატუსი – „პორტო-ფრანკო“ (რაც 1878 წლის ბერლინის კონგრესის -„status quo “-ს აღდგენას გულისხმობდა), საკუთრივ ბათუმი ცხადდებოდა „თავისუფალ ქალაქად“ ერთა ლიგის სუვერენიტეტის ქვეშ. ამ სამართლებრივი რეჟიმის დაცვის მიზნით ქალაქს დაიკავებდნენ ინგლის-საფრანგეთ-იტალიის საოკუპაციო ძალები პროპორციული წარმომადგენლობით. როგორც ვხედავთ, ფრ. ნიტიმ და ვ. შიალოიამ მხარი დაუჭირეს ინგლისის წინადადებას და ლონდონის სესიის საერთო გადაწყვეტილების ფარგლებში თანხმობა განაცხადეს ბათუმში ჯარის ნაწილების გაგზავნაზე.

[273] დაწვრილებით იხ. ზ. ავალიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 199-204.

სესიის რეზოლუციის თანახმად, „ბათუმის საკითხის“ მოწესრიგების სქემა ითვალისწინებდა ასევე ბათუმის ოლქის ტერიტორიულ დანაწილებას საქართველოსა და სომხეთს(!) შორის, კერძოდ, საქართველოს იურისდიქციას უნდა დაქვემდებარებოდა ოლქის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ნაწილი, ხოლო სამხრეთი, კერძოდ ართვინის რაიონი, აგრეთვე ტრაპიზონის ვილაიეთი (ისტორიული ლაზისტანი) გადადიოდა დაშნაკთა სუვერენიტეტის ქვეშ.[274]

მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს ლონდონის სესიის რეზოლუციის შესახებ იტალიის მისიამ საქართველოს ოფიციალურ წრეებს 1920 წლის 9 მარტს აცნობა. კერძოდ, თავის წერილში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი პოლკოვნიკი გაბა იტყობინებოდა: „ლონდონის კონფერენციამ გადაწყვიტა გადააქციოს ბათუმი პორტოფრანკოდ მცირე ტერიტორიული ზონით, ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ. როგორც გარანტია – საფრანგეთი, იტალია და ინგლისი გაგზავნიან იქ ქვეითთა ჯარის თითო ბატალიონს“.[275] ანალოგიური ცნობები ეცნ. გეგეჭკორის უწყებამ მიიღო ინგლისისა (ო. უორდროპი) და საფრანგეთის (დე ნონანკური) წარმომადგენლობებისაგან. „ბათუმის საკითხის“ გადაწყვეტასთან დაკავშირებით ლონდონის სესიის მიერ მიღებულმა პოლიტიკურ- სამართლებრივმა ფორმულამ დიდი უკმაყოფილება და, შეიძლება ითქვას, აღშფოთებაც, გამოიწვია საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში. 18 მარტს ეცნ. გეგეჭკორმა სპეციალური ნოტები გაუგზავნა საქართველოში მყოფ უცხო სახელმწიფოთა მისიებს.

ნოტაში იტალიის პოლიტიკური სააგენტოსადმი მინისტრი პროტესტს გამოთქვამდა ბათუმის „პორტო-ფრანკოდ“ გამოცხადებისა და მასზე ერთა ლიგის იურისდიქციის დაწესების მცდელობასთან დაკავშირებით, ხაზგასმით მიუთითებდა, რომ საქართველოს მთავრობა ამგვარ აქციას აფასებდა, როგორც „ბათომის

---

[274] იქვე, გვ. 202.

[275] „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წლის 24 მარტი.

საქართველოსაგან გამოყოფის ცდად, მიუხედავად საქართველოს ერის და ბათომის მცხოვრებთა ნებისყოფისა, რომელთაც მრავალი მიტინგებით, სხვა და სხვა დროს მეჯლისის გადაწყვეტილებებით და უკანასკნელ მუნიციპალურ არჩევნებით [276] ... გამოთქვეს თავიანთი ერთგულება დედასამშობლო საქართველოსადმი და შეურყეველი სურვილი მისდამი შეერთებისა".[277] ევგ. გეგეჭკორი აფრთხილებდა იტალიის წარმომადგენლობას, რომ ლონდონის სესიის რეზოლუციის სისრულეში მოყვანა წააწყდებოდა ქართველი ერისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგობას, რასაც შეეძლო გამოეწვია სერიოზული გართულებანი რეგიონში თვით ანტანტის სახელმწიფოთა ინტერესებისათვის.

თავის საპასუხო დეპეშაში იტალიის პოლიტიკური სააგენტოს მეთაური, პოლკოვნიკი გაბა გეგეჭკორს არწმუნებდა იმაში, რომ უკანასკნელის ნოტაში მოცემული დებულებანი ტელეგრაფის მეშვეობით გადაცემულ იქნებოდა იტალიის პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის. აღნიშნულ დეპეშაში გაბა ავითარებდა ბათუმის სტატუსთან დაკავშირებით საკუთარ (ბუნებრივია, იტალიის მთავრობისაგან მომდინარე) მოსაზრებას; კერძოდ, იგი ქართველი ოფიციალური წრეების ყურადღებას მიაპყრობდა ლონდონის სესიაზე მიღებული გადაწყვეტილების „დროებით ხასიათზე", რაც გამოწვეული იყო ფოთისა და ბათუმის ბოლშევიკების მხრიდან შესაძლო ოკუპაციის თავიდან აცილების აუცილებლობით.

გაბას აზრით, ბათუმსა და ბათუმის ოლქზე საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო, თუ საქართველოს მხრიდან იქნებოდა გარანტირებული გარკვეულ ეტაპზე განსაკუთრებული მმართველობა, ასევე კავკასიის სახელმწიფოთა ინტერესები ნავსადგურით სარგებლობის თვალსაზ-

---

[276] აქ ვეგეჭკორი გულისხმობს ბათუმის საქალაქო საბჭოს არჩევნებს, რომელიც თებერვალში ჩატარდა.

[277] „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წლის 24 მარტი.

რისით და საერთაშორისო სავაჭრო ტრანზიტის მოთხოვნილებანი. იგი წერდა: „მე ვსარგებლობ შემთხვევით, ბატონო მინისტრო, რომ გაცნობოთ თქვენ ჩემი პირადი აზრი, რომელიც კარგად იცის იტალიის მთავრობამ, რომ ბათომის მთელი ოლქი ქალაქთან ერთად უნდა გადაეცეს საქართველოს მხოლოდ იმ გარანტიით, რომ განსაზღვრული დროის განმავლობაში იქნება განსაკუთრებული მმართველობა, და ნავსადგურით ისარგებლებენ ყველა ის ერები, რომლებიც ამით დაინტერესებულნი არიან, უპირველეს ყოვლისა, ამიერკავკასიის სამი ერი".[278]

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ იტალიის მთავრობის პოზიცია ბათუმის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით აბსოლუტურად არ ემთხვევა ინგლისის პოზიციას და მოკავშირეთა პოლიტიკური ლიდერების ლონდონის სამიტზე ზემოხსენებული რეზოლუციისადმი იტალიის მხარდაჭერა მხოლოდ და მხოლოდ ინგლისისათვის, როგორც ანტანტის ბლოკის ჰეგემონისათვის, ანგარიშის გაწევის შედეგი იყო. ამ თვალსაზრისით მეტად საგულისხმოა იტალიის დაინტერესებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალების მიმართება ბათუმის პრობლემისადმი. 1920 წლის 27 მარტს ერთ-ერთი იტალიური ოფიციოზის „Corriere della sera"-ს ფურცლებზე დაიბეჭდა სტატია სათაურით „ბათუმი საქართველოსათვის"! სტატიაში აღნიშნულია, რომ ბათუმი წარმოადგენს საქართველოს განუყოფელ ისტორიულ ნაწილს, რომ „მსოფლიო ომის წინ იგი შეადგენდა რუსეთის იმპერიის ნაწილს. მისი ბედის გადაწყვეტა იყო ფრიად სერიოზული საქმე, რადგანაც ბათუმი გახდა ოსმალეთის ტერიტორიად".[279] ამ მცირე ისტორიული ექსკურსის შემდეგ

---

[278] „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წლის 24 მარტი. ამ დროს ბოლშევიკები აქტიურად უტევდნენ ნოვოროსიისკ-ტუაფსეს ხაზს და გარკვეულწილად ემუქრებოდნენ კიდეც საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან.

[279] ციტირებულია გაზ. „საქართველოს რესპუბლიკიდან", 1920 წლის 16 აპრილი.

სტატიაში განვითარებულია აზრი, რომ უახლოეს მომავალში[280] ბათუმი ისევ მის კანონიერ მესაკუთრეს – საქართველოს გადაეცემა : „ბათუმი დარჩება საქართველოს იმ გარანტიით, რომ შესაძლებელი იქნება თავისუფალი ვაჭრობა სხვა ერთათვის, რომელთაც არა აქვთ გასასვლელი გზა შავ ზღვაზე".[281]

საკუთრივ საქართველოში, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ბათუმის სტატუსზე ლონდონის სამშიტის გადაწყვეტილებამ უკიდურესი უკმაყოფილება გამოიწვია. ქვეყანას გადაუარა მასობრივი საპროტესტო მიტინგების ტალღამ. 1920 წლის 19 მარტს გაიმართა საქართველოს დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა, რომელმაც განიხილა ბათუმის სამართლებრივ რეჟიმთან დაკავშირებით ევროპის სახელმწიფოებთან საქართველოს ურთიერთობის ძირითადი პრობლემები. სხდომამ ერთხმად მიიღო „რეზოლუცია ბათუმის საკითხის გამო", რომელშიც აღნიშნული იყო: „დამფუძნებელი კრება... ადგენს:

1. მიენდოს მთავრობას მტკიცე ნაბიჯი გადადგას მოკავშირეთა მიმართ, რათა ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს დაუბრუნდეს.

2. დაევალოს პრეზიდიუმს მიმართოს მოკავშირეთა პარლამენტებს, რათა მათ მხარი დაუჭირონ ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების განხორციელებას – ბათუმის ოლქის საქართველოსათვის დაბრუნების საკითხში".[282]

შესაბამისი ინსტრუქციები გადაეგზავნათ საქართველოს დიპლომატიურ მისიებს პარიზში, ლონდონსა და რომში.

ბათუმის საკითხი, ამიერკავკასიასთან დაკავშირებულ სამხედრო, პოლიტიკურ და სხვა პრობლემებთან ერთად განხილულ იქნა ანტანტის სახელმწიფოების უმაღლეს წარმომადგენელთა სან-რემოს კონფერენციაზე, რომელიც იტალიის ამ საკურორტო ქალაქში 1920 წლის 18–26 აპრილს გაიმართა. კონფერენციას დიდი მნიშვნელობა

---

[280] სტატიის ავტორი, ალბათ, გულისხმობს სან-რემოს კონფერენციას.

[281] იქვე

[282] „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წლის 23 მარტი.

ენიჭებოდა ამიერკავკასიის სახელმწიფოებისათვის, მათი პრობლემების საერთაშორისო დონეზე გადაწყვეტის თვალსაზრისით. ზ. ავალიშვილი წერდა, ეს იყო „არსებითად ერთადერთი ცდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა, წესრიგში სერიოზულად დაესვათ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მომავლის კითხვა და გადაეწყვიტათ იგი მათი დამოუკიდებლობის საფუძველზე".[283]

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით ამიერკავკასიის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა მოუწესრიგებლობამ, ბათუმის ნავსადგურის სტატუსსა და ურთიერთშორისი ტერიტორიული გამიჯვნის საკითხში შეუთანხმებლობამ, ერთი სიტყვით, სამი სახელმწიფოს ერთიანი ბლოკის იდეის ჩაშლამ, ფაქტიურად განაპირობა აღნიშნული შანსის ხელიდან გაშვება. სან-რემოს კონფერენციამ ღიად დატოვა ამიერკავკასიის სასიცოცხლო პრობლემები. ამ შემთხვევაში ჩვენი ინტერესების სფეროში არ შედის კონფერენციის მიერ ამიერკავკასიის საკითხზე მსჯელობის ყოველმხრივი ანალიზი და, ჩვენი კონკრეტული მიზანდასახულობიდან გამომდინარე, შევეხებით მხოლოდ იტალიის დელეგაციის პოზიციას „ბათუმის საკითხის" გადაწყვეტასთან მიმართებაში.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, მიკავშირეთა უმაღლესი საბჭოს ლონდონის სესიაზე იტალიამ მხარი დაუჭირა დიდი ბრიტანეთის იდეას ბათუმში საოკუპაციო ძალების გაზრდის შესახებ და რეგიონში შეიარაღებული ნაწილის გაგზავნაზე თანხმობა განაცხადა. სან-რემოს სამიტზე „ბათუმის საკითხი" ძირითადში სამხედრო თვალსაზრისით, ე.ი. ანტიბოლშევიკური საოკუპაციო ფრონტის ორგანიზაციის თვალსაზრისით, დადგა. ამიტომ ფრ. ნიტიმ რეგიონში იტალიის ერთი ბატალიონის დისლოცირება მოსკოვთან შეიარაღებული კონფლიქტის პერსპექტივაში მოიაზრა, რის გამოც უარი განაცხადა ლონდონის

---

[283] ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრ, გვ. 219.

სესიის გადაწყვეტილების შესრულებაზე. რუსეთთან შესაძლო შეუპების გარდა, თავისი უარის არგუმენტად იტალიის პრემიერი ყურადღებას აქცევდა ბათუმის ოლქში არსებულ ქაოსზე და მიიჩნევდა, რომ ძოკავშირეთა მიერ იქ გაგზავნილი მცირერიცხოვანი სამხედრო ძალები საერთო სიტუაციას ვერ შეცვლიდნენ. კერძოდ, კონფერენციის 22 აპრილის სხდომაზე ნიტიმ განაცხადა: „იტალიას არ გაუძნელდება ბათუმში ერთი ბატალიონის გაგზავნა, მაგრამ ჩემი აზრით, 3 ან 4 ბატალიონი ბათუმში სიტუაციას ვერ შეცვლის, ბოლშევიკები მნიშვნელოვანი ძალებით ნამდვილად მიიწევენ ბათუმისაკენ. ასეთ შემთხვევაში თავი უნდა შევიკავოთ ახალი ძალების გაგზავნისაგან, რადგან ეს იქნებოდა ომი, ხოლო ომისათვის ჩვენ იქ საკმარისი ძალები არ გაგვაჩნია".[284] ნიტის პოზიციას არ დაეთანხმა საფრანგეთის პრეზიდენტი მილიერანი, რომელმაც განაცხადა, რომ გასცემს ბრძანებას ბათუმში საფრანგეთის შეიარაღებული ძალების ერთი ბატალიონის გაგზავნის შესახებ. თუმცა იტალიის პრემიერ-მინისტრს არც ამის შემდეგ განუცხადებია თანხმობა რეგიონში იტალიის ბატალიონის გაგზავნაზე.

ბათუმში ჯარების გაგზავნის საკითხს კვლავ დაუბრუნდნენ სანრემოს კონფერენციის 23 აპრილის პლენარულ სხდომაზე, თუმცა პროგრესი არც ამჯერად მიღწეულა, იტალიის დელეგაციამ მხარი დაუჭირა ლოიდ-ჯორჯის წინადადებას – ჯერ მიეღოთ რეალური ცნობები რეგიონში არსებულ სამხედრო-სტრატეგიულ ვითარებაზე კონსტანტინოპოლში ინგლისის წარმომადგენლის, ადმირალ დე რობეკისაგან და მხოლოდ ამის შემდეგ გადაეწყიტათ ჯარების გაგზავნის პრობლემა. „ბატონ ლოიდ-ჯორჯის დასკვნები უეჭველად რეალურ ვითარებას ასახავენ, – აღნიშნა ნიტიმ. – იტალია მზადაა ვაგზავნოს ბატალიონი, რომლის გაგზავნაც მან იკისრა. მაგრამ ეს დიდად ვერ შეცვლის საქმის ვითარებას... ვუერთდები ბატონ ლოიდ-

---

[284] ი. ტაბალუა, დასახ. სტატია, „მაცნე", 1982წ., №3, გვ. 92.

ჯორჯის წინადადებას: ვიდრე გადაწყვეტილებას მივიღებდეთ, ჩვენ უნდა დავუცადოთ ადმირალ დე რობეკის მოხსენებით ბარათს".[285]

ფაქტიურად ამით დამთავრდა „ბათუმის საკითხის" განხილვა სან-რემოს სამიტზე და, როგორც უკვე ავღნიშნეთ, არავითარი რეალურ სიტუაციასთან შესაბამისი გადაწყვეტილება არ მიუღიათ. ჩყენთვის ამ შემთხვევაში საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იტალიამ უარი თქვა ბათუმში სამხედრო ძალების გაგზავნაზე, რითაც ფაქტიურად უგულვებელყო მოკავშირეთა ლონდონის სესიის გადაწყვეტილებანი, რომელთაც სხვათაშორის, თვითონაც მოაწერა ხელი.

აქვე მოკლედ დავძენთ, რომ ამ პერიოდში საგარეო-პოლიტიკურ ფაქტორთა გარკვეულმა ერთობლიობამ (სან-რემოს კონფერენციის შედეგები, 1920 წლის აპრილის დასასრულს საბჭოთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ოკუპაცია, 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, რომლის V მუხლის ძალით ნ. ჟორდანიას მთავრობა ვალდებულებას კისრულობდა ხელშეკრულებით ცნობილ საქართველოს საზღვრებში არ დაეშვა უცხო სახელმწიფოთა ჯარების დისლოცირება) განაპირობა ბათუმის ოლქიდან ბრიტანეთის ჯარების გაყვანა და, როგორც შედეგი, აქ ინგლისური სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის ლიკვიდაცია. 1920 წლის 28 ივნისის ინგლის-საქართველოს პოლიტიკური შეთანხმების (მას ხელი მოაწერეს ეგგ. გიგეჭკორმა და ინგლისის უმაღლესმა კომისარმა, პოლკოვნიკმა სტოქსმა) საფუძველზე, 7 ივლისს საქართველოს შეიარაღებული ძალები ბათუმში შევიდნენ. ბათუმსა და მის ოლქზე აღდგენილ იქნა საქართველოს სუვერენიტეტი და იურისდიქცია, ოლქის „საგანგებო კომისრად" დაინიშნა ბენია ჩხიკვიშვილი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში იტალიის პოლიტიკური სააგენტო განსაკუთრებით იყო დაინტერესებული ბათუმსა და მის გარშემო არსებული ვითარებით, რისშელიც აქ სან-რემოს კონ-

---

[285] იქვე, გვ. 94

ფერენციის შემდგომ შეიქმნა. ჩანს, იტალიის წარმომადგენლობაში წინდაწინვე დარწმუნებულნი იყვნენ ინგლისური საოკუპაციო სისტემის დემონტაჟის პროცესის შეუქცევადობაში და უარყოფითად აფასებდნენ რეგიონში ინგლისის სამხედრო ადმინისტრაციის პოლიტიკას. 1920 წლის 18 მაისს იტალიის მთავრობისათვის გაგზავნილ საინფორმაციო ბიულეტენში გაბა სერიოზულად აკრიტიკებდა ინგლისის პოლიტიკას ბათუმში, ბრალს სდებდა მას ყველა იმ უწესრიგობაში, ქაოსსა და უმწვავეს სასურსათო კრიზისში, რაც რეგიონში კუკ-კოლისის არათანმიმდევრული, „ეგოისტური" მოქმედების შედეგი იყო. გაბა მოითხოვდა „ბათუმის საკითხის" იმ ფორმით გადაწყვეტას, რომელიც უზრუნველყოფდა რეგიონის საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის ქვეშ გადასვლას, იგი წერდა: „...ჩემის აზრით, საჭიროა: დაუყონებლივ მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ბათუმის შესახებ – ბათუმი და ბათუმის ოლქი საქართველოს ხელისუფლებას გადაეცეს; ბათუმში დაუყოვნებლივ გაიგზავნოს იტალიის კონსული და სავაჭრო ატაშე; ბათუმსა და ფოთში უნდა იდგეს „ეტნას" (სამხედრო გემის სახელწოდება – დ.ჯ.) მსგავსი იტალიის სამხედრო ხომალდები, კარგი სამხედრო ეკიპაჟით."[286]

იტალია-საქართველოს ურთიერთობათა (ისევე როგორც, საერთოდ ევროპა-საქართველოს) განვითარების პროცესზე სერიოზული ზეგავლენა მოახდინა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების დადებამ. გადაჭრით შეიძლება იმის მტკიცება, რომ აღნიშნული ხელშეკრულება საქართველოში დასავლეთის სახელმწიფოთა, მათ შორის იტალიის ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული. მისი ზოგიერთი მომენტი, ამასთან, ბოლშევიკური რუსეთის სტრატეგიულ ინტერესთა რეალიზაციის წინაპირობებს ქმნიდა, კერძოდ მუხლი რუსეთის კომუნის-

---

[286] Archivio centrale..., tel. N 2654, Tiflis, il 18 maggio 1920. 1921 წლის იანვარში ბათუმში მართლაც ჩამოვიდნენ იტალიის უმაღლესი კომისარი ამიერკავკასიაში და იტალიის კონსული თავისი შტატით.

ტური პარტიის ორგანული ნაწილის – საქართველოს კომპარტიის ლეგაციის შესახებ საგრძნობ გარანტიებს უქმნიდა რუსეთის პოლიტიკურ გავლენას საქართველოში. გარდა ამისა იგი „არ გამორიცხავდა“ აღნიშნული პოლიტიკური ძალის დესტრუქციული და დამანგრეველი ანტისახელმწიფოებრივი იატაკქვეშა საქმიანობის შესაძლებლობას. მუხლი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო სტრუქტურების არდაშვების შესახებ იმთავითვე გამორიცხავდა რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის ვითარებაში დასავლეთის მხრიდან რაიმე ქმედითი სამხედრო დახმარების შესაძლებლობას. იურიდიულ ენაზე რომ ვთქვათ, 7 მაისის ხელშეკრულება, მისი საერთაშორისო რეზონანსის თვალსაზრისით, წარმოადგენდა თავისებურ სინთეზს საქართველოში საბჭოთა რუსეთის უფლებებსა და ამ უფლებათა რეალიზაციისათვის საქართველოს გარკვეულ მოვალეობებს შორის. ეს ხელშეკრულება მის ფაქტიურ საერთაშორისო ასპექტშიც საქართველოს მიერ „ევროპული ორიენტაციის უარის თქმას“ და „რუსეთის საქართველოში დაბრუნებას“ (ზ. ავალიშვილის დეფინიციაა) ნიშნავდა.

შემთხვევითი არაა, რომ 7 მაისის ხელშეკრულების ძალით საქართველოში მოვლენილ რუსეთის საგარეო რწმუნებულს ს. კიროვს „საქართველოს კომისარს“, ხოლო რუსეთის წარმომადგენლობას „საქართველოს რევკომს“ ეძახდნენ უცხო სახელმწიფოთა მისიები.

საქართველო–რუსეთის ხელშეკრულებას და რეგიონში შექმნილ თვისობრივად ახლებურ ვითარებას დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს იტალიის პოლიტიკური სააგენტო. 1920 წლის 13 მაისს რომში გაგზავნილ დეპეშაში გაბა იტყობინებოდა, რომ დაიდო ხელშეკრულება საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის და, რომ საქართველოსათვის „დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ ბათუმისა და ბათუმის ოლქის ტერიტორიის

საქართველოს შემადგენელ ნაწილად ცნობას".[287]

1920 წლის მაის-ივლისში საქართველოში იმყოფებოდა იტალიის წარმომადგენელი ამიერკავკასიაში ლუიჯი მერკონტელი. თავისი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, იგი აქტიურად უწყობდა ხელს იტალიის საქმიან და პოლიტიკურ წრეებთან საქართველოს სამთავრობო სტრუქტურების დაკავშირებას, მათ შორის ორმხრივსასარგებლო მჭიდრო ურთიერთობების შექმნას. ამავე დროს, მერკონტელი პერიოდულ ანგარიშებს აწვდიდა იტალიის ხელისუფლებას რეგიონში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე, საკუთრივ საქართველოს დამოუკიდებელ არსებობასთან დაკავშირებულ სიძნელეებზე. აღსანიშნავია, რომ მერკონტელის მისიას განსაკუთრებით აინტერესებდა 7 მაისის ხელშეკრულების შემდეგ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში განვითარებული ტენდენციები, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პორცესებზე რუსეთის ზეგავლენის ხარისხი. 1920 წლის 21 ივლისს ბათუმიდან იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის, კარლო სფორცასათვის გაგზავნილ წერილში მერკონტელი პირდაპირ მიუთითებს საქართველოში ბოლშევიკური რუსეთის ექსპანსიის, კერძოდ, აზერბაიჯანში დისლოცირებული 11 არმიის ინტერვენციის, საშიშროებაზე და ხაზს უსვამს, რომ საქართველოს საერთაშორისო სიტუაცია სწორედ ამ საშიშროებით არის განსაზღვრული. „ეს საშიშროება, – წერს იტალიის წარმომადგენელი – უკავშირდება შინაგან ბოლშევიკურ პროპაგანდასაც. თუ ძლიერ აილაგმება ეს პარტია (საქართველოს კომპარტია – დ.ჯ.) ამან შეიძლება გამოიწვიოს 11-ე არმიის შემოჭრა, სოლო ასეთი შემოტევის წინააღმდეგ ქართველებს არ ექნებათ არც ძალა და არც საშუალება წინააღმდეგობის გასაწევად..." [288]

---

[287] Archivio centrale..., tel. N 2516.

[288] ი. ჩაბაღაძე, ლუიჯი მერკონტელი, მისი პიროვნება: ნ ჟორდანია, ე გეგეჭკორი, ნ რამიშვილი, კრებულში. „საქართველოს ურთიერთობა ევროპასა და ამერიკის ქვეყნებთან". ტ. 14. თბ. 1995. გვ. 89.

მერკონტელის საანგარიშო ბარათებიდან, ასევე საქართველოში საბჭოთა რუსეთის მისიის მეთაურთან კიროვთან მისი საუბრის აღწერილობიდან კარგად ჩანს იტალიის გარკვეული შეშფოთება რეგიონში რუსეთის პოზიციების თანდათანობით გაძლიერების გამო. ჩიჩერინისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ დეპეშაში კიროვი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „იტალიური წარმომადგენლობა განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ჩვენი (ე.ი. რუსეთის – დ.ჯ.) პოლიტიკისადმი აღმოსავლეთში, კერძოდ იმ პატარა რესპუბლიკებისადმი, რომელთა დამოუკიდებლობა ჩვენ უკვე ვაღიარეთ, კონკრეტულად საქართველოსადმი“.[289]

ამ პერიოდში იტალიურმა დიპლომატიამ წამოაყენა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ე.წ. „ქართული ხიდის“ თეზისი, რაც აღნიშნულ ორ სამყაროს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში საქართველოს, როგორც სტრატეგიული ს.ატრანზიტო სახელმწიფოს როლისა და ადგილის გააზრებას ეფუძნებოდა, ამიტომაც საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და მის შინაპოლიტიკურ სტაბილურობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იტალია. კიროვთან შეხვედრისას მერკონტელი აღნიშნავდა: „... „ქართული ხიდის“ არსებობა რუსეთისათვის და დასავლეთისათვის, კერძოდ იტალიისათვის საგანგებოდ აუცილებელია.“ [290] იტალიის წარმომადგენელი თავისი მთავრობის სახელით სთხოვდა რუსეთის პოლიტიკურ წრეებს – ხელი შეეწყოთ საქართველოსთან კეთილმეზობლური და მშვიდობიანი ურთიერთობების შენარჩუნებისათვის, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების პირობების დაცვისათვის.

საქართველოში მიმდინარე პროცესების გაანალიზების საფუძველზე მერკონტელი ავითარებს და თავის მთავრობას სთავაზობს

---

[289] Борьба за победу Советской власти ... გვ. 614.

[290] იქვე, გვ. 615.

„საქართველოს საკითხში" იტალიის მოქმედების შემდეგ სქემას: „პირველი ნაბიჯი და არა უმნიშვნელო („non indifferente") – შენარჩუნებულ იქნეს სტატუს კვო,[291] იქნება ამასობაში მოხდეს იურიდიული ცნობაც („riconoscimento di diritto").[292] სხვა საკითხია, თუ რამდენად მართებულად მიიჩნევდა ჯოლიტის[293] მთავრობა თავის „რუსულ პოლიტიკაში" მერკონტელას სქემისადმი ორიენტაციას. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საგულისხმოა თვით ფაქტი იტალიელი დიპლომატის მიერ საქართველოს დამოუკიდებელი სტატუსისადმი კეთილგანწყობითი დამოკიდებულებისა და ეს მაშინ, როდესაც აშშ უარს აცხადებდა საქართველოს სუვერენიტეტის აღიარებაზე, ხოლო ინგლისის დიპლომატიამ რუსეთის „ცენტროსოიუზის" დელეგაციასთან (ე.წ. „კრასინის მისია") ინგლის–რუსეთის საავჭრო ხელშეკრულების მოშზადების პროცესში მიმდინარე მოლაპარაკებების დროს ფაქტიურად უარი თქვა კავკასიის რეგიონში აქტიური პოლიტიკის გატარებაზე, რითაც საქართველო რუსეთის გავლენის სფეროდ აღიარა.

„მერკონტელის მისია" რეალური წარმოდგენის გაჩენის „საქართველოს საკითხში" იტალიის დიპლომატიის, ასე ვთქვათ, „ორმაგ სტანდარტებზე"; ერთის მხრივ, იტალია უარს აცხადებს საქართველოში თავისი აქტიური პოლიტიკის წარმოებაზე და ამას ბოლშევიკურ რუსეთთან შესაძლო საიზოლირო კონფლიქტის თავიდან აცილების მოტივაციას აძლევს, ჩრდილოეთ მხრით კი, ცდილობს რუსეთზე დიპლომატიური ზეწოლის მოხდენას, რათა ამ უკანასკნელმა არ მიმართოს საქართველოს სუვერენიტეტისა და შიდაპოლიტიკური სტაბი-

---

[291] მერკონტელი გულისხმობს საქართველოს ფაქტობრივ დამოუკიდებლობას.

[292] ი. ტაბაღუა. ლუიჯი მერკონტელი ..., გვ.90

[293] ჯოვანი ჯოლიტი – იტალიის ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, XX ს–ის დასაწყისის „იტალიური ლიბერალიზმის ლიდერი. პრემიერ მინისტრი 1903–1905, 1906–1909, 1911–1914 და 1920–1921 წწ.

ლურობის საწინააღმდეგო აქციებს და, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ფარგლებში, შეინარჩუნოს მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობანი. ამასთან, იტალია ორიენტირებულია იმაზეც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი უშიშროება „ჩრდილოეთ საფრთხესთან" დაკავშირებით გარანტირებული იქნეს მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ.

1920 წლის ივნისში იტალიაში მიმდინარე რთული პოლიტიკური კრიზისის ფონზე ნიტის მთავრობა გადადგა და ახალი კაბინეტი ჩამოაყალიბა საუკუნის დასაწყისის „იტალიური ლიბერალიზმის" ლიდერმა ჯოვანი ჯოლიტიმ. საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ყოფილი უმაღლესი კომისარი კონსტანტინოპოლში კარლო სფორცა, რომელიც ხედმიწევნით ზუსტად ფლობდა ინფორმაციას ამიერკავკასიაში მიმდინარე პროცესებზე. საგარეო პოლიტიკაში ჯოლიტი-სფორცას მთავრობა, ძირითადში, აგრძელებდა ნიტის კაბინეტის მიერ აღებულ კურსს [...]. ამდენად „ივნისის პოლიტიკურ შემობრუნებას" სერიოზული ცვლილებები იტალიურ დიპლომატიაში არ გამოუწვევია. იტალიის ახალი პოლიტიკური ელიტა კეთილგანწყობილად იყო განწყობილი საქართველოს ფაქტობრივი დამოუკიდებლობისადმი, რაც კარგად გამოვლინდა იტალიის დიპლომატიის მიმართებაში ე.წ. „კოლბის დოქტრინისადმი", კერძოდ ამ „დოქტრინის" იმ ნაწილისადმი, რომელშიაც წარმოდგენილი იყო აშშ-ის უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოს სუვერენიტეტის მიმართ.

1920 წლის აგვისტოს დასაწყისში ჯოლიტის მთავრობამ იხოვნით მიმართა აშშ-ის ადმინისტრაციას „რუსეთის საკითხში" ამერიკული პოზიციის დაფიქსირებასთან დაკავშირებით. 10 აგვისტოს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბ. კოლბიმ იტალიის მთავრობას უპასუხა სპეციალური ნოტით, რომელიც გადაეცა ვაშინგტონში იტალიის ელჩს რინალდო რიჩის. ნოტაში, სხვათაშორის, აღნიშნულია: „... შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა მოეწონებინა

პარიზის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება ე.წ. რესპუბლიკების — საქართველოსა და აზერბაიჯანის ცნობის შესახებ და ამ თვალსაზრისით ინსტრუქცია მისცა თავის წარმომადგენელს სამხრეთ რუსეთში, კონტრ-ადმირალ ნიუტონ მაკ-კელის... მის(რუსეთის — დ.ჯ.) საზღვრებში უნდა შევიდეს ყოფილი რუსეთის ძველი იმპერია, გარდა ფინეთის, პოლონეთის ეთნიკური ტერიტორიისა და ასევე იმ ტერიტორიებისა, რომლებიც შემდგომში ხელშეკრულებით უნდა შეუერთდეს სომხეთის სახელმწიფოს..." [294] ამჟამად ჩვენს მიზანდასახულობას არ შეადგენს კოლბის ნოტის ყოველმხრივი ანალიზი, საქართველოს საერთაშორისო სტატუსისადმი აშშ-ის ნეგატიური დამოკიდებულების მიზეზების, „კოლბის დოქტრინაში" მოცემული პოზიციის კანონიერებისა და მაშინდელი საერთაშორისო ნორმებთან მისი შესაბამისობის საკითხის განხილვა (ამაზე ვრცლად არის საუბარი საქართველოს დიპლომატიური მისიის 1920 წლის 15 აგვისტოს „მემორანდუმში მოკავშირე დიდი სახელმწიფოების მთავრობებისადმი"). ავღნიშნავთ მხოლოდ რომ ამ დიპლომატიური დოკუმენტის ძალით აშშ-მა უარყვეს როგორც პოლიტიკური დამოუკიდებლობის საერთაშორისო ცნობისაკენ საქართველოს მისწრაფების კანონიერება, ასევე ფაქტობრივად დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს პოლიტიკური არსებობაც. ამდენად „კოლბის ნოტა", მისგან მომდინარე შედეგებით საქართველოსთან პოლიტიკური და საკაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებაზე უარის თქმის, საერთაშორისო სისტემიდან მისი გამორიცხვის თვალსაზრისით, წარმოადგენდა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო დისკრიმინაციის გამოვლენას.

---

[294] ციტირებულია ვ. ჭაბაღუას სტატიიდან „საქართველოს საკითხი აშშ-ის პოლიტიკაში 1917-1920 წლებში", იხ. კრებულში „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან" ტ.1, თბ., 1994, გვ. 307 და 310.

„კოლბის ნოტის“ ორიენტაციის ფუნდამენტური პრინციპისადმი – რუსეთის ფაქტობრივ საბჭოთა რეჟიმთან ყოველგვარ ურთიერთობაზე უარის თქმა და რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და საზღვრების ურღვევობა – იტალიის დიპლომატიამ იმთავითვე ნეგატიური დამოკიდებულება გამოამჟღავნა. იტალიის პარლამენტში გამოსვლისას კ. სფორცამ განაცხადა, რომ, მიუხედავად ამერიკის ნოტისა, იტალია გაატარებს საბჭოთა რუსეთთან დაახლოების პოლიტიკას. „ჩვენ უკვე გარკვეული ხანია მივაღწიეთ შეთანხმებას მოსკოვის მთავრობასთან ჩვენში რუსეთის წარმომადგენლის [295] და რუსეთში იტალიის წარმომადგენლის დაშვების შესახებ – აღნიშნა მინისტრმა – ისინი იმუშავებენ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების საკითხზე, ორმხრივი ინტერესების შესაბამისად“.[296] შემდეგ : საგულისხმოა, რომ იტალიაში საქართველოს დიპლომატიური მისიის საქმიანობის ამსახველ ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში „კოლბის ნოტის“ წარმოშობის მნიშვნელოვან გარემოებად საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხთან აშშ-ის პოზიციის დაფიქსირებით იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაინტერესებაა წარმოდგენილი. კერძოდ მასში აღნიშნულია, რომ „სფორცას უშუალო ჩარევით იტალიის მთავრობამ დეპეშა გაუგზავნა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომლითაც მოუწოდებდა ეცნო ახალგაზრდა დემოკრატიული საქართველოს დამოუკიდებლობა“ და ამას მოჰყვა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის წერილობითი განცხადებაო. [297]

---

[295] კ. სფორცას მხედველობაში აქვს ვ. ვოროვსკის მისია, რომელიც 1921 წ. მარტიდან აწარმოებდა მოლაპარაკებას საეჭრო ხელშეკრულების დადებაზე; ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა 1921 წლის 26 დეკემბერს.

[296] "Бюллетен НКИД",№ 34, 1920 г., გვ. 10.

[297] სცსსა, ვარვარდის მიკროფირების ასლი, ს. 9694 („მემუარი საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის ა.კ. ჩხენკელის დიპლომატიური მუშაობის შესახებ 1921-1922 წ წ.)

ჩვენთვის განსაკუთრებით აღსანიშნავია იტალიის ოფიციალური წრეების მიერ „კოლბის ნოტაში“ ფიქსირებული საქართველოსა და აზერბაიჯანის სუვერენიტეტის უარყოფისადმი გამოხატული ნეგატიური მიმართება. ამის დადასტურებაა იტალიის პასუხი ვაშინგტონისადმი კოლბის ნოტაზე რუსეთის საკითხის შესახებ. ჯოლიტის მთავრობა, ხელმძღვანელობდა რა ერთა თვითგამორკვევისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებით და მიაჩნდა რა ისინი „ჩვენი დროის საერთაშორისო პოლიტიკის უდიდეს იდეებად“, მხარს უჭერდა საქართველოს ფაქტობრივ დამოუკიდებლობას. ის კიდევ ერთხელ გამოხატავდა თავის პატივისცემას ანტანტის უმაღლესი საბჭოს 1920 წლის 12 იანვრის აქტისადმი საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის „დე ფაქტო“ ცნობის შესახებ. იტალია კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს საერთაშორისო დისკრიმინაციის მცდელობას და, მსოფლიო პოლიტიკაში თავისი ადგილიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე, ხელს უწყობდა ჩვენი ქვეყნის ირგვლივ ისეთი საერთაშორისო-პოლიტიკური სიტუაციის შექმნას, რაც გააადვილებდა საქართველოს სუვერენიტეტის ფორმალურ-იურიდიულ აღიარებასაც. „იტალია, – განაცხადა ე. გეგეჭკორმა რომის გაზეთ „La tribuna “-თვის მიცემულ ინტერვიუში, – იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც ურთიერთობა დაამყარა საქართველოსთან და მხარი დაუჭირა მის მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ... იტალია მეგობრულადაა განწყობილი საქართველოს რესპუბლიკისადმი, რამდენადაც ეს ერთხელ კიდევ იყო დადასტურებული იტალიის პასუხით შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კოლბის ნოტაზე რუსეთის საკითხის შესახებ“.[298]

1920 წლის აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში იტალიაში ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა

---

[298] „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წლის 1-ლი სექტემბერი.

მინისტრი ჟეგენი გეგეჭკორი. რომში გამართული მოლაპარაკებანი წარმოადგენდა საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის ევროპაში მოგზაურობის (მოგვიანებით იგი იმყოფებოდა პარიზსა და ლონდონშიც) საერთო პროგრამის ნაწილს, რომელიც ითვალისწინებდა ევროპის სახელმწიფოთა მმართველი წრეების წინაშე „საქართველოს საკითხის“ დაყენებას თვისობრივად ახლებური განზომილებით – საქართველოს სახელმწიფოებრიობის საერთაშორისო სტატუსის იურიდიული აღიარება, მისი ერთა ლიგაში გაწევრიანება და რესპუბლიკისათვის ფინანსური დახმარების გაწევა. 30 აგვისტოს გეგეჭკორს შეხვდნენ იტალიის პრემიერ-მინისტრი ჯ. ჯოლიტი და საგარეო საქმეთა მინისტრი კ. სფორცა. შეხვედრამ ურთიერთსიმპატიებისა და კონსტრუქციული დიალოგის ვითარებაში ჩაიარა. „მიღება იყო გულითადი. ჯოლიტის და მინისტრ სფორცას მიერ გამოთქმული იყო ღრმა სიმპატია საქართველოსადმი და გეგეჭკორის მიერ აღძრულ საქართველოს საკითხების შესახებ მხარის დაჭერა“.[299]

შეხვედრაზე ორი ქვეყნის ურთიერთობის პოლიტიკური ასპექტები განხილულ იქნა ძირითადში ორი განზომილებით – იტალიის მხარდაჭერა საქართველოს დამოუკიდებლობის „დე იურე“-დ ცნობის საკითხში და იტალიის დიპლომატია და ერთა ლიგის სტატუტთან საქართველოს ინტეგრირების პრობლემა კ. სფორცამ, თავისი მთავრობის სახელით, ოფიციალურად დაადასტურა მისი ქვეყნის კეთილგანწყობითი დამოკიდებულება საქართველოს პოლიტიკური სტატუსისადმი, ხაზი გაუსვა ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობების შემდგომი განვითარების აუცილებლობას. ამასთან, მან კიდევ ერთხელ დაადასტურა იტალიის უარყოფითი მიმართება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 1920 წლის 10 აგვისტოს ნოტისადმი. „ჩვენ – აღნიშნა სფორცამ – რასაკვირველია, საკუთარ

[299] „საქართველო“, 1920 წლის 5 სექტემბერი.

მხარს უჭერთ საქართველოს დამოუკიდებლობას, ვინაიდან ეს არის ცალკე ერი, არ ეკუთვნის სლავიანურ რასას".[300]

30 აგვისტოს შეხვედრაზე გამოიკვეთა იტალია-საქართველოს ურთიერთობების მეტად მნიშვნელოვანი ტენდენცია. კერძოდ, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ანტანტის უმაღლესი საბჭოს წინაშე იტალია დააყენებდა საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმალურ-იურიდიულ ცნობის საკითხს და, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, ხელს შეუწყობდა ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას. „გეგეჭკორმა სფორცას მადლობა გადაუხადა საქართველოსათვის გაწეული სამსახურისათვის, როცა (იტალიამ – დ.ჯ.) თავის თავზე აიღო ინიციატივა კონფერენციის უმაღლესი საბჭოს წინაშე „დე იურედ" ცნობის საკითხის დასმისათვის".[301] ამავე დროს, იტალიამ ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა გეგეჭკორის მისიას ერთა ლიგაში საქართველოს გაწევრიანების პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებითაც, ამ სტრუქტურის ასამბლეაში თავისი წარმომადგენლობის (ტიტონი, ბონომი, სკანსერი, ნიკოლა, სენატორი რუფინი) საშუალებით. სხვა საკითხია, რომ ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატიურმა ობსტრუქციამ, რაც ამ ორგანიზაციაში საქართველოს მიღებისადმი შეურიგებელ ოპოზიციაში გამოიხატა, განაპირობა 1920 წლის 16 დეკემბერს ერთა ლიგის წესდებასთან საქართველოს შეერთების უარყოფა. ერთა ლიგის ასამბლეაში იტალიის წარმომადგენლობა მტკიცედ იდგა მასში საქართველოს მიღების კურსს, რაც კარგად ჩანს გეგეჭკორის მიერ სფორცასადმი 1920 წლის 24 დეკემბერს გაგზავნილი წერილიდან, რომელშიც ვკითხულობთ: „საქართველო ასევე აფასებს ერთა ლიგის პირველ ასამბლეაში იტალიის წარმომადგენლის, ბატონ სკანსერის მიერ წარმოთქმულ, ლიბერალიზმითა და პოლიტიკურ სიბრძნით აღსავსე

---

[300] სკასა, პარტიების მიკროფილმების არქივი, ს. 701.

[301] იქვე.

სიტყვებას, რომელშიც მან ხმა აღიმაღლა ერთა ლიგის წიაღში საქართველოს რესპუბლიკის დაუყონებლივ და უსიტყვოდ მიღების სასარგებლოდ".[302] საგულისხმოა, რომ ქართველი მინისტრი ერთა ლიგაში საქართველოს მიღების წინადადებას იტალიის დელეგაციის მიერ წამოყენებულ წინადადებად განიხილავს.

როგორც ავღნიშნეთ, იტალიის მთავრობასთან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოლაპარაკების დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმადაც იტალიის მთავრობამ იკისრა ანტანტის უმაღლეს საბჭოში საქართველოს დამოუკიდებლობის „დე იურე" ცნობის ინიციატივა. იტალიის დიპლომატიის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის ფორმალური აღიარების აქციის ინიცირება მიუთითებს იმაზე, რომ ამ სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საქართველოსთან ურთიერთობათა გააქტიურების თვალსაზრისით, როგორც ანტანტის კოალიციის სისტემაში, ასევე ორმხრივ საფუძველზე. ამ პროცესს კი საფუძვლად ედო იტალიის სულ უფრო მზარდი ეკონომიკური ინტერესები საქართველოში, რაც მისგან აქტიური პოლიტიკური და დიპლომატიური აქციების ორგანიზებას მოითხოვდა. ერთ-ერთ ფუნდამენტალურ აქციად სწორედ ანტანტის სახელმწიფოების წინაშე საქართველოს საერთაშორისო სტატუსის იურიდიული ნოტიფიკაციის საკითხის დაყენება მოიაზრებოდა; რა თქმა უნდა ეს არ გულისხმობს იმას, რომ იტალიის მმართველი წრეები აღნიშნულ აქტს გლობალურ კონტექსტში განიხილავდნენ და ტრანსკავკასიურ სივრცეში აქტიური პოლიტიკის წარმოების ორლანდოსეული სტრატეგიის რეანიმაციას ახდენდნენ. საბჭოთა რუსეთთან რეალურად მოსალოდნელი სამხედრო კონფრონტაციის საშიშროება გამორიცხავდა ამის შესაძლებლობას.

---

[302] ი. ტაბაღუა, იტალიამ პირველმა დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსთან 1921 წელს, კრ. „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან", ტ I, თბ. 1994, გვ. 150.

იტალიის დიპლომატიის ხელმძღვანელობა კურსი ეკონომიკური ინტერესების პრიმატით იყო გაჯერებული. ამასთან, თავისი როლი შეასრულა ბუნებრივმა და კანონზომიერმა სიმპათიამ საქართველოსადმი, როგორც სახელმწიფოსადმი, რომელმაც შექმნა მეტ-ნაკლებად სტაბილური პოლიტიკური რეჟიმი და საერთაშორისო სისტემაში შესაბამისი სტატუსის მოპოვებას ესწრაფვოდა. ერთი სიტყვით, საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულ ცნობასთან დაკავშირებული დიპლომატიური ტენდენციების ეპიცენტრში სწორედ იტალია მოექცა, რაც ორი ქვეყნის ურთიერთობათა ისტორიაში მეტად თვალსაჩინო მომენტია.

რომის შეხვედრაზე ევგ. გეგეჭკორმა სცადა გამოეყენებინა იტალიის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ლოიალური და ლიბერალური დამოკიდებულება საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხისადმი თურქეთის ნაციონალისტური წრეებისაგან მომდინარე არამართლზომიერი ტერიტორიული პრეტენზიების გასანეიტრალებლად. ამ შეხვედრაზე ქართველი მინისტრი ეყრდნობოდა იტალიის კვიპროსგანწყობით მიმართების ბათუმსა და მის ოლქზე საქართველოს სუვერენული უფლებების აღდგენასთან დაკავშირებით. როგორც 30 აგვისტოს მოლაპარაკების ამსახველი ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტი მიუთითებს, გეგეჭკორმა თხოვნით მიმართა სფორცას, რათა გამოეყენებინა საკუთარი აუტორიტეტი და გავლენა თურქეთის მიმართ და აეძულებინა ის ხელი აეღო ბათუმთან დაკავშირებულ პრეტენზიებზე.[303] იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გეგეჭკორს დახმარება აღუთქვა და დაარწმუნა იმაში, რომ რომში აკრედიტებულ თურქ დელეგატებზე დიპლომატიური ზეწოლის მეშვეობით მაქსიმალურად ეცდებოდა ამ საკითხის

---

[303] სცსსა, პარიზის მიკროფირების ანძა, ს. 638. ეს პრეტენზიები ბათუმ-არტვინ-არდაგანზე დოკუმენტურად დადასტურდა ქებალისტების აშკარა ზეწოლის შედეგად თურქეთის პარლამენტის მიერ 1920 წლის 28 იანვარს მიღებულ „ეროვნულ დეკლარაციაში".

გადაწყვეტას. ამასთან, ძან ქართველ კოლეგას აუწყა, რომ აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებებს გამართავდა იმ პერიოდში ევროპაში მყოფ ე.წ. „ტრიუმვირატის" გავლენიან წევრთან თალაათ-ფაშასთან.

რომში ვიზიტისა და აქ გამართული მოლაპარაკებების შედეგებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი კმაყოფილი დარჩა. ცხადი გახდა, რომ იტალია რეალურად იყო დაინტერესებული საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებით. მისთვის თვისობრივად ახალი, უმაღლესი საერთაშორისო სტატუსის („დე იურე") დამკვიდრებით და ამ სახელმწიფოსთან ურთიერთობების შემდგომი განვითარებით. აანალიზებდა რა ვიზიტის შედეგებს, გაზეთ „La Tribuna"-სთვის მიცემულ ინტერვიუში ე. გეგეჭკორი აღნიშნავდა: „... რაც შეეხება საქართველოს ურთიერთობას იტალიასთან, მე ბედნიერი ვარ განვუცხადო რომის პრესის წარმომადგენელს... რომ იტალია იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც ურთიერთობა დაამყარა საქართველოსთან და მხარი დაუჭირა მის მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ... ქართველი ხალხი განწყობილია იტალიელი ხალხისადმი უდიდესი და გულწრფელი სიმპათიის გრძნობით".[304]

რომში გეგეჭკორის ვიზიტის შემდგომ, საქართველოსთან პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურების მიზნით ვ. ჯოლიტის მთავრობამ 1920 წლის 21 სექტემბერს საქართველოში თავის პოლიტიკურ წარმომადგენლად დანიშნა დიპლომატი ვიტორიო ჩერუტი. საქართველოში იტალიურ წარმომადგენლობაში დანიშვნამდე ვ. ჩერუტი დიპლომატიურ მოღვაწეობას უნგრეთში ეწეოდა: ჯერ იყო უნგრეთში იტალიის საელჩოს მრჩეველი, ხოლო შემდეგ – იტალიის პოლიტიკური კომისარი ბუდაპეშტში. საქართველოს პოლიტიკურ წრეებში ღიდი კმაყოფილებისა და ძხურვალე სიმპათიის გრძნობით მიიღეს ვ. ჩერუტის

---

[304] „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წლის 19 სექტემბერი.

დანიშნა საქართველოში იტალიის პოლიტიკურ წარმომადგენლად. ჩერუტი ენერგიულად შეუდგა იტალიის მთავრობის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ იტალიამ ყოველმხრივი მხარდაჭერა აღუთქვა საქართველოს მმართველ წრეებს ერთა ლიგაში საქართველოს მიღების საკითხთა დადებითი გადაწყვეტისათვის. აქ ჩვენ არ შევეხებით ამ საკითხის ამომწურავ წარმოჩენას, მის განხილვას ერთა ლიგის პირველი სესიის (გაიხსნა ჟენევაში 1920 წლის 15 ნოემბერს) V განსაკუთრებული კომისიის III ქვეკომისიაში (თავმჯდომარეობდა ნორვეგიელი ფრიტიოფ ნანსენი), 16 დეკემბრის ცნობილ კენჭისყრას და სხვ., რადგან აღნიშნული მომენტები პრობლემური თვალსაზრისით საქართველო–ინგლისისა და, ნაწილობრივ, საქართველო–საფრანგეთის ურთიერთობათა სფეროს მოიცავენ.[305] ავღნიშნავთ მხოლოდ რომ ევროპაში მოქმედმა საქართველოს დიპლომატიურმა მისიებმა 1920 წლის მეორე ნახევარში ერთა ლიგაში საქართველოს გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით სათანადო მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარეს ლონდონში (სადაც ნოემბრის დამდეგამდე იმყოფებოდა ერთა ლიგის სამდივნოს შტაბ-ბინა), ბრიუსელში (სადაც ჩატარდა III კონგრესი) და სხვა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია იტალიაში საქართველოს წარმომადგენლობის საქმიანობაც, რომელმაც მჭიდრო კონტაქტები დაამყარა როგორც ერთა ლიგის ოფიციალურ საბჭოში იტალიის წარმომადგენლობასთან (სენატორი ტიტონი, ბონომი და ნიკოლა), ასევე ერთა ლიგის იტალიურ სექციასთან – „Famiglia italia-ha per la societa della lega delle Nazioni" – რომლის თავმჯდომარე იყო სენატორი ფრანჩესკო რუფინი, ხოლო მდივანი – კიპრიანო ფაკინეტი.

---

[305] „ინგლისისა და საფრანგეთის ოპოზიციამ ერთა ლიგის წევრად საქართველოს არჩევა შეუძლებელი გახადა", – წერდა ევროპაში მყოფი საქართველოს დელეგაციის ნ. ჟორდანია.

საქართველოს წარმომადგენლობის წევრმა ნ. ჯაყელმა ზემოთ-აღნიშნულ სტრუქტურებს წარუდგინა მემორანდუმი და სხვა მასალები საქართველოს სახელმწიფოებრიობის, მართვა-გამგეობის სისტემის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნომენკლატურის დახასიათებით. უნდა აღინიშნოს, რომ იტალიელებმა იმთავითვე კეთილგანწყობითი დამოკიდებულება გამოავლინეს საქართველოსადმი და ერთა ლიგის სტატუტთან მისი შეერთების პერსპექტივისადმი.

1920 წლის 12-16 ოქტომბერს იტალიის ქ. მილანში გაიმართა ერთა ლიგის ასოციაციათა IV კონგრესი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს 19 სახელმწიფოს ასოციაციების წარმომადგენლებმა. მართალია, კონგრესზე წარმოდგენილ საზოგადოებებს არ ჰქონდათ ოფიციალური სტატუსი და თვით კონგრესსაც „არაოფიციალურ ეროვნებათა ლიგას" უწოდებდნენ, მაგრამ მის მიერ მიღებულ რეზოლუციებს მაინც ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა, უპირატესწილად, ოფიციალურ ერთა ლიგაში ამა თუ იმ ქვეყნის მიღებაზე საზოგადოებრივი აზრის შექმნის თვალსაზრისით.

მილანის კონგრესზე „ერთა ლიგის საქართველოს საზოგადოების[306] წარმომადგენლობის ფუნქციას ასრულებდა იტალიაში ქარიული დიპლომატიური მისიის წევრი ნ. ჯაყელი. მიუხედავად იმისა, რომ კონგრესის გახსნის დროისათვის „საქართველოს საზოგადოება" არ იყო „არაოფიციალური ეროვნებათა ლიგის წევრი", ჯაყელს მაინც მისცეს პირდაპირი ხმის უფლება. იგი გამოვიდა სპეციალური მოხსენებით, „ერთა ლიგის საქართველოს საზოგადოების " სახელით, რომელშიც მოკლედ იყო დახასიათებული საქართველოს ისტორიული წარსული, მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, პროევროპული ორიენტაციის საფუძვლები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საშინაო

---

[306] „ერთა ლიგის საქართველოს საზოგადოება" შეიქმნა 1919 წლის 7 დეკემბერს.

და საგარეო პოლიტიკის ხასიათი და ძირითადი მიმართულებანი, დასაბუთებული იყო ერთა ლიგაში საქართველოს მიღების მიზანშეწონილობა და ამგვარი აქციის უდიდესი მნიშვნელობა მისი უშიშროების უზრუნველყოფისათვის. მოვიყვანთ ამ მოხსენების ზოგიერთ მომენტს:

„საკუთარი სახელმწიფოებრიობის დამკვიდრებისათვის ქართველ ხალხს ბედმა არგუნა რაყოფიერი, მდიდარი მიწები შავი ზღვის აუზის სიღრმეში, იმ გზასაყარზე, რომელიც შავ ზღვას ყოფს კასპიის ზღვისაგან და აზიისაგან. საქართველო განლაგებულია ერთ-ერთ უდიდეს მსოფლიო სავაჭრო გზაზე და ამაშია იმის მიზეზი, რომ ათწლეულების განმავლობაში მან განიცადა შეუწყვეტელი შემოსევანი სხვადასხვა მხრიდან...

... ქართველი ხალხი იბრძოდა საკუთარი თავისუფლებისათვის რუსეთის სხვა ხალხებთან ერთად. ასეთივე იყო საქართველოს პოლიტიკა მსოფლიო ომისა და რუსეთის რევოლუციის დროს, მაგრამ შეძლებამ საქართველოსა და რუსეთის გზები გაიყარნენ. ჩრდილოეთში სახელმწიფოებრიობის ხომალდი აღმოჩნდა იმ ჯგუფის ხელში, რომლის ტაქტიკა და მეთოდები ეროდროულად უარყო ქართველმა ხალხმა... მან საკუთარი ძალების საფუძველზე დაიწყო საკუთარი სახელმწიფოს ორგანიზაცია. 1918 წლის 26 მაისს, ეროვნული საბჭოს პირით მან გამოაცხადა დამოუკიდებლობა...

... დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც არჩეულია საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე, დაამთავრა მუშაობა საქართველოს კონსტიტუციის შეძუშავებისათვის. ამ კონსტიტუციით დამყარებულია მმართველობის ყველაზე დემოკრატიული ფორმა — ქვეყანაში არსებული ყველა მიმართულების პროპორციული წარმომადგენლობა პარლამენტში, სრული დაქვემდებარება მთავრობისა პარლამენტზე და პარლამენტისა — ხალხზე...

... საქართველოს საგარეო პოლიტიკა განსაზღვრულია იმავე დემოკრატიზმის პრინციპებით, რომლებსაც ეფუძნება მისი საშინაო

პოლიტიკა: მოწინავე ქვეყნებთან მჭიდრო კავშირურთიერთობანი, მეზობლებთან გულითადი მეგობრობა, საერთაშორისო კონფლიქტებში მუდმივი ნეიტრალიტეტი, ყოველი საერთაშორისო დავის გადაწყვეტა შეთანხმებების ან არბიტრაჟის გზით...

... საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა „de facto" აღიარებულია დიდი სახელმწიფოების მხრიდან. „ერთა ლიგის საქართველოს საზოგადოება", რომლის სახელითაც მე მაქვს პატივი მივმართო ამ კრებას, ისევე როგორც მთელი ქართველი ხალხი, მოითხოვს, რომ ეს აღიარება დაადასტუროს ლიგამაც, რომელმაც თავის რიგებში უნდა მიიღოს საქართველოს რესპუბლიკა, რაზეც ამ რესპუბლიკას უდავო უფლება გააჩნია..." [307]

ჯაფელის საკმაოდ ავტორიტეტულმა მოხსენებამ, როგორც ჩანს, დიდი გავლენა მოახდინა კონგრესზე მყოფ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლობებზე. თავიანთ გამოსვლებში საქართველოსადმი ლოიალური განწყობა გამოავლინეს სენატორმა ტიტონიმ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სფორცამ. მილანის კონგრესის პრეზიდენტმა, ერთა ლიგის იტალიური სექციის თავმჯდომარემ, სენატორმა რუფინიმ კი კონგრესის დახურვის დღეს წინადადება წამოაყენა „არაოფიციალურ ეროვნებათა ლიგაში" „ერთა ლიგის საქართველოს ასოციაციის" მიღების შესახებ, რაც კენჭისყრამ დაადასტურა (წინააღმდეგ წავიდა მხოლოდ რუსეთის წარმომადგენელი, ესერი ავქსენტიევი).[308]

იტალიის მისწრაფება, მიმართული საქართველოსთან პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიკური ურთიერთობების ნორმალიზაციისაკენ, რეალურად გამოვლინდა საქართველოს საერთაშორისო სტატუსის იურიდიულ ცნობასთან დაკავშირებული დიპლომატიური აქციების პროცესში როგორც ვნახეთ, ე. გეგეჭკორის მიერ რომში

---

[307] სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, ს. 905, ფ. 2-6.

[308] იქვე, ფ.7.

გაბართული მოლაპარაკებების მიმდინარეობისას ჯოლიტი-სფორცას მთავრობამ იანხმობა განაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის „დე იურე“-დ აღიარების ინიცირებაზე მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლეს საბჭოში. 1920 წლის 24 დეკემბერს კ. სფორცასადმი გაგზავნილ წერილში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ოფიციალური თხოვნით მიმართა იტალიელ კოლეგას ამ პრობლემასთან დაკავშირებით. „აიღებს რა თავის თავზე ასეთი აქციის ინიციატივას, წერდა, გეგეჭკორი, – იტალია აღმოუჩენს ქართველ ხალხს უმნიშვნელოვანეს სამსახურს, რომელსაც ის არასოდეს არ დაივიწყებს“.[309] სფორცამ გეგეჭკორის მიმართვა, საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმალური ცნობის სათანადო არგუმენტირებასთან ერთად, ანტანტის უმაღლეს საბჭოში 1921 წლის 24 იანვარს წარადგინა. საკითხი განხილულ იქნა უმაღლესი საბჭოს წევრი სახელმწიფოების პრემიერ-მინისტრთა და საგარეო საქმეთა მინისტრთა გაერთიანებულ სესიაზე. 26 იანვარს სესიამ მიიღო დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს იურიდიულ ცნობას მისი ოფიციალური წარმომადგენლის მიერ წინასწარ წარმოდგენილი „ფორმალური თხოვნის“ საფუძველზე. ევგ. გეგეჭკორმა, პარიზში მყოფ საქართველოს დელეგაციასთან მოთათბირების შემდეგ, დაუყონებლივ წარადგინა „ფორმალური მოთხოვნა“ და 27 იანვარს ანტანტის უმაღლესმა საბჭომ მიიღო აქტი საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას დე იურე ცნობის შესახებ.

საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმალურ-იურიდიული ცნობა მაშინდელ საერთაშორისო კონიუნქტურის ლოგიკური შედეგი იყო. 1920 წლის 12 იანვარს „დე ფაქტო“ აღიარების აქციისაგან განსხვავებით, მასში არ იყო ჩადებული ის პოლიტიკური და სტრატეგიული გეგმები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებ-

[309] ი. ტაბალუა, დასახ. სტ., „საქართველოს ურთიერთობა...“, ტ I, თბ., 1994, გვ. 151.

ლობის საერთაშორისო გარანტიების უზრუნველყოფის წინაპირობებს ქმნიდნენ. 27 იანვრის გადაწყვეტილებამდე ინგლისსაფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში „რუსეთის საკითხთან" დაკავშირებული კურსის რადიკალური შემობრუნება[310] და ამ სახელმწიფოთა დიპლომატიის მიერ ერთა ლიგაში საქართველოს მიღების საკითხის „ჩაგდება" პრაქტიკულ ღირებულებას უკარგავდა „დე იურე" ცნობის ფაქტს და მას ერთგვარი „დიპლომატიური რევერანსის" იერსახეს აძლევდა. როგორც ზ. ავალიშვილი წერდა, „პარადოქსია, მაგრამ ბუნდოვნად იყო საგრძნობი, რომ ფორმალურ ცნობაში იმალებოდა რაღაც საშიშროება საქართველოსათვის, ყოველ შემთხვევაში იმის (ინგლისი – დ.ჯ.) ან იმათ თვალში, ვისი აზრი გამოიხატებოდა კონფერენციის ცნობებში". და ეს „რაღაც" 11-12 თებერვლის ავბედითი ღამისა და, მითუმეტეს, 25 თებერვლის „ცხელი შუადღის" შემდეგ სულაც არ იყო ბუნდოვანი საქართველოსთვისაც, ლენინის ხროვისთვისაც და ევროპისთვისაც.

მიუხედავად ამისა, 1921 წლის 27 იანვრის აქტი, თავისთავად მისგან გამომდინარე პოლიტიკური, უფლებრივი და ეკონომიკური შედეგებით დიდი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. უპირველეს ყოვლისა, 27 იანვრის აქტი ამკვიდრებდა საქართველოს, როგორც საერთაშორისო და საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობების დამოუკიდებელი მონაწილის, ე.ი. სუბიექტის თვისობრივად ახალ სტატუსს. იგი

---

[310] „საქართველოს საკითხში" ინგლისის ორმაგმა სტანდარტებმა კულმინაციას 1920 წლის დეკემბერში მიაღწიეს, როდესაც ლონდონში ინგლის-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულების პროექტის მოსამზადებლად მოლაპარაკებანი ლიად-ჯორჯის მთავრობასა და კრასინის ეკონომიკურ მისიას შორის დასკვნით ფაზაში შევიდა. 22 დეკემბერს შეთანხმებული პროექტის პრეამბულაში რუსეთის „ანტიინგლისური მოქმედების" აკრძალვის ზონების გეოგრაფიულ ნომენკლატურიდან კავკასიის ამოღება ოფიციალურად ადასტურებდა საქართველოში რუსეთის ინტერესების ცნობას ინგლისის მიერ. (იხ. Документы внешней политики СССР, т.III. М., 1959, გვ. 403.416-418 და 438).

აღიარებდა საქართველოს დამფუძნებელი კრების (ასევე მანამდე მოქმედი „ეროვნული საბჭოს") მიერ მიღებული საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა აქტების იურიდიულ ძალას, მათ შორის 1918 წლის 26 მაისის „დამოუკიდებლობის აქტისა", რაც საქართველოს საერთაშორისო უფლებაუწარიანობას ამკვიდრებდა. მაშასადამე, 27 იანვრის აქტის ძალით ქართული სახელმწიფო აღჭურვილი გახდა სახელმწიფოს ცნების ყოველგვარი ატრიბუტით.

ამასთან, „დე იურე" ცნობა წარმოადგენდა საქართველოს საერთაშორისო პოზიციების შემდგომი განმტკიცების მნიშვნელოვან პირობას, რადგანაც აძიერიდან უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო საქართველოს, როგორც საერთაშორისო სამართალ-სუბიექტის ავტორიტეტული და შედეგიანი საქმიანობა საგარეო არენაზე.

ასეთი იყო, მოკლედ 27 იანვრის აქტის მნიშვნელობა საქართველოსათვის, მისი წმინდა იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე. სამწუხაროდ საერთაშორისო სისტემის იმდროინდელმა სტრუქტურამ[311] და, რაც მთავარია ევროპის დიდი სახელმწიფოების მერკანტილური ინტერესებით განპირობებულმა დიპლომატიამ -საქართველოს დემოკრატიისთვის ესოდენ მნიშვნელოვან დოკუმენტს პრაქტიკული ღირებულება ვერ შესძინა. ამასთან, ვფიქრობთ, ზემოთაღნიშნულ დეფინიციას დიფერენცირებულად უნდა მივუდგეთ. კერძოდ, ერომანეთისაგან უნდა განვასხვაოთ საქართველოს საერთაშორისო სტატუსის ცნობა და ამ აქციის შედეგებთან დაკავშირებით ინგლისისა და იტალიის დამოკიდებულების ხასიათი (და ნაწილობრივ ფორმაც — დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების თვალ-

---

[311] იმდროინდელი საერთაშორისო ტენდენციების საკმაოდ შთაბეჭდავ დახასიათებას გვთავაზობს პროფ. ლ. ანტარაძე, რომელიც აღნიშნავს: „ჩვენი მსოფლიო ომამდე ერთა თანაცხოვრების პრინციპს თეორიული არა სამართლებრივ ნორმად, არამედ მორალურ-პოლიტიკურ აქსიომად" (Л. Антарадзе, Принцип равноправия и самоопределения народов в международном праве", журн. Политика, 1993, №№10-11, გვ. 8

საზრისით). თუ ინგლისისათვის 27 იანვრის აქტს მარიონეტი არ ჰქონდა არავითარი პრაქტიკული ღირებულება და მხოლოდ საკუთარი საერთაშორისო პრესტიჟის შენარჩუნებაზე გათვლილი დიპლომატიური რევერანსი იყო, იტალიის დიპლომატიისათვის საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმალურ ცნობაში კონკრეტული, საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე პერსპექტივები იყო ჩადებული – საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების აქტივაცია, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება და სხვ. ამ ფონზე შემთხვევითი არ იყო ნამდვილად ის გარემოება, რომ იტალია იყო პირველი და ერთადერთი სახელმწიფო ანტანტის ბლოკში, რომელმაც საქართველოს იურიდიული აღიარების ფორმალური აქტი პრაქტიკულ სიბრტყეში „გადაიტანა", მასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებით.

1921 წლის 28 იანვარს იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კ. სფორცამ სპეციალური წერილით ოფიციალურად აცნობა ეკგ. გეგეჭკორს ანტანტის უმაღლესი საბჭოს 27 იანვრის გადაწყვეტილების შესახებ,[312] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა კი პარიზიდან ამის თაობაზე აცნობა საქართველოს მთავრობას. აღსანიშნავია, რომ რადიოგრამა საქართველოს დამოუკიდებლობის „დე იურე"-დ აღიარების შესახებ გეგეჭკორმა ჟორდანიას აცნობა თბილისში იტალიის პოლიტიკური სააგენტოს მეშვეობით. „მე ბედნიერი ვარ, – განუცხადა საკლესის კორესპონდენტს იტალიის პოლიტიკურმა წარმომადგენელმა საქართველოში ვ. ჩერუტიმ, – რომ მე და ჩემს მთავრობას ხვდა წილად ეცნობინებინა საქართველოს მთავრობისთვის შეთანხმების სახელმწიფოთა შიერ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული ცნობა. მიცია რა რადიოთი ეს ცნობა, ძე დაუყონებლივ პირადად გადავეცი ის თავმჯდომარეს (ჟორ-

[312] ანალოგიური შეტყობინებით გეგეჭკორს მიმართავს ფრანგმა კოლეგამ – არისტიდ ბრიანმაც

დანიას – დ.ჯ.) და ვუსურვე საქართველოს რესპუბლიკის განვითარება და აყვავება".[313] ეს მოხდა 30 იანვარს, საქართველოს დამფუძნებელი კრების 1921 წლის I სესიის მორიგი სხდომის წინ. ნ. ჟორდანიამ ჩერუტი სხდომაზე მიიწვია და დეპუტატებს აცნობა რა 27 იანვრის აქტი, იგი წარუდგინა, როგორც იტალიის ელჩი. 30 იანვარს ჩერუტი სფორცასადმი გაგზავნილ დეპეშაში საგანგებოდ ეხება იმ გარემოებას, რომ აღნიშნულმა ცნობამ დეპუტატებში უაღრესი აღფრთოვანება გამოიწვია და „ხაზი გაუსვეს საქართველოს დე იურე ცნობაში იტალიის მთავარ დამსახურებას, რომლის მიქმედების შედეგად საქართველო წარდგენილ იქნა მისთვის ხელსაყრელ ვითარებაში... ეს გახდა საბაბი – გამოეხატათ მხურვალე მადლობა იტალიისადმი და მისი წარმომადგენლისადმი... თბილისი ზეიმობს. დედაქალაქის ქუჩებში გრძელდება საზეიმო მსვლელობა საქართველოსადმი და იტალიისადმი დიდების შეძახილებით".[314]

საქართველოს დამოუკიდებლობის „დე იურე" აღიარებამ, მართლაც დიდი სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია საქართველოს საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში. დამფუძნებელი კრების 30 იანვრის დადგენილებით გადაწყდა, რომ „იურიდიულად ცნობა იდღესასწაულონ კვირას, 6 თებერვალს. ამ დღეს შესდგება სადღესასწაულო მანიფესტაციები და მიტინგები".[315]

იტალიის მთავრობა განსაკუთრებული კეთილგანწყობითა და სიმპათიით ეპყრობოდა საქართველოს მშრომელი წრეებისა და ქართული ხალხის ბუნებრივ და სამართლიან მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ. რომში სჯეროდათ, რომ „დე იურე" აღიარება მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა საქართველოს სახელმწიფოს

---

[313] „საქართველოს რესპუბლიკა". 1921 წლის 1 თებერვალი.

[314] Ministero degli Affari Esteri. Archivio Storico Diplomatico. Inventario della seria Affari politici (1919-1930) Pacco 1123(1921) Riconoscimento Georgia 66(32) N343. 30 gennaio 1921.

[315] „საქართველოს რესპუბლიკა". 1921 წლის 1 თებერვალი.

განმტკიცებისა და მისი შემდგომი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული აღმშენებლობის საქმეში. საკვლისის კორესპონდენტისადმი მიცემულ ინტერვიუში ჩერუტიმ ასეთი შეფასება მისცა იტალიის მთავრობის პოზიციას: „იტალია გულწრფელი სიმპათიით ეპყრობა საქართველოს... მე დარწმუნებული ვარ, რომ მთელი იტალია სიხარულით შეხვდება საქართველოს იურიდიულად ცნობის ამბავს, ვინაიდან ის დიდი ხანია საქართველოს განსაკუთრებული სიმპათიით ეპყრობა. მე მჯერა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული ცნობის შემდეგ ეს რესპუბლიკა ძლევამოსილად გასწევს წინ პროგრესისაკენ და მშვიდობიანი აღმშენებლობისაკენ". [316]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იტალია იყო პირველი უცხოური სახელმწიფო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმალური ცნობის შემდეგ დაამყარა მასთან რეგულარული დიპლომატიური ურთიერთობანი, რამაც ორი სახელმწიფოს ურთიერთკავშირს ნორმალური და სტაბილური ხასიათი შესძინა. საქართველო-იტალიის დიპლომატიური ურთიერთობათა ქმნადობა მათი დიპლომატიური წარმომადგენლობების ურთიერთგაცვლაში გამოიხატა. იტალიის მთავრობამ შეცვალა საქართველოში თავისი ლეგაციის სტატუსი და პოლიტიკური სააგენტო მუდმივ დიპლომატიურ წარმომადგენელად – საელჩოდ გარდაქმნა. ვ. ჩერუტი, რომელიც აქამდე „პოლიტიკურ აგენტად" ითვლებოდა, ამიერიდან გახდა „იტალიის ელჩი საქართველოში", სრულუფლებიანი მინისტრისა და საგანგებო დესპანის რანგით. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი გაგზავნილ უწყებულებაში ჩერუტი წერდა: „იტალიის მთავრობამ თავისი უღრმესი თანაგრძნობის დასამტკიცებლად საქართველოს რესპუბლიკისადმი, გადაწყვიტა ამიერიდან იტალიის პოლიტიკური სააგენტო საქართველოში შეცვალოს საელჩოდ, ხოლო პოლიტიკური აგენტის მაგიერ საქართველოს მთავრობასთან სრულუფლებიანი

[316] „საქართველოს რესპუბლიკა". 1921 წლის 1 თებერვალი.

მინისტრი იტალიის. სრულუფლებიან მინისტრად დანიშნული კარ მე".[317] 1 თებერვალს ვ. ჩერუტი შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილობის შემსრულებელს კ. საბახტარაშვილს და, საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულ ცნობასთან დაკავშირებული გულმხურვალე მილოცვის შემდეგ, აცნობა მას იტალიის მეფის მიერ საქართველოში იტალიის საგანგებო დესპანად და სრულუფლებიან მინისტრად მისი დანიშვნის შესახებ. როგორც ჩერუტის მიერ ამავე დღეს რომში გაგზავნილი დეპეშიდან ვგებულობთ, აღნიშნულ ცნობას დიდი კმაყოფილება გამოუწვევია საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებში, რომელსაც მთავრობის სახელით გამოუთქვამს უგულითადესი მადლობა იტალიის მთავრობისა და პირადად მეფისათვის. ამასთან, საბახტარაშვილს ჩერუტისთვის განუცხადებია, რომ საქართველოს მთავრობაც გადადგამს საპასუხო ნაბიჯს იტალიაში რეგულარული დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნასთან დაკავშირებით.[318] მართლაც, იტალიაში საქართველოს მთავრობის საგანგებო დესპანად და სრულუფლებიან მინისტრად დაინიშნა იგივე კ. საბახტარაშვილი, რომელიც ადრე, როგორც ვიცით, ხელმძღვანელობდა საქართველოს სპეციალურ დიპლომატიურ მისიას რომში. საბახტარაშვილს მიენიჭა იტალიასთან პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური მოლაპარაკების წარმოებისა და ხელშეკრულება-შეთანხმებათა დადების სპეციალური უფლებამოსილება.

თავისი საელჩო უფლებამოსილების დამადასტურებელი რწმუნებულების სიგელი ჩერუტიმ მიიღო 30 იანვარს და იმავე დღეს წარუდგინა ნ. ჟორდანიას. როგორც ვნახეთ, ჟორდანიამ იგი „იტალიის ელჩის" სტატუსით წარუდგინა დამფუძნებელ კრებასაც, ასე რომ, ჩერუტის, როგორც იტალიის დიპლომატიური წარმომადგენლის, აკრედიტაცია მოხდა როგორც საქართველოს მთავრობის თავმჯდო-

---

[317] „საქართველოს რესპუბლიკა". 1921 წლის 2 თებერვალი

[318] Archivio Storico Diplomatico ... N486. Tbilisi, 1 febbraio 1921

მარესთან, ასევე დამფუძნებელ კრებაში. 10 თებერვალს თბილისიდან რომში გაგზავნილ დეპეშაში ჩერუტი იტყობინებოდა, რომ მისიის იტალიის მეფის მიერ სრულუფლებიანი მინისტრის რწმუნებულების სიგელის გამოგზავნამ „საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს მთავრობაზე და საზოგადოებრიობაზე, კიდევ უფრო განამტკიცა დიდი სიმპათიები იტალიისადმი“.[319]

1921 წლის 6 თებერვალს თბილისში გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის „დე იურე“ ცნობისათვის მიძღვნილი ზეიმი, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო იტალიის საელჩომაც. იტალიის ელჩი ჩერუტი და კისსული ფრანზონი, ევროპის სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან ერთად ოფიციალურ აუდიენციას დაესწრნენ ნ. ჟორდანიასთან და იტალიის მთავრობის სახელით გადასცეს მას გულთბილი მილოცვა.[320] 7 თებერვალს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ სადღესასწაულო ბანკეტზე გამოსვლისას ჩერუტიმ კიდევ ერთხელ მოულოცა საქართველოს დემოკრატიას ეს ღირსსახსოვარი მოვლენა და უსურვა ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვა, ეკონომიკური და კულტურული აყვავება. აქ თავს უფლებას მივცემთ, მოვახდინოთ ბანკეტზე ჩერუტის მიერ წარმოთქმული სიტყვის შედარებით ვრცელი ციტირება: „... კვლავ მოგიძღვნით მხურვალე სალამს და ჩემი უაღგუსტოესი სახელმწიფოს, მთავრობისა და იტალიელი ხალხის კეთილ სურვილებს. მე ვთელი უბედნიერეს მოვლენად ჩემი დიპლომატიური მუშაობის პერიოდში იმ გარემოებას, რომ საშუალება მომეცა მოწმე ვყოფილიყავი იმ კეთილშობილი ქვეყნის იურიდიული დაბადებისა, აგრეთვე იმ გარემოების, რომ მე პირველმა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან განცუცხადე საქართველოს მთავრობას უმხურვალესი სურვილები იტალიის ხალხის სახელით... იტალიის მთავრობის ღონისძიებახი საქართველოს დე

---

[319] Ibid. N 18938. 10 Febbraio 1921

[320] „საქართველოს რესპუბლიკა“. 1921 წლის 10 თებერვალი

იურე ცნობის სასარგებლოდ და მისი გაბედული გამოსვლები მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე. ლოგიკური დასკვნაა მისი პოლიტიკური გეზისა... მე გულწრფელად ვუსურვებ ყოველივე კეთილს საქართველოს ხალხს, მთავრობის წევრებს, არმიას და სახალხო გვარდიას. მე მსურს, რომ საქართველოს შესვლა საერთაშორისო ოჯახში, რაც წარმოადგენს სამართლიანობის აქტს, გადაიქცეს მომასწავებლად იმისა, რომ მთელს ქვეყანაში დამყარდეს ჭეშმარიტი რომაული მშვიდობიანობა".[321]

იტალია წარმოადგენდა ერთადერთ ევროპულ სახელმწიფოს, რომელმაც დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საქართველოსთან საელჩოს ჩამოყალიბებით გამოხატა. არც ინგლისს და არც საფრანგეთს ანალოგიური ნაბიჯი არ გადაუდგამთ. მათ არ შეუცვლიათ საქართველოში თავიანთი წარმომადგენლობის სტატუსი და იგი კვლავაც „უმაღლესი კომისრების (შესაბამისად – პოლკ. სტოქსი და შევალიე) დონეზე დატოვეს. და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს მთავრობამ 1921 წლის 29 იანვარს ევროპაში საქართველოს წარმომადგენლობა რეგულარულ დიპლომატიურ წარმომადგენლობად გადააკეთა და ევროპის ქვეყნებში (შვეიცია, ესპანეთი, რუმინეთი, პორტუგალია, ნორვეგია, დანია, ჩეხოსლოვაკია, სერბია-ხორვატია-სლოვენიის ფედერაცია, ბელგია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და იტალია) საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშნა აკ. ჩხენკელი.[322]

საბედნიეროდ, საქართველოში არსებული შეიარაღებული ძალების ინტერვენციამ და დამოუკიდებელი ქვეყნის მთავრობის დამხობამ ფაქტიურად დასაწყის საბაბადაც კი შეწყვიტა საქართველოსა და იტალიას შორის დიპლომატიური ურთიერთობები. 1921 წლის 18

---

[321] „საქართველოს რესპუბლიკა". 1921 წლის 15 თებერვალი

[322] ს. ჯანაშია, პარიზიდან მიღებული ცნობა. ს 1488 ჩხენკელი 1921 წლის 18 თებერვალს ნაცვლად პარიზში და 25 თებერვალს ს. ჯანაშიასა და კ. ჩხენკელის ხელმოწერით დადასტურებული რწმუნების საკელი გაგზავნა საელჩოში პარიზის ელჩად ნიშნავის სახელით

მარტს, დამფუძნებელი კრების დაცგესილების თანახმად, საქართველოს მთავრობამ, რომელსაც კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია (და ამდენად, იურიდიულად თავის ლეგისლატურას ინარჩუნებდა), დატოვა ქვეყნის ტერიტორია და ემიგრაციაში წავიდა (სხვათაშორის, იტალიური გემით). უკანასკნელი შეხვედრა იტალიის ელჩსა და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს შორის მოხდა კონსტანტინოპოლში, რომლის დროსაც ჩერუტიმ, ვოლიტის მთავრობის სახელით, ჟორდანიას გადასცა იტალიაში ოფიციალური ლეგაციის თანხმობა. ნ. ჟორდანიამ მადლობა განუცხადა იტალიელ ელჩს და მაშინდელ საერთაშორისო პოლიტიკაში საფრანგეთის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ლეგაციის ობიექტ ქვეყანად საფრანგეთი აირჩია.[323]

აპრილში რომში ჩავიდა აკ. ჩხენკელი, რომელმაც იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრს გადასცა რწმუნების სიგელის ასლი. ამასთან, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კერძო აუდიენციაზე მიიღო ვიქტორ ემანუელ III-მ.[324] ცხადია, ამ ფორმალურ დიპლომატიურ აქციებს უკვე ოკუპირებული საქართველოს მდგომარეობას შეცვლაში პრინციპული როლის შესრულება ვერ შეეძლოთ (აკრედიტაციის ანალოგიურ აქციებს ჰქონდა ადგილი პარიზსა (25 თებერვალს) და ლონდონში (19 მარტს). მითუმეტეს, რომ სწორედ ამ დროს რომში ჩავიდა რუსეთის ეკონომიკური მისია ვ. ვოროვსკის მეთაურობით იტალია-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულების პროექტის მოსამზადებლად, რომელსაც უნდა შეექმნა გარკვეული იურიდიული ბაზა იტალია-რუსეთის ურთიერთობისათვის. 1921 წლის 26 დეკემბერს რომში ვ. ვოროვსკიმ (იტალიაში რუსეთის ეკონომიკური დელეგაციის თავმჯდომარე) და ტ. დელა ტორეტმ (იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი) ხელი მოაწერეს ორი სახელმწიფოს „წინასწარ შეთანხმებას". შეთანხმების პრე-

---

[323] ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ. 1990, გვ. 128.

[324] საქსა, ა.რეგარდის, მიკრო ფირების ასლი, ს. 694.

ამბულაში დაფიქსირებული ზოგადი პოლიტიკური პრინციპების თანახმად იტალიამ „დე ფაქტო“ ცნო საბჭოთა რუსეთი.[325]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს იტალიაში არსებული შინაპოლიტიკური კრიზისის, ხოლო 1922 წლიდან ფაშისტების ხელისუფლების სათავეში მოსვლის გამო, საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას რომთან დიპლომატიური კონტაქტები ფაქტიურად არ ჰქონია.

[325] Документы Внешней политики СССР, Т. IV, М., 1960, стр. 596-602.

თავი IV

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრაციის „ეკონომიკური დიპლომატია“ და საქართველო-იტალიის ეკონომიკური ურთიერთობა 1919-1921 წ.წ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიის ერთ-ერთ განმსაზღვრელ სფეროს ქმნიდა „ეკონომიკური დიპლომატია“ – საერთაშორისო მოღვაწეობა ეკონომიკურ სფეროში. დიპლომატიური მოღვაწეობის ამ სფეროს საქართველოში, როგორც ახლადწარმოქმნილ სახელმწიფოში, განსაკუთრებული დანიშნულება შეიძინა იმდენად, რამდენადაც ევროპის ქვეყნებიდან ფინანსურ-ეკონომიკური დახმარების მიღებაზე დიდად იყო დამოკიდებული არა მარტო ქართული ეკონომიკის ფეხზე დაყენება, მსოფლიო ომით გამოწვეული სამეურნეო ჩაგრვის აღმოფხვრა, არამედ თვით პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნება-განმტკიცებაც, გამომდინარე იმ ანბანური ჭეშმარიტებიდან, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვერ იარსებებს შედარებით ძლიერი და სტაბილური ეკონომიკური სისტემის გარეშე. ამდენად, შემთხვევითი არაა, რომ საქართველოს მთავრობის „ეკონომიკური დიპლომატია“ 1918–1921 წ.წ. არ იყო შემოფარგლული უშუალო სამეურნეო-კომერციული საკითხებით, არამედ ფართო პოლიტიკური და სოციალური პრობლემების რეალიზაციას ისახავდა მიზნად. უნდა აღინიშნოს, რომ დაბალგანვითარებული ეკონომიკის მქონე საქართველოს „ეკონომიკურ დიპლომატიას“ არ ჰქონდა აქტიური მონაწილეობა საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში, კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში, გლობალური მასშტაბის ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებში. მას ჰქონდა კონკრეტული და საქართველოს ეროვნული ეკონომიკური განვითარების ინტერესებით განპირობებული მიზანდასახულობა – ქართული ეკონომიკის საგარეო

დაფინანსების წყაროთა უპრუნველყოფა. ეს მიზანდასახულობა გამომდინარეობდა უშუალოდ საქართველოს სამეურნეო ცხოვრებაში არსებული სიძნელეებიდან, რომელთა შორის განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო სამრეწველო კრიზისი და ფინანსური დეფიციტი. ნ. ჟორდანია წერს: „სწორედ ამ ქაოსიდან გამოსასვლელად მივმართეთ ევროპას“[32] ო. ქართული „ეკონომიკური დიპლომატიის“ უმთავრესი მიზანი იყო ისეთი საერთაშორისო ეკონომიკური, საკაჭრო და ფინანსური კავშირების დამყარება, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ეკონომიკური ქაოსისა და ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას, შექმნიდნენ გარკვეულ ბაზისს ახალი, დამოუკიდებელი ეკონომიკის შექმნისათვის. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში უკანა პლანზე გადადიოდა პოლიტიკური საკითხები და ძირითადი აქცენტი კეთდებოდა წმინდა ეკონომიკურ ასპექტზე. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ევროპის ქვეყნებთან საკაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების დამყარება-განვითარება გარკვეულ ეტაპზე იმდენად პრიორიტეტულ მიმართულებად იქნა ჩათვლილი, რომ ნაკლები ყურადღება ექცეოდა იმის საფუძვლიან გაანალიზებას, თუ რა პირობებში და როგორი გარანტიებით იფუნქციონირებდა საქართველოში უცხოური კაპიტალი, რა მასშტაბების მოგებას წაიღებდა, რა პოლიტიკურ და სოციალურ შედეგებს გამოიწვევდა უცხოური კაპიტალის შემოღწევა და ა.შ.

მაგრამ ეს გარემოება არ მიუთითებს იმაზე, რომ ქართული „ეკონომიკური დიპლომატია“ ეროვნული ინტერესების ნიველირებას ახდენდა და ხელს უწყობდა „იმპერიალისტების მტაცებლური მადის დაკმაყოფილებას“. პირიქით, ის სწორედ იმაზე იყო ორიენტირებული, რომ ევროპის ქვეყნების ფინანსურ-ეკონომიკური დახმარების მეშვეობით აღეღგინა მოშლილი ეკონომიკა და ამით საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისთვისაც

---

[32] ნ. ჟორდანია, დასახ. ნაშრ., გვ. 113

საფუძველი გაეცარებინა. ამასთან, ეკონომიკის სახელმწიფო ხასიათი, სახელმწიფოებრივი უწყებების მზარდი როლი ეკონომიკურ პროცესებში უზრუნველყოფდა უცხოური კაპიტალის მოქმედების კონტროლს, გარკვეულ მართვასაც-კი და შეზღუდავდა მის მიერ ერიცნული სიმდიდრეების ექსპლოატაციას.

„ეკონომიკური დიპლომატიის“ ელემენტებს შეიცავენ დამოუკიდებელი საქართველოს თითქმის ყველა საერთაშორისო-ეკონომიკური ხელშეკრულებანი: ფოთის 1918 წ. 28 მაისის შეთანხმებანი გერმანიასთან, იმავე გერმანიასთან 1918 წლის აგვისტოში დადებული სამეურნეო-ფინანსური კონვენციები, ხელშეკრულებანი ინგლისთან, საფრანგეთთან. ამ თვალსაზრისით ყველაზე სიმპტომატურია საკაჭრო-ეკონომიკური და ფინანსური კავშირურთიერთობანი იტალიასთან.

იმისათვის, რომ შედარებით სრულყოფილად წარმოვსახოთ საქართველო-იტალიის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პროცესი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზოგად ასპექტში შევეხოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ე.წ. „საკონცესიო პოლიტიკას“. საერთაშორისო-ეკონომიკურ ურთიერთობაში კონცესიის ქვეშ იგულისხმება კონკრეტული სახელმწიფოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ სხვა სახელმწიფოს ეკონომიკურ და ფინანსურ სტრუქტურებთან დადებული ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებენ გარკვეული პერიოდის განმავლობაში და განსაზღვრული პირობებით ამ სტრუქტურებისათვის საექსპლოატაციოდ ქვეყნის ბუნებრივი რესურსების, მიწის ნაკვეთების თუ სხვა ობიექტების გადაცემას. რა თქმა უნდა, „კონცესიური პოლიტიკა“ არ იყო (და ვერც იქნებოდა) საქართველოს ეკონომიკის პროგრესული განვითარების უზრუნველყოფისათვის საუკეთესო საშუალება, ვინაიდან ამ შემთხვევაში ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორები და წარმოების საშუალებათა გარკვეული ნაწილი უცხო სახელმწიფოს

კონტროლში გადადიოდა. მაგრამ კონკრეტული ისტორიულ ვითარებაში, სახელმწიფოში არსებული უმწვავესი ეკონომიკური სიძნელეებისა და სამეურნეო სტრუქტურების ფაქტიური მოშლის პირობებში, სიტუაციის გაუმჯობესებისა და ეკონომიკური კატასტროფის თავიდან აცილებისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობა სწორედ უცხოური კაპიტალის მოზიდვას ენიჭებოდა, მითუმეტეს, რომ ეკონომიკური კონიუნქტურის გაჯანსაღებისათვის შინაგანი იმპულსები არ არსებობდა (სამრეწველო წარმოება ძალზე დაბალ დონეზე იდგა, ხოლო ფინანსური სისტემა ფაქტიურად ნულამდე იყო დაყვანილი). სწორედ ამ მიზანდასახულობას ექვემდებარებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის „კონცესიური პოლიტიკა", რომლის სტრატეგიულ ორიენტირსაც ქართული სახელმწიფოებრიობის ეკონომიკური საფუძვლების დამკვიდრება და განმტკიცება წარმოადგენდა. ამ პოლიტიკის თეორიული პოსტულატების დამუშავებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს ცნობილმა ეკონომისტებმა – დ. თოფურიძემ, დ. აფხაზმა, ვ. ვოიტინსკიმ, ა. ალშიბაიამ, კ. კანდელაკმა და სხვ., რომელთა ნააზრევის ზოგიერთი მომენტის წარმოჩენა, ვფიქრობთ, რეალურ წარმოდგენას შეგვიქმნის მთავრობის „კონცესიური პოლიტიკის" წინამძღვრების, არსისა და მიზნების შესახებ.

1919 წლის 7 ნოემბერს მთავრობისადმი წარდგენილ მოხსენებაში ვაჭრობა-მრეწველობისა და ფინანსთა სამინისტროს ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორი დ. აფხაზი წერდა: „... საჭიროა თანამედროვე სამეურნეო წყობილების მამოძრავებელი – კაპიტალი. საკუთარი კაპიტალი ჩვენ არ გვაქვს. საკსებით ნათელია, რომ ჩვენ მოგვიხდება მისი გარედან მოზიდვა".[127]

აღნიშნულ მოსაზრებას ავითარებს ცნობილი ეკონომისტი, საქართველოს მთავრობის კონსულტანტი ეკონომიკის განვითარების

---

[127] (იხ.) ეროვნული არქივის ცენტრალური სახელმწიფო, გვ. 111

საკითხებში დ. თოფურიძე „ერთობის“ 1919 წლის 2 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ მეწინავე სტატიაში. ჩვენს ყურადღებას ასევე იპყრობს ის გარემოება, რომ თოფურიძე ეხება კონცესიურ პოლიტიკის განმაპირობებელ ფაქტორებს. მი'ი აზრით, სამრეწველო წარმოების კატასტროფული დაცემის გამო სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ერთადერთი წყარო არის გადასახადები. მაგრამ ეროვნული შემოსავლის უკიდურესად დაბალი დონისა და მოსახლეობის გადახდისუუნარობის, ასევე ბონების[328] ასტრონომიული ემისიის გამო, ვერ ხერხდება საგადასახადო პოლიტიკის წარმოება: „ჩვენ არა გვაქვს არაფითარი საბუთი ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში შევძლებთ საკუთარი ძალით... ვაჭრობა-მრეწველობა განვაკითაროთ და ხალხის მდგომარეობა ავიყვანოთ იმ წერტილამდე, როდესაც პირდაპირი გადასახადები უდეფიციტოდ დაფარავს ჩვენს სახელმწიფო ხარჯებს...“ ამგვარი ვითარებიდან თითქმის ერთადერთ და პერსპექტიულ გამოსავლად ეკონომისტი სწორი და გარკვეული უკუგების მიღებაზე ორიენტირებული კონცესიური პოლიტიკის წარმოებას მიიჩნევს: „საჭიროა ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრენი გადავაქციოთ ექსპლოატაციის საგნად, გადავცეთ ისინი აქციების სახით უცხო კაპიტალის წარმომადგენელთ და გამოვართვათ მათ აქციების ღირებულება საგარეო ვალიუტით...“

აღსანიშნავია, რომ აქციების საგარეო ვალუტით განაღდებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროს შექმნის გარდა, საკონცესიო ხელშეკრულებების რეალიზაცია ხელს შეუწყობდა საქართველოში ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებას, კონცესიური საწარმოების ამოქმედებით ახალი სამუშაო ადგილების გარკვეული ფონდის შექმნას, საქონლის საერთო რაოდენობის გაზრდას, საკონცესიო ინფრასტრუქტურისა და კაპიტალდაბანდების საშუალებათა ახალი კომუნიკაციების ჩამოყალიბებას და ა.შ. ამასთან, ეკონომიკის საკომანდო სიმაღლეებსა და მიწას

[328] დროებითი ფულადი ერთეული ოსმალეთისა საქართველოში.

ძირითად ფონდზე სახელმწიფო საკუთრება, ასევე საგარეო ვაჭრობაზე სახელმწიფო მონოპოლიის შემოღება ფაქტიურად გამორიცხავდა საკონცესიო ხელშეკრულებათა რეალიზაციის პროცესში უცხოური კაპიტალის მიერ საქართველოს ბუნებრივი რესურსების „აშკარა ძარცვისა და უმოწყალო ექსპლოატაციის“ შესაძლებლობას, კონცესიონერებზე ქვეყნის საერთო-ეკონომიკური კონიუნქტურის დაქვემდებარებას.

განსათვალისწინებელია პოლიტიკური მომენტიც. საერთოდ, ნებისმიერ საკონცესიო ხელშეკრულებაში ჩადებულია გარკვეული პოლიტიკური იმპულსებიც, რაც კონცესიონერ-მონოპოლისტთა სახელმწიფოსთან პოლიტიკური ურთიერთობების განვითარება-გაღრმავებას უწყობს ხელს. ამ კონტექსტში საქართველოში საკონცესიო შეთანხმებათა შესრულება უთუოდ ხელსაყრელ პირობებს შეუქმნიდა შესაბამის ქვეყნებთან პოლიტიკურ ურთიერთობათა გააქტიურებას; აამაღლებდა საქართველოს წონადობას საერთაშორისო სისტემაში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საკონცესიო პოლიტიკამ, ძირითადში, იტალიასთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში ჰპოვა გამოვლინება. ამას, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებდა ის გარემოება, რომ დასავლეთის სახელმწიფოთაგან სწორედ იტალია იყო ყველაზე მეტად დაინტერესებული, თავისი შინაგანი ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს ბუნებრივი რესურსებით შეევსო ნედლეულისა და სათბობის დეფიციტი, საკუთარი ვაჭრობის სისტემის მოწესრიგებისათვის გამოეყენებინა საქართველოს შავიზღვისპირა ნავსადგურები. საქართველოს სანედლეულო ბაზარზე იტალია გაბატონებული მდგომარეობის დაუფლებისაკენ მიისწრაფვოდა და ეს მისწრაფება თანხვედრას ავლენდა თვით საქართველოს მთავრობის კონცესიურ პოლიტიკასთან, რაც ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური და ფინანსური კავშირურთიერთობების განვითარების პერსპექტიულ ნიადაგს უქმნიდა.

როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, იტალიური სამხედრო ექსპედიციის საქართველოში გაგზავნაზე ნიტის კაბინეტის უარყოფითი გადაწყვეტილების შემდეგ, საქართველოში მოქმედმა იტალიის მისიამ ძირითადი ყურადღება თავისი მოღვაწეობის ეკონომიკურ-სამოქალაქო ასპექტებს მიაპყრო. მისია აქტიურად ეწეოდა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეებისა და სანედლეულო ბაზარზე არსებული ვითარების შესწავლას, ხელს უწყობდა იტალიის სავაჭრო-სამრეწველო გაერთიანებათა დაკავშირებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ორგანოებთან, ძირითადში ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის, მიწათმოქმედებისა და მომარაგების სამინისტროებთან. ჩვენს ხელთ არსებული საარქივო მასალები იტალიის მსხვილ მონოპოლისტურ წრეებსა და საქართველოს აღნიშნულ სახელისუფლო სტრუქტურებს შორის 1919 წლის მეორე ნახევარში ინტენსიური ეკონომიკური ურთიერთობების არსებობას ადასტურებენ.

1919 წლის 12 ოქტომბერს პოლკოვნიკმა გაბამ სარეკომენდაციო წერილი გაუგზავნა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტს, რომელშიც იტყობინებოდა, რომ იტალიის ადრიატიკის დამზღვევმა საზოგადოებამ კომერსანტი ჯაკომო აგრაფი დი ჯიოვანი დანიშნა თავის „მთავარ აგენტად" საქართველოში. სწორედ ამ დი ჯიოვანის უწევს გაბა რეკომენდაციას და საქართველოს მთავრობისაგან ითხოვს მისთვის ნორმალური სამოქმედო პირობების გარანტირებას[329].

21 ნოემბერს გაბამ წერილი გაუგზავნა უშუალოდ ზემოხსენებულ სამინისტროს. ამ წერილით მან ვაჭრობა-მრეწველობისა და ფინანსთა სამინისტროს წარუდგინა მილანის იტალია-რუსეთის საზოგადოების მთავარი აგენტი კავკასიაში ე. მარჩეტი. გაბა იტყობინებოდა, რომ მარჩეტის მისიის მთავარი მიზანი იყო საქართველოს ბაზარზე

[329] სცსრა, ფ. 1891, აღწ. 2, ს.1, ფ 15

არსებული სიტუაციის გარკვევა და ამის საფუძველზე მილანის კონცერნსა და საქართველოს შორის სავაჭრო თანამშრომლობის პროექტის შედგენა. „პატივი მაქვს წარმოგიდგინოთ ვლადიმერ მარჩეტი – მილანის იტალია-რუსეთის საზოგადოების მთავარი აგენტი კავკასიაში, – წერდა იტალიის მისიის მეთაური კ. კანდელაკს, – მას განზრახვა აქვს გაეცნოს საქართველოს ბაზრის მდგომარეობას, რათა დაამყაროს ყოველგვარი სახის სავაჭრო ურთიერთობები“[330].

საგულისხმოა, რომ საქართველოს საქმიან წრეებთან მომგებიანი სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას ცდილობდნენ არა მარტო იტალიური ბიზნესის გავლენიანი წარმომადგენლები, არამედ საქართველოში მყოფი სამხედრო მისიის ყოფილი წევრებიც. ეს ტენდენცია მით უფრო ნიშანდობლივია, რომ ამ უკანასკნელთ, საქართველოში არსებული ეკონომიკური კონიუნქტურის გაცნობის შემდეგ (მისიაში მოღვაწეობის პერიოდში), არც სჭირდებოდათ წინასწარი აგენტურულ-დაზვერვითი საქმიანობის წარმოება ქვეყნის სავაჭრო და ფინანსური ბაზრის მდგომარეობის შესასწავლად და უშუალოდ გამოთქვამდნენ აქ კომერციული საქმეების წარმართვის სურვილს. ამ მხრივ აღსანიშნავია იტალიაში ქართული დიპლომატიური მისიის ეკონომიკური მრჩევლის ელ. ვოიტინსკის შუამდგომლობა – წერილი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სახელზე, რომელშიც იგი ითხოვს დახმარება აღმოუჩინოს „პოლკოვნიკ გაბას მისიის ყოფილ სამხედრო ატაშეს კარპანეტის, რომელიც მიემგზავრება საქართველოში კომერციული საქმეებისათვის“[331].

საქართველოს საავალუტო ბაზარზე არსებული კრიზისისა და ქართული ბონების არაკონვერტირებადობის გამო, აღნიშნულ პერიოდში საქართველოსა და იტალიის ეკონომიკური ურთიერთობანი

---

[330] იქვე, ფ. 19.

[331] სცსსა, ფ 1891, აღწ. 1, ს. 319, ფ. 30.

ექვივალენტური საქონელგაცვლის გზით ხორციელდებოდა ჯერ კიდევ 1919 წლის 22 აგვისტოს საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორმა დ. აბხაზმა სპეციალური წერილი გაუგზავნა იტალიის მისიის ეკონომიკური სექტორის ხელმძღვანელს ვიტოს, რომელშიც ჩამოაყალიბა ორ ქვეყანას შორის საქონელგაცვლის ძირითადი პრინციპები. აბხაზი წერდა, რომ საქართველოდან იმ სახეობის საქონლის გატანა, რომლის ექსპორტზე სახელმწიფო მონოპოლია არ იყო დაწესებული, განხორციელდებოდა შეუფერხებლად, ხოლო სახელმწიფო მონოპოლიის ექსპორტირებული საქონლის (ძირითადად სტრატეგიული ნედლეულის, თამბაქოსა და ხე-ტყის) გატანისათვის აუცილებელი იყო რესპუბლიკის მომარაგების მთავარი სამმართველოს ოფიციალური ნებართვა, თანაც ეს ნებართვა გაიცემოდა მხოლოდ სამმართველოსათვის შემოსატანი ექვივალენტური საქონლის ნუსხის წარდგენის შემთხვევაში[332]. ეს წესი რეალურად შეესაბამებოდა საქართველოს ეკონომიკის, განსაკუთრებით კი მისი სახელმწიფო სექტორის ინტერესებს. ამასთან, საქონელგაცვლის ამგვარი სისტემა და სტრატეგიული ნედლეულის ექსპორტზე სახელმწიფო მონოპოლია იტალიელი საქმიანი წრეების ბუნებრივ სიფრთხილეს იწვევდა. მათ სურდათ, წინასწარ მიეღოთ ამომწურავი ცნობები საქართველოში გაბატონებულ ეკონომიკურ კონიუნქტურაზე. აღნიშნული ტენდენცია კარგად ჩანს გაბას 1919 წლის 10 ნოემბრის წერილში საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისადმი. როგორც წერილიდან ირკვევა, იტალიის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს და მსხვილ სავაჭრო კომპანიებს, საქართველოსთან კომერციული ურთიერთობების დამყარების მიზნით აინტერესებდათ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ კონიუნქტურასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა – საქონლისა და ნედლეულის განაწილებით

---

[332] სცსსა, ფ. 1891, აღწ. 2, ს. 1, ფ. 1.

დაკავებული სამთავრობო დაწესებულებანი, საქართველოს სასაქონლო პალატის (სავაჭრო-სამრეწველო პალატის) სტრუქტურა და საქმიანობის წეს-დებულება, საქართველოდან გასატანი და შემოსატანი საქონლისა და ნედლეულის ნუსხა, სახელმწიფო მონოპოლიასთან და ნაციონალიზაციასთან დაკავშირებული შეზღუდვები, საქონლისა და ნედლეულის შემოტანა-გატანის რეგულირების სისტემა, შემოტანა-გატანაზე დაწესებული საბაჟო ტარიფები და სხვ[333]. საქართველოს ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტის მიერ აღნიშნულ საკითხებზე გაცემული პასუხის საშუალებით ჩვენ გვექმნება წარმოდგენა იტალიასა და საქართველოს შორის საქონელგაცვლითი ურთიერთობის უმთავრეს ობიექტებზე. კერძოდ, დეპარტამენტის მიერ წარდგენილ საპასუხო ნუსხაში საქართველოდან გადასატანი საქონლის და ნედლეულის სახით ფიგურირებს – მარგანეცი, ქვანახშირი, თამბაქო, ღვინო, მატყლი, კონიაკი და ხე-ტყის მასალები, ხოლო შემოსატანი, ე.ი. საქართველოსთვის აუცილებელი და საჭირო საქონლის ნუსხაში – პური და მასობრივი მოხმარების პროდუქტები, ასევე მედიკამენტები, ლითონები, მანქანები და მოწყობილობანი და სხვ. ამასთან, დეპარტამენტი იტალიელ საქმიან წრეებს აცნობებდა, რომ საქართველოში მოქმედებს ევროპული სისტემის შესაბამისი საბაჟო და სარკინიგზო ტარიფები, ხოლო ბარტერული პროცესის რეგულირება ხდება სასაქონლო გაცვლის სისტემით.[334]

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში საქართველო-იტალიის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედარებით ინტენსიური ხასიათის ნათელსაყოფად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება იტალიის საძრეწველო-ფინანსური ოლიგარქიის ცნობილი წარმომადგენლის, მსუბუქი მრეწველობის საწარმოებისაგან შემდგარი კონცერნის ადმინისტრატორ-რწმუნებულის ალბერტო კორსის ვიზიტს

---

[333] იქვე, ფ. 89

[334] იქვე, ფ. 92.

საქართველოში და მის მიერ საქართველოს საქმიან წრეებთან და სამთავრობო სტრუქტურებთან გამართულ ორმხრივსასარგებლო ეკონომიკური ხასიათის მოლაპარაკებებს. საქართველოში ჩამოსვლამდე ალ. კორსიმ სპეციალური მემორანდუმი გამოუგზავნა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს, რომელიც ადრესატამდე 1919 წ. 8 სექტემბერს მივიდა საქართველოში იტალიის მისიის მეშვეობით. მემორანდუმში ჩამოყალიბებული იყო საქართველოსა და იტალიას შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების ძირითადი პრიორიტეტები, ხაზგასმული იყო ამ ურთიერთობებისათვის ურთიერთხელსაყრელი ხასიათის მინიჭების აუცილებლობა. კორსის აზრით, მთელი რიგი ობიექტური მომენტებისა – საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის სპეციფიკა და საქართველო-იტალიის პირდაპირი საზღვაო კავშირი, იტალიის განსაკუთრებული დაინტერესება ჩვენი ქვეყნის სანედლეულო ბაზრით, საქართველოში სამრეწველო წარმოების აღდგენისა და მისი ტექნიკური უზრუნველყოფის საქმეში იტალიის აქტიური მონაწილეობის სურვილი, – აპირობებდნენ ორ ქვეყანას შორის ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარებას, ხელშემწყობ პირობებს უქმნიდნენ მათს საქმიან წრეებს ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობების დამყარებაში.

მემორანდუმში ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა მოდელირება სწორედ ორმხრივსარგებლიანობის და საქართველოსა და იტალიის ინტერესების გარკვეული თანხვედრის პრინციპებს ემყარება. კორსი წერს: „იტალიას ესაჭიროება ნედლეული, რომელიც საქართველოში მოიპოვება და რომლის წარმოება აქ შეიძლება გადიდდეს იტალიის დახმარებით... ამასთან იტალიას თავისი გამჭრიახი და ბეჯითი მცხოვრებლებით შეუძლია მოაწოდოს საქართველოს ტექნიკური ელემენტები მრეწველობის შექმნისა და განვითარებისათვის“[335].

---

[335] იქვე, ფ. 10.

ალბერტო კორსი ასაბუთებდა ასევე საქართველო-იტალიის ეკონომიკური კავშირების ერთგვარი სტრუქტურირების აუცილებლობას და მოითხოვდა საერთო-ეკონომიკური ორგანოს, კერძოდ ქართულ-იტალიური ანონიმური სააქციო საზოგადოების შექმნას. იგი მიიჩნევდა, რომ აღნიშნულ სტრუქტურას საკუთრივ საქართველოში უნდა ჰქონოდა ძირითადი სააქციო კაპიტალი, უნდა ყოფილიყო ინტერდარგობრივი (აერთიანებს მრეწველობის სხვადასხვა დარგის საწარმოებს) და პერსონალური შემადგენლობის თვალსაზრისით შემდგარი ქართველი და იტალიელი მრეწველ-ფინანსისტების პარიტეტული წარმომადგენლობის საფუძველზე. ბუნებრივია, კორსის გეგმა იმასაც გულისხმობდა, რომ საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შექმნაში მონაწილეობა ქართულ კაპიტალსაც უნდა მიეღო[336].

ალბერტო კორსი საქართველოში 1919 წლის სექტემბრის ბოლოს ჩამოვიდა, ხოლო ოქტომბრის პირველ ნახევარში ინტენსიურ მოლაპარაკებებს ეწეოდა როგორც საქმიან წრეებთან, ასევე ვაჭრობა-მრეწველობისა და ფინანსთა და მიწათმოქმედების სამინისტროებთან.ამ მოლაპარაკებათა და მათი შედეგების შესახებ იტალიელი კომერსანტი პერიოდულ ანგარიშებს აწვდიდა რომში, მოხსენებითი ბარათების სახით. ერთ-ერთი ასეთი ბარათიდან ირკვევა, რომ 1919 წლის ოქტომბერში მართლაც მიღწეულ იქნა შეთანხმება კორსის მემორანდუმის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტის შესრულების — ქართულ-იტალიური ანონიმური სააქციო საზოგადოების დაარსების — შესახებ. კერძოდ, კორსი შემდეგ ცნობას აწვდის იტალიაში საქართველოს დიპლომატიური მისიის ეკონომიკურ მრჩევლებს — ვ. იტინსკის და ა. ყაყელს, 3 ნოემბრით დათარიღებულ ბარათში: „იტალიასა და საქართველოს შორის ვაჭრობისა და ეკონომიკურ ურთიერთობაოა განკითარების მიზნით, ანონიმური საზოგადოების

---

[336] იქვე.

პროექტის განსახორციელებლად შეიქმნა მთავარი კომიტეტი"[337]. ამ კომიტეტში ქართველი ფინანსისტებისა და მრეწველების წრეებიდან შესულან და ე.წ. „ქართველთა ჯგუფი" ჩამოუყალიბებიათ შემდეგ კაპიტალისტებს: ტერ-ზახაროვს – ვაჭართა ბანკის დირექტორს („ქართველთა ჯგუფის" თავმჯდომარე), ი. დადიანს – ბაქოელ მრეწველს, რ. დუმბაძეს –„ამიერკავკასიის ბანკის" დირექტორს, ა. ელიგულაშვილს – ქუთაისელ კომერსანტს და ი. გველესიანს – ბათუმელ კომერსანტს[338].

როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, კორსის მისიას მოლაპარაკებანი უწარმოებია საქართველოს მიწათმოქმედების სამინისტროსთან ქვეყნის გარკვეულ რეგიონებში იტალიელ ემიგრანტთა დასახლების პირობების მომზადების მიზნით. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა სპეციალური ბარათი, რომელიც კორსიმ 1919 წლის 6 ოქტომბერს წარუდგინა საქართველოს მიწათმოქმების მინისტრს ნ. ხომერიკს. ბარათში იგი წერდა, რომ „იტალიას შეუძლია საქართველოსათვის დიდად სასარგებლოდ მიიღოს მონაწილეობა ამ ქვეყანაში მიწათმოქმედების განვითარების საქმეში"[339]. ამასთან, სასოფლო წარმოების სფეროში იტალიის ხელშეწყობის განხორციელება მას ორ მთავარ მომენტში ჰქონდა წარმოდგენილი: პირველი – იტალიურ კაპიტალდაბანდებათა რეალიზაცია საქართველოს აგრარულ სექტორში და, მეორე, – საქართველოში იტალიელი ემიგრანტი გლეხების დასახლება[340]. კორსი იმედოვნებდა, რომ საქართველოსა და იტალიის კლიმატური პირობებისა და ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების იდენტურობა ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა საქართველოში იტალიელი ემიგრანტი გლეხების საქმიანობისათვის. ჩვენთვის

---

[337] იქვე, ფ. 81.
[338] იქვე.
[339] იქვე, ფ. 16
[340] იქვე, ფ. 17.

ცნობილი არ არის საქართველოს მთავრობის რეაქცია კორსის ამ წინადადებაზე. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იტალიელი კოლონისტების დასახლებისათვის მიწების შერჩევის მიზნით კორსის მიერ ყარაიას ველის სპეციალურად დათვალიერებას და იქ რამდენიმე ათასი დესეტინა მიწის გამოყოფის თხოვნას, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ საქართველოს მთავრობას აღნიშნული პერსპექტივისადმი აშკარად ნეგატიური განწყობა არ გამოუვლენია.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ კორსის ბარათში ფიქსირებული მომენტი იტალიელ გლეხთა გარკვეული რაოდენობის ნაკადის შესაძლო ჩამოსახლების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში მეტად თავისებურადაა ინტერპრეტირებული და დახასიათებულია, როგორც „იტალიური კაპიტალის სერიოზული მზადყოფნა მენშევიკური საქართველოს იტალიელთა კოლონიად (?) გადაქცევისაგან, ამასთან, ისეთ კოლონიად, რომელსაც ამ ტიპის სამფლობელოს ყველა ნიშანი ექნებოდა (sic!)".[34]

ჩვენი კვლევის დანიშნულებას არ შეადგენს „კოლონიური სამფლობელოს" ფორმირების მექანიზმის წარმოდგენა, მაგრამ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ამა თუ იმ ქვეყნის კოლონიური სტატუსის შექმნა უპირატესწილად პოლიტიკური მოვლენაა და უკავშირდება მისი პოლიტიკური დამოკიდებლობისა და თვითმყოფადი სახელმწიფოებრივი სისტემის ლიკვიდაციას. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება კოლონიაში უცხო ეთნიკური ელემენტების ფორსირებული ჩასახლება და ეთნიკური პროცესების ასეთი მიმართულებით რეგულირების ფონზე კოლონიაში მეტროპოლიის პოზიციების განმტკიცება (სხვათაშორის, ეს ტენდენცია უცხო არ არის ჩვენი ქვეყნისათვის. ის „შესანიშნავად" გამოვლინდა XVII საუკუნის პირველ ნახევარში ირანის მხრიდან განხორციელებულ ეთნოდივერსიულ აქციებში, რუსეთის შოვინისტური წრეების კოლონიზაციურ პოლიტიკაში

[34] კ. ჩარკვიანი. დასახ. ნაშრ., გვ. 11.

საქართველოს წინააღმდეგ XIX–XX საუკუნეებში). მაშასადამე, ეთნიკური კოლონიზაცია მეტროპოლიის მიერ კოლონიაზე პოლიტიკური უფლებების „მოპოვების" შედეგია და არა წინაპირობა. ამ ზოგადი კანონზომიერების ფონზე გაუგებარია – თუ როგორ უნდა შეექმნა საქართველოში ჩამოსახლებულ (თუ ეს ჩასახლება რეალურად მოხდებოდა) იტალიელ ემიგრანტთა რაოდენობრივად შეზღუდულ ფენას „სერიოზული წინამძღვრები პოლიტიკურად დამოუკიდებელი საქართველოს „იტალიელთა კოლონიურ სამფლობელოდ გადაქცევისათვის? ცხადია ზემოთალნიშნული მოსაზრება საფუძველს მოკლებულია. ამასთან, უცილობლად ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ კორსის მიერ შემოთავაზებული „იტალიური კოლონიზაცია" იყო არა, ასე ვთქვათ, ეთნიკური, არამედ ძირითადში სოციალურ-პროფესიონალური ხასიათის. მას არ გააჩნდა პოლიტიკური დატვირთვა და მიზნად ისახავდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანაში მდიდარი ტრადიციების მქონე გლეხების ჩამოსახლებას, რაც, გარკვეულწილად, თვით საქართველოს აგრარული სექტორის აღორძინებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა.

ალბერტო კორსის საქართველოში ვიზიტსა და აქ გამართულ საქმიან მოლაპარაკებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ საქართველო-იტალიის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების ძირითად მიმართულებათა განსაზღვრის თვალსაზრისით. 1920 წლის ზამთრის ბოლოს იტალიის საქმიანი წრეების უფრო მაღალი წარმომადგენლობის მისია (რომლის შემადგენლობაში თვით კორსიც იყო) საქართველოში ძირითადში სწორედ კორსის ვიზიტის და ამ ვიზიტის განმავლობაში მიღწეული წინასწარი შეთანხმების შედეგი იყო.

იტალიის საქმიან წრეებთან და ეკონომიკური დანიშნულების უწყებებთან მოლაპარაკებებს ეწეოდა რომში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მისია, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კ. საბახტარაშვილის ხელმძღვანელობით. მისიის შემად-

გენლობაში შედიოდნენ საქართველოს სახელმწიფო კონტროლიორი ფ. გოგიჩაიშვილი, ეკონომიკური ბრჩევლები – ვ. ვოიტინსკი და ნ.ჯაყელი და სხვები. „საბახტარაშვილის მისიის“ პირველ ეტაპზე (1919 წლის ოქტომბერ-დეკემბერი) საქართველოსა და იტალიას შორის სავაჭრო-კომერციული ოპერაციებისა და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ჩვენი ქვეყნისათვის პურის მიწოდების საკითხის გადაწყვეტა 1919 წლის 21–22 ნოემბერს რომში გამართული მოკავშირე სახელმწიფოების უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე. ცნობილია, რომ ეს საბჭო შეიქმნა ანტანტის ბლოკის ფარგლებში და მიზნად ისახავდა მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ ამა თუ იმ ქვეყნისადმი ეკონომიკური და ფინანსური დახმარების კოორდინირებას. 21–22 ნოემბრის რომის სესიაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა იტალიის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი დ. ფერარისი, იხილებოდა რუსეთის ექსიმპერიის სივრცეში ახლადჩამოყალიბებული სახელმწიფოებისათვის ეკონომიკური დახმარების გაწევისა და ამ სფეროში საერთო პოლიტიკის საკითხები. 21 ნოემბერს საბახტარაშვილმა წერილი გაუგზავნა საბჭოს სამდივნოს, პირადად დ. ფერარისის სახელზე. საქართველოს წარმომადგენელი იუწყებოდა, რომ საქართველოში შექმნილია უმძიმესი სასურსათო კრიზისი, რასაც კიდევ უფრო აღრმავებს ლტოლვილთა ნაკადის მზარდი მოდინება და დენიკინის სამხედრო-პოლიტიკური რეჟიმის მიერ ორგანიზებული ეკონომიკური ბლოკადა, რომ საქართველოს ესაჭიროება 25 ათასი ტონა პური, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ტოტალური შიმშილი. ქართველმა დიპლომატმა თხოვნით მიმართა უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოს, „გაეწია დახმარება საქართველოსთვის საჭირო რაოდენობის ხორბლის მიწოდების გზით, რომელსაც მთავრობა შესაბამისი ღირებულების ნაღდ ფულში გადაიხდის“[42].

---

[42] სცსა, ფ. 1891, აღწ. 1, ს. 319, ფ. 83.

უმაღლესმა ეკონომიკურმა საბჭომ 22 ნოემბერს მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „ახდენს რა იმ ფაქტის კონსტატაციას, რომ ყოფილი რუსეთის იმპერიის ზოგიერთი ადგილები, რომლებიც ადრე წარმოადგენდნენ მსოფლიოს საწარმოო მეურნეობის არსებით ელემენტებს, დღეს განიცდიან თითქმის გადაულახავ სიძნელეებს თავიანთი წინანდელი როლის დაბრუნებაში, უმაღლესი ეკონომიკური საბჭო გამოთქვამს სურვილს – რომ ყველა ხალხმა, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, დახმარება გაუწიოს ამ ქვეყნებს კრიზისის დაძლევაში და... ადგენს, რომ ეს რეზოლუცია გადაეგზავნოს უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოში წარმოდგენილ ქვეყანათა მთავრობებს“[343]. სწორედ ამ რეზოლუციის ფარგლებში იქნა გადაწყვეტილი პურის მიწოდება საქართველოსთვისაც. როგორც საბახტარაშვილის მიერ საქართველოს მთავრობისათვის 27 ნოემბერს რომიდან გამოგზავნილი წერილიდან ირკვევა, ამ საქმეში სწორედ იტალიის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს უთამაშია გადამწყვეტი როლი და მის მიერ შეტანილი განაცხადის საფუძველზე დაუკმაყოფილებია საბჭოს აღნიშნული თხოვნა. „ჩვენთვის პურით დახმარების შესახებ უმაღლესი საბჭოს წევრები თანახმანი არიან დახმარება გაგვიწიონ. – წერდა იგი ჟორდანიას. – როგორც გადმომცა იტალიის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა, რომელიც თავმჯდომარეობს ამ საბჭოს სხდომებს, შეთანხმდნენ კიდეც, რომ იტალიის მთავრობა მიაწვდის საქართველოს პურს...“[344] იტალიის მთავრობისაგან მომდინარე ამგვარი აქცია მით უფრო ნიშანდობლივია, რომ, როგორც ცნობილია, ინგლისი კატეგორიულად უარყოფდა საქართველოსთან ეკონომიკურ თანამშრომლობას, თვით მარტივი საქონელგაცვლის დონეზედაც. პურის მოწოდების საკითხში მატერიალურ-საგნობრივი ფორმით პროდუქციის გაცვლის ოპერაციები წარმოებდა კერძო სტრუქტურებთანაც.

---

[343] იქვე, ფ. 84.

[344] იქვე, ფ. 83.

ამ საქმეში საქართველოს კონტრაგენტის როლი იკისრა იტალიის კვების მრეწველობის ასოციაცია „ნაფრა"-მ, რომელთანაც მარცვლეულის შეძენის საკითხში მოლაპარაკებებს აწარმოებდა საქართველოს მისია იტალიაში. პურის მიწოდების სანაცვლოდ იტალიელები მოითხოვდნენ ექვივალენტური ღირებულების მანგანუმს; ქართული მისიის წევრები 1920 წლის 7 იანვრის წერილში თხოვდნენ საქართველოს კაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს, მიეწოდებინა ცნობები – „თუ რამდენი შავი ქვა არის ფოთის ნავსადგურში და კიდევ რამდენის გადატანა შეუძლია იქ ჭიათურიდან მთავრობას, რომელიც შეგვეძლება პურის სანაცვლოდ მიეცეთ"[345].

1919 წლის ნოემბერში საქართველოს მისია აწარმოებდა მოლაპარაკებას ქ. ტურინის „სავაჭრო სახლის" (ფირმა „Fratelli Ajmone Marsano") დირექტორთან ა. მარსანთან. დასაწყისში მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას საქართველოს შეიარაღებული ძალების ამუნიციისათვის გარკვეული რაოდენობის (კერძოდ 144.000 მ) ქსოვილის შესყიდვის შესახებ. მაგრამ შემდგომ მარსანმა შეცვალა შეთანხმების პირობები და ქართულ მხარეს ქსოვილის ნაცვლად ამუნიციის მზა კომპლექტები (40.000) შესთავაზა. ამასთან, ფასებში სხვაობიდან გამომდინარე, დამატებითი კომპენსაციაც მოითხოვა[346]. საბახტარაშვილმა კი, ბუნებრივია, კომპენსაციის ფიქსირებული თანხა გადაჭარბებულად მიიჩნია. კერძოდ მარსანისათვის 29 ნოემბერს გაგზავნილ წერილში იგი წერდა: „ჩვენ თანახმა ვართ თქვენს ახალ პირობებზე, მაგრამ ევროპულ ბაზარზე მზა სამხედრო აღჭურვილობა იყიდება ამ აღჭურვილობისათვის აუცილებელი ქსოვილის ფასებთან ნაკლებ განსხვავებით. ამიტომ კომპენსაციის ის თანხა რასაც თქვენ გვთავაზობთ, მნიშვნელოვნად გადაჭარბებულია". მიუხედავად უთანხმოებისა, მხარეებს არ ძიუმართავთ არბიტრაჟისათვის (ქართული მისიის დაჟინებული მოთხოვნის გამო)

---

[345] იქვე, ფ. 107.
[346] იქვე, ფ. 95.

და ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტი ხელმოწერილ იქნა. მისია და საქართველოს მთავრობა იმედოვნებდნენ, რომ ტურინის „სავაჭრო სახლი" 1920 წლის 1 იანვრამდე შეასრულებდა კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. მაგრამ, როგორც ჩანს, იტალიურმა ფირმამ უარი თქვა კონტრაქტის აქცეპტირებაზე და გარიგებით დაკისრებული ვალდებულებების რეალიზაციაზე. როდესაც საქართველოს მომარაგების მინისტრმა ერაძემ იტალიაში მყოფ საქართველოს მისიას სთხოვა ცნობების მოწოდება ფირმისაგან ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზებზე, ჯაყელმა და ეოიტინსკიმ მას აცნობეს, რომ „კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ მარსანი არ ჩანს, მისმა ძმამ გვითხრა – ავად არის მარსელშიო"[347].

1919 წლის დასასრულს იტალიაში ჩავიდა საქართველოს კოოპერატივთა კავშირის თავმჯდომარე ევგ. დარჩია, რომელიც შეუერთდა საქართველოს მისიას და მასთან ერთად აწარმოებდა მოლაპარაკებებს იტალიის „კოოპერატივთა ცენტრთან" სხვადასხვა ეკონომიკური და კომერციული საკითხების ირგვლივ[348]. აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი გარიგებების რეალიზაციაში საერთაშორისო სავაჭრო-საშუამავლო როლს ასრულებდა „Banca Italiana di sconto" – იტალიის ცნობილი საბანკო სტრუქტურა.

საქართველო-იტალიის ეკონომიკურ-ფინანსური ურთიერთობების ისტორიაში მეტად თვალსაჩინო მომენტია „ქართული ბონების" დამზადების იტალიისათვის გადაცემა. მთავრობისათვის წარდგენილ მოხსენებაში (1919 წლის 28 აგვისტო) ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოადგილე ს. აკალიანი აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელი ექსპედიციის მიერ ფულის ნიშნების დასამზადებლად გაწეული საქმიანობა ვერ აკმაყოფილებდა სახელმწიფო მოთხოვნილებებს, რის გამოც აუცილებელი იყო მთელს რიგ საკითხებში (საგანგებო

[347] იქვე, ფ. 108.
[348] იქვე.

ქაღალდის შეძენა, ფულის საბეჭდავი საღებავის შოვნა) უცხო ფინანსური სტრუქტურების დახმარება. ამიტომ ფინანსურმა უწყებამ იტალიის მსარესთან მოლაპარაკების შედეგად მიაღწია შეთანხმებას საგანგებო ქაღალდის შეკვეთასთან დაკავშირებით.[349] ქართული ბონების ნიშნების სურათები, როგორც ცნობილია, დაამზადეს მხატვრებმა — დ. შევარდნაძემ და ვ. გრინევსკიმ. ამის შემდეგ მთავრობამ მიიღო დადგენილება „ფულის ნიშნების საზღვარგარეთ ბეჭდვის შესახებ", რის შემდგომაც საქართველოს ფინანსურმა დეპარტამენტმა დაიწყო საგანგებო მოლაპარაკება იტალიის ფინანსურ სააგენტოებთან.

აღსანიშნავია, რომ ქართული ბონების ემისიისათვის საჭირო ქაღალდიც იტალიაში იქნა შეძენილი. 1919 წლის 13 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ს. ავალიანმა მთავრობას წარუდგინა მოხსენება — „იტალიაში სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელი ექსპედიციისათვის აუცილებელი 520 ათასი ფურცელი ქაღალდის შესაძენად 1 მილიონ 200 ათასი ლირის ღირებულების საქონლის გაზიდვის უფლების შესახებ"[350]. იგი წერდა, რომ ფინანსთა მინისტრს უნდა მისცემოდა ნებართვა — იტალიაში საქართველოს მისიის საშუალებით შეეკვეთა ქაღალდის დასახელებული რაოდენობა და იტალიური ვალუტის შესყიდვასთან დაკავშირებული სიძნელეების გამო, შეძენილი ქაღალდის ღირებულების დაფარვა მომხდარიყო საქონლის, კერძოდ, თამბაქოსა და მატყლის, იტალიაში გაზიდვის ხარჯზე. 1920 წლის დასაწყისში თამბაქოს რეალიზაციის შედეგად განაღდებული ფულით შეძენილ იქნა როგორც ქაღალდი, ასევე ფულის ნიშნების საღებავი მასალა.

ცნობილია, რომ იტალიის მრეწველობა მნიშვნელოვანწილად საჭიროებდა ხე-ტყის მასალას, რაც განაპირობებდა საქართველოს სატყეო მეურნეობის სისტემაში არსებული კითარებით იტალიის

---

[349] სცსსა, ფ. 1861, აღწ. 2, ს. 64, ფ. 2.

[350] ფ. 1861, აღწ. 1, ს. 274, ფ. 1.

საქმიანი წრეების დაინტერესებას. 1919 წელს საქართველოში იმყოფებოდა იტალიის ტყეთა ინსპექტორი მერენდი, რაითა საფუძველიანად გაცნობოდა ტყეების მდგომარეობას და მათი ექსპლოატაციის პირობებს.[351] საქართველოს მიწათმოქმედების სამინისტროს ჯეროვანი ხელშეწყობით, აღნიშნული უწყების სპეციალისტთა თანხლებით მან იმოგზაურა სხვადასხვა ადგილებში და დაათვალიერა ცხინვალის რაიონის, რაჭის მაზრისა და ბორჯომის ტყეები.

იტალიაში დაბრუნების შემდეგ მერენდიმ გამოსცა წიგნი საქართველოს სატყეო სიმდიდრეთა შესახებ, რომელშიც მოთავსებულმა ცნობებმა დიდი აზრთა გაცვლა-გამოცვლა და დაინტერესება გამოიწვია იტალიის მრეწველთა წრეებში. ბევრი მათგანი საქართველოში იტალიის მისიის შუამავლობით აწარმოებდა კომერციულ გარიგებებს საქართველოს შესაბამის უწყებებთან. მაგალითად 1919 წლის 27 დეკემბერს გაბამ საქართველოს მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა იტალიელ მრეწველ დე საკოსთვის 7 ვაგონი ხე-ტყის მასალის გატანაზე ფიქსირებულ ფასებში ნებართვის გაცემის შესახებ[352].

1920 წელს ინსპექტორი მერენდი სატყეო ინჟინერ პარიზინის თანხლებით კვლავ ეწვია საქართველოს, ამჯერად მიზელს რიგ რაიონებში ხე-ტყის ქარხნების დაპროექტება-მოწყობისათვის პირობების მომზადების მიზნით. იტალიელმა სპეციალისტებმა არაერთი საგულისხმო წინადადება წარმოუდგინეს საქართველოს მიწათმოქმედების სამინისტროს ტყეების ექსპლოატაციასა და მომავალი მუშაობის გეგმებთან დაკავშირებით.

1920 წლის დასაწყისში საქართველოს დამოუკიდებლობის „დე ფაქტო" აღიარების გამო საქართველო-იტალიის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები თვისობრივად ახალ სტადიაში გადადის. ამ დროიდან იტალიამ ცალსახად გამოკვეთა საქართველოში

---

[351] „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წლის 25 მარტი.

[352] სცსსა, ფ. 1861, აღწ. 2, ს. 105, ფ. 7-8.

იტალიის ეკონომიკური ინტერესები – საქართველოს სანედლეულო ბაზარზე გასვლა და იქ გაბატონებული მდგომარეობის დაკავება, სატრანსპორტო კომუნიკაციების მაქსიმალური გამოყენება და იტალიური საქონლით ქართული ბაზრის „მონოპოლიზაცია". აღნიშნულ პერიოდში ორი ქვეყნის ურთიერთობათა ეკონომიკური და ფინანსური ასპექტების ანალიზისას განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევს ის გარემოება, რომ საქართველოსთან სავაჭრო პოლიტიკის ძირითადი პარამეტრების შემუშავებისას იტალიური კომპანიები და ფირმები მთავარ ყურადღებას აქცევენ საქართველოში იტალიური ექსპორტის დივერსიფიკაციას. მაშინდელი საგაზეთო პუბლიკაციებიდან და საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ 1920 წელს აღგილი ჰქონდა საქართველოში შემოტანილი იტალიური სხვადასხვა დანიშნულების საქონლის ნომენკლატურის გაფართოებას. ამასთან, იმპორტირებულ იტალიურ საქონელზე ფასები გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე ინგლისიდან და სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ ანალოგიურ პროდუქციაზე. ამ დროიდან იტალიის საგარეო ვაჭრობის ინტერესებიდან გამომდინარე განსაკუთრებით იკვეთება ასევე საქართველოს, როგორც სატრანზიტო სახელმწიფოს როლი იტალიის კაპიტალისათვის. ტრანზიტი საქართველოზე მნიშვნელოვანი რგოლი ხდება აღმოსავლეთთან და ამიერკავკასიის დანარჩენ ორ ქვეყანასთან იტალიის ეკონომიკურ და კომერციულ კავშირურთიერთობებში. აღსანიშნავია, რომ იტალია წარმოადგენდა ფაქტობრივად პირველ ევროპულ სახელმწიფოს, რომელმაც სხვა ქვეყნებზე გაცილებით ადრე მოაწყო საქართველოსთან საზღვაო-სატრანსპორტო კავშირები, აქედან გამომდინარე – სავაჭრო ურთიერთობანიც. საზღვაო ტრანზიტის უმთავრესი მიმართულებანი იყო – ტარანტო–კონსტანტინოპოლი–ფოთი და ტარანტო–ვენეცია–კონსტანტინოპოლი–ბათუმი. იტალიის პირველი გემები საქართველოს შავიზღვისპირა ნაკადგურში 1919 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე შემოკიდნენ, ხოლო 1920 წლის დამდეგიდან კი იტალიამ გაზარდა საქართველოს ნაკადგურებში თავისი ჩომალდების საერთო ტონაჟი.

1920 წლის 15 თებერვლიდან 21 მარტამდე საქართველოში იმყოფებოდა და სამთავრობო წრეებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა იტალიის ეკონომიკურ-სამოქალაქო მისია, რომელსაც მეთაურობდა იტალიის ომის შედეგების ლიკვიდაციის ყოფილი მინისტრი, სენატორი ეტორე კონტი. მისია საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო ამ ქვეყნის ფინანსური, სავაჭრო, სამრეწველო ჟურნალისტური წრეებიდან. მის შემადგენლობაში შედიოდნენ – სარკინიგზო ტრანსპორტის გენერალური მმართველი ჯ. ფიასტრი, ჩვენთვის უკვე ცნობილი ა. კორსი, ცნობილი ფინანსისტი ჯ. გატინი, კომერსანტი ა. გელლა, საბანკო სტრუქტურის ფინანსისტი რ. მაინო, კარაბინიერთა დაცვის უფროსი ე. დ'ენრიკო, მსხვილი ბანკირი მ. პინტო, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, „იტალიის სამრეწველო ბანკის" წარმომადგენელი ვ. ოტინო, გეოლოგიის პროფესორი ვ. ნავარეზე, ერთ-ერთი ოფიციოზის „Corriere della sera"-ს ჟურნალისტი ლ. ბარზინი, ასევე სამთო საქმისა და სატყეო მეურნეობის სპეციალისტები, საერთო ჯამში – 35 კაცი[353]. აღსანიშნავია, რომ გემმა „სოლუნტომ", რომელმაც ეს მისია ჩამოიყვანა საქართველოში, თან ჩამოიტანა 500 ტონა პურის ფქვილი (ანტანტის უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს 1919 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად იტალიის მთავრობის მიერ აღებული ვალდებულების ფარგლებში) და სხვა საქონლის პირველი პარტია[354].

კონტის მისია მოლაპარაკებებს აწარმოებდა ძირითადში საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან და ამ უწყების ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტთან. მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი, რომლის დროსაც მხარეებმა ზოგად

---

[353] სცსსა, ფ. 1891, აღწ. 1, ს. 619, ფ. 1–2.

[354] „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წლის 14 თებერვალი. იტალიის მისიის გენშტაბის უფროსი, პოლკ. მიქელი გეგეჭკორს ატყობინებდა, რომ კიდევ 500 ტონა ფქვილისა და საქონლის მეორე პარტიის სატრანსპორტო გადაზიდვა უახლეს ხანებში მოხდებოდა.

ასპექტში განიხილეს ორი ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ ურთიერთობათა უმთავრესი პრიორიტეტები, შედგა 18 თებერვალს. მისალმების დროს კონტმა განაცხადა: „იტალიური მისიის წევრები ესალმებიან მიხისტრს, როგორც საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს. მისიას იმედი აქვს, რომ მჭიდრო ეკონომიკურ კავშირს დააწყარებს საქართველოსთან, რაც მისი ჩამოსვლის უმთავრესი მიზანია“[155]. საპასუხო მისალმების შემდეგ საქართველოს ფინანსთა და საჭრობა-მრეწველობის მინისტრმა კ. კანდელაკმა სტუმრებს გააცნო ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა და შეეხო საქართველო-იტალიის კავშირურთიერთობათა პერსპექტივებს, მან აღნიშნა, რომ თავისი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საქართველოს ესაჭიროება სესხი და კონტის მისიას წარუდგინა კრედიტის პროექტი. პროექტი ითვალისწინებდა კრედიტის დარგობრივი სტრუქტურის მიხედვით დიფერენცირებას: სამრეწველო კრედიტი (სარკინიგზო მაგისტრალებისა და ფოთის პორტის რეკონსტრუქციისათვის საჭირო და საფეიქრო მრეწველობის საწარმოებისათვის აუცილებელი მასალები და მოწყობილობანი), სასაქონლო კრედიტი (საქართველოს უზრუნველყოფა მასობრივი მოხმარების საქონლით, არმიის ამუნიცია) და ფინანსური კრედიტი (ქართული ვალუტის შექმნასა და მის ემისიაში ხელშეწყობა)[156].

კანდელაკის პროექტის გაცნობის შემდეგ იტალიის მისიის წევრებმა განაცხადეს, რომ საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე აუცილებელია სესხის ამ საერთო პროგრამის კონკრეტიზაცია და წინასწარი ცნობების მიღება რკინიგზებსა და ფოთის ნავსადგურში არსებულ ვითარებაზე, ასევე საქართველოს ფინანსური ბაზრის კონიუნქტურაზე (ბრუნვაში მყოფი ფულის ნიშნების რაოდენობა,

---

[155] სესხი, ფ. 1891, აღწ. 1, ს. 619, ფ. 1

[156] სესხი, ფ. 1891, აღწ. 1, ს. 619, ფ. 1

სახელმწიფო ბიუჯეტი, ექსპორტ-იმპორტის კომერციული ბალანსი და სხვ.).

კონტის მისია დაინტერესდა საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობების სასიათით, განსაკუთრებით მისი დამოკიდებულებით რუსეთის ვალების დარეგულირების პრობლემისადმი[357]. „საქართველოს მთავრობა პრინციპში არ უარყოფს რუსეთის ვალების გადახდას, – განაცხადა კანდელაკმა, – მაგრამ, ჯერ ერთი, ეს შორეული მომავლის საკითხია, მეორეც, საქართველოსაც აქვს რუსეთისათვის წარსადგენი ეკონომიკური მოთხოვნები, კერძოდ რუსეთის ბანკების სუბსიდირების ღიკვიდაცია[358].

საქართველოსათვის კრედიტის გამოყოფის საკითხი იდგა 21 თებერვლის შეხვედრის დღის წესრიგშიც. ამასთან, იტალიის დელეგაციამ ეს საკითხი ორი განზომილებით დასვა – თუ რამდენად უკავშირებდა საქართველოს მთავრობა ორი ქვეყნის საერთო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას ამ საგარეო სესხს და, რაც მთავარია, რა კომპენსაციებს სთავაზობდა იგი კრედიტის სანაცვლოდ. კანდელაკის პოზიციამ, რომ სამრეწველო კრედიტის კომპენსირება უნდა მომხდარიყო ამ კრედიტის მიღების შედეგად ამუშავებული სამრეწველო საწარმოების შემოსავლებიდან, იტალიელები არ დააკმაყოფილა. ისინი მოითხოვდნენ კრედიტის სახით დახარჯული კაპიტალის უსწრაფეს გარანტირებას, ხოლო კრედიტის გამოყენების საფუძველზე ამუშავებული საწარმოების შემოსავლების მიღება გარკვეულ დროს მოითხოვდა. კრედიტის

---

[357] ცნობილია, რომ რუსეთის ბოლშევიკურმა რეჟიმმა უარყო ცივილიზებული ეკონომიკური ურთიერთობის პრინციპები და უარი თქვა უცხოეთის სახელმწიფოებრივი რუსეთის ვალების გადახდაზე, რითაც უხეშად შელახა მათი ეკონომიკური ინტერესები. მხოლოდ 1921 წლის 28 ოქტომბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლენინის მთავრობამ მზადყოფნა ამ საკითხზე მოლაპარაკებისათვის.

[358] ხერხეა, იქვე. ფ. 4

საკომპენსაციო გარანტიებად მათ მოითხოვეს: 1) მონოპოლია სპირტიანი სასმელების წარმოებაზე; 2) გარკვეული კვოტები საქართველოდან მარგანეცის ექსპორტის შემოსავლიდან; 3) მონოპოლია თამბაქოს ექსპორტზე და 4) შემოსავლები სატყეო სიმდიდრეების ექსპლოატაციაზე[359]. ეს საგარანტიო ნუსხა, ბუნებრივია, მიუღებელი იყო საქართველოს მთავრობისათვის. გარდა იმისა, რომ იტალიელების მიერ მოთხოვნილი კომპენსაციები ხელს შეუწყობდნენ საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან სფეროებში იტალიის საქმიანი წრეების სრული კონტროლის დამყარებას, ამასთან, ისინი ლოგიკურ წინააღმდეგობაში აღმოჩნდნენ თვით ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობასთან. მხედველობაში გვაქვს დამფუძნებელი კრების მიერ ჯერ კიდევ 1919 წლის 24 ოქტომბერს მიღებული სპეციალური დეკრეტი, რომლის ძალითაც საქონელგაცვლის კომიტეტთან შეთანხმების გარეშე აიკრძალა საქართველოს ფარგლებს გარეთ სავალუტო საქონლის (თამბაქოს და სხვ.) გატანა. ამის გამო საქართველოს მთავრობამ უარი თქვა აღნიშნულ საკომპენსაციო ნუსხაზე და სამრეწველო კრედიტის დაფარვის საკუთარ გეგმაზე შეაჩერა ყურადღება. 3 მარტს ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორმა ალშიბაიამ, კანდელაკის ბრძანების თანახმად, კონტის მისიას გადაუგზავნა საქართველოს საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა ორგანიზაციისათვის საჭირო მასალათა და მოწყობილობათა სია. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „ხსენებული ფაბრიკების ორგანიზაციისათვის ჩადებული კაპიტალის ანაზღაურება მოხდეს იმ შემოსავლებით, რომლებსაც მათი ამოქმედებით მივიღებთ“[360].

მაშასადამე, საქართველოს მთავრობამ უარი თქვა ფინანსურ კრედიტზე და დათანხმდა მხოლოდ სამრეწველო კრედიტზე, თანაც ამ კრედიტის დაფარვის საკუთარ პირობებზე. ამის გამო იტალიის ეკონომიკურმა მისიამ ნაწილობრივ გარდაქმნა საკუთარი პროგრამა

---

[359] იქვე, ფ. 6.

[360] იქვე, ფ. 7.

და კურალეჭა საკომპენსაციო ოპერაციების პრინციპებზე გადაიყვანა. 1920 წლის 8 მარტს მან ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წარუდგინა „იტალია-კავკასიის კომპანიის“ შექმნის პროექტი. პროექტის საბაზისო პრინციპს წარმოადგენდა ორი ქვეყნის მჭიდრო სახელოვნო-ფინანსური ურთიერთობების დამყარების მიზნით, სამი თვის ვადაში იტალია-კავკასიის კომპანიის დაარსება საქართველოს მთავრობასა და იტალიის მისიას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნულ კომპანიას საქართველოს მთავრობისათვის უნდა გაეცათ კრედიტი 35 მილიონი იტალიური ლირის ოდენობით, ხუთი წლის ვადით. რაც შეეხება კრედიტის დარგობრივ სტრუქტურას, პროექტი ითვალისწინებდა ინვესტირებული კაპიტალის დაბანდებას შემდეგ სფეროებში: 12 მლნ. – საქართველოს სარკინიგზო ქსელის მოძრავი შემადგენლობის გამართვისათვის, 8 მლნ – ფოთის ნავსადგურის ტვირთუნარიანობის ასამაღლებლად, 5 მლნ. – იტალიაში საქართველოს საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა ორგანიზაციისათვის აუცილებელი მანქანებისა და მოწყობილობათა შესაძენად და 10 მლნ. – სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესყიდვისათვის (მუხლი 1).[361] რაც შეეხება კრედიტის დაფარვის სქემას, კონტის პროექტი კვლავაც ძველ პოზიციას იცავდა – დაფარვა არა ვალუტით, არამედ სანედლეულო საქონლით. ამასთან, სანედლეულო საქონლის საკომპენსაციო მიწოდება უნდა მოხდარიყო ისეთ ფორმებში, რომლებიც უცილობლად გამოიწვევდნენ ეკონომიკის მთელს რიგ დარგებში საქართველოს მთავრობის მონოპოლიური უფლებების ანულირებას. კერძოდ კრედიტის დაფარვის მიზნით საქართველოს მთავრობას – ჯერ ერთი, „კომპანიის“ ტერიტორიაზე უნდა გადაეცა ქაითურის მარგანეცის რეალიზაცია. გაფიქრებს აგრძელებული ძიგების თანაბარი განაწილების პრინციპით, მეორე „კომპანიისათვის“ უნდა გადაეცა ატჩაზეთის

[361] იქვე. ფ. 14.

თამბაქოს გაყიდვის მონოპოლიური უფლებები, მიღებული მოგების განაწილების არახელსაყრელი პირობებით (75% – მთავრობას, დანარჩენი 25% „კომპანიას“, მათ შორის 20% – კრედიტის კომპენსაციის(?) სახით) (მუხლი V), მესაზეც, ხელი უხდა შეეწყო საქართველოს სარკინიგზო ქსელით ბათუმ–ფოთიდან სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართულებით (და პირიქით) იტალიური საქონლის გადაზიდვისათვის ამ საქონლის საქართველოს საბაჟო იურისდიქციისაგან განთავისუფლების პირობით (მუხლი IX).[362] ბუნებრივია, ეს სქემა საქართველოს დაკაბალების ტოლფასი იყო. გარდა ამისა, „კომპანია“ იქმნებოდა იტალიაში, ხოლო მისი ფინანსური სტრუქტურის შექმნაში საქართველოს, როგორც კონტრაჰენტს, მონაწილეობა უნდა მიეღო არა უშუალო ინვესტირებით (ამის საშუალება იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ იტალიელები დაითანხმდებოდნენ კრედიტის იტალიური ვალუტით ანაზღაურებაზე), არამედ სტრატეგიული ნედლეულის საბაზისო მიწოდებით, რაც მას იძთავითვე არათანასწორ მდგომარეობაში აყენებდა.

1920 წლის 9 მარტს გაიმართა სპეციალური ეკონომიკური თათბირი (კ. კანდელაკი, მიწათმოქმედების მინისტრი ნ. ხომერიკი, სახელმწიფო კონტროლიორი ფ. გოგიჩაიშვილი), რომელზეც განიხილეს იტალიის მისიის წინადადებანი და მის მიერ შემოთავაზებული ხელშეკრულების პროექტი. თათბირმა პროექტში შეიტანა მნიშვნელოვანი, საქართველოს ეკონომიკური ინტერესებით ნაკარნახევი შესწორებანი. ამ შესწორებათა საფუძველზე ფინანსთა და კაჭრობა–მრეწველობის სამინისტროს შეიტყვეს ხელშეკრულების საკუთარი სქემა (ე. წ. „კონტრ–წინადადებანი“), რომელიც კოსტის მისიას 13 მარტს გადაეგზავნა. ეს სქემა პრინციპულად განსხვავდებოდა კოსტის მისიის მიერ წარდგენილი კონცენციის პროექტისაგან ძირითადში იმით, რომ მას საფუძვლად ედო

[362] იქვე, ფ. 15–16.

საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი. სწორედ ამ პრინციპის საფუძველზე უნდა წარმართულიყო ორი ქვეყნის ორმხრივსასარგებლო ურთიერთობანი „იტალია-კავკასიის კომპანიის“ ფუნქციონირების ფარგლებში. „კონტრ-წინადადებანი“ ითვალისწინებდნენ იტალიური კრედიტის გამოყოფის ვადის კონკრეტიზაციას (ე.ი. ხელშეკრულების ხელმოწერიდან), კრედიტის დაფარვის ფორმებს და რაოდენობას გარკვეული ეტაპების მიხედვით (ყოველწლიურად გამოყენებული კრედიტის ერთი მეხუთედის რაოდენობით) (მუხლი I)[363]. ქართული მხარის „კონტრ-პროექტი“ საქართველოს ინტერესების შესაბამისად საზღვრავდა კრედიტის კომპენსაციის ფორმებს (სწორედ ეს მომენტი იყო მხარეთა უთანხმოებების ძირითადი მიზეზი). კერძოდ საქართველოს მთავრობამ მოითხოვა კრედიტის წინასწარი დაფარვის უფლება იტალიური ლირით და მხოლოდ ამის განუხორციელებლობის შემთხვევაში კისრულობდა იგი ვალდებულებებს იტალიისათვის ყოველწლიური წილის სახით მარგანეცის, ტყიბულის ქვანახშირისა და თამბაქოს მიწოდებაზე, თანაც არა იტალიური, არამედ ევროპული საბაზრო ფასებით (მუხლი III)[364]. ამასთან, „კომპანიას“, საქართველოს მთავრობის სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში, უნდა შეეთავაზებინა მისთვის საქართველოდან იტალიაში და პირიქით საერანსპორტო გადაზიდვის ტონაჟი (მუხლი V),[365] რაც, ბუნებრივია, არ შეიძლება იტალიელთა ინტერესებში. „კონტრ-პროექტში“ კონტინგენტისათვის ძალებული ვახდა, განსაკუთრებით კრედიტის დაფარვის მექანიზმის სფეროში და ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც თუ საქართველოს მთავრობა სესხის განაღდების იტალიური ვალუტით მოახდენდა, მაშინ იტალიელები სტრატეგიულ საგანგებო ნედლეულს კრედიტის კომპენსაციის სახით ვერ გაიტანდნენ და იძულებულნი

---

[363] იქვე. ფ. 22.

[364] იქვე

[365] იქვე. ფ. 24

იქნებოდნენ მისი შესყიდვის ოპერაციები საკრედიტო ოპერაციებისაგან დამოუკიდებლად ეწარმოებინათ.

პროექტთა შეუთანხმებლობის გამო ხელშეკრულების ხელმოწერა ვერ მოხერხდა. 16 მარტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო დეპარტამენტისადმი გაგზავნილ წერილში სენატორი კონტი პირდაპირ მიუთითებდა, „რომ იტალიის მისიისათვის მიუღებელია ე. წ. „კონტრ-წინადადებანი", რადგან მასში მოცემული ხელშეკრულების პროგრამა განსხვავდება იმ კონვენციისაგან, რომლებიც ჩვენ ამას წინათ შევთავაზეთ საქართველოს კაბრობა-ბრენწველობისა და ფინანსთა სამინისტროს"[366].

სენატორ კონტის მისია საქართველოდან 1920 წლის 21 მარტს გაემგზავრა. პარალელურად, „იტალია-კავკასიის კომპანიის" შექმნისა და საქართველოსთვის ფინანსური კრედიტის გამოყოფის შეთანხმებაზე ხელმოწერა ვერ შედგა. მიუხედავად ამისა, ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების, მათი შემდგომი მიმართულებებისა და მეთოდების განსაზღვრის თვალსაზრისით იტალიის მისიის ვიზიტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იტალიელებმა გამოთქვეს საქართველოსთან მჭიდრო ფინანსურ-სამეურნეო კავშირების დამყარებაზე მზადყოფნა, სურვილი იმისა, რომ გარკვეული შემხვედრი პირობების უზრუნველყოფის შემთხვევაში, საქართველოსთვის გამოეყოთ სამრეწველო და სასაქონლო კრედიტები. ამასთან, სენატორ კონტის მითითების თანახმად მისიის გავლენიანი წევრები – მ. პისტო, დელ პროპოსტო და სხვები – დარჩნენ საქართველოში, რათა ეწარმოებინათ მოლაპარაკებანი ორი ქვეყნის ეკონომიკურ ურთიერთობათა სხვა სფეროებში, კერძოდ ტყეარჩეულის კონცესიის ირგვლივ, ასევე ორი ქვეყნის ინტეგრირებული საბანკო სტრუქტურის შექმნის შესახებ და სხვ. აღსანიშნავია, რომ მხარეთა სურვილმა – ორი ქვეყნის ურთიერთობანი ორმხრივსარგებლიანობის

[366] იქვე, ფ. 25.

პრინციპებს დაფუძნებოდა – განაპირობა აღნიშნულ სფეროებში მნიშვნელოვან შეთანხმებათა მიღწევა.

1920 წლის თებერვალში იტალიის სადისკონტო ბანკის („Banca Italiana di sconto") ინიციატივით, მისი ფინანსური ფონდის ბაზაზე დაარსებულ იქნა „იტალია-კავკასიის გამნაღდებელი ბანკი („Banca Italo-Caucasica di Sconto"), რომლის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 40 მლნ. ლირას. ბანკის ცენტრალური ადმინისტრაციული აპარატი რომში იყო მოთავსებული, რომელსაც ექვემდებარებოდა განყოფილებანი კავკასიაში. მათგან საკუთრივ საქართველოში ფუნქციონირებდნენ თბილისის მთავარი განყოფილება და მისი ფილიალები ბათუმში, ფოთში და სოხუმში. თბილისის განყოფილება მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კავკასიის რეგიონში ბანკის საქმიანობის დაგეგმვაში, სტატისტიკური ანალიზის მოწყობასა და ა.შ. წესდების თანახმად აღნიშნულ საბანკო სტრუქტურას მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა იტალიასა და საქართველოს (ასე კავკასიის სხვა ქვეყნებს) შორის სავაჭრო ურთიერთობების დამყარება-განვითარების პროცესში. „იტალია-კავკასიის ბანკის" ადმინისტრაციაში შედიოდნენ – ჩვენთვის უკვე ცნობილი მიქაელ პინტო (მთავარი მმართველი), საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ფინანსური დეპარტამენტის დირექტორი დიმიტრი აფხაზი, (მმართველი), ფრანჩესკო პეტრული (მმართველის ამხანაგი), ფერდინანდო სკუტეცკი (მმართველის ამხანაგი) და კლაუდიო ჯავანია (რწმუნებული)[367]. ცოტა მოგვიანებით, 1920 წლის მარტში ბანკის მმართველობაში შეყვანილ იქნენ ნ. მორიჯი, ნ. ნიკონოვი და ა. გრაფანი.

„იტალია-კავკასიის ბანკის" შექმნას და ფუნქციონირებას საქართველოს ფინანსურ ბაზარზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოში საბანკო სისტემის სუსტი განვითარების გამო, ადგილობრივი ბანკები ვერ თამაშობდნენ საკმაოდ როლს ფულადი

[367] სცსსა, ფ. 1861, აღწ. 2, ს. 181, ფ. 17.

მიმოქცევისა და კრედიტის რეგულირების საქმეში. „იტალია-კავკასიის ბანკი“ კი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს ექსპორტის საკრედიტო ბაზის შექმნაში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ საქართველოდან იტალიაში საქონლის ექსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი (ასევე ევროპის სხვა ქვეყნებში ექსპორტის გარკვეული ნაწილი) სწორედ ამ ბანკის კრედიტმა და საშუამავლო ოპერაციებმა დაფარა. ამავე ბანკის საშუამავლო ოპერაციებს იტალიის სხვადასხვა დაწესებულებებთან სავაჭრო კონტრაქტების დადებისას იყენებდა იტალიაში მყოფი საქართველოს მისია, რომელიც სწორედ „იტალია-კავკასიის ბანკის“ საშუალებით აწარმოებდა საქართველოში საიმპორტო საქონლის შეკვეთებს, მისი ფინანსური დახმარებით აგვარებდა სატრანსპორტო გადაზიდვების საქმეებსაც.

საქართველოს მშრომელი წრეების თანამშრომლობა „იტალია-კავკასიის ბანკთან“ ა. ჯუკანასკნელის მიერ კულტურული პროექტების რეალიზაციის ხელშეწყობაშიც გამოკვეთილა. უპირველეს ყოვლისა, მსჯელობაში გვაქვს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას ბიუსტისათვის მარმარილოს შესყიდვის ფაქტი, რაც აღნიშნული ბანკის შუამავლობით გადაწყდა. 1920 წლის 31 იანვარს საქართველოს დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიამ (თავმჯდომარე ივ. გომართელი) შეუკვეთა მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს ნოე ჟორდანიას მარმარილოს ბიუსტი. რადგანაც მარმარილო საქართველოში არ მოიპოვებოდა, იგი შეკვეთილ იქნა იტალიის ქალაქ კარნარაში „იტალია-კავკასიის ბანკის“ შუამავლობით. 24 სექტემბრის წერილში ბანკის ცენტრალური დირექცია დამფუძნებელ კრებას ატყობინებდა, რომ მარმარილო გამოიგზავნება ამ ბანკის ბათუმის განყოფილების სახელზე და რომ ანგარიშსწორება აწარმოებს საქართველოს დამფუძნებელი კრებისათვის შეღავათიანი ფორმით (მიუხედავად ბოში-ლიირის ოფიციალური კურსისა)[168].

---

[168] სცსსა. ფ. 1833, ს. 1004, ფ. 2.

საქონელი 22 ოქტომბერს იქნა გამოგზავნილი იტალიიდან და 18 დეკემბერს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა უკვე მიიღო მარმარილოს ჩამოტანის დუბლიკატი. ქართული მხარის მიერ მარმარილოს მიღება დაემთხვა საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმალურ ცნობასთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებებს. 1921 წლის 7 თებერვალს „იტალია–კავკასიის ბანკის" თბილისის განყოფილებამ ასეთი მიმართვა გაუგზავნა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს: „იტალია–კავკასიის ბანკი უაღრესი სიხარულის გრძნობით მიესალმება ქართველი ხალხის უდიდეს ზეიმს. იმ მრავალრიცხოვან მილოცვებს, რომლებსაც ღებულობს საქართველოს წარმომადგენლობითი კრება, გთხოვთ, შეუერთოთ ჩვენი სურვილი ამ ბრწყინვალე ქვეყნის უკეთესი მერმისისა, სადაც სტუმართმოყვარე მიღება ჰპოვა ჩვენმა ინსტიტუტმა, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს ორი სულიერად მონათესავე სალხის ეკონომიკურ დაახლოებას. ესარგებლობთ რა ამ ბედნიერი დღით, ჩვენ ჩვენს თავს უფლებას ვაძლევთ გთხოვოთ – მიიღოთ კარნარის მარმარილო რესპუბლიკის თავმჯდომარის, ბ–ნ ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიას ბიუსტისათვის, როგორც საერთო სიხარულში ჩვენი მონაწილეობის მოკრძალებული გამოხატულება"[369].

1921 წლის 3 იანვარს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ „იტალია–კავკასიის ბანკის" თბილისის განყოფილებას სთხოვა საშუამავლო ხელშეწყობა იტალიაში საკანცელარიო საგნებისა და ქაღალდის შეკვეთასთან დაკავშირებით, რაზეც ბანკმა თანხმობა ვანაცხადა. როგორც მის მიერ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისადმი იმავე წლის 5 იანვრის წერილიდან ირკვევა, ბანკი დასთანხმდა საშუამავლო ოპერაციის წარმოებაზე იტალიის შესაბამის ფირმებთან და მოითხოვა აღნიშნული საქონლის ზუსტი ნუსხა რაოდენობისა და ფორმის მითითებით[370].

---

[369] იქვე, ფ. 9–10.

[370] იქვე, ფ. 12.

კაპიტალის ინვესტირებასთან დაკავშირებული შედარებით მსხვილმასშტაბიანი პროექტების ირგვლივ მოლაპარაკებათა გარდა, საქართველოში მოღვაწეობის სურვილს გამოთქვამდნენ იტალიის კერძო ფირმები და კომპანიები. მართალია, მათ საქმიანობას ლოკალური სავაჭრო ოპერაციების ხასიათი ჰქონდა და ძირითადში ექვიკალენტური საქონელგაცვლითა და მარტივი ტკირთბრუნვით იფარგლებოდა, მიუხედავად ამისა, აღნიშნულ სტრუქტურებთან კომერციული ურთიერთობების წარმოება გარკვეულ როლს ასრულებდა სასურსათო და სხვა დანიშნულების საქონლით ქართული ბაზრის უზრუნველყოფის საერთო საქმეში. მაგალითად, საქართველოში ფუნქციონირებდა იტალიური საქციო საზოგადოება „საგო" („Saggo"), რომელიც წარმოადგენდა ცნობილი იტალიური მონოპოლისტური გაერთიანების – „იტალიის საკოლონიო სინდიკატის" – რეგიონალურ ფილიალს. 1920 წლის ოქტომბრის დასაწყისში საქართველოში იმყოფებოდა ამ სინდიკატის დირექტორი ერალდო კრუში, რომელსაც მნიშვნელოვანი მოლაპარაკებანი ჰქონდა მთავრობის დარგობრივ უწყებებთან სხვადასხვა სავაჭრო-სამრეწველო საკითხებზე[371].

იტალიის სამრეწველო წრეები დაინტერესდნენ საქართველოს აბრეშუმის მრეწველობაში არსებული ვითარებით და გამოთქვეს რეალური სურვილი ამ სფეროში თანამშრომლობისათვის. ამასთან, თვით საქართველოს მთავრობას ჰქონდა შემუშავებული სპეციალური პროგრამა მეაბრეშუმეობის და აბრეშუმის მრეწველობის განვითარება-გავრცელებისათვის უცხოური კაპიტალის მოზიდვის თვალსაზრისით. 1920 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში საქართველოში ჩამოვიდა და მიწათმოქმედების სამინისტროსთან მოლაპარაკება გამართა იტალიელმა მრეწველმა ე. პოჯიმ. მიღწეულ იქნა შეთანხმება აბრეშუმის მრეწველობის სამტრედიის საწარმოს

---

[371] „საქართველო", 1920 წლის 8 ოქტომბერი.

ამუშავების თაობაზე იტალიური ინვესტიციების ბაზაზე. 19 ოქტომბერს საქართველოს ეკონომიკურმა საბჭომ (მოიმარაგების მინისტრ ერაძის, მიწათმოქმედების მინისტრ ხომერიკის და ფინანსთა მინისტრის ამხანაგის ავალიანის შემადგენლობით) სპეციალურ სხდომაზე განიხილა ე. პოჯის მიერ შეთავაზებული საკონტრაქტო პირობები და მიიღო გადაწყვეტილება მისთვის სამტრედიის ქარხნის ამუშავებაზე ლიცენზიის მიცემისა და აბრეშუმის პარკით მომარაგების შესახებ. ამასთან, კონტრაქტის საბაზისო პირობები ხელსაყრელი იყო საქართველოსათვის. კერძოდ, მიღებული დადგენილების 2-ე პუნქტის თანახმად, პოჯი ვალდებული იყო მთელი პროდუქცია საქართველოს მთავრობისათვის ჩაებარებინა. მე-3 პუნქტის პირობებით კი მხოლოდ მთავრობას ჰქონდა ევროპულ ბაზარზე მიღებული ფასებით პროდუქციის რეალიზაციის უფლება. ამ რეალიზაციიდან მიღებული თანხით იგი ინაზღაურებდა იტალიელ მრეწველზე გაცემული ნედლეულის ღირებულებას. ასევე ევროპული ტარიფებით, და მხოლოდ დარჩენილი ნაწილი თანხისა, თანაც ტრანსპორტირების საფასურის გამოკლებით, გადადიოდა პოჯის სარგებლობაში[372].

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის საქართველოსა და იტალიის ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიაში, საქართველოს სამეურნეო სისტემაში იტალიური კაპიტალის შედარებით დინამიკური ინვესტირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ხელშეკრულება ტყვარჩელის ქვანახშირის აუზის კონცესიის შესახებ. ჩვენ ზოგადად შევეხეთ საქაროველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის „კონცესიურ პოლიტიკას“, ამ პოლიტიკის განმაპირობებელ მიზეზებს, არსს, მის შესაბამისობას საკუთრივ საქართველოს სასიცოცხლო ეკონომიკურ ინტერესებთან და, რაც მთავარია, ამ პოლიტიკაში ჩადებულ უკუგებით მომენტებს. ამიტომ

[372] სცსისა, ფ. 1891, აღწ. 1, ს. 389, ფ. 1.

აქ სიტყვას აღნიშნულ საკითხზე არ გავაგრძელებთ. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ ჟორდანია-გეგეჭკორის ხელისუფლების „კონცესიური პოლიტიკა“ ტენდენციურად, იტალიასთან და საფრანგეთთან დადებული საკონცესიო კონვენციების ფაქტობრივ მონაცემთა შეგნებული და მიზანმიმართული ფალსიფიკაციის საფუძველზეა გაშუქებული საბჭოურ ისტორიოგრაფიაში. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია კ. ჩარკვიანის მონოგრაფიაში მოცემული თვალსაზრისი, რომელშიც „კონცესიური პოლიტიკა“ შეფასებულია როგორც „ქვეყნის ნაციონალური სიძლიერის უდიდესი ნაწილის უცხოური კაპიტალისათვის გადაცემა და განიავება(?)“, რასაც თითქოს მოჰყვებოდა „ქართველი ხალხის დენაციონალიზაცია (თშს) და მისი დიდძალთის მიტაცება“[173]. ოუ ვისგან და რა ფორმებით დაეშუქრა ქართველ ხალხს არათუ მატერიალური დოვლათის გარკვეული ნაწილის, არამედ მთელი საქართველოს მიტაცების საშიშროება, ზედმიწევნით კარგადაა ცნობილი. ისიც კარგადაა გაცნობიერებული, თუ საიდან და ვისგან მოელოდა ქართველ ერს ეთნიკური თავისთავადობის დაკარგვისა და „ეუროსი ძმის“ პრიორიტეტებით შეკოწიწებულ „ინტერნაციონალურ“ დომხალში გათქვეფის საფრთხე. აბსოლუტურად მცდარი და ყოვლგვარ საფუძველს მოკლებულია ჩარკვიანის მტკიცება, თითქოს „კონცესიების გაცემისას მათი სიდიდის, რაოდენობისა და გეოგრაფიული გაადგილების მხრივ ზომასა და სიფრთხილეს არავინ ჩენდა“[174]. იტალიასთან დადებული კონცესიის საბაზისო პროცესის, საკონკურენტო ფასების განსაზღვრული დონის გადახდის პირობების, საკომპენსაციო გარანტიების, მოსალოდნელი ღავების არბიტრაჟული განხილვის წესებისა და სხვა მომენტების თანმიმდევრული ანალიზი, რასაც ქვემოთ კვლევობთ, ეფიქრობთ, დაადასტურებს ზემოხსენებულ განზოგადებათა

---

[173] კ. ჩარკვიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 150.

[174] იქვე.

ტენდენციურობას, კონიუნქტურულობასა და უსაფუძვლობას.

ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოზე კონცესიის გაცემის წინასწარ, მოსამზადებელ ეტაპზე საქართველოს მთავრობამ ყურადღება გაამახვილა პარტნიორის, ე. ი. კონტრაჰენტის არჩევანზე. ცხადია, რომ კონტრაჰენტის არჩევის პროცესში უმთავრეს ორიენტირს წარმოადგენდა პერსპექტიული პარტნიორის ფინანსური და საწარმოო შესაძლებლობანი, ტყვარჩელის ქვანახშირზე მისი დაინტერესების ფორმები და სხვა კრიტერიუმები. კონცესიის მიღებით დაინტერესებული პრეტენდენტებისაგან არჩევანი იტალიის მძლავრ მონოპოლიაზე – ბრძმედებისა და ფოლადსასხმელი ქარხნების გაერთიანება „Llva"-ზე შეჩერდა[375]. მოლაპარაკებანი აღნიშნულ სტრუქტურასთან 1919 წლის შემოდგომაზე დაიწყო. საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორმა ალშიბაიამ „ილვა"-ს წარმომადგენელს დელ-პროპოსტოს (ეს უკანასკნელი პარალელურად საქართველოში იტალიის მისიის წევრი იყო) წარუდგინა ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც ფიქსირებული იყო კონცესიაზე ცნობები. დელ-პროპოსტომ აღნიშნული მონაცემები იტალიაში წარუდგინა „ილვა"-ს გენერალურ დირექტორს ორლანდოს, რომელსაც მოეწონა შეთავაზებული პირობები და დაუყოვნებლივ დათანხმდა მოლაპარაკებათა დაწყებაზე. მოლაპარაკებებს აწარმოებდა იტალიაში საქართველოს ეკონომიკური მისია. როგორც 1920 წლის 7 იანვარს ამ მისიის მიერ რომიდან ნ. ჟორდანიასა და ევგ. გეგეჭკორისადმი გამოგზავნილი მოხსენებიდან ირკვევა,

---

[375] იმ კრიტერიუმთა საერთო ჯამისაგან, რომელთაც აღნიშნული არჩევანი განაპირობეს, აღსანიშნავია „ილვა"-ს ფინანსური და საწარმოო სიძლავრეები (საწესდებო კაპიტალი 300 მლნ. ლირა) და იტალიის განსაკუთრებული დაინტერესება ქვანახშირით. საქმე იმაშია, რომ იტალიისათვის ქვანახშირი სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეულს წარმოადგენდა, რის გამოც ამ ქვეყნის საწარმოები, სხვა სახელმწიფოთა საწარმოებისაგან განსხვავებით, დაინტერესებულნი იყვნენ არა მისი ბაზარზე გატანით, არამედ უშუალო მოხმარებით.

მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ნ. ჯაყელი და ვ. ეოიტინსკი, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ მთავრობისაგან მიღებული საერთო ხასიათის დირექტივებით[376]. ამასთან, ქართულ მისიასა და „ილკა"-ს ადმინისტრაციას შორის მიმდინარე ამ მოლაპარაკებებს ჰქონდა წინასწარი ხასიათი, რომელთა დროსაც შეთანხმებულ იქნა მხოლოდ კონცესიასთან დაკავშირებული საერთო დებულებები.

1920 წლის მარტში, საქართველოდან სენატორ კონტის მისიის გამგზავრების შემდეგ, ამ მისიის ორი წევრი – დელ პროპოსტო და მიქაელ პინტო თბილისში დარჩნენ და გააგრძელეს მოლაპარაკებანი კონცესიის თაობაზე უშუალოდ საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან. ამასთან, პინტოს მეშვეობით (რომელიც როგორც ვიცით, იტალია-კავკასიის ბანკის მთავარი მმართველი იყო) პროცესში ჩაერთო იტალია-საქართველოს გამნაღდებელი ბანკიც.

მოლაპარაკებათა უკანასკნელი ეტაპი კი წარიმართა საქართველოს საგანგებო ეკონომიკური მისიის რომში ვიზიტის ფარგლებში. ცნობილია, რომ 1920 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ ევროპის ქვეყნებში გაგზავნა საგანგებო ეკონომიკური მისია ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კ. კანდელაკის მეთაურობით. ამის პარალელურად რომში, პარიზსა და ლონდონში დაარსდა საქართველოს კომერციული სააგენტოები. 1920 წლის 23 მარტის დეკრეტით დამფუძნებელმა კრებამ სააგენტოების დაარსებისა და ეკონომიკური მისიის გამგზავრების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 20 მლნ. მანეთი გამოყო[377]. მისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ სახელმწიფო კონტროლიორი ჟ. გოგიჩაიშვილი, ნ. ნიკოლაძე და სხვ. ჟორდანიამ აღჭურვა დაინტერესებულ სახელმწიფოებრივ და კერძო კორპორაციებთან

---

[376] სცსსა, ფ. 1801. აღწ. 1, ს. 319, ფ. 109–110.

[377] „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წლის 31 მარტი.

მოლაპარაკებათა წარმოებისა და შეთანხმებათა გაფორმების საკანგებო რწმუნებებით. ამ უფლებამოსილებათა ფარგლებში კანდელაკმა 1920 წლის ოქტომბერში დაამთავრა მოლაპარაკებანი ტყვარჩელის კონცესიის თაობაზე და 11 ოქტომბერს რომში ხელი მოაწერა მას საქართველოს მთავრობის სახელით[378]. ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ ასევე –„ილვა"-ს გენერალური დირექტორი ორლანდო და იტალია-საქართველოს სადისკონტო ბანკის თავმჯდომარე პოლიანი. კონცესიონერის სტატუსს კი, „ილვა"-სთან და ბანკთან ერთად, იძენდა ასევე „კავკასიისათვის იტალიური კომპანიაც". ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ საქართველოს მისიის პატივსაცემად რომში გაიმართა საზეიმო სადილი, რომელსაც დაესწრნენ იტალიის ცნობილი და გაკლენიანი მოღვაწეები – სენატორი მარკონი, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ტალიანი, ბონდი და სხვ. შეეხო რა 11 ოქტომბრის შეთანხმების დიდ მნიშვნელობას ორი ქვეყნის ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი გააქტიურების საქმეში, კანდელაკმა გამოთქვა რწმენა, რომ „მომავალში იტალიასა და საქართველოს შორის უფრო განმტკიცდება მეგობრული განწყობილება"[379].

ტყვარჩელის კონცესიის[380] ვადა განისაზღვრა 45 წლით. ამ საკონცესიო ვადის განმავლობაში საქართველოს მთავრობა კონცესიონერებს აძლევდა ქვანახშირის აუზის ფარგლებში (მღ. ღალიძგასა და მისი შენაკადების ხეობის სივრცეზე) საბადოს გამოკვლევისა და ექსპლოატაციის განსაკუთრებულ უფლებას. გარდა ქვანახშირის საბადოს ექსპლოატაციისა, იტალიურ მხარეს მიეცა გარანტიები კავშირვაბმულობის საშუალებათა და სატრანსპორტო კომუნი-

---

[378] გარდა ამისა, კანდელაკის მისიამ მიაღწია ორ მნიშვნელოვან შეთანხმებას: „ქართულ-ფრანგული ანონიმური საზოგადოების" შექმნის და საფრანგეთისთვის აბრეშუმის მრეწველობის საწარმოების მშენებლობის კონცესიის გადაცემის და ინგლისის საგარეო ვაჭრობის ბანკისაგან 1,5 მლნ. გირვ. სტერლინგის სესხის მიღების შესახებ.

[379] „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წლის 16 ნოემბერი.

[380] სცსსა, ფ 1833, აღწ. 1, ს. 1412, ფ. ფ. 13–23.

კაციების (სარკინიგზო, საგზაო) მშენებლობისა, ასევე სოხუმსა და ფოთს შორის ნავსადგურის მოწყობისა. ამასთან, აღნიშნული კომუნიკაციების მშენებლობის ძირითადი წინაპირობა იყო მათი პროექტების წინასწარი წარდგენა და შეთანხმება საქართველოს მთავრობასთან (მუხლი 2). მთავრობასთან შეთანხმებული უნდა ყოფილიყო როგორც კომუნიკაციების ტიპები, ასევე მათი გაყვანის ტექნიკური პირობებიც.

ხელშეკრულების V მუხლი არეგულირებდა კონცესიისათვის მიწის ფონდის გადაცემის პრინციპებს. მიწის იურიდიულ მესაკუთრედ რჩებოდა საქართველოს მთავრობა (სახაზინო მიწები). კონცესიონერებზე ვრცელდებოდა ამ სახაზინო მიწებით უფასო სარგებლობის პრინციპი, თანაც ის ვრცელდებოდა მიწის იმ ნაწილზე, რომელზეც კონცესიონერები გადაწყვეტდნენ საჭირო შენობების, ნაგებობებისა და დაწესებულებების აგებას. ხოლო ის მიწები, რომლებიც ადგილობრივი ადმინისტრაციისა და კერძო პირთა საკუთრებას შეადგენდნენ, ექვემდებარებოდნენ შესყიდვას კონცესიონერთა მხრიდან. ამასთან, გამოსყიდული მიწების ის ნაწილი, რომელიც ადმინისტრაციისაგან იყო შეძენილი, ავტომატურად არ გადადიოდა კონცესიონერთა საკუთრებაში, არამედ სახაზინო მიწების ფონდში გადადიოდა. ერთი სიტყვით, მთელი საკონცესიო ვადის განმავლობაში საქართველოს მთავრობა არ კარგავდა კონცესიის ტერიტორიის ფარგლებში მიწაზე საკუთრების უფლებას.

რაც შეეხება კონცესიის ფინანსურ პირობებს, მოპოვებული ქვანახშირის რეალიზაციიდან მოგების 10% კონცესიონერებს რჩებოდა, ხოლო 10%-ზე ზევით მოგების საერთო თანხის 50% საქართველოს ბიუჯეტში ირიცხებოდა. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობამ მიიღო უფლება ყოველწლიურ წმინდა შემოსავალზე, ე. ი. ბალანსისა და ქვანახშირის მოპოვება-ტრანსპორტირებაზე დახარჯული თანხის გამოკლებით მიღებული შემოსავლის ნაწილზე. ხელშეკრულების IV მუხლში აღნიშნულია, რომ მთავრობას

უფლება აქვს შემოსავლის ყოველწლიური მასის იმ ნახევარზე, რომელიც საერთო სააქციო კაპიტალის 10%-ის გამოკლებით იქნება მიღებული.

გარდა იმისა, რომ საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად ღებულობდა წილობრივ გადარიცხვებს ქვანახშირის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული თანხიდან, მას ჰქონდა პროდუქციის ნატურალური ფორმით მიღების უფლებაც: პირველ ათ წელიწადს – 10%-ის, მეორე ათ წელიწადს – 15%-ის და დანარჩენ ოცდაორ წელიწადს (სამი წელიწადი კონტრაქტის ხელმოწერიდან განკუთვნილი იყო საინჟინრინგო , დაზვერვით, გეოლოგიურ-გამოკვლევითი და საპროექტო-კონსულტაციური სამუშაოებისათვის) – 20%-ის ოდენობით.

რა თქმა უნდა, კონცესიის ფინანსური რეჟიმი არ წარმოადგენდა საუკეთესო საშუალებას საქართველოსთვის, მაგრამ თუ გაკითვალისწინებთ, საერთოდ, კონცესიების არსს, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მთავრობა, სხვა ქვეყნებთან დადებული კონცესიების ანალოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, შედარებით უკეთეს პირობებში მოექცეოდა. ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ თუ კონცესიონერებს არ მიეცემა ფინანსური უპირატესობანი დადებული საკონცესიო ხელშეკრულების ფარგლებში, მაშინ „კონცესია“, როგორც ასეთი, როგორც ცნება, თავისთავად, კარგავს მნიშვნელობას. ამასთან, „კონცესიების ისტორიაში“ ფინანსური წონასწორობა და მოგების თანაბარი განაწილების პრინციპები გაცილებით გვიან, XX საუკუნის მეორე ნახევარში დამკვიდრდა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში და მკრეხელობა იქნებოდა ჟორდანიას მთავრობის საკონცესიო პოლიტიკა ამ პრინციპების გამოყენება-არაგამოყენების კონტექსტში განგვესილა.

ტყვარჩელის საკონცესიო ხელშეკრულების მიერ რეგულირებული საწარმოო სტრუქტურა და ადმინისტრაციული მართვის სისტემა გამორიცხავდა კონცესიონერთა მიერ საბადოს ექს-

პლანტაციის აბსოლუტურ მონოპოლიზებას და სავალუტო და სხვა სახის ოპერაციების წარმოებას. ამ თვალსაზრისით ხელშეკრულებაში ჩადებული იყო აღნიშნულ დაწესებულებაზე საქართველოს მთავრობის კონტროლის მექანიზმი. კონტროლის ეს უფლება, როგორც ხელშეკრულების XV მუხლშია ხაზგასმული, მოტივირებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ეკონომიკური ინტერესების დაცვის აუცილებლობით. მთავრობა კონცესიური საწარმოს გამგეობაში მიაკლენდა თავის ოფიციალურ წარმომადგენელს (მისი ჯამაგირი კონცესიონერების ხარჯზე ირიცხებოდა), რომელსაც უნდა მისცემოდა საწარმო მთელს საქმიანობაზე (გეოლოგიური გამოკვლევანი, შენობა-ნაგებობის მშენებლობა, ქვანახშირის ამოღება და გადაზიდვა-გაყიდვა) თვალყურის დევნების უფლება. მაშასადამე, მთელს საწარმოო პროცესზე საქართველოს მთავრობის კონტროლი მყარდებოდა, ამასთან, ხელშეკრულებაში ჩადებული იყო, ასე ვთქვათ, „ირიბი ფინანსური კონტროლის" მექანიზმიც, რასაც აწესებდა მისი XIX მუხლი. ამ მუხლის თანახმად, ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 3 თვის ვადაში კონცესიონერებს უნდა ჩამოეყალიბებინათ ქართული სააქციო საზოგადოება, რომელსაც უნდა გადაცემოდა ხელშეკრულებით გარანტირებული ყველა უფლებანი და, ასევე, ვალდებულებანიც. სააქციო საზოგადოების ფინანსური სტრუქტურა მთლიანად იტალიურ მხარეს უნდა შეექმნა პირველდაწყებითი სააქციო კაპიტალის 15 მილიონი ლირის ოდენობით, შემდგომში 30 მილიონამდე გაზრდის პირობით.

საწარმოს გამგეობაში, ქართველი მრეწველების წარმომადგენლობის გარდა, მთავრობას უფლება ჰქონდა თავისი უშუალო წარმომადგენელი — ადმინისტრატორი დაენიშნა.

კონცესიას ექსტერიტორიულობის უფლება ჰქონდა მხოლოდ უშუალოდ აუზის ფარგლებში. მასზე ვრცელდებოდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა, ასევე საბაჟო იურისდიქციაც. „ილვა" ძალიანად არ თავისუფლდებოდა საბაჟო ტარიფებისა და საშე-

მოსაელო და სხვა გადასახადებისაგან. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ის მანქანები, მოწყობილობანი და სხვა საგნები, რომლებიც აუცილებელი იყო რკინიგზის, ნავსადგურის, შენობა-ნაგებობების ასაშენებლად, შახტების გამართვა-რეკონსტრუქციისათვის (მუხლი VI). ამოღებული ნახშირის ტრანსპორტირების ტარიფები კონცესიონერებს უნდა გადაეხადათ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. კონცესიაზე ვრცელდებოდა საქართველოს სასამართლო იურისდიქციაც. კერძოდ ხელშეკრულების XXI მუხლი („საარბიტრაჟო კომისია") აცხადებდა: „ყოველგვარი დავის განსახილველად..... კონცესიონერები საქართველოს სასამართლოებს ემორჩილებიან". თვით საარბიტრაჟო კომისიაში უზრუნველყოფილი იყო მხარეთა პარიტეტული წარმომადგენლობა – ერთი მთავრობის მიერ არჩეული არბიტრი, მეორე – კონცესიონერთა მიერ არჩეული და მესამე – აღნიშნული ორი შუამავლის მიერ არჩეული.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულება საქართველოს მთავრობას კონცესიის ცალმხრივად ანულირების უფლებასაც აძლევდა იმ შემთხვევაში, თუ იგი დაინახავდა, რომ კონცესიონერთა უფლებების რეალიზაცია ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ინტერესებს (მუხლი XX).

საქართველოს ეკონომიკური ინტერესების თვალსაზრისით ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება საკონცესიო ხელშეკრულების VII მუხლს, რომელიც კონცესიის ვადის გასვლის შემდეგ მთელი საწარმოო სისტემის, სატრანზიტო და კავშირგაბმულობის საშუალებათა, ყოველგვარი უძრავ-მოძრავი ქონების საქართველოს მთავრობისათვის უსასყიდლოდ გადაცემას ითვალისწინებდა. ამასთან, მთავრობას უფლება ჰქონდა 45-წლიანი ვადის დასრულებამდე 15 წლით ადრე გამოესყიდა მთელი დაწესებულება კონცესიონერებისათვის გამოსყიდვის შესახებ წელიწადნახევრით ადრე შეტყობინების პირობით.

ყველა ზემოთაღნიშნული მონაცემების საფუძველზე, ტყვარჩელის კონცესიის პირობითი

სქემა შეგვიძლია შემდეგი სახით წარმოვადგინოთ:

კონცესიის ადგილმდებარეობა	კონცესიონერი სტრუქტურები	კონცესიის ტერიტორია	ხელმოწერის თარიღი	მოქმედების ვადა
ტყვარჩელის ზონა	იტალიის ფირმა „ილვა“–ბრძენდებისა და ფოლადსახმელი ქარხნების საზოგადოება; იტალია-კავკასიის სადისკონტო ბანკი და კავკასია იტალიის კომპანია.	მდ. ღალიძგისა და მისი შენაკადების ხეობის მთელი სივრცე, ექსტერიტორიულობის უფლებით.	1920 წლის 11 ოქტომბერი.	45 წელი. გამოსყიდვის ვადა 30 წელი. კონცესიონერთა შესაძლებელი სუბლეტები არენდა გამოსყიდვიდან ათი წლის მანძილზე ან კონცესიის ვადის გასვლიდან ასევე 10 წლის განმავლობაში.

ამრიგად, ტყვარჩელის საკონცესიო ხელშეკრულება ორივე მხარის კომპრომისის ლოგიკური შედეგი იყო. მის დადებით მომენტს განაპირობებდა ის გარემოება, რომ კონცესიონერებად გამოდიოდნენ მხოლოდ ერთი სახელმწიფოს საწარმოო და საბანკო სტრუქტურები, რაც გამორიცხავდა ასეთ შემთხვევებში ტრადიციად ქცეულ სხვადასხვა ქვეყნის ინტერესთა დაპირისპირებას, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა კონცესიის ობიექტი სახელმწიფოს ეკონომიკაზე. კონცესიის უმთავრესი დანიშნულება ის იყო, რომ ივი უზრუნ-

ველყოფდა საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში იტალიის კაპიტალდაბანდებებს. ამასთან, ინვესტირებული კაპიტალის დარგობრივი სტრუქტურები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ მრეწველობის ამ სფეროთი. კაპიტალის დაბანდება გათვალისწინებული იყო ქვანახშირის წარმოების, გადაზიდვისა და რეალიზაციის პროცესთან დაკავშირებულ სფეროებშიც – გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოები, რკინიგზებისა და ნავსადგურის მშენებლობა, კავშირგაბმულობის კომუნიკაციათა შექმნა და ა.შ., რომლებიც კონცესიის ვადის გასვლისას საქართველოს სრულ და უპირობო საკუთრებაში გადადიოდა.

კონცესიის მოქმედების პროცესში მიღებული შემოსავლებით საქართველოს მთავრობას მიეცემოდა საშუალება მრეწველობის სხვა დარგების გამოცოცხლებისათვის, სავალუტო სისტემის გაჯანსაღებისათვის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის (მარტო კონცესიის ფარგლებში გაანგარიშებული იყო ხუთი ათასი მუშახელის დასაქმება).

მაშასადამე, ტყვარჩელის კონცესია საქართველოსა და იტალიას შორის ფინანსურ-ეკონომიკური შეთანხმების თავისებულ ფორმას წარმოადგენდა, რომელიც, იტალიის სამრეწველო და საბანკო ჯგუფებისათვის გარკვეული განსაკუთრებული უფლებების მინიჭებასთან ერთად, ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის. ამასთან, კვლავ გავიმეორებთ, რომ როგორც თვით ხელშეკრულებაში გარანტირებული პირობები, ასევე ეკონომიკურ პროცესებზე სახელმწიფოს ზემოქმედების არსებული მექანიზმები (უპირველეს ყოვლისა, მიწის ძირითად ფონდზე სახელმწიფო საკუთრება, საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობა) იტალიური კაპიტალის კონტროლის საშუალებას იძლეოდნენ და, მითუმეტეს, გამორიცხავდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში კონცესიონერთა გაბატონების ყოველგვარ შესაძლებლობას.

აღნიშნული ხელშეკრულება (ისევე როგორც ხელშეკრულებანი ინგლისურ სესხთან და ფრანგულ კონცესიასთან დაკავშირებით) კანდელაკმა მთავრობას წარუდგინა 1921 წლის იანვარში. მთავრობამ ეს კონვენციები მოიწონა და დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრებას გადასცა 15 იანვარს. ტყვარჩელის საკონცესიო ხელშეკრულება მოიწონა დამფუძნებელი კრების საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ, ხოლო 16 იანვარს — იურიდიულმა კომისიამ[381]. მაგრამ საბჭოთა რუსეთის ინტერვენციამ მისი რატიფიკაცია ჩაშალა.

საქართველოსა და იტალიის თანამშრომლობამ გარკვეულწილად სამხედრო-ეკონომიკურ სფეროშიც ჰპოვა გამოვლინება, თუმცა მას სხვა სფეროებისათვის ჩვეული დინამიზმი არ ახასიათებდა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია იტალიის მისიის მიერ საქართველოსთვის კონცესიურ საწყისებზე მძლავრი რადიოსადგურის „მარკონის“ დაპროექტება და ორგანიზება, ასევე 1919 წლის ივნისში, საქართველოში იტალიური საექსპედიციო კორპუსის შესაძლებელი დისლოკაციის მოლოდინში, იტალიაში „კონდორის“ ტიპის ოთხი აეროპლანის შეძენა.

ასეთი იყო, ძირითადში, საქართველოსა და იტალიის ეკონომიკურ ურთიერთობათა ტენდენციები 1919—1921 წლებში. საქართველოში იტალიის ეკონომიკური ინტერესები ხელს უწყობდნენ ორი ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა და საქონელგაცვლის პროცესების გააქტიურებას, იტალიური კაპიტალის მოდინებას საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში. ზოგიერთი სტატისტიკური ცნობა საშუალებას გვაძლევს მიახლოებით განვსაზღვროთ იტალიის ფირმებისა და კომპანიების მიერ ქართული ბაზრის „მონოპოლიზაციის“ ხარისხი და მასშტაბები. ერთ-ერთი ასეთი ცნობის თანახმად, 1920 წლის ივლისისათვის იტალიიდან შეშოტანილ იქნა 24374 ტონა სხვადასხვა სახის საქონელი, რომლის

[381] სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, ს. 1412, ფ. 27.

ქართულ ბაზარზე რეალიზაციის საერთო თანხამ 80 მილიონ 194 ათას 200 ლირა შეადგინა. საქართველოში იტალიის ელჩის ვ. ჩერუტის მონაცემებით, საქართველოს საქონელბრუნვის საერთო მოცულობამ 1920 წელს შეადგინა 5 მლნ. გირვანქა სტერლინგი (იმპორტი – 3 მლნ. და ექსპორტი – 2 მლნ.). ამ მოცულობიდან საგრძნობი უპირატესობა იტალიას ჰქონდა. კერძოდ საქართველოში იმპორტირებული საქონლის 70% იტალიური იყო, ხოლო სატრანსპორტო გადაზიდვების 65% – ასევე იტალიური. ამასთან, საქართველოდან ნედლეულის ექსპორტზე იტალიის კავკასიის ბანკის მიერ გაცემული სესხი 80 მლნ. ლირას აჭარბებდა[382].

აქვე ავღნიშნავთ, რომ საქართველოს მიმართ იტალიის ეკონომიკური ინტერესები მნიშვნელოვნად აპირობებდნენ იტალიის პროქართულ პოლიტიკურ და დიპლომატიურ აქციებს საერთაშორისო ასპარეზზე, რასაც, მიუხედავად იტალიის შეზღუდული სამხედრო პოტენციალისა და მსოფლიო პოლიტიკაში არც ისე განმსაზღვრელი როლისა, მაინც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცების თვალსაზრისით.

[382] ი. ტაბაღუა, იტალიამ პირველმა დაამყარა..., „საქ. ურთ. ეკონ. და სამარ. ქვესკნებთან", ტ. I, თბ., 1994, გვ. 156.

დასკვნა:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და იტალიის კონსტიტუციური მონარქიის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა 1919–1921 წლებში წარმოადგენს როგორც ორი სახელმწიფოს დიპლომატიისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ისტორიის, ასევე იმდროინდელი საერთაშორისო პროცესის შემადგენელ ელემენტს. ამდენად, ამ მოვლენის შესწავლა და წარმოჩენა ორ განზომილებაში – ერთი მხრივ, საკუთრივ საქართველო-იტალიის კავშირურთიერთობათა საერთო პროცესის ფონზე და, მეორე მხრივ, საერთაშორისო სისტემის ფარგლებში მიმდინარე გლობალური ტენდენციების, კერძოდ „აღმოსავლეთის საკითხისა“ და „რუსეთის საკითხის“ ჭრილში – არის მიზანშეწონილი.

წარმოდგენილ გამოკვლევაში იტალია- საქართველოს ურთიერთობანი სწორედ აღნიშნულ ორ განზომილებაშია გააზრებული. ამასთან, გამოკვეთილია საქართველოში იტალიის აქტიური პოლიტიკის, ეკონომიკური ინტერესების მასტიმულირებელი მომენტები, ნაჩვენებია საერთაშორისო პოლიტიკის ის ტენდენციები, რომლებმაც განაპირობეს ამ „აქტიურ“ პოლიტიკაზე უარის თქმა და იტალიის მმართველი წრეების ორიენტაცია „შეზღუდული“, ბალანსირებული პოლიტიკური და დიპლომატიური აქციების განხორციელებაზე. საკვლევი პრობლემის ამ მიზანდასახულობით გააზრება შემდეგი დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს.

1. აღნიშნულ პერიოდში იტალიისა და საქართველოს ურთიერთობათა აქტივიზაცია საფუძველჩაყრილი და გარკვეულწილად შემზადებული იყო XIX საუკუნის მთელს სიგრძეზე ორი ქვეყნის საზოგადოებრივ-კულტურული ურთიერთობებით. 1918 წლამდე „იტალიური ფენომენი“ საკმაოდ სოლიდურად იყო წარმოდგენილი ქართულ კულტურაში, პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრივ აზრში (ქართული განმანათლებლობის მიმართება იტალიური „რისორჯიმენტოსადმი“, იტალიური ოპერა თბილისში, იტალიური ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებების თარგმნა, ორი ერის სახელოვან მოღვაწეთა ეპისტოლარული მიმოწერა და სხვ.).

2. პირველი მსოფლიო ომის დროინდელმა „საიდუმლო ხელშეკრულებათა სისტემამ“ (1915 წლის 23 მაისის ლონდონის შეთანხმება, 1916 წლის „საიქს-პიკოს პროექტი“, 1917 წლის 19 აპრილის სენ-ჟან დე მორიენის შეთანხმება) იტალიაც ჩართო

ანტანტის სახელმწიფოთა მიერ ახლო აღმოსავლეთის განაწილების პროცესში და შესაბამისად ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში წარმოშვა „აღმოსაელურ-კავკასიური" მიმართულება. იტალიის მმართველმა წრეებმა დაიწყეს რეგიონში პოლიტიკური გავლენის დამყარებისა და სამხედრო ყოფნის პროექტების შემუშავება.

საქართველო, როგორც გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მნიშვნელობის სახელმწიფო, გარკვეულ როლს ასრულებდა შეთანხმების სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში, უფრო სწორად ამ პოლიტიკის ე. წ. „რუსულ საკითხში", უპირატესწილად სამხრეთის მიმართულებით ბოლშევიზმის შემდგომი გავრცელების ბლოკირებისათვის კავკასიურ სახელმწიფოთა ბუფერული სისტემის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

3. პარიზის საზავო კონფერენციაზე, ომისშემდგომი მოწყობის საერთო სისტემის რეგულირებისას ანტანტის ბლოკის სახელმწიფოებმა მოახდინეს „საიდუმლო შეთანხმებით" სანქცირებული იტალიის ტერიტორიულ პრეტენზიათა იგნორირება. ასეთ პირობებში ინგლისის დიპლომატიამ ცენტრისტული პოზიცია დაიკავა და, კომპენსაციის სახით, იტალიას საქართველოსა და აზერბაიჯანზე სამანდატო პროტექტორატის დამყარების იდეა შესთავაზა, რაც, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობდა რეგიონში ბრიტანული სამხედრო ყოფნის იტალიურით შეცვლას. ორლანდოს კაბინეტმა მიიღო ლოიდ-ჯორჯის წინადადება და 1919 წლის 8 აპრილს ხელმოწერილ იქნა შესაბამისი სახელმწიფოთაშორისი შეთანხმება.

4. საქართველოსა და კავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეში იტალიის აქტიური პოლიტიკის მასტიმულირებელ მომენტებს შორის ჩვენ გამოვყავით ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული ფაქტორები. სწორედ ამ ფაქტორებით იყო შეპირობებული იტალიის პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებში მიღებული გადაწყვეტილებანი და პროექტები, რომლებიც ქმნიდნენ საქართველოში იტალიის პოლიტიკის და ამ ფონზე, ორი ქვეყნის ურთიერთობათა თავისებურ ბაზისს (ორლანდოს მთავრობის 1919 წლის 22 მარტის დადგენილება, პარიზის კონფერენციაზე იტალიის სახელმწიფო დელეგაციის იმავე წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება, საფრანგეთში იტალიის სამეფოს საელჩოს მრჩევლის, გრაფ. რადინოს პროექტი).

1919 წლის 9 მაისს საქართველოში ჩამოვიდა იტალიის სპეციალური სამხედრო მისია გენერალური შტაბის პოლკოვნიკის, მელკიადე გაბას მეთაურობით. მისიის უმთავრესი დანიშნულება იყო საქართველოში არსებული ვითარების შესწავლა ყველა პარა-

მეტრებით (პოლიტიკური, სამხედრო-სტრატეგიული, ეკონომიკური, ტერიტორიულ-ადმინისტრატიული, ეთნოგრაფიული), რაც საშუალებას მისცემდა ორლანდო-სონინოს მთავრობას საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისათვის. თავისი რწმუნებულების ფარგლებში გაბას მისიამ აქტიური საქმიანობა გაშალა.

5. პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციამ იმთავითვე მიმართა შემხვედრ დიპლომატიურ აქციებს იტალიის დაინტერესებულ წრეებთან კონტაქტების დამყარებისათვის (1919 წლის 23 მარტის „პარიზის თათბირი", აპრილის დამდეგს ნ. ჩხეიძისა და ზ. ავალიშვილის შეხვედრა ს. რაჭისთან და პ. ტორეტისთან).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა სათანადოდ არ იყო ინფორმირებული და იგი, როგორც იტყვიან, ფაქტის წინაშე დააყენეს გაბას მისიის ვიზიტით, ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში დაიწყო „იტალიური ორიენტაციის" სარგებლიანობისა და მიზანშეწონილობის პროპაგანდა.

6. 1919 წლის ივნისის დასაწყისში, მეფის სანქციით, იტალიის მთავრობამ მიიღო საბოლოო დადგენილება საქართველოსა და აზერბაიჯანში საექსპედიციო კორპუსის დისლოცირებისა და რეგიონზე მანდატის აღების შესახებ. თუმცა, უკვე ივნისის მეორე ნახევარში პოლიტიკურმა კრიზისმა „იმსხვერპლა" ორლანდოს მთავრობა. ხოლო ახალმა კაბინეტმა თავისი პირველივე აქტით გააუქმა ზემოხსენებული დადგენილება.

ნიტი-ტიტონის მთავრობის მიერ ორლანდოსეული „აქტიური კავკასიური პოლიტიკის" უარყოფაზე ლიბერალური, სუბიექტური საგარეო-პოლიტიკური კონცეფციების გარდა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინეს ობიექტური ხასიათის ფაქტორებმა. ჩვენ შეძლებისდაგვარად მოვახდინეთ ამ ობიექტური ფაქტორების დიფერენცირება და შინაგანი თვისობრივი პარამეტრების მიხედვით ისინი სამ უმთავრეს მომენტამდე დავიყვანეთ: 1) „რუსეთის ფაქტორი". ამასთან, ამ შემთხვევაში გავითვალისწინეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეში იტალიის გააქტიურებისადმი როგორც ფაქტობრივი ბოლშევიკური რეჟიმის, ისევე „რესტავრაციული მოძრაობის" (დენიკინი, კოლჩაკი) ნეგატიური მიმართება. იტალიის მმართველი წრეების „ქართულ პოლიტიკაზე" „რუსეთის ფაქტორის" ზემოქმედების ხარისხის ძასშტაბურობის ნათელსაყოფად იმ ფაქტის კონსტატაციაც საკმარისია, რომ ნიტის მთავრობამ საქართველოში ჯარების გაგზავნა და იქ აქტიური პოლიტიკის წარმოება

მოსკოვთან სამხედრო კონფლიქტის პერსპექტივას დაუკავშირა;

2) პარიზის კონფერენციაზე „ამიერკავკასიის საკითხის“ გარშემო დიდ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობათა გამწვავება. უმთავრესად აშშ-ის უარყოფითი დამოკიდებულება რეგიონში იტალიის გააქტიურებისადმი;

3) პრობლემის წმინდა ფინანსურ-ეკონომიკური ასპექტი.

7. 1919 წლის შემოდგომიდან ორი ქვეყნის ურთიერთობანი ახლებურ თვისობრივ სიბრტყეზე გადავიდა, რაც ნიტის მთავრობის (1920 წლის ივნისიდან კი ჯოლიტის მთავრობის) „შეზღუდული“, ბალანსირებული აღმოსავლური პოლიტიკით იყო განპირობებული. ერთი მხრივ, იგი კეთილგანწყობას ამჟღავნებდა რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიულ სივრცეში თვითგამორკვეული ეროვნული სახელმწიფოებისადმი, მეორეს მხრივ, კი „რუსული საკითხის“ გადაუწყვეტელობა და შინაგანი დინამიკა იტალიას არ აძლევდნენ ამ კეთილგანწყობითი მიმართების აქტიური სტრატეგიული აქციებით შემაგრების საშუალებას. ამასთან, თავისი როლი ითამაშა ანტანტის ბლოკის ჰეგემონის — ინგლისის — „ორმაგი სტანდარტების“ პოლიტიკამაც და თვით იტალიის კონომიკური და სამხედრო პოტენციალის ერთგვარად შეზღუდულმა დონემაც. ამ მომენტებიდან გამომდინარე, 1920 წელს და 1921 წლის დასაწყისში იტალია- საქართველოს ურთიერთობათა სფერო ფაქტიურად არ მოიცავდა ორი სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესებს და უმთავრესად ანტანტის კოალიციის ფარგლებში საერთაშორისო დონეზე საქართველოს საკითხთან დაკავშირებული პოლიტიკურ-დიპლომატიური აქციების მიმართ იტალიის პოლიტიკური დამოკიდებულებით, ზოგჯერ ამ აქციების აშკარა სტიმულირებით წარმოჩნდა (საქართველოს ფაქტობრივი ცნობა, ბათუმზე თბილისის სუვერენიტეტის აღდგენა, ბ. კოლბის ნოტასთან აშკარად ნეგატიური დამოკიდებულება, საქართველოში იტალიის წარმომადგენლობის სტატუსის შეცვლა).

8. საქართველოსა და იტალიის ურთიერთობათა ისტორიაში თვალსაჩინო მომენტია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ევგ. გეგეჭკორის ვიზიტი რომში 1920 წლის აგვისტო-სექტემბერში. ვიზიტის ფარგლებში გამართული მოლაპარაკებების დროს იტალიის მთავრობამ მხარი დაუჭირა „საქართველოს საკითხის“ დაყენებას თვისობრივად ახალი განზომილებით — საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე ცნობას და მის ინტეგრირებას ერთა ლიგაში.

9. იტალიის დიპლომატიამ აქტიური როლი შეასრულა ანტანტის უმაღლესი საბჭოს 1921 წლის იანვრის სესიაზე საქართველოს

სახელმწიფოებრიობის საერთაშორისო სტატუსის ფორმალური ცნობის საკითხის გადაწყვეტაში. ამასთან, იტალია წარმოადგენდა პირველ ევროპულ სახელმწიფოს, რომელმაც დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საქართველოსთან და თბილისში დაფუძნა თავისი საელჩო წარმომადგენლობა, სრულუფლებიანი მინისტრისა და საგანგებო დესპანის, ვიტორიო ჩერუტის მეთაურობით.

10. იტალიის სამხედრო და პოლიტიკურ–დიპლომატიური აქციები საქართველოში მნიშვნელოვანწილად იყო სტიმულირებული ამ სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესებით, რასაც თავის მხრივ, საფუძვლად ედო იტალიის დაინტერესება საქართველოს ბუნებრივი რესურსებითა და სანედლეულო ბაზრით, სტრატეგიული სახმელეთო და საზღვაო სატრანსპორტო კომუნიკაციებით, აგრეთვე ფართო ასორტიმენტის საქონელზე ორიენტირებული ქართული ბაზრით. ეს გარემოება აპირობებდა ორი ქვეყნის ინტენსიურ ეკონომიკურ კავშირურთიერთობებს როგორც ექვივალენტური საქონელგაცვლისა და სავაჭრო ოპერაციების სფეროში (იტალიური ფირმებისა და კომპანიების მოღვაწეობა, იტალია–კავკასიის ბანკი და მისი საკრედიტო ოპერაციები და სხვ.), ასევე საქართველოს ეკონომიკის ცალკეულ დარგებში იტალიური კაპიტალის დაბანდების თვალსაზრისითაც (სენატორ კონტის მისია და სამრეწველო კრედიტის საკითხი, ალბერტო კორსის „მემორანდუმი", 1920 წლის 11 ოქტომბრის ტყვარჩელის საკონცესიო კონვენცია). იტალია– საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობებში ძნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ტრანზიტის საკითხსაც.

11. საბჭოთა რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ საქართველოში, რასაც მოჰყვა დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა და დამოუკიდებელი დიპლომატიური სისტემის მოშლა, წერტილი დაუსვა საქართველო–იტალიის ყოველგვარ ურთიერთობებს. ამასთან, იტალიაში მუსოლინის ფაშისტური რეჟიმის დამყარებამ ფაქტიურად გამორიცხა რომთან ქართული ემიგრანტული მთავრობის დიპლომატიური კონტაქტები.

აქვე დავძენთ, რომ 1919–1921 წლებში საქართველო–იტალიის ურთიერთობა, როგორც ორი სახელმწიფოს და ორი სულიერად მონათესავე ერის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების ისტორიაში მეტად თვალსაჩინო და ნიშანდობლივი მომენტი, უდავოდ უფრო მასშტაბური და კომპლექსური მონოგრაფიული შესწავლის ობიექტი უნდა გახდეს.

I Rapporti tra la Georgia e l'Italia negli anni 1919-1921 (Riassunto)

I rapporti politici ed economisi tra la Repubblica Democratica della Georgia e la Monarchia Costituzionale dell'Italia negli anni 1919-1921 rapprosentano sia la storia dei rapporti diplomatici e del commercio estero dei due paesi che la parte integrante del processo internazionale di quei tempi. Pertanto è conveniente effettuare lo studio e il rilevamento di questo evento in due dimensioni: da una parte - sullo sfondo del processo comune dei rapporti reciproci precisamente tra la Georgia e l'Italia e, dall'altra parte - sotto l'aspetto delle tendenze correnti globali nel quadro del sistema internazionale e, in particolare, nei limiti nel quadro del sistema interazionale e, in particolare, nei limiti della "questione dell'Oriente" e della "questione della Russia".

Nel presente studio I rapporti tra l'Italia e la Georgia sono esaminati appunto in queste due dimensioni. Allo stesso tempo sono rilevati i momenti stimolanti degli interessi economici della politica attiva dell'Italia in Georgia, sono dimostrate quelle tendenze della politica internazionale che hanno determinato la rinuncia a tale politica "attiva" e l'orientamento dei circoli governonti dell'Italia allo svolaimento "limitato" e bilanciato delle azioni politiche e diplomatiche.

L'interpretazione del problema in esame finalizzata a tale scopo dà la possibilità di fare le seguenti conclusioni:

1. L'attivazione dei rapporti tra l'Italia e la Georgia nel periodo indicato era fondata e in certa misura era preparata nel giro di XIX secolo in base alle relazioni sociali-culturali tra i due paesi. Fino al 1918 "il fenomeno" italiano era rappresetato nella cultura georgiana, pubblicistica e nella mentalità sociale assai considerevolmente (orientemento dell'istruzione georgiana verso Risorgimento italiano, opera lirica italiana a Tbilisi, traduzioni delle opere dei classici della letteratura italiana, corrispondenza epistolare dei personaggi illustri di due nazioni ecc.).

2. "Il sistema degli accordi segreti" dei tempi di prima guerra mondiale (l'accordo di Londra del 23 maggio 1915, "progetto Saics-Arco" del 1916, l'accordo di Sent-Jean de Morieno del 19 aprile 1917) ha unito anche l'Italia al processo di ripartizione del Vicino Oriente dai paesi dell'Intesa e, rispettivamente, nella politica estera di questa paese si e formata la corrente "Orientale - Caucasica". I circoli governanti dell'Italia hanno cominciato ad elaborare i progetti di istituzione dell'influenza politica e

di presenza militare nella regione.

La Georgia, como un paese di importanza geopolitica e geostrategica, interpretava un certo ruolo nella politica estera dei paesi dell'Intesa, piu precisamente, nella cossidetta questione della Russia" di questa politica, principalmente per blocare ulteriore espansione del bolscevismo nella direzione meridionale dal punto di vista della formazione del sistema da tampone dei paesi di Caucaso.

3.Alla Conferenza pacifica di Parigi, durante la regolazione del sistema generale di struttura del dopoguerra i paesi del blocco Intesa hanno ignorato, secondo "l'accordo segreto", le pretese territoriali dell'Italia. In tali condizioni la diplomazia dell'Inghilterra si è occupata la posizione centrista e, sotto la forma di compensazione, ha proposto l'idea di instaurare protettorato mandatario in Italia, Georgia e Azerbaigian che innanzitutto s'intendeva la sostituzione della presenza militare britanica con quella italiana. Il gabinetto di Orlando ha accettato la proposta di Lloid George e il 8 aprile del 1919 è stato firmato rispettivo accordo tra I paesi.

4. Tra i momenti stimolanti della politica attiva dell'Italia nello spazio geopolitico della Georgia e del Caucaso noi abbiamo rilevato i fattori economico e strategico-militare. Appunto da questi fattori sono stati condizionati le decisioni e I progetti approvati nei circoli politici e diplomatici dell'Italia che effettuavano la politica dell'Italia nella Georgia e, su questo sfondo, una certa base dei 22 marzo 1949 del governo di Orlando, la decisione di 19 aprile dello stesso anno della delegazione statale dell'Italia sulla conferenza di Parigi, il progetto del consigliere dell'Italia sulla conferenza di Parigi, il progetto del consigliere dell'ambasciata reale d'Italia in Francia il conte Redino).

Il 9 maggio del 1919 è arrivata in Geordia la missione militare speciale dell'Italia capeggiata del colonnello dello Stato Maggiore Generale Melchiade Gaba. L'obiettivo principale della missione era quello di esaminare la situazione esistente nella Georgia per tutti I parametri (politici, strategico-militari, economici, amministrativie territoriali, etnografici), il che avrebbe dato la possibilità al governo di Orlando - Sonino di prendere le decisioni definitive. La missione di Gaba ha svolto l'attività intensa nei limiti suo mandato.

5. Alla conferenza di Parigi la delegazione della Georgia ha ricorso immediatamente alle azioni diplomatiche di riscontro per stabilire i contatti con circoli interessati dell'Italia ("La conferenza di Parigi" del 23 marzo 1919, l'incontro nell'aprile di N. Ckheidze e S. Avalishvili con S. Ragi e P.

Toretti).

Nonostante che il governo della Georgia non era informata in modo dovuto e, como si, dice, e stato messo davanti al fatto compiuto con la visita di Gaba nei circoli politici e sociali del paese è stata cominciata la propaganda dell'utilita e convenienza "dell'orientamento italiano".

6. Nei primi del giugno del 1919, con la sanzione del re, il governo italiano ha preso la deliberazione definitiva sulla dislocazione del corpo di spedizione nella Georgia e nell'Azerbaigian e sulla presa del mandato per la regione. Pero già nella seconda metà del giugno la crisi politica "ha sacrificato" il governo di Orlando, ma il nuovo gabinetto ha annullato la deliberazione sopraindicata già con suo primo atto.

Oltre alle concezioni liberali di politica estera, soggettive, che hanno condizionato la rinuncia del governo di Niti-Titoni alla "politica Caucasica attiva" di Orlando, hanno notevolmente influenzato anche i fattori di carattere oggettivo. Na abbiamo differenziato secondo le possibilita, questi fattori oggettivi e tenendo conto dei parametri interni li abbiamo ridotti ai tre momenti importanti:

1) "Fattore della Russia". Nel contempo, in questo caso abbiamo preso in considerazione l'atteggiamento negativo come del regime bolscevico. di fatto, cosi del "movimento di restaurazione" (Denikin. Kolciak) verso l'attivazione dell'Italia nello spazio geopolitico del Caucaso.

Per evidenziare il grado dell'influenza del "fattore della Russia" sulla "politica georgiana" dei circoli governanti dell'Italia basta constatare solo il fatto che il governo di Nitti ha coordinato la spedizione delle truppe in Georgia e l'effetuazione della politica attiva li con la prospettiva del conflitto militare con la Mosca;

2) Accentuazione delle contradizioni tra i grandi paesi intorno alla "questione transcaucasica" alla conferenza di Parigi. Principalmente è l'atteggiamento negativo degli Stati Uniti verso l'attivazione dell'Italia nella regione.

3) Gli aspetti puramente finanziari e economici del problema

7. Dall' autumno del 1919 i rapporti dei due paesi sono passati al nuovo piano qualitativo che è stato condizionato dalla politica orientale bilanciata "limitata" del governo di Nitti (dal giugno del 1920 di quello di Gioliti). Da una parte, esso rivelava la benevolenza verso paesi nazionali autodeterminati nello spazio territoriale dell ' impero russo di un tempo, ma dall ' altra parte il problema non risolto della "questione russa" e la dinamica interna non davano all ' Italia la possibilità di rinforzare tale atteggiamento

benevolente con intense azioni strategiche. Inoltre, ha giocato il suo ruolo la politica di "due standard" dell ' egemone del blocco Intesa - l ' Inghilterra e anche il livello in un certo modo limitato del potenziale economico e militare dell ' Italia

Tenendo conto di questo momento, nel 1920 e agli inizi del 1921 la sfera dei rapporti tra l ' Italia e la Georgia in realtà non compendeva gli interssi strategici dei due paesi e principalmente è stata rivelata dall ' atteggiamento positivo dell ' Italia verso azioni politiche e diplomatiche legate alla questione della Georgia al livello internazionale nel quadro della coalizione dell ' Intesa, e a volte con la netta stimulazione di queste azioni (riconoscimento di fatto della Georgia, ristabilimento della sovranità di Tbilisi su Batumi. l ' atteggiamento visibilmente negativo verso la nota di B. Colbi, cambiamento dello statu della rappresentanza dell ' Italia in Georgia).

8. Nella storia dei rapporti reciproci tra la Georgia e l ' Italia il punto significativo è la visita del Ministro delgi Affari esteri Eug. Ghegheckori a Roma nel agosto - settembre del 1920. Nelle trattative che sono state svolte durante la visita il governo italiano ha sostenuto l ' impostazione della "question - georgiana" in un piano qualitativamente nuovo - il riconoscimento de jure dell ' indipendenza della Georgia e la sua integrazione nella Lega di Nazioni.

9. La diplomazia dell ' Italia ha svolto un ruolo importante nel risolvere la questione di riconoscimento formale dello statu internazionale dell ' ordinamento statale della Georgia alla sessione di gennaio del 1921 al Consiglio Supremo dell ' Intesa. Inolltre l ' Italia rappresentava il primo paese europeo che ha stabilito le relazioni diplomatiche con la Georgia ed ha istituito la sua rappresentanza d ' ambasciata a Tbilisi capeggiata dal ministro con pieni poteri e l ' ambasciatore straordinario: Vittorio Cerutti.

10. Le azioni militari, politici e diplomatici dell ' Italia erano molto stimolate dagli interessi economici di questo paese che, a sua volta, si erano basati sugli interessi dell ' Italia per le risorse naturali e il mercato di materie prime della Georgia, per le comunicazioni strategiche di transito terrestri e marine, ed anche per il mercato georgiano orientato alla merce di largo assortimento. Questa circostanza condizionava i rapporti economici intensi tra i due peasi come nelle sfere di scambio equivalente di merci e delle operazioni commerciali (l ' attività delle ditte e compagnie italiane, banca Italia - Caucaso e le sue operazioni di credito, ecc), e cosi dal punto di vista delgi investimenti del capitale italiano nei diversi settori dell '

economia della Georgia (la missione del senatore Conti e la questione del credito industriale, il "memorandum" di Alberto Corsi, la Convenzione Concessionaria del 11 ottobre 1920 di Tkvarcheli). Nei rapporti economici tra l ' Italia e la Georgia l ' importanza notevole aveva anche la questione di transito.

11. L ' intervento militare della Russia Sovietica nella Georgia ha provocato la repressione della Repubblica democratica e la distruzione del sistema deplomatico indipendente, è stato posto fine a ogni relazione tra la Georgia e l ' Italia. Oltre a questo l ' instaurazione in Italia del regime fascista di Mussolini ha praticamente escluso i contatti diplomatici del governo georgiano di emigranti con Roma.

Notiamo qui che i rapporti tra la Georgia e l ' Italia negli anni 1919 - 1921 come quelli di due paesi e due nazioni spiritualmente affini nella storia plurisecolare dei rapporti reciproci è il punto piu importante e significativo e senza, dubbio, deve essere oggetto dello studio monografico piu solido e complesso.

I

"Il Presidente del Consiglio, Orlando,
a Vittorio Emanuele III
Parigi, 16 marzo 1919, ore 15.

... Ieri ebbi un lungo colloquio con Lloyd George... Lui mi ha offerto un "mandato" nella repubblica Georgiana. Si tratta di un paese che è fra i piùricchi del mondo per minerali, dal petrolio al carbone, al marganese, al ferro ecc. Certo per L'Italia sarebbe una fortuna colossale se si potesse tuttavia averla..."

(I documenti diplomatici italiani. Sesta serie: 1918-1922, Vol II (18 genaio - 23 marzo 1919). Roma, 1980, p. 636).

„მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ორლანდო,
ვიქტორ-ემანუელ III-ს
პარიზი, 1919 წ. 16 მარტი, 15 სთ.

... გუშინ მქონდა ხანგრძლივი საუბარი ლოიდ ჯორჯთან... მან შემომთავაზა „მანდატი" საქართველოს რესპუბლიკაზე. ლაპარაკია ქვეყანაზე, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესია მინერალური რესურსებით, ნავთობით, ქვანახშირით, მარგანეცით, რკინის მადნით და ა. შ. იტალიისათვის მართლაც რომ კოლოსალური მიღწევა იქნებოდა ,,თუნდაც ამის დაუფლება..."

II

"Il Presidente del Consiglio, Orlando,
a Vittorio Emanuele III
Parigi, 23 marzo 1919, ore 11

Ringrazio del Suo telegramma e assicuro inanzi tutto che noi abbiamo fatto espressa dichiarazione che questione Caucaso non deve affatto pregiudicare questione Asia delle quela dichiarazione ci fu dato atto. Le altre considerazioni contenute nel telegramma sono giustissime; osservo tuttavia che per ora non si tratta neppure di un mandato, ma semplicemente di sostituire l'attuale occupazione militare inglese. Cipò ci dà una lubertà d'azione indefinita che potremo svolgere in relazione alle circostanze. Sinora Georgia al nord confina con truppe dei cosacchi che si affermano antibolsceviche e cercano l'amicizia dell'Intesa. Non sembra quindi che ora vi sia immediata minaccia: ag ogni modo è certo che l'impresa non è priva di rischi: ma è certamente grande la tentazione di poter finalmente mettere la mano su materie prime di vitale importanza per l'Italia; (I documenti..., p. 699-700).

„მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ორლანდო,
ვიქტორ-ემანუელ III-ს
პარიზი, 1919 წ. 23 მარტი, 11 სთ.

მადლობას მოგახსენებთ დეპეშისათვის და, უპირველეს ყოვლისა, გაჭკობინებთ, რომ ჩვენ გავაკეთეთ სასწრაფო ვანცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ კავკასიის საკითხი სრულებით არ აჭენებს ზიანს მცირე აზიის საკითხს (იგულისხმება იტალიის ინტერესები მცირე აზიაში — დ.ჯ.). ამ განცხადებაზე ჩვენ მივიღეთ ცალკე დოკუმენტი. დეპეშაში მოცემული სხვა პოსაზრებანი ნამდვილად საუსებიო სწორია; ამასთან, შეუნიშნავ, რომ ამჟამად საერთოდ არ არის ლაპარაკი მანდატზე, არამედ მხედველობაშია ფაქტიურად არსებული ინგლისის სამხედრო ოკუპაციის შეცვლა (იტალიურით — დ.ჯ.). ჩვენ გვეძლევა მოქმედების თავისუფლება, რისი განხორციელებაც უნდა შევძლოთ ვითარების შესაბამისად. დღევანდელ საქართველო ჩრდილოეთით ესაზღვრება კაზაკთა დაუგუფებებს, რომლებიც თავს აცხადებენ ანტიბოლშევიკურ ძალებად და ანტანტასთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებას ესწრაფვიან. აქედან გამომდინარე, შეიძლება წარმოვადგინოთ, რომ ამ დროისათვის მათგან უშუალო საფრთხე არ არის მოსალოდნელი. ყოველი შემთხვევისათვის ცხადია, რომ ეს წამოწყება (ჯარების შეცვლა — დ.ჯ.) არ არის საფრთხეს მოკლებული; მაგრამ მართლაც რომ დიდია იტალიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ნედლეულის საბოლოოდ დაკარგვის შესაძლებლობაც...“

III

ალბერტო კორსის შეშფოთებული საქართველოს მოთავრობისადმი (1919 წლის 8 სექტემბერი)

„ბატონ ალბერტო კორსის, დიდებულ ოფიცერს იტალიის გვირგვინისა, ყოფილ დირექტორს კოლონიათა სამინისტროსი, ამჟამად ალპოკატს საკასაციო სამმართველოში და ადმინისტრატორ-რწმუნებულს მნიშვნელოვან საზოგადოებათა, აქვს პატივი წარუდგინოს კეთილსურვილებითი ყურადღებისთვის რესპუბლიკის მთავრობას შემდეგი:

ბ-ნი კორსი იძლევა წინადადებას ბეკრად მნიშვნელოვანს. ვიდრე დროებითი და განკერძოებული შეთანხმების საქმეთა მოწესრიგებისა, შეიქმნეს განუწყვეტელი ურთიერთობა და მუდმივი ინტერესობა იტალიის და საქართველოს შორის და ამით დადასტურდეს მისი სრული ნდობა რესპუბლიკის მომავალი ეკონომიური და პოლიტიკური განმტკიცებისა და განკითარებისა და მეგობრული ურთიერთობისა, რომელიც არსებობს საბედნიეროდ ორ მთავრობათა შორის.

დასაველეთის დიდ სახელმწიფოთა შორის იტალია არის ყველაზე

უახლოესი საქართველოსთან ზღვის გზით, რომელიც ყოველთვის ყველაზე ადვილი და ძოხერხებულია. ამით აიხსნება, რომ იტალიამ პირველმა შესძლო მოეწყო რეგულიარული და სასწრაფო საზღვაო ტრანსპორტი ამ პირობებში, რომელიც საშუალებას აძლევს მგზავრების და საქონლის გადაზიდვას ერთი ქვეყნიდან მეორეში ყოველკვირეულად.

იტალია საჭიროებს, და ეს მოთხოვნილება თანდათან მატულობს, ზოგიერთ ნედლ მასალას, რომელსაც საქართველო ქმნის და რომლის მოსავალიც შეიძლება გაფართოებულ იქნეს. ამდროსვე საქართველოს შეუძლია შეიძინოს იტალიაში მთავარი მანუფაქტურის საქონელი, რომელიც საქართველო იძულებული იყო წინად რუსეთში შეეძინა, და რომელიც ეხლაც მან სახღვარგარეთიდან უნდა შემოზიდოს.

იტალიას, თავისი გამჭრიახი და ბეჯითი მცხოვრებლებით, რომელთა რიცხვი მუდამ იზრდება, შეუძლია მოაწოდოს აგრეთვე საქართველოს ტექნიკური ელემენტები, რომლებიც საჭიროა მისი მეურნეობის გაწვრთნისათვის და მრეწველობის შექმნისა და განვითარებისათვის.

ბოლოს ბ-ნი კორსი იძლევა წინადადებას ანონიმური საზოგადოების შედგენისა, საკმაო თანხით, რომლითაც შეიძლება ინიციატივის მიცემა ანტრეპრიზების დასაწყებად, რომელიც უკვე მზად არის ეხლავე განხორციელებისათვის და სხვადასხვა დარგის მრეწველობის შესასწავლად და შესაქმნელად, რაც პროპორციონალურად გაადიდებს თავის კაპიტალს ან შექმნის ახალ სპეციალურ საზოგადოებას. ეს საქმე დაწყებული იქნება თუგინდ საკაჭრო დარგში, რომლითაც უნდა დაწყება და რაც ეხლა ყველაზე მნიშვნელოვანია და შესაფერისი პირობებიც არის ამისათვის, თუგინდ მეურნეობაში, სამთო ინდუსტრიაში და საზოგადოებრივ აღმშენებლობაში.

როგორც ნიშანი სოლიდარობისა ორივე ქვეყნის ინტერესების და გრძნობათა შორის, ბ-ნი კორსი მიაწერს უდიდეს მნიშვნელობას, რომ ქართულმა კაპიტალმა, თუგინდ მცირედაც მიიღოს მონაწილეობა ამ საზოგადოების შექმნაში და მის ადმინისტრაციაში თან იშრომონ ქართველმა წარჩინებულმა პირებმა, რომელნიც საქმის მცოდნე და მთავრობის ნდობით აღჭურვილნი იქნებიან, რომლებთანაც მოლაპარაკების გამართვა სურს ბ-ნ კორსის.

თუ მოსურვებული იქნება, ქართული კაპიტალისა და ქართული ელემენტის მონაწილეობა საზოგადოებაში სრულ თანასწორ და პარიტეტის პრინციპზე იტალიურთან, ბ-ნი კორსი მზად არის და ბედნიერი იქნება მიიღოს ეს პირობა.

ბ-ნი კორსის აქვს სრული ნდობა, რომ ის მიაღწევს თავისი გეგმის ასრულებას, თავისი ფართო ნაცნობობით, რომელიც მას აქვს იტალიის მაღალ ფინანსურ და ინდუსტრიულ წრეთა შორის, რომლებთანაც მას უკვე

აქვს ამ საკითხის შესახებ გარკვეული შეთანხმება, გარდა ამისა, როგორც თავისი ქვეყნის ადმინისტრაციის დიდ თანამდებობაზე ნამყოფი და აგრეთვე კოლონიებში და უცხოეთში ცნობილი, ის საკმაოდ ბედნიერია, რომ მას აქვს ფართო და მაღალი ნაცნობობა პოლიტიკურ და მინისტრების წრეებში და შეუძლია იმედი იქონიოს თავისი მთავრობის კეთილგანწყობილებაში.

... რომ საზოგადოება დაუყოვნებლივ იქნას შედგენილი, საჭიროა მას დაწყებიდანვე გამოუჩინოთ დამზადებული საქმე. ამ მიზნით ბ-ნი კორსი იძლევა წინადადებას, თუ შესაძლებელია აღდგენილ იქნას ზოგიერთი არსებული წარმოება, რომლის განვითარებაც შესაძლებელი იქნება. ის აცხადებს თავის რწმენას, რომ რესპუბლიკის მთავრობა, დარწმუნებული მისი ინიციატივის სარგებლობაში, მოისურვებს მხარი დაუჭიროს მას, ყოველი სავაჭრო შეღავათების და სხვადასხვა კონცესიების მიცემით, რომლებიც მოთხოვნილ იქნება საღი და დინჯი მოსაზრებებით, და რომელთაც თვით მთავრობა დაინახავს მხარდასაჭერად, აგრეთვე საზოგადოებას მიეცემა უპირატესობა ადმინისტრაციის და ჯარის შეკვეთების ასრულების საკითხებში, იმ მოსაზრებით, რომ საზოგადოება მეტ გარანტიას მისცემს, ვიდრე სხვა რომელიმე კონკურენტი. ბ-ნი კორსი დარწმუნებულია, რომ მისი მოსაზრებანი მიღებულ იქნებიან რესპუბლიკის მთავრობისგან კეთილგანწყობილებით. ისე, როგორც მან მრიღო თავისი მთავრობის რეკომენდაციით და იტალიის მისიის უფროსის, პოლკოვნიკ გაბას საშუალებით, რომლის დახმარებით მას ჰქონდა ბედნიერება წარდგენოდა პირადად რესპუბლიკის მთავრობას.

უდიდესი პატივისცემით" (სცსსა, ფ. 1891, აღწ. 2, ს. 1, ფ. 10–11).

IV

სენატორ კონტის მისიის პროექტიდან „იტალია-კავკასიის კომპანიის" შექმნის შესახებ (1920 წ. 8 მარტი)

„ამიერკავკასიაში იტალიის სამოქალაქო მისია, სენატორ ეტორე კონტის თავმჯდომარეობით, აყენებს წინადადებას, შეთანხმების ხელმოწერის დღიდან სამი თვის განმავლობაში დაფუძნდეს ფინანსური და სამრეწველო საწარმო „იტალია-კავკასიის კომპანიის" სახელწოდებით.

ამ მიზნით აუცილებელია განხორციელდეს ქვემოდ მოცემული:

საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებსა და მის აღმატებულება სენატორ ე. კონტის, იტალიის მთავრობის საგანგებო რწმუნებულს, შორის განხორციელდა შემდეგი შეთანხმება:

მუხლი I

კომპანია უხსნის საქართველოს მთავრობას საკონკურენტო ანგარიშის სახით კრედიტს 35 მლნ. იტალიური ლირის ოდენობით, არაუმეტეს

ხუთწლიანი ვადისა აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერიდან. ეს კრედიტი საქართველოს მთავრობამ უნდა დაფაროს (მუხლი V) ნედლეულის ყოველწლიური მიწოდებით, ამასთან, ეს დაფარვა უნდა შეადგენდეს არანაკლებ შვიდი მილიონი ლირისა წელიწადში.

ზემოაღნიშნული კრედიტი განკუთვნილია:

ა) ორთქმავლებისა და ვაგონების ცალკეული ნაწილების, ასევე საქართველოს რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის გამართვისათვის აუცილებელი მოწყობილობის შესაძენად (საერთო თანხა არაუმეტეს 12 მლნ. იტალიური ლირისა).

ბ) ფოთის პორტის შრომისუნარიანობის ასამაღლებლად განხორციელებულ ღონისძიებებისათვის, კერძოდ:

1. ნავსადგურის ფარგლებს გარეთ ორი დანაღმული ველის ორგანიზაცია.

2. ნავსადგურში ფსკერის ამოთხრა.

3. ნავსადგურის შუქურების კეთილმოწყობა.

4. წყალგაყვანილობის გამართვა.

5. ნავსადგურის მუშებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

6. ნავსადგურის ელექტრული დანადგარების კეთილმოწყობა.

7. ერთი საწყობის გადაკეთება.

(საერთო თანხა არაუმეტეს 8 მლნ. იტ. ლირისა).

გ) იტალიაში საქართველოს საფეიქრო და აბრეშუმის მრეწველობის ფაბრიკებისათვის მანქანათა და მოწყობილობათა შესაძენად (საერთო თანხა არაუმეტეს 5 მლნ. იტ. ლირისა).

დ) სასოფლო-სამეურნეო მანქანა-მოწყობილობათა შესაძენად (საერთო თანხა არაუმეტეს 10 მლნ. იტ. ლირისა).

მუხლი II

კრედიტის ფარგლებში გათვალისწინებული მანქანების, მოწყობილობებისა და მასალების შეკვეთა და მიღება იტალიაში ხორციელდება საქართველოს მთავრობის აგენტების მიერ.

მთავრობის აგენტებსა და იტალიელ კრედიტორებს შორის მოლაპარაკებათა ხელშეწყობის, ასევე ბათუმსა და ფოთში საქონლის გადაზიდვის გაადვილების მიზნით, კომპანია მათ გადასცემს განსაკუთრებულ ბიუროს და იზრუნებს იქ კომპეტენტური სპეციალისტების თანამშრომლობისათვის...

მუხლი V

კრედიტების დაფარვისათვის საქართველოს მთავრობა კისრულობს შემდეგ ვალდებულებებს:

ა) მთავრობა გადასცემს კომპანიას თავისი კონტროლის ქვეშ

ჭიათურის მარგანეცის (რომელიც შეიცავს 48/52% – ლითონს) რეალიზაციის უფლებას, ყოველწლიურად 100 ათასი ტონის რაოდენობით... გაყიდვიდან მიღებული მოგება თანაბრად ნაწილდება საქართველოს მთავრობასა და კომპანიას შორის...

ბ) მთავრობა გადასცემს კომპანიას თავის კონტროლის ქვეშ სოხუმის თამბაქოს რეალიზაციის უფლებას შემდეგი პირობებით: გაყიდვიდან მიღებული მოგების 75% ეძლევა მთავრობას, ხოლო 25% – კომპანიას, მათ შორის: 5% – კომისიის სახით და 20% –კრედიტის დაფარვის სახით.

გ) მთავრობა ვალდებულებას კისრულობს, კომპანიის მოთხოვნის შესაბამისად, გადასცეს მას მთელი ექსპორტირებული ტყიბულის ქვანახშირი ტონაზე 112 იტ. ლირის ფასებით...

მუხლი IX

საქართველოს მთავრობა ვალდებულებას კისრულობს, ყოველმხრივ ხელი შეუწყოს საქართველოს სარკინიგზო ქსელით იმ ტვირთის გადაზიდვას, რომელსაც კომპანია წარუდგენს მას ბათუმიდან ან ფოთიდან სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართულებით ტრანზიტისათვის, – გაათავისუფლებს რა მას ყოველგვარი რეკვიზიტისაგან.

მუხლი X

შეთანხმების პირობათა შესრულების მიზნით, კომპანია ნიშნავს თავის წარმომადგენელს ტფილისში... წარმომადგენლის დანიშვნამდე მის მოვალეობებს შეასრულებს პოკოვნიკი გაბა – იტალიის პოლიტიკური აგენტი საქართველოში.

მუხლი XI

აღნიშნული შეთანხმების ირგვლივ ყოველგვარი სადავო საკითხი ექვემდებარება სამი პირისაგან შემდგარი საშუამავლო სასამართლოს განხილვას. ამ სამი პირიდან ერთს ირჩევს საქარველოს მთავრობა, მეორეს – კომპანია, ხოლო ეს ორი პირი ირჩევს მესამეს – სუპერარბიტრს. სამომრიგებლო სასამართლოს გადაწყვეტილება ითვლება საბოლოოდ და სავალდებულოდ ორივე მხარისათვის.

სადავო საქმეების განხილვა, რომლებიც შეეხებიან შეთანხმების იმ ნაწილს, რომელიც საქართველოში უნდა განხორციელდეს, იწარმოებს ტფილისში. საქმეების განხილვა, რომლებიც შეეხებიან შეთანხმების იტალიაში განხორციელებად ნაწილს, იწარმოებს მილანში.

(სცსსა, ფ. 1891, აღწ. 1, ს. 619, ფ. 13–16).

V

საქართველო-იტალიის „ტყვარჩელის საკონცესიო ხელშეკრულებიდან" (1920 წლის 11 ოქტომბერი)

„საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, რომელიც შემდეგში „მთავრობად" იქნება ნახსენები, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, ბრძმედებისა და ფოლადსასხმელი ქარხნების „ილვა"-ს საზოგადოებას, იტალია-კავკასიის გამნაღდებელ ბანკსა და კავკასიისათვის იტალიის კომპანიას შორის, რომლებიც შემდეგში „კონცესიონერებად" იქნებიან წოდებულნი, დაიდო შემდეგი ხელშეკრულება:

§1

საგნები და ფარგლები კონცესიისა

მთავრობა განსაკუთრებულ უფლებას აძლევს კონცესიონერებს, მთელის ხნის განმავლობაში აწინდელი ხელშეკრულების მოქმედებისა (§7) მოახდინონ გამოკვლევა და ექსპლოატაცია ქვანახშირის საბადოსი, როგორც უკვე აღმოჩენილის, აგრეთვე შემდეგში აღმოჩენილისაც, მდ. ღალიძგას და მისი შტოების ხეობის მთელი მიდამოს სივრცეზე, საზღვრებში..., რომელიც ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ უნდა იქნეს დადასტურებული...

უფლებები, რომლებიც აწინდელი კონცესიის ძალით არის მიცემული, ვრცელდება ქვანახშირის საბადოზე ზევით ნახსენებ საზღვრებში, მიწის ნაჭრებზე, რომელნიც მიეცემათ კონცესიონერებს V §-ის ძალით, ყველა დამატებით ანაგებზე, რომელნიც აგებულნი იქნებიან საქართველოში ქვანახშირის საბადოს საექსპლოატაციოდ,ამოღებული ნარუქის გადასატანად და დასამუშავებლად, როგორც მაგალითად: შენობანი, ანაგებები, სამადნეებისა და გამოსაზიდი ნავთსაყუდელის მოწყობა, გადასაზიდი და მიმოსვლის საშუალებანი, გარდა საზოგადოდ სახმარი რკინის გზებისა (§2) და სხვ.

§2

მთელი ხნის განმავლობაში კონცესიის მოქმედებისა (§7) კონცესიონერებს უფლება აქვთ, როგორც საჭიროდ დაინახავენ, კონცესიონერებზე მონიჭებული ტერიტორიის ფარგლებში (§1) ააშენონ მისავალი გზები ან სხვ. რაიმე საშუალებანი მისვლა-მოსვლისა, რომელიც ნახშირის კონცესიის ნაწილი იქნება და მხოლოდ და მხოლოდ მათ საჭიროებებს ემსახურება.

ნახშირის გასატანად და, საზოგადოდ, მუშაობით გამოწვეული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რომელნიც აწინდელი ხელშეკრულების 1,2, და 4 §§-ში მხედველობაშია მიღებული, კონცესიონერებს უფლება აქვთ სოხუმსა და ფოთს შორის, იმ ადგილას,

რომელსაც ისინი უფრო შესაფერისად დაინახავენ, ნავსადგური მოაწყონ, — გეგმის მიხედვით, რომელიც მათ მიერ მთავრობას წარედგინება, შეერთებული საზოგადო მნიშვნელობის რკინის გზებთან ან სახაზინო რკინის გზების ქსელთან.

სამზადი პერიოდის პირველი ნახევრის გასვლამდე (§9) კონცესიონერებმა უნდა განაცხადონ, აზრად აქვთ თუ არა დაუყოვნებლივ საკუთარი ნავსადგურის აშენებას შეუდგნენ თუ დროებით ფოთის ნავსადგურით სურთ სარგებლობა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მთავრობა შელავათიან პირობებში კონცესიონერებს ამ ნავსადგურის ტერიტორიაზე მათ დაწყებულებისათვის საჭირო მოედანს დაუთმობს და აგრეთვე ნებას მისცემს ისარგებლონ ნავსადგურის იმ ადგილებით, სადაც მექანიკურ მოწყობილობათა დადგმაა შესაძლო, — დასატვირთავად და გადმოსატვირთავად.

სამზადი პერიოდის პირველი ნახევრის გასვლამდე (§9) კონცესიონერებმა უნდა დაასრულონ დაზვერვა და გამოითხოვონ კონცესია საზოგადო სარგებლობის რკინის გზების ასაშენებლად და საექსპლოატაციოდ, მისავალ გზათა და სხვა მისვლა-მოსვლის საშუალებათა, ნახშირის გასაზიდად ამორჩეულ ნავსადგურებთან შესაერთებლად.

დაბოლოებითი გეზნიშვნა რკინის გზისა გაკეთებული უნდა იქნეს კონცესიონერების მიერ მთავრობასთან შეთანხმებით, დამოკიდებული ზემოთაღნიშნულ არჩევანზე...

§5

შენობებისა და ანაგებების ყველა დაწესებულებათა მოსაწყობად, საჭიროების მიხედვით კონცესიონერებს უფლება აქვთ, მხოლოდ დაწყებულებათა საჭიროებისათვის, უფასოდ ისარგებლონ სახაზინო მიწებით; მიწები, რომელიც კერძო პირთ და ადგილობრივი ადმინისტრაციის ორგანოებს ეკუთვნის, თუ რომ ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა განსახორციელებლად იქნება საჭირო, საკუთრებად იქნება შეძენილი კონცესიონერების მიერ (ხაზინაზე გადაცემით იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ გამოსყიდული იქნება, ან თუ კონცესიის ვადა გაივლის), სათანადო მესაკუთრეებთან შეთანხმებით. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ მოხდა, მიწები დაკავებული და შეძენილი იქნება თანახმად მოქმედ უძრავ ქონებათა იძულებითი ჩამორთმევის კანონებისა, სახელმწიფოებრივი და საზოგადო სარგებლობის საჭიროებისათვის.

§6

კონცესიონერებს უფლება აქვთ ყველა ის საგანი, რომელიც დაწყებულებათა განსახორციელებლად და საექსპლოატაციოდ საჭიროა და რომელიც 1 და 2 §§-ში არის ნახსენები, საზღვარგარეთიდან საქარ-

თეელოში ბაჟ-გადაუხდელად შემოიტანონ, როგორც მაგალითად – მანქანები, მოწყობილობანი, მუშებისა და მოსამსახურეთა ტანსაცმელი და სხვა. აგრეთვე ყველაფერი, რაც აუცილებელია საერთო სარგებლობის რკინის გზის ასაშენებლად და საექსპლოატაციოდ, ნავსადგურის ასაშენებლად და საექსპლოატაციოდ და ყველა იმ დაწყებულებებისათვის, რომელთა განსახორციელებლად კონცესიონერები კონცესიას მიიღებენ მათდამი მიმიჯნული მოედნის საზღვრებში თანახმად აწინდელი ხელშეკრულების I და 4 §§-ისა.

§7

აწინდელი კონცესიის ვადა 45 წლით განისაზღვრება და იანგარიშება სამზადი პერიოდის დაბოლოებიდან, რომელიც კონცესიონერებს ექსპლოატაციის გეოლოგიურ გამოსაკვლევად და მოსამზადებლად ეძლევათ.

საკონცესიო ვადის გასვლისას მაღაროები, მისასვლელი გზები და სხვა მისვლა-მოსვლის საშუალებანი, ტელეფონის ხაზები, ყოველგვარი შენობანი, მოძრავი ქონება და საზოგადოდ ყოველგვარი ის, რაც კონცესიონერთა საზოგადოების საკუთრებას წარმოადგენს საქართველოში (§19), კონცესიონერების მიერ უფასოდ გადაეცემა მთავრობას, თავისუფალი ყოველგვარი ვალდებულებებიდან და ვალებიდან. ყველა ის ქონება, რომელიც კონცესიის შეწყვეტის შემდეგ მთავრობას გადაეცემა, ისეთ მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს, რომ წესიერი ექსპლოატაცია დაწყებულებისა შეუჩერებლივ გაგრძელდეს. ამ მიზნისათვის საჭირო რემონტი კონცესიონერების მიერ კონცესიის უკანასკნელი წლის განმავლობაში უნდა იქნას მოხდენილი, იმ ვადებში, რომელიც მთავრობის მიერ იქნება გამომუშავებული, საჭირო მუშაობის ხასიათისა და სიმრავლის მიხედვით...

საკონცესიო ვადის გასვლისას კონცესიონერები ვალდებულნი არიან სამზადი სამთო სამუშაოები მოახდინონ, რომელიც საკმარისი იქნება შემდეგ წელში ნახშირის ნორმალური ამოღებისათვის, რომელიც იმ აზრით უნდა იქნეს გაგებული, რომ ამოსაღებად დამზადებული ფენები, დერეფნები, ჭები და სხვ. საკმარისი უნდა იყოს აღნიშნული გამოღების მისაღებად.

ათი წლის განმავლობაში კონცესიის გათავების დროიდან, ანდა დღიდან დაწყებულების გამოსყიდვისა მთავრობის მიერ (§8), საექსპლოატაციო საზოგადოებას უპირატესი უფლება აქვს სხვა მსურველებთან თანაბარი პირობებით დაწყებულების ან მისი რომელიმე ნაწილის შემდეგ იჯარაზე, იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა უარს იტყვის ექსპლოატაციაზე საოჯახო წესით...

§8

დღიდან აწინდელი ხელშეკრულების ძალაში შესვლისა 30 წლის გასვლისას, მთავრობას უფლება აქვს მთელი დაწყებულება გამოისყიდოს. რაოდენობა, რომელიც მთავრობამ კონცესიონერებს უნდა მისცეს გამოსყიდვის მომენტში, გამოანგარიშებულ უნდა იქნას წლიური საშუალო შემოსავლის მიხედვით, კონცესიონერების ამორჩევით გამოსყიდვის წინა ხუთი წლიდან, რომლის განმავლობაშიც ექსპლოატაცია ნორმალური იყო...

... დაწყებულების გამოსყიდვის სურვილის შესახებ მთავრობამ კონცესიონერები წელიწადნახევრის წინ მაინც უნდა გააფრთხილოს, ზემოთაღნიშნული ვადის დაძლევამდე... დაწყებულება გამოსყიდვის შემთხვევაში, მთავრობას იმავე პირობებში უნდა გადაეცეს რაც კონცესიის გათავებისათვის მე 7 § გათვალისწინებულია...

§12

ჯილდოს სახით, მთავრობის მიერ ამ ხელშეკრულებით კონცესიონერებზე მიცემული უფლებებისა, კონცესიონერები ვალდებულნი არიან უფასოდ გადარიცხონ მთავრობის სასარგებლოდ 5% სამზადი პერიოდის განმავლობაში გამოღებული ნახშირის რაოდენობიდან; 10% პირველი ათი წლის განმავლობაში (სამზადი პერიოდის გასვლის შემდეგ); 15% მეორე ათი წლის განმავლობაში და 20% ექსპლოატაციის მე 21 წლიდან დაწყებული ვიდრე კონცესიის ვადის გასვლამდე (§7) საერთო რაოდენობიდან ნამდვილად გამოღებული ნახშირისა, იმ რაოდენობის გამოკლებით, რომელიც დაიხარჯა დაწყებულების საჭიროებისათვის...

... იმ შემთხვევაში, თუ ეს რაოდენობა ნახშირისა, რომელიც მთავრობას გადაეცემა, საკმარისი არ იქნება საქართველოს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, კონცესიონერები მოვალენი არიან დაუთმონ ადგილობრივ ბაზარს ადგილობრივი ბაზრის ფასებშივე აღნიშნული მოთხოვნილებებისათვის 25% ნახშირისა, რომელიც მთავრობისათვის ჯილდოდ კუთვნილი ნახშირის რაოდენობიდან გამოკლებით დარჩება, და ამავე რაოდენობით შეამცირონ გასაზიდი ნახშირის რაოდენობა...

§14

გარდა წილობრივი გადარიცხვისა, მთავრობას უფლება აქვს წლიური წმინდა შემოსავლის ნაწილზე, რომელიც შემდეგნაირად იქნება დადგენილი:

ა) წმინდა შემოსავლად ისეთი შემოსავალი ჩაითვლება, რომელსაც ყოველ წელს ბალანსი და წაგება-მოგების ანგარიში გამოიყვანს...

ბ) წმინდა მოგების გაშოანგარიშების დროს, საჭიროა, სხვათაშორის, შეტანილ იქნას საკალდებულო გასავალში სუყველა გადასახადები,

აგრეთვე ყველა ფინანსურ ვალდებულობათა გაქრობა, რომელნიც საზოგადოების შესაძლო საობლიგაციო ვალებიდან გამომდინარეობს, პროცენტების გადახდა და ობლიგაციების ვალის გადაწყვეტა.

გ) მთავრობას უფლება აქვს ზემოაღწერილი შემოსავლის იმ ნაწილის ნახევარზე, რომელიც დარჩება მისგან საექსპლოატაციო საზოგადოებაზე ჩარიცხული აქციონური კაპიტალის 10%-ის გამოკლებით...

§15

მთავრობას კონტროლის ნება აქვს, როგორც საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით, აგრეთვე შესამოწმებლად კონცესიონერებისა და მათი წარმომადგენლების მიერ იმ ვალდებულებათა შესრულების მხრივთაც, რომელიც მათ ამ ხელშეკრულების თანახმად მიუღიათ.

მთავრობა საზოგადოებაში თავის წარმომადგენლებს მიავლენს, რომლის ჯამაგირიც კონცესიონერების ხარჯზე იანგარიშება; მისი დანიშვნა გამოწვეული იქნება დახმარების აღმოჩენით, მათ მიერ იმ უფლებათა სრულად განსახორციელებლად, რომელნიც მათ კონცესიით აქვთ მინიჭებული. წარმომადგენელი თვალყურს ადევნებს გეოლოგიურ გამოკვლევათა სამუშაოებს, აგრეთვე დაწყებულების შესაქმნელად და საექსპლოატაციოდ, მაგრამ არ ერევა თვით დაწყებულების მართვა-გამგეობაში. გარდა ამისა, მთავრობის მიერ მას ექნება დაკისრებული ნახშირის გამოღების კონტროლი; მასვე მინიჭებული ექნება საჭირო რწმუნება, რათა გადაწყვეტილება მიიღოს, რომელიც მთავრობისთვის ნაწილობრივ გადასარიცხავი ნახშირის ჩაბარებას, გადაზიდვას და გაყიდვას შეეხება. კონცესიონერები ვალდებულნი არიან დაუთმონ ამ წარმომადგენელს ბინა და მისვლა-მოსვლის საშუალება...

§17

კონცესიონერები ვალდებულნი არიან, რამდენადაც შესაძლო იქნება, მუშები, რომელნიც დაწყებულებისათვის აუცილებელნი იქნებიან, საქართველოს მცხოვრებთა შორის მოკრიფონ, მაგრამ იმათ მაინც უფლება აქვთ თავიანთი სურვილით უფროსი ოსტატები და კვალიფიციური მუშები არა საქართველოში დაიქირავონ.

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი შეიქნა შოვნა საქართველოს მცხოვრებთა შორის მუდმივ მუშათა სრული კომპლექტისა, კონცესიონერებს შეუძლიათ ყოველ ასეთ შემთხვევაში, მთავრობის წარმომადგენლისაგან წინდაწინ ნებართვის მიღებით, მუშათა შემადგენლობა მოსული ელემენტებით შეავსონ.

კონცესიონერები ვალდებულნი არიან დაწყებულების მუშები და მოსამსახურეები იმ სამუშაო პირობებით უზრუნველჰყონ, რაც ქართული კანონებითაა მიღებული.

§19

აწინდელი კონცესიის განსახორციელებლად, კონცესიონერები ვალდებულნი არიან შექმნან ქართული აქციონური საზოგადოება. ამ მიზნით კონცესიონერები მოვალენი არიან სამი თვის ვადაში წარუდგინონ მთავრობას საზოგადოების წესდების გეგმარი და დააარსონ ასეთი, — ორი თვის განმავლობაში მთავრობის მიერ დადასტურებული წესდების დაბრუნების შემდეგ. აღნიშნულ საზოგადოებას კონცესიონერები სრულად გადასცემენ აწინდელ ხელშეკრულებას სუყველა უფლებებითა და მოვალეობებით. გადაცემის დღემდე კონცესიონერები პასუხისმგებელნი რჩებიან ხელშეკრულების ასრულებაში...

საზოგადოების პირველდაწყებითი კაპიტალი უნდა იყოს არა ნაკლები 15 მილიონი ლირისა, — სრულად შეტანილის. ეს კაპიტალი თანდათან გადიდებულ უნდა იქნას არა ნაკლებ 30 მილიონ. მაინც სამზადი პერიოდის ვადის გასვლამდე და შემდეგ აყვანილ უნდა იქნას 60.000.000. მაინც დაწყებულების განვითარებასთან შეფარდებით, რომელიც აუცილებელია ნახშირის მინიმუმის მისაღწევად.

თანდათანობით გადიდება კაპიტალისა, რომელიც საქმეში იქნება დაბანდული, შესაძლებელია აქციებისა და ობლიგაციების გამოშვებით. ანგარიში საობლიგაციო სესხის ამორტიზაციისა ისე უნდა იქნეს შედგენილი, რომ კონცესიის მიწურულში (§7) სუყველა საობლიგაციო სესხების სრული დაფარვა იყოს შესაძლებელი...

მთავრობას უფლება აქვს გამგეობის საბჭოში ერთი ადმინისტრატორთაგანი დანიშნოს, ასეთი პიროვნება სარგებლობს თანაბარი უფლებებითა და ჯამაგირით, როგორც სხვა ჩვეულებრივი ადმინისტრატორები.

§20

კონცესიონერები მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში ჰკარგავენ უფლებებს, რომლებიც მათ აწინდელი ხელშეკრულებით აქვთ მინიჭებული:

1. თუ რომ აწინდელი ხელშეკრულების ხელმოწერის დროს კონცესიონერები არ შეიტანენ საწინდარს ერთი მილიონი ლირის რაოდენობით.

2. თუ რომ ვადაში, რომელიც მე-19 §-ის ძალით არის დაწესებული, არ იქნება შექმნილი ექსპლოატაციის საზოგადოება, ან და უკანასკნელი არ გააღიდებს საწინდარს 1—3 და 3—5 მილიონ ლირამდე.

3. კონცესიონერები თუ არ შეავსებენ საწინდარს, აქედან მთავრობის მიერ მოხდენილი ნაწილობრივი თანხების დაკავების შემდეგ. 1 და 2 შემთხვევაში კონცესიონერები კარგავენ თანხებს, რომელიც საწინდარში ხელშეკრულების დარღვევის დროისათვის იქნება და აგრეთვე საკურორების უფლებას ყველაფერ იმაზე, რაც მათ დაწყებულების განსახორციელებლად საქართველოში შეიძინეს...

კონცესიონერებს უფლება აქვთ გადადვან სხვა ვადაში თავიანთ

ვალდებულებათა შესრულება, თუ რომ თითოეულ ვალდებულებათა ვადების დამდეგს საქართველო ომის გამო არაჩვეულებრივ მდგომარეობაში იქნებოდა, ან შიგნით რევოლუციის მიზეზით, ან რაიმე თანაბარ მიზეზთა გამო, რამდენადაც სუყველა ჩამოთვლილი მიზეზი ზემოთაღნიშნულ მოვლენათა შეუსრულებლობას გამოიწვევდა.

კონცესიონერები მოვალენი არიან შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი, როგორც კი ჩამოთვლილი მიზეზები გაივლის და ქვეყნის ცხოვრების პირობები ნორმალური გახდება.

§21

ყოველგვარი დავის განსახილველად, რომელიც მოხდება კერძო პირთა დაწესებულებათა და ექსპლოატაციის საზოგადოებას შორის მათი მოღვაწეობის მხრივ საქართველოში, კონცესიონერები საქართველოს სასამართლოებს ემორჩილებიან.

ყოველი დავა, რომელიც მთავრობასა და კონცესიონერებს შორის დაიბადება, აწინდელი ხელშეკრულების თავისებური გაგებით ან ასრულებით და შემთხვევებში, რომელსაც უკანასკნელი ითვალისწინებს, საარბიტრო კომისიის გასარჩევად გადაიცემა, რომელიც შედგება ერთი მთავრობის მიერ არჩეული შუამავლიდან, რომელსაც აღნიშნული ორი შუამავალი ირჩევს.

წესრიგი არბიტრაჟის მიერ აღნიშნული დავის გადასაწყვეტად იგივე უნდა იყოს, რაც საქართველოს კანონებითაა მიღებული.

საარბიტრო კომისიის დადგენილებანი, რომელიც თბილისში იქნება, დაბოლოებულად უნდა ჩაითვალოს და ასრულებულ უნდა იქნას როგორც მთავრობის, აგრეთვე კონცესიონერების მხრით.

საარბიტრო კომისიის შექმნა დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ერთ-ერთი მხარის მოთხოვნილებით, რომელსაც ის მეორეს წარუდგენს.

§22

... აღნიშნული ხელშეკრულება ძალაში შევა – კონცესიონერების მიერ მთავრობიდან ცნობის მიღების შესახებ, მისი დამტკიცებისა და ასეთის დამფუძნებელი კრების დადასტურების შემდეგ.

§23

ყველა გასავალს, აწინდელი ხელშეკრულების გაკეთებით გამოწვეულს, კონცესიონერები იხდიან.

ხელმოწერილია: რომი, 1920 წლის 11 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კ. კანდელაკი.

საზოგადოება „ილია"-ს თავმჯდომარე – ორლანდო.

იტალია-კავკასიის გამნაღდებელი ბანკის თავმჯდომარე – პოლიანი.

კავკასიისათვის იტალიის საზოგადოება (ხელშოწერილია).

(სცსსა, ფ. 1833, აღწ. I, ს.1412, ფ. 13–23).

VI

Parigi, 28 gennaio 1921.

"Ieri fu deciso riconoscimento de jure della Georgia venendo tolta seguito domanda questo Ministro Georgia riserva della seduta precedente.

Cerruti nel dare comunicazione quanto precede metterà in riviero preminente e decisa azione italiana ed aggiungera' che S. M. il Re ha deciso inviargli le credenziali di Ministro Plenipotenziario.

Prego preparane subito le credenziali Cerruti, Macchioro, Depretis.

(Ministero degli Affari Esteri. Archivio Storico Diplomatico. Pacco 1123 Sforza (1923). Riconoscimento Georgia 66(32). 28 gennaio 1921, Copia №6).

პარიზი, 1921 წლის 28 იანვარი.

„თანახმად საქართველოს მინისტრის (იგულისხმება ევგ. გეგეჭკორი – დ.ჯ.) მიერ დაყენებული საკითხისა ანტანტის უმაღლეს საბჭოში, გუშინ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს დე იურე ცნობის შესახებ.

ჩერუტი ხაზს უსვამს თავის ცნობაში იტალიის მოქმედების სისწორეს და აცხადებს, რომ მეფემ მიიღო გადაწყვეტილება მას გადასცეს სრულუფლებიანი მინისტრის რწმუნებულებანი.

გთხოვთ, მოამზადოთ სასწრაფოდ ჩერუტის, მაკიოროსა და დეპრეტისის რწმუნებანი (იგულისხმება დიპლომატიური დოკუმენტაცია – დ.ჯ.).

სფორცა.

VII

Tiflis, 1 febbraio 1921.

Questo ministro Affari Esteri col quale mi sono espresso instruzioni impartitemi mi ha pregato esprimere al Ro Governo vivissima riconoscenza del Governo Georgiano e di porgere a V. E. personalmente I suoi deferenti saluti e ringraziamenti. Egli mi ha detto che porterà oggi assemblea constituente nuova prova di simpatia dal'Italia alla Georgia colla elevazione con tanta sollecitudine sua rappresentanza diplomatica rango legazione ed ha aggiunto che il Governo georgiano mi considere da questo momento Ministro Plenipotenziario. Questo Governo conta nominare Ministro a Roma Poichè sono stato unico rappresentante che ebbe sollecite notizie

mi affretai confermaro riconoscimento de jure Georgia nel mio intento di sfruttare tale situazione fecendo rilevare come precipuo merito spetti a V. E. a Ro Governo ciò che ha qui prodotto in tutti gli ambienti vivissima riconoscenza e simpatie vervo l Italia cui nome viene unito aquello della Georgia negli evviva della popolazione festante. Ringrazio L' E. V. per prova di fiducia datami facedomi inviare credenziali Ministro Plenipotenziario.

Cerruti".

(Ministero degi affari Esteri. Archivio Storico Diplomatico. Pacco 1123(1921). Riconoscimento Georgia 66(32). 1 febbraio 1921, Copia №6).

ვ. ჩერუტის დეპეშა კ. სფორცასადმი

ტფილისი, 1921 წლის 1 თებერვალი.

„ამ საგარეო საქმეთა მინისტრმა (ევგ. გეგეჭკორმა – დ.ჯ.) მთხოვა გადავცე სამეფოს მთავრობას საქართველოს მთავრობის გულითადი მადლობა, ხოლო პირადად ვიქტორ-ემენუელს მისი მოკრძალებული სალამი და მადლობა. მან მომახსენა, რომ დღეს გაიმართება დამფუძნებელი კრების სხდომა, რომელიც პატივს მიაგებს იტალიის მიერ საქართველოსადმი გამოჩენილ მზრუნველობას, რომ მან გახსნა აქ დიპლომატიური წარმომადგენლობა საელჩოს დონეზე. (მინისტრმა) განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა ამ მომენტიდან მე მთვლის სრულუფლებიან მინისტრად. ამ მთავრობას განზრახული აქვს ასეთივე მინისტრი დანიშნოს რომ'ში. რამდენადაც მე გახლდით ერთადერთი წარმომადგენელი (საქართველოში), რომელსაც ჰქონდა უახლოესი ცნობები, სასწრაფოდ დავუდასტურე საქართველოს მთავრობას დე იურე ცნობა იმ მიზნით, რომ გამომეყენებინა არსებული ვითარება და დამერწმუნებინა ის ამ საქმეში სამეფოს მთავრობის უმთავრეს დამსახურებაში. ამან აქაურ წრეებში გამოიწვია უგულითადესი მადლიერების გრძნობა და სიმპათიები იტალიის მისამართით, რომლის სახელიც ხშირად გაისმის მოზეიმე მოსახლეობის აღფრთოვანებულ შეძახილებში. მადლობას მოვახსენებ ვიქტორ-ემანუელს იმ ნდობისათვის, რომელიც გამომიცხადა ჩემთვის სრულუფლებიანი მინისტრის რწმუნებათა გადაცემისას.

ჩერუტი".

ბიბლიოგრაფია

1) გამოქვეყნებული მასალები:

1. საქართველოს დამფუძნებელი კრება, სტენოგრაფიული ანგარიში. მე-15 სხდომისა. ტფ., 1919.

2. საქართველოს დამფუძნებელი კრება, სტენოგრაფიული ანგარიში 1920 წლის პირველი სესიისა, ტფ., 1920, №88.

3. Борьба за победу Советской Власти в Грузии (Документы и материалы(1917–1921г.г.)., Тбилиси, 1958.

4. Документы Внешней политики СССР, Т. III. Москва, 1959; Т. IV, Москва, 1960; Т. II, Москва, 1958.

5. I documenti diplomatici italiani. Sesta Serie: 1918-1922, Vol. II (18gennaio - 23 marzo 1919). Roma, 1980.

6. Petricioli M., Archivio Orlando, Milano, 1972.

7. La Transcaucasia e la Russia nelle prospettive della politica imperiale britannica, PRO/FO, 702 1/3.

2) საარქივო დოკუმენტები:

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (თბილისი):
ფონდი 1833 – ს. №№61, 235, 905, 1004, 1412.
ფონდი 1861 – ს. 64, 274; აღწ. 2 – ს. №№105, 169, 181.
ფონდი 1864 – ს. №80.
ფონდი 1891 – ს. №№319, 389, 619; აღწ. 2 – ს. №1.
პარვარდის ფონდი (მიკროფირების ასლი) – ს. №№658, 688, 694, 701.

2. Archivio centrale dello stato (Roma): 206, "Russia", telegrammi №№881, 2516, 2654. 17035.

3. Archivio Storico Diplomatico del Ministero degli Esteri (Roma):
Pos. 46, Caucaso, f 41;
Pacco 1123(1921). Riconoscimento Georgia 66(32). №№343, 486, 18938.

3) გამოკვლევანი:

1. დონაძე ვ., ნიკო ნიკოლაძის ისტორიული შეხედულებანი, თბილისი, 1962.

2. ინწკირველი დ., დანტე ქართულ ლიტერატურაში, თბილისი, 1983.

3. ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტ. I, თბილისი, 1935.

4. მეუნარგია ი., ქართველი მწერლები, ტ. II, თბილისი, 1957.

5. ორლოვსკაია ნ., ქართული თემატიკა კარლო გოლდონის შემოქმედებაში თსუ შრომები, ტ. 101, 1962.

6. პაპაშვილი მ., საქართველო–რომის ურთიერთობა, თბილისი, 1995.

7. რევიშვილი შ., საქართველოს თემა ევროპულ ლიტერატურაში, თბილისი 1967.

8. სურგულაძე ა., სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერ-კავკასიაში (1918–1921 წ.წ.), ტ. II, თბილისი, 1961.

9. ტაბაღუა ი., საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის II ნახევარში, თბილისი, 1979.

10. ტაბაღუა ი., საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1994.

11. ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917–1921 წლებში და საქართველო საფრანგეთის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. I, თბილისი, 1996.

12. ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად ტ. III, თბილისი, 1969.

13. ღამბაშიძე გ., ინგლისისა და აშშ-ის აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ, თბილისი, 1964.

14. ჩარკვიანი კ., ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, თბილისი, 1962.

15. წერეთელი გ., მგზავრის წერილები, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბილისი, 1963.

16. ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, თბილისი, 1987.

17. Адамия В., ИЗ истории английской интервенции в Грузии, Сухуми, 1961.

18. Енукидзе Д., Крах империалистической интервенции в Закавказье, Тбилиси, 1954.

19. История дипломатии, Т. III, Москва, 1966.

20. История Италии, Т. III, Мосхва, 1971.

21. Кадишев А., Интервенция и Гражданская война в Закавказье, Москва, 1960.

22. Канделоро Дж., История современной Италии, Истоки Рисорджименто. 1770–1815. Москва, 1958.

23. Канделоро Дж., История современной Италии, Т. VI, Москва, 1971.

24. Комолова Н., Новейшая история Италии, Москва, 1970.

25. Россия и Италия: Из истории русско-итальянских культурных и политических отношений, Москва, 1968.

26. Стеннард Беккер Р., Вудро Вильсон. Мировая война. Версальский мир. Москва, 1923.

27. Токаржевский А., Из истории иностранной интервенции и гражданской войны в Азербайджане, Баку, 1957.

28. Штейн Б., "Русский вопрос" на Парижской мирной конференции (1919–1920 г.г.), Москва, 1949.

29. Carocci G., Storia d'Italia dal'lUnita' ag oggi, Milano, 1975.

30. Petricioli M., L'occupazione italiana del Caucaso; "un ingrato servizio" da rendere a Londra, Milano, 1972.

31. Sforza C., L'Italia dal 14 al 44, quale io la vidi, Roma, 1945.

4) პერიოდული პრესა:

„დროება“ – 1868 წ. №46; 1872წ. №№2, 12; 1875 წ.№19, 21; 1879წ. №238; 1881წ.№157.

„თეატრი“ – 1886 წ. №23.

„ივერია“ – 1882წ. №2; 1886წ. №40; 1887წ. №№129, 178; 1890 წ. №№184, 187, 192; 1902 წ. №265; 1903 წ. №251.

„კვალი“ – 1901 წ. №12.

„კრებული“ – 1872 წ. №№8–9.

„ნაკადული“ – 1905 წ. №11.

„ცისკარი“ – 1852 წ. №1.

„ჯეჯილი“ – 1897 წ. №10.

„ერთობა“ (სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო) – 1919 წ. 15 მაისი და 25 მაისი.

„საქართველო“ (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო) – 1919 წ. 13 მაისი; 1920 წ. 22 და 25 იანვარი, 11 და 18 მარტი, 5 სექტემბერი, 8 ოქტომბერი.

„საქართველოს რესპუბლიკა“ (მთავრობის ოფიციოზი) – 1919 წ. 21 ოქტომბერი; 1920 წ. 11, 13 და 16 იანვარი, 14 და 18 თებერვალი, 23, 24, 25 და 31 მარტი, 19 სექტემბერი, 16 ნოემბერი; 1921 წ. 1, 2, 10 და 15 თებერვალი.

„სახალხო საქმე“ (სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორგანო) – 1919 წ. 14, 16, 19, 22, 28 და 29 მაისი, 19, 20, 25 და 28 ივნისი, 11 და 22 ოქტომბერი.

"Борьба" (орган соц.-дем. партии) – 5 августа 1919 г.

"Бюлитень НКИД", – 1920 г., №34.

5) სასტატიო პუბლიკაციები:

1. ალექსანდრია ე., მომეტებული პატივი უნდა ვცეთ!.., გაზ. „სამშობლო“, 1988 წ. №18.

2. ორლოვსკაია ნ., გიორგი წერეთლის თარგმანი, „ლიტერატურული საქართველო“, 1981 წ. №45.

3. სტურუა ზ., გულითადად მოგესალმებით ძველი კოლხეთიდან, „ლიტერატურული საქართველო“, 1986 წ. №30.

4. სტურუა ზ., ი. ჭავჭავაძის ერთი ლექსის ისტორიისათვის, „ლიტერატურული საქართველო“, 1987 წ. №30.

5. სტურუა ზ., ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონი“ და ქართველი მკითხველი, „მნათობი“, 1976 წ. №1.

6. ტაბაღუა ი., ბათუმის საკითხი სან-რემოს კონფერენციაზე (1920), „მაცნე“, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1982, №3.

7. ტაბაღუა ი., იტალიამ პირველმა დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსთან, კრ. „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან“, ტ.. I, თბილისი, 1994.

8. ტაბაღუა ი., საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა დე ფაქტო და დე იურე, კრ. „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან“, ტ. II, თბილისი, 1995.

9. ტაბაღუა ი., საქართველოს მანდატი, გაზ. „კომუნისტი“, 1989 წ. 6 ივნისი.
10 ღონღაძე ლ., სურათებში გაცოცხლებული, გაზ. „თბილისი“, 1973, №11.
11. ხუციშვილი ს., ქართული გარიბალდიანა, „ლიტერატურული საქართველო“, 1982, №29.
12. Матарадзе Л., Принцип равноправия и самоопределения народов в международном праве, журн. „Политика“, 1993, №№10–11.
13. Орловская Н., Эхо Италии в Грузии, "Литературная Грузия", 1993, №№2–3.

ბ) მეშუარები:

1. ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918–1921 წ.წ. საერთაშორისო პოლიტიკაში, თბილისი, 1929.
2. ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, თბილისი 1990.
3. Альдрованди Марескотти Л., Дипломатическая война, Москва, 1944.
4. Архив полковника Хауза, Т. IV, Москва, 1944.
5. Нитти Ф., Европа без мира, Москва, 1923.
6. Черчиль У., Мировой кризис, Москва, 1932.

რედაქტორისაგან

შესავალი

თავი I. საქართველო-იტალიის კულტურული კონტაქტები XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში

თავი II. იტალიის მცდელობა მიეღო მანდატი საქართველოზე (1919წ.) და მისი შედეგები

თავი III. საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1920 წელს და 1921 წლის დასაწყისში

თავი IV. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის „ეკონომიკური დიპლომატია" და საქართველო-იტალიის ეკონომიკური ურთიერთობა 1919-1921 წ.წ.

დასკვნა

რეზიუმე (იტალიურ ენაზე)

დოკუმენტები

ბიბლიოგრაფია